ჯვარი



მხატვარი ნინო ნიჟარაძე

2 2021

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459
9 770134 345001 21002

ჭოროხი

გამოცემის 63-ე წელი | მარტი-აპრილი | №2 | 2021 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
შოთა ზოიძე
იაშა თანდილავა
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჟარაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფალავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2021

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

თეიმურაზ ლანჩავა – ლექსები 3
ანზორ კუდბა – საგალობელი ჩემი სულისა (მოთხრობა) 13
ცისანა ანთაძე – ლექსები 37
ზაზა ხალვაში – ჩანაწერებიდან „მე“ 51
ჩანაწერებიდან „ეკალი“ 56
ირინა ხინიკაძე – ლექსები 58
თენგიზ გორგოშაძე – ლექსები 62

ᲗᲐᲠᲯᲣᲛᲐᲜᲘ

კაზუო იშიგურო – ესტრადის მომღერალი (ინგლისურიდან თარგმნა მაია ბოლაშვილმა) 71
ჟანა-მარი ლე პრენს დე ბომონი – მზეთუნახავი და ურჩხული
(ფრანგულიდან თარგმნა ნანა ახალაძემ) 88

ᲔᲡᲔᲔᲜᲘ

შოთა ზოიძე – გრიგოლ რობაქიძე – მითი და სინამდვილე 98
ნინო ნიჟარაძე – პანდემიური რეფლექსიები 105
დრო და მხატვარი 106

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ოთარ გოგოლიშვილი, ნუცა ჩხაიძე – ნესტორ იაკობის ძე ხვინგია 108

ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘ

დიანა ზოიძე – იამბიკური სვინაქსარი 114



თეიმურაზ ლანჩავა

25 აპრილი ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის იმერეთის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარის, საზოგადოება „ქუთაისელის“ პრეზიდენტის, მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის გაზეთის „უქიმერიონის“ რედაქტორის, „ქართული კულტურის რაინდის“, „ხელოვნების ქურუმის“, არაერთი ლიტერატურული პრემიის მფლობელის თეიმურაზ ლანჩავას დაბადების დღეა.

ვუსურვებთ ბატონ თეიმურაზს დიდხანს სიცოცხლესა და შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი
კავშირის აჭარის ორგანიზაცია
აჭარის მწერალთა სახლი
ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია

* * *

ბათუმი დიდი, ცისფერი გემი,
ზღვას გაქცევია,
ტორტმანებს ცაში,
მომხიბვლელობით სიამის მგვრელი,
გამოქცეული სიზმრიდან ბავშვი
დროგამოშვებით იხსენებს წარსულს,
ხვდება მომავალს, ლაღად, ხელგაშლით,
მიიწევს ცისკენ, მიაქვს ხმაური,
ეძებს მომავალს ნათელ ხედვაში.
წუხს სიყვარული ერთადერთობით,
მარადისობა ლოკავს ნაპირებს,
რადგან ერთმანეთს მაინც ვერ თმობენ,
ზღვაც ცაში მათთან წასვლას აპირებს.
ამოიგმინებს დროგამოშვებით
და მომავალში ხელს აფათურებს
და მიაქანებს ცისფერი გემი
ცაში ლექსებად ქცეულ ბათუმლებს.

თემურ შაშიაშვილს

ვხედავ მომავალს დაფარულს ნისლით,
ცეცხლით გარუჯულ, გამხმარ ბალახებს,
თუ მოვინდომებთ, სამშობლოს ვიხსნით,
თავისუფლებას დრო დაგვანახებს.
ფიქრს გამძლეობის უღელი ადგას,
საეგებიო სურვილი არწევს,
ღმერთი გვპირდება, რომ ყველა მათგანს
აღადგენს ტაძარს, რომელიც დაწვეს.
უცხოეთიდან მტრედებს მოფრენილს
აქვთ სამშვიდობო, რთული მისია,
ხედავენ გვამებს ირგვლივ მოფენილს
გვამების მოვლა, არ აკისრიათ.
ჩვენ უნდა შევძლოთ ღირსება ვიხსნათ,
ისიც, ვინც გვებრძვის, ჩვენი სისხლია,
ღირს მოთმინება სიჩუმის ღირსად
თუ ეს დროება უვარგისია.
მოლოდინისგან გადაღლილ მიწას
მოსალოდნელი ტკივილი ელის,
დაიფერფლება უღმერთოდ იმ წამს
თუ გამეფება მოხდება ბნელის.
ჩვენ დრო გვაკვირვებს და არა ფიცი,
დრო მოვა, რასაც ეძებ, მონახავ,
არ შეგახსენებ, ისედაც იცი,
შენი სამშობლოს ყრმა და მონა ხარ.

* * *

მე შეგიკერავ თოვლისფერ კაბას,
მოგიქსოვ თოვლის ფაფუკ ხელთათმანს,
ისეთს, რომელზეც სხვა ჭკუას კარგავს,
თავს იწონებდე, მგრძნობდე მთელ ზამთარს.
მე ფიფქად გაქცევ, მე ფიქრად გაქცევ,
რომ საიდუმლოს ფარდა ავხადო,
მე ზარმთარს გჩუქნი, ჩემს სითბოს გაცმევ,
მსურს ერთგულების მონა გაგხადო.
მე შეგიკერავ, ჩაგაცმევ, გაგხდი,
და შენს სიშიშვლეს ვაჩუქებ მთვარეს.
არის მთავარი, სადაც გთხოვ, დამხვდი,

და დაენახე იმედად თვალებს.
უერთმანეთოდ როგორმე გავძლოთ,
ცარიელდება სამყარო განცდით,
დროს შევეგუოთ და ვუთანაგრძნოთ,
რადგან ერთმანეთს შემთხვევით ავცდით.
მე შეგიკერავ თოვლისფერ კაბას,
ჩემი სულივით ფაფუკს და ნათელს,
ისეთს, რომელზეც სხვა ჭკუას კარგავს,
მე მაღარიბებს და ღონეს მართმევს.

* * *

მივუგდე ჩემი სხეული ზამთარს,
დროგამოშვებით ცოდვილობს, ხვრინავს,
სიზმარი ხშირად ორგიებს მართავს,
ხელს უშლის ფიქრს და იმედის ხილვას.
გაურბი, ვერ ვგრძნობ თოვლიან სივრცეს,
გამათბო მინდა და შენში დავრჩე,
ოცნება დილის სამოსელს იცმევს,
და უშენობის ტკივილებს მაჩვევს.
ვერ დაგეწიე ასე პატარას,
როგორ გასწავლო მოცდა, მოთმენა,
რომ შეგაჩვიო დროის ატანას,
იმას, შენს გამო გული რომ თბება.
იფრინე ცაში, გხედავ, მადლია,
გული ხალისობს, თვალი ერთობა,
ვგრძნობ სიყვარული შენთვის ადრეა
და მტანჯავს შენი ერთადერთობა.

* * *

თოვს გარეთ წყნარად
და ცა ჩამოდის მიწაზე,
რათა სად ვცხოვრობთ ნახოს,
გადაეფარა თეთრი ზეწარი
სიზმრებად ქცეულ ჩვენს სამოსახლოს.
ფაფუკი თოვლის მშვენიერების
გათავისება და კრძალვა გვმართებს,
შემოტყუება ფიქრში იმედად,
ჩვენი ღირსებით რომ თოვლიც დათბეს.

მინდა შენც თოვლის ფანტელი გერქვას
და დედამიწას ციდან დახედო,
რომ სიხარული ვაჩუქო შენს თავს,
მშვენირებით არ ითავხედო.
მინდა ჩემს სულში ენთო ღირსებით,
მიწიერ გრძნობებს უცქერდე მწყრალად,
თავს იწონებდე კეთილთვისებით,
გახსოვდეს ბოლოს, რომ ყველა წავალთ.
გახსოვდეს, რომ ჩვენც ისე დავდნებით,
როგორც ფანტელი, თოვლად რომ იქცა,
ადამიანურ ცოდვით ამდენით,
მარადიულად წუხს დედამიწა.
თოვს გარეთ წყნარად, ფიქრს ემატები
გხედავ ზეცაში ბევრი ფიფქია,
მე შენ მიყვარხარ და მენატრები
და ვგრძნობ შენ ჩემზე არ გიფიქრია.

* * *

უფრო ხშირად ბრბოში ხარ,
განდეგილის როლში,
ფიქრი დაგრჩა პარიზში,
ოცნებები, რომში.
შემოგადნა ზაფხული,
ყვავილს ეძებ თოვლში,
დროისგან დაზაფრული,
მწარე ცრემლის ტბორში
იძირები თანდათან,
სიმარტოვეს წუხარ,
ვინც გიყვარდა, წავიდა,
ვინც შემოგრჩა, ძულხარ.
ხვდები რა მარტივია,
ანათებდე, ენთო,
ხვდები რა პატივია,
ერთგულებას ვერ თმობ.
თავშესაფარს დაეძებ,
ისეთს, ვერვინ გნახოს
და მიწაში ნახულობ
მუდმივ სამოსახლოს.
ღრუბლებს ცეცხლი უნთია
მომლოდინე სიმწრის,

დედამიწა ბურთია,
ბოროტებით იწვის.
გადაღეჭა დღეები
უსახურმა ეჭვმა,
მუხას მიწა წართვა
ალვის ხემ და ფიჭვმა.
არვინ ეხმიანება
მიშველეო, ნოეს,
ვინც, რომ ფრენა შეიძლო,
დედამიწას ტოვებს.
ვაი, ჩემო წარსულო,
მონატრებავ ხვალის,
გაფრენილო ასულო
არ ჩანს ნატერფალის
სურნელება, გამოვყვე,
დამანახოს სხვა გზა,
აქეთ-იქით სირბილში
ამერია თავგზა.

* * *

გჩუქნით ჩემს გრძნობებს, ვრჩები უგულოდ,
რადგანაც გული უხმოდ გბარდებათ,
ვალდებული ხართ, რომ დამიბრუნოთ
როდესაც აღარ გამოგადგებათ.
სიცარიელე ჩემში მეტია
და მოთმინებას ვერ სჯის ბრალდება,
გულს ვერ გაგიცვლით მანამდე ვიდრე,
ურთიერთობა არ მოგვარდება.
გულს ვერ უბრძანებ დაემორჩილოს,
რასაც გონება ცივად კარნახობს,
ვერ აიძულებ რომ ითვალთმაქცოს,
ყოფიერება აატალახოს.

* * *

ჩამოთოვა გაკრეფილი ვენახები,
ჩიტი რქაზე დააფრინდა ხარს,
შერცხვენილი, რა ვქნა, ვერ დაგენახვები,
გული მტკივა,
მაწვალებს და მხრავს.

რახანია მონატრება მეკრძალება,
შევეგუე გამწარებულ დროს,
რაც დრო გადის სევდა უფრო მეძალება,
ყველა წუთი მარტოობას მთხოვს.
სიცივეა, ბუხარს უნდა მივეფიცხო,
ცეცლი უნდა შევაგუო ძვალს,
გაზაფხულზე იქნებ მნახო,
ველარ მიცნო,
შავი ეცვეს ჩემს შვილსა და რძალს.
გაზაფხულზე იქნებ მართლა დაგასვენო,
ფიქრი ველარ გადასცილდეს ზღვარს
რაც დაგპირდი, ვერაფერი გავიხსენო,
შენი ცრემლი დამედევნოს მგზავრს.
ჩამოთოვა გაკრეფილი ვენახები,
ჩიტი რქაზე დააფრინდა ხარს,
შერცხვენილი, რა ვქნა, ვერ დაგენახვები,
უშენობით გული მტკივა, მხრავს.

* * *

მე შემიძლია გავექცე ამ დროს,
გავექცე სურვილს და ფიქრში დავრჩე,
თუმცა წარსული დღეისდღეს მანდობს,
მომავალს დღეის საწუხარს ვამჩნევ.
მე შემიძლია მიწა დავტოვო,
ცაში ვეძებო იმედი ბედით,
წავიდე, სადღაც და მიგატოვო,
არავინ გყავდეს იმედად გვერდით.
შიში ვერ მიხსნის, რამე თუ შიშით
უპირველესად ვუარყოფ ჩემ თავს,
წავიყოლიო ტკივილი ძილში
და ტკივილს ჩემი სამშობლო ერქვას.

* * *

არის მომენტი, მზის სხივს ვირეკლავ
და უკვდავების არ ვარ ერთგული,
არ დამემდურო, თუ არ გირეკავ,
ზოგჯერ საკუთარ თავსაც ვემდური.
მომავალშიდაც ვეძებ ნამცეცებს,
რომ ნაპერწკალი ცეცხლად ვაქციო,

ნუ გამიმეტებ, თუ თვალს ვაცეცებ,
როგორმე ზურგი არ შემაქციო.
ნუ გამახსენებ, რომ უნდა მოვკვდე,
რომ უკვდავების არ ვარ ერთგული,
ნუ გეწყინება თუ ვერ გირეკავ,
ხშირად საკუთარ თავსაც ვემდური.

* * *

გადაწყდა უნდა გავექცე სიკვდილს,
შევინარჩუნო კერა გამთბარი
და სიყვარული ძველ ღვინოსავით,
გამოვიზოგო მთელი ზამთარი.
უნდა ვიცხოვრო რწმენით და ლოცვით,
გზას მინათებდეს სანთელი თაფლის.
ეჰჰ, ძვირფასებო, მაგ ჭიქებს რომ ცლით,
სისხლიან მთაში მოკლული დათვის.
გადაწყდა, ბევრი რამე გადაწყდა,
ვცხოვრობ მოთმენით, შენით ვმარტვილობ,
თქვი, გაამხილე, მართლა გიყვარვარ?!
თუ არ გიყვარვარ, არ მომატყვილო.

* * *

ცალფეხს იქეთ მივითრევთ,
ტყემალს ვხმარობთ თაფლად,
რაც გვაქვს, იმას მივირთმევთ,
რაც არა გვაქვს, რა ვქნათ...
ფუტკარივით დაგვბზუის
დრო, არ ცდება ფუჭად,
რაც გაქვთ, თაფლად მირთვით
მთავარია თუ ჭამთ...
არის მთელი სამყარო
დარცხვენილი კუჭით,
საკენკს ველარ უყრიან,
ფრინველებსაც უჭირთ.
თვალი უნდა ლაღობდეს
არ მოედოს რული,
არაუშავს, დაღონდეს,
მართლა თუ გაქვს გული.

* * *

დავიმორჩილე ფიქრი თავხედი,
ყველა სურვილი ფიქრში ჩავტიე,
ძლიერ მიყვარდი და ვერ ვამხელდი,
რომ არ ვამხელდი, არ მაპატიე.
გსურდა გაეგო დიდს და პატარას,
რომ, თითქოს შენი მონა ვიყავი,
ვასწავლე ჩემს გულს დარდის ატანა,
ჩემი ტკივილი არ გაგიყავი.
გჩუქნიდი რაც მაქვს, ვწერდი არაკებს,
გულს არ გჩუქნიდი, გეცინებოდა
დღეს უგულობა მალაპარაკებს,
ჩემ თავს არავინ გეცილებოდა.

* * *

შენი ტუჩები მიმყვება სახლში
და სიყვარული შენს თავს მახსენებს
და რომ მგონია რაც მოხდა, წავშლი,
შენი თვალები აღარ მასვენებს.
გავურბი ჩემს თავს, სავსე ვარ შენით
და ვხვდები სიკვდილს სიცოცხლის ბოლოს,
შენ და სიცოცხლე ორთავე მშველით,
რადგან სიცოცხლე ლოდინში ცხოვრობს.
შენი ტუჩები მიმყვება სახლში
და სიყვარული შენს თავს მახსენებს
და რომ მგონია, რაც მოხდა წავშლი,
შენი თვალები აღარ მასვენებს.

* * *

ვინც მიყვარდა, მომიკვდა,
ვცოცხლობ შიშის განცდით
მთავარია რომ მიტანთ,
დრო სავსეა მარცხით.
ნეკროლოგებს ვაგროვებ,
დროს ვუნახავ განძად,
რა თქმა უნდა ვტირივარ,
ჭირისუფალს ვბაძავ.

გადამწვანდა, საფლავებს
ცისკენ ასდის ბოლი,
ისეთები წავიდნენ...
აღარც მე ვარ მგონი...

* * *

ერთმა გოგომ შემაყვარა თავი,
შემაგუა მოთმენას და განცდას,
ოცნებით და სიყვარულით მთვრალი
ვჩუქნი დღეებს, დარჩენილი რაც მაქვს.
დამავიწყებს, ვიცი, ტრფობას პირველს
მომამატებს სევდასა და წყენას,
მაგრამ რა ვქნა, თუ გონებას მირევს,
ვერ ვღალატობ იმედსა და რწმენას.
გავემიჯნე წუხილსა და ტკივილს,
დავივიწყე თუ რამე მაქვს ბრალი,
ჩემს სარკმელთან გაზაფხული ტირის,
მონატრებას როგორ ვუთხრა ვარი.

* * *

იცნობდეთ ბატონო,
        არავინ მობრძანდა,
არავინ ვიყავით,
        არავინ გვმოძღვრავდა.
არავინ უსმენდა,
        გვიყიდა, გაგვყიდა,
უნდოდა, გვლანძღავდა,
        ქოქოლას გვაყრიდა.
ვღელავდით, ვიბრძოდით,
        არავინ გვალხენდა,
სატკივარს ვმალავდით,
        ხშირად რომ გვამხელდა.
არავის დაკრულზე
        ვცეკვავდით კარგა ხანს
და რადგან არავის
        არავინ არ გვახლავს,
არასდროს ვყოფილვართ
        მონა და მორჩილი,

წაიღეს, წაგვართვეს,
        არავის როლს ვჩივით
და რადგან მე თვითონ
        არა ვარ არავინ,
არავის მედროშეს
        თუ მკითხავ, რავა ვარ,
გპასუხობ მორჩილად,
        მცველი ვარ არავის,
რადგანაც არავის
        არავინ არა ვარ.



ანზორ კუდგა

საგალობელი ჩემი სულისა

თვალი ავახილე და ავხედე ჭერს. ზედ ერთი წერტილი ამოვიჩემე და ვერაფრით გავიხსენე მერე, რომელ გვერდზე მეძინა, როცა გამოვიღვიძე. მთელი დღე უჟმურაყოლილივით გავატარე. დღევანდელი დღე დაკარგული იყო ჩემთვის და გულში იმ ამოჩემებულ წერტილს მუშტი მოვუღერე. ჰო, დაკარგულია ჩემთვის დღე დღევანდელი და მარტო დღევანდელი?!

მე მოვინელე ეს უკუღმართი დღე თუ, იმან მომინელა?!

მზე კარგა ხანია ამოსულიყო. ავხედე და ისიც მოწყენილი მეჩვენა. სახე ჩამოსტიროდესო თითქოს.

შემცივდა და შემაჟრჟოლა.

– შენ რაღა დაგემართაო? – ჩამომძახა მზემ და ბრაზი წამეკიდა. თვალი ავარიდე და ყველაზე დაჩრდილულ გზას დავადექი. ამ ქუჩას გულში ჩრდილის გზას ვეძახდი და ყველაზე უფრო ზაფხულში მიყვარდა.

– პაწია მტილო, ზაფხულში ჩრდილში ყოფნას არჩევ, ზამთარში, ალბათ – ღუმელთან ჯდომას. ბუხარზე რას იტყოდი, გვამო პატივცემულო? – თუ დამცინოდა მზე.

– არის ჩვენს ქალაქში ისეთი ქუჩა, სადაც თბილა ზამთარში. იმ ქუჩაზე მნახავ ზამთარში, – ავძახე მზეს, თუ მოგენატროო.

– სინათლის ქუჩას გულისხმობ? – გაეღიმა მზეს, – ჩემითაა იგი ასე თბილი და ასე ნათელი!

თავი ძირს დავხარე. ამით ვაგრძნობინებდი მზეს, რომ არც დღეს ვიყავი გუნებაზე და შეეძლო არხეინად დადგომოდა თავის გზას.

ღამის მომინელოს მელანქოლიამ. მივდიოდი სადღაც ფიქრის გარეშე, გაუფერულებულიყო ჩემს თვალში ყველა და ყველაფერი.

მაინც საიდან და როგორ შემომეპარა ეს ნაღვლიანი დღე, ვინ დამწყევლა, რისთვის მიწყრება მამაზეციერი?

მაგრამ როდის ხდებოდა ეს? ძილში, სიზმარში, თუ... ჩრდილის გზაზე?!

უგუნებოდ კი გამომეღვიძა. ვერაფრით დამაიმედა და ვერც დამაინტერესა ამ უჟმურმა დღემ. და ხვალაც ასე რომ გაგრძელდეს?!

პარკში შევდივარ. ძელსკამზე ჩამოვჯდები. ძელსკამი მწვანედ შეეღებათ და ვერც ვერავინ ვნახე ამის ჩამდენი, რომ ავხირებოდი, ამდენ სიმწვანეში ძელსკამი რატომ მიგიკარგ-მოგიკარგავსო?

მწვანე ძელსკამი... რატომ მწვანე, მაგრამ თვითონ მე რომელ ფერს ვარჩევდი, ვერაფრით გადამეწყვიტა. ჩემს თავზე მეცინება. ხელი კი არ ჩამიქნევია, მუხლზე დავირტყი და მაღლა ავაყოლე თვალი იაპონურ კრიპტომეტრიას, წვერით ცას რომ წვდებოდა.

ამ პარკში ყველაზე უფრო ეს ხე მიყვარდა. ყველაზე მაღალი რომ იყო და ყველაზე ელეგანტურიც.

„ახლა მწვანედ მორთული გვეკეკლუცება, ნოემბრიდან კი შეიცვლის ფერს... ფერისცვალება ეწყებაო“, – ამბობდა ერთი ექსკურსიამძღოლი.

„მწვანედ მორთული ელეგანტური კრიპტომერია და... რას ფიქრობს მაშინ, ფერს რომ იცვლის? მერე რა, რომ იცვლის ფერს?“ – მივაყურადე ჩემს ფიქრს და უაზროდ მეჩვენა ყველაფერი.

მაინც რამ მომიყვანა დღეს ამ პარკში? კრიპტომერიის გულისთვის?! არაო, პასუხი გულმა ამომითქვა, – ჩრდილის ქუჩამო.

წამოვდექი და მწვანედ შეღებილ ძელსკამს დავხედე. ეს ძელსკამი ვიღაცამ მოიტანა პარკში და მაინც და მაინც აქ დადგა და მწვანედაც შეღება. დადგა იმიტომ, რომ მოვსულიყავი და ჩამოვმჯდარიყავი, სული მომეთქვა და დავმშვიდებულიყავი... მერე კი: ჩავფიქრებულიყავი და გამერკვია ჩემი უგუნებობის მიზეზი.

ვერ გამირკვევია ამის მიზეზი და ვერც გავარკვევ, რამდენიც არ უნდა ვიფიქრო.

არ გეგონოთ, ვინმე დამთხვეული ფილოსოფოსი ვიყო.

ფიქრის უფლება ნამდვილად აქვს ჩვეულებრივ მოკვდავს. ფიქრის უფლება კაცისთვის არავის მოუშლია. ადამიანს შანთითაც ვერ ამოუწვავ ფიქრს. ფიქრი გამძლეა, იგი ხელნაწერივით როდი იწვის? ფიქრობ და სრულ თავისუფლებას ანიჭებ თავს. ფიქრის გაქრობა? ქრებოდეს ფიქრი? ქრებოდეს ოცნება? ქრებოდეს ყველაფერი და მივყვებოდე ამ ყველაფერს?!

ერთი ჩემს სულშიც ჩავიხედო!

მივცურავ დიადი ფიქრის სამყაროში....

მაგრამ ისეთი ვინა ვარ მე, რომ ასე დაჟინებით ვფიქრობ დიდი ფიქრის სამყაროზე? მასში დამკვიდრება-დავანებასაც რომ ვფიქრობ?!

ვინა ვარ, რომ ასეთი ფიქრები მომდის თავში?

მართლა ვინ ვარ?

ვინ და ერთი უბრალო მოკვდავი, მავან-მავანი, რომელმაც წამით შეიხედა თავისი სულის ჯერაც გაუმხელელ ცხრაკლიტულში, შეიხედა თვალდახუჭულმა და თვალის გახელა აღარ ინება. ვერაფერი დაინახა და იმწამსვე გამოაპანღურეს იქიდან.

სულის გაუმხელელი კუნჭული: შეუცნობელი... თავად უსასრულობა...

ვთქვი ერთხელ, რომ არც ფილოსოფოსი ვარ და არც – ფსიქოლოგი. უბრალოდ ფილოსოფიის ისტორიით დაინტერესებული პირი. ვიხსენებ, რომ იყვნენ სოკრატე და პლატონი, ფილოსოფიის მამები, მაგრამ იმათაც ვერ უპასუხებიათ ამ კითხვებზე და დარცხვენილები წარსულის განზომილებაში მიილალებიან.

ახლა ჩემს თავსაც ვკითხავ: – თუ რატომ გავჩნდი? მოვსულვარ ამ ქვეყნად და ჩემი ნაკვალევი, ყოვლად დასაშვებია, რომ ერთხელ სულაც გადაიშალოს ფანქრით ნაწერივით.

რატომ და საიდან მოვსულვარ? იქნებ სამყაროც, უსასრულოაო, რომ ვამბობთ, ისიც, სამყაროც გაქრეს, განგებამ შავი ხაზი გადაუსვას... მერე ასე ხაზგადასმული სამყაროც გადაიშალოს და არარად იქცეს... აღარ ვიქნებით?!

უუჰ, ეს რა უჟმური ფიქრები მომდის თავში? მაგრამ ამ დროს ჩემთვისაც ცნობილია, რომ „არ იწვის ხელნაწერი“. განა ოსტატმაც ასე არ ბრძანა?! ხო, ხელნაწერი არც იწვის და არც უნდა ქრებოდეს და... განა სამყაროც ხელნაწერივით არაა განა?! იქნებ ფიქრიც უკვდავია და სამარადისო?! ოღონდ წამოეჭრას ვინმეს და...

და... ნეტა, ვინ დამსაჯა ასე და რატომ განვიცდი იმას, რაზედაც თითქმის არაფერი გამეგება, არაფერი ვიცი, თითქმის არაფერი... არაფერი მესმის იმისა, რაც ჩემი სულის იმ ჩამობნელებულ კუნჭულში ხვდება, ნეტა რაა ის, რაც ასე მაწუხებს?

და საიდან, საიდან დაიწყო ეს ყველაფერი? ფიქრი კი არ იძლევა ამის პასუხს.

ის ჩრდილის ქუჩაო და... კიდევ სინათლის ქუჩაო...

ჩრდილის ქუჩაზე ყოფნა უკვე აღარ შემიძლია. ისევ სინათლის ქუჩაზე უნდა გავიდე! თვალი გავუსწორო მზეს.

მეც შევუხვევ მარჯვნივ, გავივლი შუკას და სინათლის ქუჩაზე ამოვყოფ თავს! აქ სინათლეა და სივრცე. მეც ვიზრდებოდე თითქოს. ვხარობ და არც კი ვიცი, რა მიხარია ასე უცბად ნეტა რამ შემცვალა? ვფიქრობ და ვიღაც შემაჩერებს.

მიღიმის. ძია ნოეა. მხოლოდ მას ვუკითხავ ჩემს ლექსებს. იგიც ყურადღებით მისმენს, მაგრამ არაფერს მეუბნება. ასე ამიტომაც ვენდობი.

ძია ნოეს გამარჯობის თქმას ვერავინ დაასწრებს. ცხოვრობს მარტო. არც ცოლი ჰყავს და არც – შვილი. იქნებ ჰყავდა, მაგრამ ამაზე ჩვენში არავის არაფერი სმენია.

მთავარია: ჩემი ესმის ძია ნოეს.

ძია ნოე: დილით უთენია წამოდგება ხოლმე და სადღაც მიდის. ნეტა სად მიეჩქარება? იცით, რას მეუბნება ერთხელ? „მზის ამოსვლას თვალი თუ არ შევასწარი, ის დღე დღედაც აღარ მიმაჩნიაო!“

ჰოდა, დილა-უთენია წამომდგარი თვალს შეავლებს მზეს და გასწევს თავისი გზით. შინ ყოველთვის ერთსა და იმავე დროს, შვიდის ნახევარზე, ბრუნდება.

ჩვეულებრივ: გადახედავს გაზეთებს, მერე ტელევიზორს ჩართავს და ერთი წუთითაც არ წამოდგება, თვალს არ მოაცილებს ეკრანს. არც შიმშილი ახსოვს ამ დროს და არც წყურვილი შეაწუხებს. ასე გაჰყავს დრო. იქნებ დროა მისი განმგებელი?!

მაგრამ დრო მაინც გადის. ეს უნდა, არ უნდა ძია ნოეს, დრო მაინც მიედინება უსიტყვოდ. მიედინება სადღაც და არც არასდროს შემობურნდება უკან. თუმცა ამაზე ფიქრისთვის ძია ნოეს არც სცალია. არც უყვარს ფიქრი ძია ნოეს, მაგრამ მაინც ჩაფიქრდება ზოგჯერ, უნებლიეთ ჩაფიქრდება და უკვირს მერე, ამ ბოლო დროს ეს რა მემართებაო, მაგრამ იგი, როგორც ასეთი, ფიქრის წინააღმდეგი მაინც არ ყოფილა: ჩვეულებრივი კაციაო, ხომ ვთქვით ერთხელ, ერთი უბრალო მოკვდავი და ამიტომ.

არც არავის შეაწუხებს: ესა და ეს მტკივა, ესა და ეს მაფიქრებსო. არის თავისთვის, ცხოვრობს თავისთვის.

ჰო, გადიოდა შინიდან და ბრუნდებოდა შვიდის ნახევარზე: იხდიდა და იცვამდა, დგებოდა და წვებოდა, ისევ დგებოდა და წვებოდა და ასე გრძელდებოდა კიდევ დიდხანს, მაგრამ...

ძია ნოე გვარად ადამაძეა: უყვარს მზე ყველაზე მეტად და მზესაც უყვარს თავისი ძია ნოე, იცის ეს ნოე ადამაძემ და უხარია, ვერც ფარავს სიხარულს, კმაყოფილია რომ გაჩნდა ამ ქვეყნად და არის ამ ქვეყნად მზე და რომ ანათებს იგი მისთვისაც.

ჯერ არ მითქვამს და ძია ნოე ჩემს პირდაპირ ცხოვრობს ცხრასართულიან სახლში.

ერთხელაც არ შეუქია ჩემი ლექსი: არც ერთხელ!

ახალდაბადებული ლექსი წუხელაც მივუტანე და რატომღაც პასუხს განაჩენივით მოველოდი. თუმცა დანამდვილებით ვიცოდი, რომ არც ამჯერად მეტყოდა რამეს, უბრალოდ: გამომიბრუნებდა უკანვე და გამიღიმებდა. მერე: მოჭუტავდა თვალს და მაგრძნობინებდა, კიდევ ერთხელ ვცადოთო. ხვალაც მომიტანე ახალი ლექსი, რომელიც მართლა შეიძლება სწორედ ის აღმოჩნდეს, შენ რომ უნდა დაგეწერაო.

ჰოდა, აგერ ის ლექსიც, რომელიც ამ საღამოს უნდა მივუტანო ძია ნოეს, რომელიც ჯერ არ დამიწერია, მაგრამ თავში მაქვს და იწერება თავისთვის. სულში იწერება, სტრიქონებს ფიქრით ვაგროვებ და აჰა, ისიც აკინძული მძივად.

კარზე ვუკაკუნებ ძია ნოეს.

შემოდიო, მიღიმის, თვალები უბრწყინავს. ხომ ყოველთვის უხაროდა ძია ნოეს რაღაცა, მაგრამ ასე გახარებული დღემდე ჯერაც არ მენახა.

– დღეს ჩემი შვილი ჩამოდის, – მეუბნება ხმამაღლა და მე კი არა, თავისთვის იღიმება. – მე დიდი ხანია ველოდი და... ნაშუაღამევს უნდა დავხვდე მატარებელს. შეგიძლია, წამომყვე?

„უნდა გავიზიარო მისი სიხარული, უნდა ვიცოდე მე, რომ ბედნიერია, უნდა ყველამ იცოდეს, რომ უხარია... რადგან ერთი ჩვეულებრივი ვინმეა, უბრალო მოკვდავი...“ – ვფიქრობ და მეც მიხარია ძია ნოე რომ ბედნიერია და უხარია.

სადგურზე ვართ.

დადის ძია ნოე წინ და უკან: ერთი სული აქვს, სანამ ჩამოდგებოდეს მატარებელი. უცებ მომიბრუნდება და თვალებში ჩამხედავს: – იცი, რა მაწუხებს? არ ვიცი, როგორია ჩემი ზაზა, და ვაითუ ვერ ვიცნოო?! ოცდაერთი წლისაა, უკანასკნელად შვიდი წლის იყო, რომ ვნახე... იქ დედამისთან იყო, აქედან შორს... მერე: მარტო დარჩა და ჯარში გაიწვიეს. მოიხადა სამხედრო

ვალდებულება და მოვდივარო. შემატყობინე, თუ მიმიღებო?

ამასობაში მატარებელიც ჩამოდგა.

მატარებელიც ჩამოდგა. მეშვიდე ვაგონი ზედ ჩვენთან დადგა. – ამ ვაგონშია, – თავისთვის ჩაიჩურჩულა ძია ნოემ და ავღელდი: მაინც როგორი იქნება ძია ნოეს შვილი, მაღალი თუ საუშალო სიმაღლისა. დაბალი ნუ იქნება და... და ალბათ: ძია ნოეზე მაღალი... ძია ნოეს უნდა ჩამოგავდეს.

– შენ ხარ, ზაზა? შენ უნდა იყო! – მიეჭრა ძია ნოე მაღალ ახალგაზრდას და ჩემოდანი ჩამოართვა. იგი ზუსტად ძია ნოეს სიმაღლე იყო, – ხომ ხარ შენ ზაზა? – გაუმეორებს ძია ნოე.

– ზაზა ადამაძე ვარ! – თქვა ახალგაზრდამ.

– მეც ზაზა ადამაძეს ველოდები! – უთხრა ძია ნოემ და თვალებში ჩახედა. – მე ნოე ვარ, ნოე ადამაძე!

ზაზამ ჩემკენ გამოიხედა.

– ჩემი მეზობელია, პოეტი, – იყო ძია ნოეს მოკლე პასუხი.

მამაცა და შვილიც მე მიყურებენ რატომღაც – მე ვიყავი მათი დაკვირვების საგანი.

ერთმანეთს უნდა შეჰყურებდნენ და მიყურებენ მე. არ ვიცი, რატომ?

როგორც იქნა, გავთავისუფლდი მათი მზერისგან. ახლა მე შევყურებ მამა-შვილს, მზერა მამისგან შვილზე გადამაქვს და შვილისგან – მამაზე.

ზაზა მორცხვობს, თვალი ვერ გაუსწორებია მამამისისთვის, ძია ნოე კი ამჩატებულიყოსო თითქოს არც ფარავს სიხარულს.

მივდივართ გასასვლელისკენ. ძია ნოე ფეხსაც არ აკარებს მიწას. შვილი ჩამოუვიდა და არ უხაროდეს?!

– შენც ჩვენთან იქნები... – მეუბნება ძია ნოე და იცის, რომ მასიამოვნებს ამით. რაღა მიხვედრა უნდოდა იმას, რომ დღეს, როგორც არასდროს, ისე ვჭირდებოდი. მეც მიხაროდა, რომ ასე ვეიმედებოდი ძია ნოეს...

გაშლილი სუფრა...

ნოე ადამაძე ლაპარაკობს, თვალებში სინათლე ჩადგომია. ამ თვალებით ეფერება თავის შინმობრუნებულ შვილს. მერე ჩემზე გადმოაქვს მზერა. მეც მათბობენ მისი ასინათლებული თვალები. ქვეყანასაც ნოეს თვალებით მინდა ვხედავდე.

ზაზა დამორცხვებული ჩანს. ვერ გაიგებ, უხარია თუ წყინს.

„ხომ უხარია ძია ნოეს, მაგრამ მაინც შებოჭილი მეჩვენება“. – ვფიქრობ და ერთბაშად მოვიწყენ.

წამოვდექი.

წადიო, თავი დამიქნია ძია ნოემ.

„მაგრამ ჩემი ლექსი რომ არ წაუკითხავს?!“ – გავივლე გუნებაში. ეს პირველად იყო, ლექსი რომ არ დამიტოვებია მისთვის და ამოისუნთქა შვებით იმანაც.

კი წამოვედი იქიდან, მაგრამ შინ აღარ შემივლია, დავრჩი ღია ცის ქვეშ.

მზე ჯერაც არ ამოსულიყო. მაგრამ ხომ ამოვიდოდა?!

სინათლის ქუჩაზე მაინც არ ბნელოდა. მზის მაგივრობა ვარსკვლავებს ეკისრათ.

ძია ნოე რა ხანია ელოდა ამ დღეს! ეღირსა კიდეც. ჰო, გაუმართლა ძია ნოესაც!

ყველა თავის ბედს მოელის: ზოგს უმართლებს, ზოგსაც... არაფერს ვიტყვი, მე რომელი ნათელმხილველი ვარ. ხომ შეიძლება ჩემი ფიქრითაც დაუშავდეს ვინმეს?!

ერთხელ სიცოცხლეში კაცს რომ არ გაუხარდეს, რაღა უნდა იყოს მისი სიცოცხლე?!

ჰოდა, იხაროს ძია ნოემ!

* * *

ვეღარ იცნობთ ნოე ადამაძეს:

მოწყენილს ვეღარ ნახავთ.

დამინახავს და თვალებში ჩამხედავს: – წერ? თუკი გეწერება, წერე... სული, სული უნდა აგიწრიალდეს და... ლექსი უხილავი თითებით უნდა იწერებოდეს...

ერთი სული მაქვს, სანამ ჩემს სენაკში გამოვიკეტებოდე და სუფთა ფურცელს განვუმარტოვდებოდე. ჰოდა, სანთლის წვეთებივით ვეღვენთები ფურცელს.

ნიავიც შემოუბერავს და შეარხევს სანთლის ალს.

ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი, თითქოს აღარც ვიყო დროში ჩამდნარი სანთელივით.

ჩემი სანთლის სტრიქონები...

მაგრამ უხილავი თითები?!

სული, სული ჰქონია სანთელსაც, აალებული სული...

გადმოდის იგი ჩემში და სანთლის ალივით მოვირწევ-მივირწევი.

ცრემლები წვეთ-წვეთად დაეკურცხლება აალებულ სულს და... სული ჩემი – ნათლის მბეჭველი!

ამაოებას მეღა შემოვრჩი, მე – სანთლის სული...

და სანთლის სახება, ახლაც რომ ზეობს, მეც ამამზევებს და გადამამზევებს.

ასეა მუდამ, თითქმის ყოველღამ და ამ ხნის მანძილზე სხვის თვალში არც არაფერი დამკლებია და არც არაფერი შემმატებია?! აბა, მე მკითხეთ?! ვიცლებოდი და ღვთის წყალობით კვლავ ვივსებოდი პირთამდე, რომ დავცლილიყავ ისევ და ავვსებულიყავ მერე: რათა შობილიყო ლექსი – ნათელი და სხვიმფინარი, სული გაეთბო და გაესხივოსნებია კაცისთვის.

და როცა შენთანაა ფიქრი თუნდაც მშფოთვარი, ცოცხლად იგულვებდეო თავს, ბრძენს უთქვამს ასე, მაგრამ ფიქრიც რომ გიწუხებს და გამძიმებს გულს?

ზოგჯერაც: ასე მგონია და მეჩვენებოდესო თითქოს: ვუახლოვდები რაღაც ზღვარს და გადავაბიჯო მინდა ამ ზღვარსაც, მაგრამ იქამდე, სანამ შემოაღწევდეს ჩემში მყოფადი, რომ წამიერ აწმყოდ მექცეს და წარსულს ჩაბარდეს იმ წამსვე.

წინ, წინ! გაჰკივის შეუცნობელში განფენილი სული ჩემი...

მახსოვს: სინათლის ქუჩიდან განსაწმენდელივით გამოვიარე ჩემი შუკა და:

ვერ გამიგია უჟმურაყოლილს ჩრდილის ქუჩაზე რა მინდოდა, სინათლის ქუჩაზე ხომ სულ მზეობს და თბილა გულზე მოსაფონებლად.

ჰოდა, ღვთის შეწევნით სინათლის ქუჩაზე ვდგავარ...

ძია ნოეც აქ არის.

ვერ მხედავს, მაგრამ გაიგონებს ჩემს ფეხის ხმას და მაღლა აიხედავს, მზეს გაუსწორებს თვალს. მერე, მთლიანად მიენდობა მზეს.

მეც მზეს შევყურებ და ისიც გადმოდის ჩემში, დამეუფლება და:

მზის ბორბალი ვარ და ავგორებულვარ აღმართზე. შეუცნობელი რამ ძალა დამატრიალებს თავს მე ბედის ბორბალს და:

დიდი მოწყენა!

და: ისევ ჩრდილის გზა?!

ნეტა რას დავეძებ ამ ჩრდილის გზაზე?

მომძალებოდა ის ჩემი განუშორებელი ფიქრი და ამიორთქლდება ჩრდილის გზაც თვალწინ!

სინათლის ქუჩა თავად სიცოცხლეა! მძლავრობს სიცოცხლე და მიხარია. ძია ნოე საერთოდ ამომვარდნია თავიდან.

მზე და სიცოცხლე ფეხშეწყობილები მიაბიჯებენ ვეება, არაადამიანური ნაბიჯებით. ამას ფიქრით გაჯერებული სიცოცხლე უნდა ერქვას!

მზეა – სიცოცხლის წყარო...

(სი)-ნათლის გზა...

იქნებ დავიგვიანე და სხვამ გაითავისა იგი ან ნაადრევად მომიწია მოსვლა და სხვისთვის განკუთვნილ გზას დავდგომივარ?! მას შემდეგაა, რომ აღარ შევჩერებულვარ და ვგონებ ვუახლოვდები კიდეც ჩემს დროებით გადასაყუდრებელს, მაგრამ ვერავის ვხედავ, ვერაფერს ვამჩნევ და შევიგრძნობ... ნუთუ სხვისი სიცოცხლით ვცხოვრობ?

ამხელა (ცაისხელა) შეცდომა?! ხომ დაეკარგა აზრი ყველაფერს და არც ჩემს წუხილს ექნება აწი რაიმე საფუძველი!

შინისკენ ჩრდილის გზით ვბრუნდები. ანაზდად საკუთარ ჩრდილს დავუწყებ ძებნას: – შენ, ძმაო, დიდი დარტყმული ვინმე უნდა იყო, გაგიგონია ჩრდილში საკუთარ ჩრდილს დაეძებდეს კაცი?! თავს როგორღაც განახევრებულად აღვიქვამ.

ერთი სინათლის გზაზეც გავიდე!

აგერ ჩემი შუკაც, გავივლი და სინათლის გზაც გამომიჩნდება! შუკა უკან დამრჩა და მზემ მომჭრა თვალი, მზე შუბისტარზე ჯერ არ შემდგარიყო და თანდათანობით კლებულობდა მისი ჩრდილიც, მაგრამ მავსებდა მისი არსებობა, თითქოს ძეგლი ყოფილიყო ჩემი.

კვლავინდებურად აცხუნებს მზე, ჭრელი კატა ჩემი მეზობლის სახურავზე გაწოლილი ნეტარებისგან კრუტუნებდა.

ჩემს წინ ჩრდილი მოკლდება და არად იქცევა. საოცარია და სიცხე იმდენად იმატებს, რომ სულაც გალღვება მზე და ლავად იქცევა...

სახლის წინ მოხუცი ვანიჩკა გამოსულა თავისი განუყრელი ხელჯოხით ხელში, მეორეთი ჯორკო უჭირავს და ფიქრობს, შესაფერისი ადგილი სად მოუნახოს ჯორკოს... მეგონა ხის ჩრდილქვეშ მოიკალათებდა, მაგრამ არა, ვანიჩკას ცივა და მზის გულზე, დახეთქილ მიწაზე დაუშვა თავისი ჯორკო და შვებით ამოისუნთქა: ვანიჩკა ძვლებს ითბობს. გათბა, როგორც იქნა და თავის ჯორკოიანად ახლომდებარე ხის ქვეშ, ჩრდილში გადაბარგდა.

მე კი საკუთარი ჩრდილი მიმიძღვის წინ და თვალებით ვეალერსები...

„რომ აღარ ვიქნები, სად წავა ჩემი ჩრდილი, თავს სად ამოყოფს. ნეტა, მე მეკარგება ჩრდილი, თუ ჩრდილს ეკარგები მე?“

მაგრამ მე ხომ სინათლის გზაზე მივლაპარაკობ ჩემთვის. ახლა ზურგში მცემს მზის სხივი. ლამის გამიხვრიტოს ტვინი! სულ ცოტაც და მიაღწევს მზე თავის მწვერვალს და... აღარ მექნება ჩრდილი. ეს რა უჟმური ფიქრები შემომჯარვია?!

მაგრამ ესეც ვინაა, ჩემს თითქმის მილეულ ჩრდილზე რომ შემდგარა?!

– თქვენ, თუ შეიძლება, ერთი მტკაველით მაინც რომ ჩამომეცალოთ გზიდან... – ვეუბნები იამნოს, ჩემს ჩრდილზე ფეხებს რომ აბაკუნებს.

– გვერდზე გავდგე? რატომ? სადაც მინდა, იქ ვიდგები, გინდა ფეხებს დავაბაკუნებ, გინდ ვიცეკვებ.

– გთხოვთ, გადადგეთ ჩემი გზიდან...

– თქვენი არ მესმის... შეგიძლიათ მხარი ამიქციოთ და... მართლა ვერ ვხვდები, რატომ უნდა გადავდგე?

– თქვენ ფიქრს მიშლით...

– არ მესმის!

– ვერც გაიგებთ! – გაბრაზებულმა მივახალე.

ახლა პირდაპირ თავზე დამაბიჯა და მტკეპნის და მტკეპნის. კარგა მაგრად რომ შემახურდამჯეჯგვა, მაშინღა გადადგა ჩემი გზიდან.

– შენ, ისე ჰგავს, ვეღარც მიცანი?! – ბოღმით ივსება ხმა. ყურადღებასაც აღარ მივაქცევ. მაგრამ იგი აღარ მომეშვება:

– შენს თავს ზედმეტ უფლებებს ხომ ამ აძლევ?! – მესმის, მაგრამ თავსაც არ ავიღებ მაღლა, ფიქრებს არ მინდა მოვწყდე. ამ ვიღაცამ უნდა წამართვას ფიქრი?!

– გივი, მართლა ვეღარ მცნობ? – ხელები გაშალა მზეთუნახავივით გოგომ და ჩემკენ წამოვიდა, სულ ჩემ ჩრდილზე ვიდოდა და მტკიოდა მთელი სხეული. – ვეღარ მიხსენებ?! თურმე შენს ჩრდილზე დავიარები... ახლავე გადავდგები, – თქვა და თითქოს რაღაც სიმაღლიდანო, ჩამოხტა ძირს და თვალებში ჩამხედა.

ვიცანი, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ის კი ვეღარ გავიხსენე, რა ერქვა. მიყურებს გაოგნებული, – დღესაც შენებურად აიხირე გუშინდელვით?

„ახირებული, ახირებული...“ – ვიმეორებ ჩემთვის და ვცდილობ გავიხსენო. იმ გოგოს სახელი, ვინც წამართვა ფიქრი და არარაობად მაქცია.

– გივი, აბა, კარგად შემომხედე! რა ხანია გელოდი ამ შენი სინათლის გზაზე... განა აქ არ დამითქვი შეხვედრის ადგილი? ჩვენ ხომ შენი სინათლის გზაზე ვდგავართ და....

– არაფერია, არაფერი... – უცებ გამინათდა გონება, – ლეილა! მაგრამ ლექციას რომ აცდენ?

– მიცანი როგორც იქნა? ძლივს... მადლობა ღმერთს! – ცრემლები შეიწმინდა, ოღონდ ვერ გავაცნობიერე, სიხარულისა თუ სინანულის, – მაინც სად იყავი, სად დაბორიალობდი? პარალელურ სამყაროში?

ჰოდა: ისევ დამრია ხელი ფიქრმა: „ნეტა ისე რამ ჩამაფიქრა, რომ ლეილაც კი ვეღარ ვიცანი?! ასე როგორ გავითიშე? მაგრამ პირველიც რომ არაა ეს? არ ვიცნობდი მაშინ. პარკის ბიჭებმა შუაში მომიქციეს და ცემა დამიპირეს, ამ უბანში აწი აღარ დაგინახოთო, გამომიტანეს განაჩენი! და წრეც შევიწროვდა ჩემს ირგვლივ. ლეილა გამომესარჩლა მაშინ, ისიც ამუბნელი, გამოარღვია წრე და ჩვენს შორის ჩადგა: – ბიჭებო, უნდა დაიკარგოთ აქედან! – ბრძანა და დოინჯი შემოიყარა, – არ გესმით?!

– ლეილა! შენ იცნობ ამ ბიჭს?! – უკან დაიხია ქერათმიანმა ბიჭმა, – ამ გოიმს მართლა იცნობ? ასანთიც არ ჰქონია ჯიბეში, დედიკოს ბიჭი უნდა იყოს!

– არც შენ გაქვს ბევრი რამე, ჩემო აჩი, მაგრამ ხომ არ გამიწკეპლიხარ?!

ქერათმიანმა ხმა ველარ ამოიღო და უკან დაიხია. დანარჩენებმაც მას მიბაძეს.

– ვინ ხარ ასეთი, რომ...? – ავხედ-დავხედე ჩემს მშველელს.

– ლეილა ვარ!

– გავიგონე, ლეილას გეძახდნენ. იმ ქერათმიანს წამოცდა.

– ჰო, იმას წამოცდა... იმან გაგაცნო ჩემი თავი... ჰო, იმან... – ხელი გამომიწოდა.

– გივი, – ხელი ჩამოვართვი.

– დღეს ამ სახელს იშვიათად გაიგონებს კაცი. მე მომწონს, კაი სახელია! იმ ქერათმიანს არჩილი ჰქვია, აჩის ვეძახით. დეიდაშვილია ჩემი... დღეიდან ხელს ვერავინ გახლებს!

– მერე შენ ვინ ხარ ისეთი, რომ განკარგულებებს ასე უპრაგონოდ იძლევი?

– ამუბნელი ვარ... და ბავშვობიდანვე მემორიჩლებიან!

– ხმა ვერავინ შემოგიბრუნა... კარგი, აჩი შენი დეიდაშვილია, მაგრამ სხვები? ალბათ უყვარხარ ყველას! – ნაძალადევად ვიცინი.

– შენ იცინი და შეიძლება მართლაც ასე იყოს...

– აჩის მხარზე სამი წერტილი ჰქონდა...

– ჩვენი უბნის ნიშანია სამი წერტილი. ხომ არ გეჩქარება სადმე?

– პარკში ხომ არ შევბრუნებულიყავით?

იმ გრძელ ძელსკამზე ჩამოვსხედით, რომლის შესაღებავად ჯერაც ვერ მოეცალათ.

– შენ რას აკეთებ საერთოდ? – მეკითხება ლეილა.

– რას და... არაფერს!

– არაფერს?! ნეტა მეც შემეძლოს არაფრის კეთება?! – ამოთქვა ლეილამ და ხელი ძველი ნაცნობივით დამკრა მხარზე, – მეც რომ შევძლებდე ამას...

– მაინც და მაინც ვერაფერი სახარბიელოა არაფრის კეთება, – ვამბობ და თვალს არ ვაშორებ ლეილას.

– არ მუშაობ?

კითხვას უპასუხოდ ვტოვებ და:

– არც სწავლობ? – მკითხავს. – უკვე ვისწავლე...

– ჰოდა, რას აკეთებ? – უკვე გაბრაზებული მეკითხება.

– ხომ გითხარი, არაფერს-მეთქი.

– ვერ დააკონკრეტებ?

– ლექსებს ვწერ... – ვთქვი და ჩემი ნათქვამისა შემრცხვა.

– ჩვენთან, უნივერსიტეტში კი, თითქმის ყველა წერს ჩემს გარდა. პოეტი ხარ?

– მე სხვაგანაც ვმუშაობ...

– მე შეიძლება არც მაინტერესებდეს სად მუშაობ, მაგრამ ადრე რომ გკითხე, რატომ არ მიპასუხე.

– არ მეგონა, თუ ასე გაგვიგრძელდებოდა ნაცნობობა... – თავს ასე ვიმართლებ და ისიც იცინის:

– ისე, როგორ გგონია, კარგ ლექსებს წერ ვითომ? კაი ლექსი იშვიათობაა!

– მე ყველაზე უკეთეს ლექსებს ვწერ.

– აჰა, შენისთანა ლექსებს თურმე ვერავინ წერს! გალაკტიონიც?

– ვერც გალაკტიონი!

– შენ, ტრაბახაც ყოფილხარ... – გადაიკისკისა ლეილამ, – აი, ეს მესმის!

– იმას ვამბობ, როგორც ვფიქრობ. გალაკტიონი გალაკტიონია, მე კიდევ – გივი!

– კარგი, ჩემო გივიკო, გალაკტიონს შევევშვათ, გალაკტიონი გალაკტიონია და ერთადერთი, მაგრამ შენც ერთადერთი რომ ხარ და განუმეორებელიც? მართლა გადასარევ ლექსებს წერ?

– ამ კითხვაზე შეგნებულად არ გაგცემ პასუხს.

– შეგეძლო უბრალოდ გეთქვა, ქართულად „აღარ გიპასუხებო“... მაგრამ რატომ, რა ბუზმა გიკბინა? – თვალი გამისწორა, – იცი ვინა ხარ შენ? დიდებული ეგზემპლარი, განუმეორებელი. და არავის გავხარ! ჯერ არ დაბეჭდილხარ, არა?

– ჯერ არა, მაგრამ რომ მინდოდეს...

– იქნებ...

– არავითარი იქნებ... ძია ნოეს გარდა, ჩემს ლექსებს ვერავინ წაიკითხავს. – მოვუჭერი და გამარჯვებულივით შემოვიყარე დოინჯი.

– ეს უკვე მართლა მესმის! არ მაინტერესებს, ვინ არის შენი ძია ნოე, მაგრამ მე რას მიწუნებ?

– ძია ნოე... – ვიცრუე, – არ არსებობს ასეთი ვინმე... ვწერ ლექსს და ვხევ მერე! სულ ესაა...

– და რატომ ხევ?

– მეშინია...

– ვერ გამოგივიდა ისეთი, როგორიც გინდოდა გამოგსვლოდა... – უკვე დამცინოდა. უკვე მაღიზიანებს მისი ტონი.

– მეშინია, გენიალური არ გამომივიდეს!

– ვერაფერს ვიტყვი.... საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, – თავისთვის ჩაიცინა ლეილამ და მაღლა აღაპყრო მზერა, მერე თითქოს მზიდანო ისე ჩამომხედა, – ჩემს კურსზე პოეტობენ, მაგრამ ჯერ არც ერთი არ მომწონებია.... ორს საკუთარი წიგნებიც აქვს გამოცემული, მაგრამ... შენ კი დამაინტერესე... მთელ იმათ შემოქმედებას, შეიძლება შენი ერთი სტრიქონი ჯობდეს!

– ის შენი პოეტები მაინტერესებს მე!

ყურში ჩამჩურჩულა ორი გვარი და კინაღამ მომეღრიცა ყბა, – წაკითხული მაქვს ორივე...

– და რას ფიქრობ, გივიკო?

– ორივე წიგნს დავწვავდი...

– აუტოლაფეს მოუწყობდი?! პოეტებად მართლა არ უქნია ღმერთს ისინი, მაგრამ შენ?

– მე პოეტი ვარ და...

– ბაირონივით?

– ისიც ტრაბახობდა... გენიოსს ტრაბახი შვენის.

– ჰმ... შენ ტრაბახობ იმიტომ, რომ გენიოსი ხარ, თუ გენიოსი რომ ხარ, იმიტომ ტრაბახობ?

– ამის დადგენა შენთვის მომინდვია!

– გენიოსი ხარ... ტრაბახში ვერავინ შეგედრება.

– ამჯერად არც ვტრაბახობ.. მე ლექსი მიყვარს, წერის პროცესი მიყვარს და ვხევ ამ ლექსებს, და მანამ მოვიქცევი ასე, სანამ მართლა არ გამომივა გენიალური ლექსი! ამის მერე ერთ სტრიქონსაც აღარ დავწერ...

– და ვინმე თუ მოგწონს ჩვენს ქალაქში? პოეტებზე გეკითხები.

– ამ პატარა ქალაქში ერთი პოეტიც კმარა... – წამიღებს ფიქრი და ერთ ძეგლთან მიმაგდებს. ვინ უნდა იყოსო, გავიფიქრებ და გაკვირვებული ავხედავ ძეგლს. მე ვიყავი და შვებით ამოვისუნთქე.

– და ის ერთი პოეტი, რაღა თქმა უნდა, შენ ხარ, ჩემო გივიკო, არა?

– არც შემცდარხარ! – ვთქვი და გულის კოვზთან ამეწვა. მერე ნერწყვიც გამიმწარდა და სამსალასავით გადავყლაპე, რომ გადმომეფურთხებინა, რას იფიქრებდნენ ჩემზე?

– და მაინც... ჩვენს ქალაქში არიან პოეტები... უფროსი თაობის პოეტებზე რას ფიქრობ?

– არაფერსაც არ ვფიქრობ...

– და რატომ?

– ამ საოცარ ქალაქში... – უცებ მომაწვა ნაღველი და მართლა შევწუხდი, – არც მეგულება ვინმე! – ახლა მე ავიკარი დამცინავი ნიღაბი სახეზე და თვალი გავუსწორე ლეილას: – შენ ხომ არ დამისახელებდი ასეთ ვინმეს ამ პროვინციულ ქალაქში?

– მაგრამ დადიხარ „ამ პროვინციულ ქალაქში“ და: – ხაზი გაუსვა „ამ პროვინციულ ქალაქს“, – მაგრამ გენიოსი რომ ხარ?!

– ჰოდა, დიდი მადლობა, ლეი... მაშინ მეორე პოეტი რა საჭიროა?

– ჰო, რა საჭიროა მეორე პოეტი, როცა ხარ შენ! ორიგინალობ თუ მართლა ორიგინალური ხარ, ჩემო გივიკო? შენში მართლაც არის რაღაც პოეტის!

– რაღაც კი არა, და: „წვეთი სისხლი არ არის, ჩემში არა პოეტის!“

– ბრავო, ჩემო გივიკო! – მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა ლეილამ: – შენთან მართლა ვერ მოიწყენ! – მითხრა და წასვლა დააპირა, – თუ მომენატრე, თვითონ მოგნახავ! – მითხრა და დამტოვა მარტო თვალი გავაყოლე და ეს იყო სულ, რაც მოვიმოქმედე.

* * *

სამი თვის შემდეგ „მიყვარხარო“, ვუთხარი და ამდენ ხანს რას ფიქრობდიო?! – თვალები აუცრემლიანდა და ამან შემაფიქრიანა, ხომ არ გამინაწყენდაო: – გეწყინა? მაშინ უკან წავიღებ სიტყვას, მინდოდა მეკოცნა შენთვის, მაგრამ კიდევ კაი, არ მიკოცნია, თორემ... კოცნას ნამდვილად ვერ დაგიბრუნებდი უკან, – კი ვთქვი და ამიფანცქალდა გული.

– სულელი... – ლეილა მიღიმის, მისი თვალები მეუბნებიან, რომ ბედნიერია და ჩემს თვალში ვიზრდები. მაგრამ მეშინია, ზედმეტი არ მომივიდეს და ფიქრს შევიწყვეტ.

სინათლის ქუჩაზე ვიდექით. გული ადგილზე აღარ გვიჩერდება და ერთმანეთს შევუწყობთ ფეხს.

წინ ჩვენ-ჩვენი ჩრდილი მიგვიძღვის. თითქოს საკუთარ ჩრდილებს მივდევთო. მე ვლაპარაკობ გაუთავებლად. – ენას ძვალი მართლა არ ჰქონია, – ვამბობ და ჩემი მიკვირს: – ამდენი არასოდეს მილაპარაკია, – თითქოს თავს ვიმართლებდე.

– შენ ის მითხარი, თემატურ გეგმაში თუ შეგიტანეს გამომცემლობაში? – ხმაში გაღიზიანებას ვამჩნევ ლეილას და მისი მიკვირს:

– არ ვიცი, რომელ თემატურ გეგმაზე მელაპარკები? – მეც გაკვირვებული ვრჩები.

– შენ, ისე ჰგავს, განცხადებაც არ შეგიტანია გამომცემლობაში. მწერალთა კავშირში თუ ყოფილხარ მაინც? არ ყოფილხარ... შენი თვალები მეუბნებიან და: შენ, ჩემო გივიკო, მთვარიდან ხომ არ ხარ ჩამოვარდნილი? არაფერი გცხია ამ ქვეყნის! მაკვირვებ მართლა! შენ თუ გგონია, რომ მოვლენ შენთან, დაგიჩოქებენ, ჩვენო გივიკო, შენი ლექსები, თუ წინააღმდეგი არ იქნები, რომ დაგიბეჭდოთო? არის ბათუმში ფსიქიატრი, მაია გენრიხოვნა და... ის თუ მოგივლის შენ! მაგრამ შენ რომ პროზაიკოსი იყო, უფრო დააინტერესებდი მაია გენრიხოვნას....

– შენ, რაო... ფსიქიატრებთან გაქვს ნაცნობობა და ხომ არ... – ლეილამ ისე შემხედა, რომ მართლა გამაცია, ენა ვეღარ დამიმორჩილებია.

– შენ რა, მსოფლიო სევდამ ხომ არ დაგრია ხელი... ენახვე მარია გენრიხოვნას, თუ გინდა მიგყვები... ალბათ შორს დაფრენენ შენი ფიქრები. საიდან მოვდივართ და საითკენ მიგვაქროლებს ზურგის ქარი... ეს ხომ ზეკაცების საფიქრალია?! – გაკვირვებული შემომყურებს ლეილა, – ასე რას ჩაუფიქრებიხარ?

– საშიში არაფერია... – ვამბობ მშვიდად, მეტისმეტადაც მშვიდად და ეს აღაშფოთებს ლეილას: – შენ ცოტას ხომ არ... – აქ ენას კბილი დააჭირა და თავი ჩაღუნა, – მეც მეტისმეტი მომდის... – თავი არ აუღია მაღლა.

– ჩემი დარდი ნუ გაქვს... დავწერ იმ გენიალურ ლექსს და ჩავდგები კალაპოტში... და შენ რომ მეგობრები გყავს... იმათ დავემგვანები... ხედავ, რა პერსპექტივა მეშლება წინ?!

– გენიალური ლექსი... ის გენიალური ლექსი, მაინცა და მაინც შენ რომ უნდა დაწერო, სხვას რომ წამოცდეს?! მიპასუხე ამაზე, ჩემო გივიკო... მაინც რას ამბობს შენს გამობურცულ შუბლს იქით დავანებული ფიქრი?

– შენზე ვფიქრობ... – ვიცრუე და პატარა ბიჭივით ჩავქინდრე თავი.

– მაგრამ რომ არ გაწითლებულხარ?! – აღარ დამინდო ლეილამ, თითქოს ჩემს ფიქრებს კითხულობდესო, – ტყუილიც არ შეგძლებია, – ჩაფიქრდა ლეილა.

„დღეს შეიძლება მართლა არავის ვგავდე და უცხო ფიქრებს ვუპყრივარ, მაგრამ ეს რომ შენი ფიქრია? შენ ჩემზე ფიქრობ, ლეი... ახლაც ის დღე გიდგას თვალწინ, პირველად რომ გადავეყარეთ ერთმანეთს...“ – თვალებში შევცქერი და უცებ შემაწყვეტინებს ფიქრს.

„ნუ ფიქრობ ჩემზე და... მეც აღარ ვიფიქრებ შენზე... საშინელებაა სხვის სულში ხელის ფათური“, – თვალები დახუჭა და მკითხა: – გივი, გაიგონე?

– ჰო, მესმის შენი... – ჩავილაპარაკე, – მიდიხარ?

– გავიაროთ ცოტა და თავი დავუქნიე.

თითქოს ჩვენ-ჩვენ ჩრდილს მივდევდეთო. ლეილა – თავის ჩრდილს, მე – ჩემსას. გავიარეთ შუკა და ჩრდილის გზაზე მივაბიჯებდით უკვე.

– აქაა, ალბათ სევდა რომ შეგიპყრობს და... – ამომხედა ლეილამ, – მგონი ამოვხსენი შენი საიდუმლოება! ჩრდილის გზაზე... თითქოს მიწუხდეს გული...

– მე გავაუქმებ ჩრდილის გზას... – გამოვცარი კბილებში და რატომო, გავიგონე. ლეილას ხმა. ლეილამ: არაფერიც არ მითქვამსო და ჟრჟოლამ ამიტანა, ამბურძგლა ტანზე.

– ჩრდილის გზაზე, მზე გვავიწყდება...

– ჰო, ასეა და ვინ გამოიგონა ეს ჩრდილის გზა?!

– გავგიჟდები, თუ არ ავორთქლდებით აქედან, – ამოთქვა ლეილამ და: – ღმერთია მოწყალეო, – სახე გაუნათდა და: ჩრდილის გზაზეც აღარ ვიყავით უკვე. მზე გვესალმებოდესო თითქოს და სინათლისკენ მიეჩქარებოდათ ჩვენს აჩრდილებსაც. აღარ გვამძიმებდა სევდა-ნაღველი, სულს აღარ გვიწუხებდა.

– გივი, გივი! – უცებ შედგება ლეილა, – რაღაც ხდებოდესო თითქოს, – ხელი ზღვისკენ გაიწვდინა და ქარიც ამოიჭრა ამ დროს, ზღვაურმა შემოგვიბერა, ღრუბელიც სულ დაბლა ეშვება.

– ლეი... ჩვენ ხომ სინათლის გზაზე ვიყავით და ჩრდილის გზაზე როგორღა აღმოვჩნდით? – ჩვენს თავს ჩამოწოლილ ღრუბელს ავად ავხედე.

– ზღვას, ზღვას გახედე, გივი, იქ ხდება რაღაც...

– მეც ავს მიგრძნობს გული, – ამას გულში ვამბობ და ფეხს ავუჩქარებ.

– ვიღაც იხრჩობა, გივი! – გამომძახებს ლეილა და ისიც აუჩქარებს ფეხს.

მეც მოვიჩრდილავ შუბლს და გავყურებ აღელვებულ ზღვას.

– გივი, გივი... – ხელი წინ გაიშვირა ლეილამ. იმის ხელს მივაყოლე მზერა და ქერათმიანი ქალი მომვარდა ამ დროს: – იქ ჩემს ახლობელ ადამიანს უჭირს... – მესმის მისი ათრთოლებული ხმა. ცრემლები ღვარად ჩამოსდის სახეზე. – შენ შეგიძლია გადაარჩინო იგი!

ახლა ლეილა მომქაჩავს მკლავზე, – გივი, გესმის, რას გევედრება? უშველე ამ ქალს, გთხოვ, გივი, გემუდარები!

ჰოდა, მივრბივარ გუნებაამღვრეული ზღვისკენ, ნაპირისკენ გამოსროლილ ტალღას მივეჭრები, ღრმად ჩავისუნთქავ და ჩავყვინთავ.

წინ, წყლის ზედაპირზე თვალი მოვკარი მოძრავ წერტილს და იგიც ნელ-ნელა, მაგრამ მაინც იზრდება ჩემს თვალწინ. „თუ არ ავჩქარდი, ველარ მივუსწრებ!“ – გამიელვა და სულიც გამისწრებს წინ. ჰოდა, მივყვები მეხ იმ ჩემს სულს.

და, აჰა, იქა ვარ, სადაც საჭიროა ჩემი ყოფნა და ლურჯი თვალები შემომყურებენ. წამით დავიბენი და იმ ლურჯი თვალების პატრონიც დაისაკუთრა წყლის სულმა.

„ამ კაცს ჩემი იმედი ჰქონდა, მე კი, უკვე მგონია, რომ ვერ გავუმართლე იმედი“.

იგი ლოდივით ეშვება ძირს. მას ნაპირზე ქერათმიანი ქალი ელოდება. „მაინც როგორ წყუროდა სიცოცხლე იმ ლურჯ თვალებს?!“ – ვფიქრობ ჩემს თავზე გაბრაზებული და სიმწრის ოფლი დამასკდება შუბლზე. ხელის გულით შევიწმინდე და გონებაც გამინათდა: „მე შემიძლია გადავარჩინო იმ ქერათმიანი ქალის საყვარელი ადამიანი! აი, მესმის კაცი, იგი უყვართ!“ – გავიფიქრე და ჩავყვინთე.

და ამ დროს ის კაცი: გამოსრიალდება ჩემკენ და თითებს მომიჭერს მკლავზე. მეხამუშა ტკივილი ხორცის და გამაძაგძაგა. უკან დავიხიე ჩემ და უნებურად. მაგრამ არ ვიცი, საიდან, როგორ და ძია ნოე არ გამომეცხადა?! „უკან დაიხევ და იმ შენს ლექსსაც ველარასოდეს დაწერ! აბა, შენ იცი, ჩემო გივი!“ – თვალს აღარ მაცილებს და შემითბება გაყინული გულიც. ის, ლურჯთვალებიანი კი უფრო და უფრო მიჭერს თითებს. გავიბრძოლე და გავთავისუფლდი. ახლა მე ჩავავლე მარცხენა ხელი თმებში, რაც ძალი და ღონე მქონდა, შევანჯღრიე და ისიც დაჰყვა ჩემს ნებას: „ამ კაცს ქერათმიანი ქალი ელოდება ნაპირზე და მე შევუსრულებ სურვილს ერთსაც და მეორესაც, ნაპირზე მეც მელოდება ლეილა...“ – აქ ჩემს თვალწინ გაიელვა ძია ნოეს სახემაც და სადღაც მიიკარგა:

„მე თვითონ მივაკითხავ ძია ნოეს და იმ ჩემ დაუწერელ ლექსს შემიფასებს და... ვაითუ ისევ დამიწუნა, ეს ის ლექსი არააო, რადგან ბედს დამორჩილდი და ბრძოლას აღარ აპირებდი, რაც თვითმკვლელობად ჩაგეთვლებოდა. ასე რომ თვითმკვლელიცა და მკვლელიც ერთდროულად გამოდიოდა. მერე ის ლექსიც დაუწერელი დაგრჩებოდა და ესეც შენ, მესამე მოუნანიებელი ცოდვა! იმ შენს ლექსს სხვაც ხომ ვერავინ დაწერს?! ღვთის სამსჯავროზეც თავს როგორ იმართლებ, გივი!“ – ეს სიტყვები ლეილას ეკუთვნოდა უკვე.

„ეს კაცი იცოცხლებს... უნდა იცოცხლოს, მას ხომ ნაპირზე ქერათმიანი ქალი ელოდება?! მე იმ ქალს იმედს ვერ გავუცრუებ?!“ – გონს

მოვდივარ და საოცარი ძალის მოზღვავებას ვიგრძნობ. მე სიცოცხლე მქვია და ჩემს სიახლოვეს სიკვდილს არაფერი ესაქმება! თითქოს ყოვლისშემძლე ვყოფილიყავიო, ისე შემოვხვიე ხელები თითქმის გრძნობადაკარგულ კაცს და ვიწყებთ წყლის ზედაპირისკენ აღმასვლას. აჰა, ამოვყვინთეთ და თვალი არ გაახილა?! ნუღარ გეშინიაო, თვალებით ვეუბნები და ნაპირისკენ წავუბიძგებ. წინააღმდეგობას აღარ მიწევს.

ნაპირამდე ათიოდე მეტრიღა გვრჩებოდა, რომ გაითიშა.

მერე მეც ვკარგავ გრძნობას და ნაპირზე მოვდივარ გონს. ლეილა საფეთქლებს მისრესს. წამოვდექი და კარგად ვარო, – ვეუბნები ლეილას, – ის როგორაა? – საკუთარი ხმა ძლივს გავიგონე და ისევ წამოვწექი.

– ის ცოცხალია, გიივი... იგი შენ გადაარჩინე. სასწრაფო იყო მოსული და მოასულიერეს. ის ქერათმიანი ქალი, ხომ ხედავ, ჩვენკენ მოდის!

ქალი მოვიდა და მუხლებზე დაეშვა. მკერდზე მომითათუნა ხელი, გულს თუ ეძებდა და მაკოცა გულის ადგილზე. მე კი ხმა ვეღარ ამომეღო.

– ო, ბოჟე... ო, ბოჟე... – პირჯვარი გადამსახა, – ეტო ტი სპას მოეგო საშუ, სპასიბო... სპასიბოგ... – წამოდგა და გაბრწყინებული თვალები ლეილას მიაპყრო, მაგრამ აღელვებულმა რომ ვერაფერი უთხრა, დაუჩოქა და მის შიშველ ფეხებს შორის სამჯერ აკოცა მიწას, მერე ახედა ლეილას და აზიდა ტანი, – ბოგ ვსიო ვიდით, ბლაგოდარიუ, ნა ვეკ ნე ზაბუდუ!

იდგა ლეილაც თვალებგაბრწყინებული, უღიმოდა ქერათმიანს და ვის ეკუთვნოდა ეს ჯადოსნური ღიმილი, თუ არა მე?! ლეილა მარტო მე მხედავდა და თვალი მოვხუჭე უნებლიეთ. მე მისი კერპი ვიყავი და სიამაყით ავივსე: „მე ხომ შეუძლებელი შევძელი, პოსეიდონს გამოვტაცე ქერათმიანი ქალის საყვარელი ადამიანი და სიცოცხლე ვაჩუქე! მე – კინაღამ ღმერთი! ამიტომ იყო, რომ ქერათმიანს სახელიც არ უკითხავს ჩემთვის; მე – შემოქმედი, მაგრამ ამ გახევებულ თავში მკრეხელური აზრები ხომ არ მომდის?!“ – მიწაზე მე ვბჭობდი და ღმერთი იცინოდა მაღლა... „ხომ არ მეშლება რამე?! ღმერთია თავად ჭეშმარიტება, მაგრამ მე როდის ჩავწვდებოდი ჭეშმარიტების არსს, როსღა ამეხილებოდა თვალი?!“

ამ ფიქრებში ვარ და „აღარ წავიდეთო?!“ – მესმის ლეილას შეწუხებული ხმა და ამოვიჟღლიმავ თვალებს.

– შენ როგორც იტყვიო, – ვუპასუხებ და ისევ სახელოზე მომწევს, – გიივი, იმათ მომავალ შაბათს ქორწილი აქვთ და ჩვენ გვეპატიჟებიან, შენ და მე, გიივი, პეტერბურგიდან ყოფილან, – მორჩა სათქმელს და მკლავში გამომდო ხელი. ჰოდა, აუჩქარებლად ამოვათავეთ ბამბუკების ხეივანი, ახალტანაყრილი ფიჭვნარიც გადმოვიარეთ და ქალაქში ამოვყავით თავი, პირდაპირ სინათლის ქუჩაზე.

წინ ჩვენ-ჩვენი ჩრდილი მიგვიძღვის, თითქოს გაგვირბოდნენო, მაგრამ ეს სულაც არ მაღელვებს, რადგან ვიცი დანამდვილებით, რომ ვერსადაც ვერ წამივა (აქ მე ლეილას მაგივრადაც ვეღარ ვიფიქრებდი)...

უნებლიედ ავიხედე მაღლა. მზე მარჯვნივ მოგვქცეოდა უკვე და სულში თუ მიპირებდა ჩაძვრომას. მაგრამ მე ხომ ისიც ვიცოდი დანამდვილებით, რომ იყო თავისთვის და თავისთავადაც ჩრდილის გზაც და ეს იყო, გულს რომ მიფორიაქებდა.

„ნეტა სულაც გადაიშლებოდეს, წაიშლებოდეს იგი, ფიქრშიაც რომ ამომეშლებოდეს... ერთხელ და სამუდამოდ გავთავისუფლებულიყავი მისი შემოწოლისაგან!“

სინათლის ქუჩაზე ვმშვიდდები და თავსაც თავისუფლად ვგრძნობ, თითქოს თავის უფალი სული ვიყო... მითბება ფიქრი და მიმიხარია!

ჰოდა, მეც ვფიქრობ: „ვიღაცის ბედისწერა შევცვალე, შევასწორე ერთხელ წერილი, ვითომ შევცოდე ამით? მაგრამ მთავარი ხომ ის არის, რას ფიქრობს თვითონ იმ ქერათმიანი ქალის ლურჯთვალებიანი კაცი?! ანდა რა მნიშვნელობა აქვს, რას ფიქრობს იგი“.

– გიივი... – თითქოს შორიდანო, გავიგონებ და თანდათან მიახლოვდება ლეილას ხმაც, – იცი, რა კარგი ხარ დღეს?! გადასარევი! ისე კარგი, არასოდეს რომ არ ყოფილხარ! თავს ნუ

იკატუნებ, თითქოს არ გიხაროდეს, შენ ადამიანი გადაარჩინე, გივიკო. ეს სიკეთეა, დიდი სიკეთე! სიკეთეზეც მეტი, თუ შეიძლება ასე ითქვას!

– ჰო, გადარჩა კაცი, ადამიანის შვილი, – ვთქვი. რადგან ხომ უნდა მეთქვა რაღაც? – იმ ქერათმიანი ქალისთვის გადარჩა, გადარჩა ყველასათვის, ოღონდ აღარ ვუწყი, წაღმა შევატრიალე ბედი იმ კაცის, თუ – უკუღმა...

– წაღმა, გიივი, წაღმა...

– მიგაცილებდი... თან დროსაც მოვკლავდი...

– ჰოდა, ჩვენც მოვკლათ დრო... – რაღაცნაირად, ალმაცერად ამომხედა და ხომ არ დამცინისო, გავიფიქრე და დავდექი.

– ხომ არ გადაიფიქრეო? – ისევ ისე, დამცინავად ამომყურებს.

– არა, რატომ გადავიფიქრებდი, რომ არ ვიცი?

– ჰოდა, გამოადგი ფეხი! – მიბრძანასავით და თავისთვის ჩაიცინა, – იმ ლექსსაც წამიკითხავდი...

– იმ ლექსს ჯერ ვერ წაიკითხავ.

– მე წავიკითხავ მაშინ, – მეტყვის და თვალს აღარ მომაცილებს.

– ის ლექსი არ იკითხება და არც არასდროს წაიკითხება!

– იქნებ არც არსებობს ის ლექსი? – ახლა გამომცდელად შემათვალიერა და: – რა ვერ უნდა გავიგო? – გაბრაზებულმა შემაქცია ზურგი, მაგრამ გულმა არ უქნა უსიტყვოდ გამცლოდა, ერთხელ და სამუდამოდ მივეტოვებინე.

– ასეა და რა ვქნა? – ვამბობ, თითქოს თავს ვიმართლებდი.

– ასეა და რა ქნა, არ იცი? – წამით დადუმდა ჩაფიქრებული და თვალები აემღვრა, უცებ ხელი ხელს შემოჰკრა და თვალები მოწკურა: – თუკი მართლა ასეა, მაშინ შენ – შენთვის, მე კიდევ – ჩემთვის... საწინააღმდეგო მე არაფერი მაქვს, შენთვის ხომ ყველაფერი სულერთია?! ასე რომ... პროშჩაი, გენიოსა! განმარტოვდები შენს გამოსულელებულ ფიქრებთან და კიდევ: დღეს ვალპურგის ღამე გაქვს გასავლელი! – წამოიძახა ლეილამ, ტუჩები მოკუმა და წავიდა...

თვალი გავაყოლე: უკვე მირბოდა და ასეც გამკენწლა: „მგონი შეურაცხყოფა მივაყენე... სულში ჩავიხედე და მივხვდი, მინდოდა, გამოვდევნებოდი და მომებოდიშებინა მის წინაშე, მაგრამ გულმა არაო, თავს დაიმდაბლებ და როგორც დაბალ ღობეს, ისე გადაგივლისო!“

ჰოდა: ასე შევრჩი მე ჩემსავ თავს...

და რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ვხვდები, რომ ჩემი პატივმოყვარეობით ყველაზე მეტად ისევ საკუთარ თავსა ვვნებ, ვცოდავ და ასეც დავასკვენი: მე ღირსიც არა ვარ იმისა, რომ ოდესმე მაინც გამომელაპარაკოს ლეილა. ამას რომ ვაცნობიერებ, შემაჟრჟოლებს და მთელი კვირა უჟმურაყოლილივით დავიარები ჩემი ჩრდილის გზაზე, მინდა გავიდე სინათლის გზაზე, მაგრამ არაფერი გამომდის: მგონია, სადაცაა სინათლის გზაზე გავალ და შვება მომეცემაო და პირიქით კი გამომდის: ჩრდილის გაზაზე აღმოვჩნდები ისევ. სინათლისკენ გზა გადაკეტილია ჩემთვის და მომეწურება გული... მეწვის სული.

„უნდა მივიდე მასთან... მოვუბოდშებ და... იქნებ: მომიტევოს...“ – გადავწყვიტე და სინათლის გზაზე არ ვდგავარ?! – ნეტა... რა ნეტა?! – თავს შევუტევ, – სახლში რომ ვიყო, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“ წავიკითხავდი და ვიცინებდი და ვიცინებდი გულზე წასვლამდის, მაგრამ შინ მისვლაც რომ აღარ მინდა?! მაშინ რაღა მინდა? – ამომითქვამს გული, მაგრამ ვიღაც უნდა მეძახდეს. მგონია ძია ნოეა.

– ძია ნოე? – მივუახლოვდი, – ნუთუ თქვენ?

– არ მომილოცავ, გივი?

მე არ ვიცოდი, რა უხაროდა ძია ნოეს, რომ მიმელოცა და მხრები ავიჩეჩე.

– ბაბუა ვარ, გივი, ბაბუა! პატარა გვყავს... პატარა ნოე! ნოე უმცროსი მოევლინა ქვეყანას... ჰო, მართლა, გაზეთში შენი ლექსი წავიკითხე და მომეწონა!

ძია ნოეს აზრი ჩემთვის ბევრს ნიშნავს, მაგრამ გაზეთში როგორ მოხვდა ჩემი ლექსი, რომ არ ვიცოდი?!

– გიკვირს, გივი? ბოლო ლექსი რომ მომეცი, მომეწონა და გაზეთში მივიტანე. იმათ კი აიღეს და დაბეჭდეს, მაგრამ ეს ლექსი მაინც არ არის ის ლექსი, შენ რომ უნდა დაწერო?! მაგრამ და-

წერ! შეუძლებელს შეძლებ მჯერა და იმ ლექსსაც ჩააკრავ თონეში! უმღერე მზეს! სინათლეს და... სიცოცხლეს! მაგრამ ლექსს სევდაც არ უნდა მიაკლო, სულის ტკივილი... და იცოდე: მზეს უხარია ადამიანის ბედნიერება და... გული უნდა შეგტკიოდეს ადამიანზე, ადამიანის სევდა შენც უნდა გასევდიანებდეს... გტკიოდეს უნდა მისი ტკივილი. ე, მაშინ გამოგივა ის შენი ლექსიც! აგერ მზეც! იგი სიცოცხლეს არიგებს, უანგაროდ გასცემს სინათლეს, სითბოს გივი! სანაცვლოდ არაფერს ითხოვს, გასცემს ასე უხვად და არ ენანება, იცლება სხვათა და სხვათა ბედნიერებისთვის და ისევ ივსება, რომ ისევ და ისევ გასცეს...

და გულმაც უნებლიეთ ამომითქვა:

„ფიქრის სული... გადმოდის ჩემში...
დავიარები მეც ფიქრის გზაზე...“

„ეს ხომ ჩემი ლექსის სტრიქონებია?!“ – სიხარულისგან სუნთქვა შემეკრა, უნებლიეთ ძია ნოესკენ გამექცა ფიქრიც და თვალიც: ძია ნოე ოცნებას წაეღო.

„დავიარები მე... ფიქრის სული...“ – ჩურჩულებს ძია ნოე თავდავიწყებით.

ჩავახველებ და ძია ნოეც მოეგება გონს. ცერად გამომხედავს და, – დღესაც მომიტანე ლექსი ხომ?

მოგიტანეო, ვეუბნები და ოთხად გაკეცილ ქაღალს მივაწოდებ.

– ჯერ არავის არ წაუკითხავს? – შემცბარივით მკითხავს. არაო, ვუპასუხებ და გავიაროთო, მეტყვის.

მივყვებით სინათლის ქუჩას.

– შენი ლეილასი რა ისმის? – მოულოდნელად მკითხავს, – აწყენინე და პატიება არ გითხოვია ჯერ?

– დღეს... დღეს ვაწყენინე, გული ვატკინე, – ვამბობ და მეთუთქება გული.

– და პატიება მართლა არ გითხოვია?! კაცი ხარ შენ... თხოვე, გაპატიოს... ის ყვავილია და მეტად მგრძნობიარე. შენ კი დასუსხე ყვავილი... სული უნდა შეუბერო, რომ... ნიავივით უნდა მოუბორიო, თორემ დაიწვება, გივი!

– რა ვქნა, რომ არ ვიცი... მე არც ის ვიცი, სად ცხოვრობს?

– ჩემი მეზობელია... შენი სინათლის ქუჩაზე ცხოვრობს. კუთხის სახლში.

– რვასართულიანში?

– მეორე სართულზე... ადვილი მისაგნებია...

– თქვენ, ძია ნოე... ჩვენგან რომ გადახვედით...

– მე ერთი სართულით მაღლა ვარ... ჩემ შვილთან და მის ოჯახთან, ჩემს რძალსაც ლეილა ჰქვია, შვლიშვილს – ნოე, უკვე გითხარი. უნდა იფიქრო გზაზე... მე ხელს აღარ შეგიშლი, – თქვა და: ძია ნოე ჩემთან აღარც იყო თითქოს. მარტო მივაბიჯებ სინათლის გზაზე, ჩაფიქრებული. მიმეჩქარება, მიეჩქარებათ ფიქრებს, მაგრამ ფეხს ითრევს გული, კარგად მოიფიქრეო.

– მე გელოდებიიი... გიიივი! – ლეილა თუ მეძახდა და მეც ავჩქარდი, უფლება არ მაქვს, ვალოდინო ლეილა და ფეხს ვითრევდე ამ დროს?

მზე თუ მაცილებს: – უკან არ მოიხედო! – მაფრთხილებს.

მე მისი იმედი მაქვს, არ მიმატოვებს. მადლობასაც წინ და წინ ვუხდი.

ამასობაში კუთხის სახლთან ვარ, ვითვლი – რვასართულიანია. თვალი ჩამოვაყოლე ძირს და მზერა მეორე სართულზე შემიჩერდა.

მეორე სართულზე გავჩნდი. აი შუა ბინაც და კარიც გაიღება.

ლეილაა.

– შემოდიო, – აღელვებული მეუბნება და მეც გულის ფანცქალით შევყვები.

მისაღებში შედგა და თვალი გამისწორა: გისმენო, მითხრა ისე ხმადაბლა, რომ ძლივს გავიგონე.

– მე გაწყენიე... არ მინდოდა, მაგრამ ასე ცუდად გამომივიდა... – ხმა გამბზარვოდა.

– ჰო, მაწყენიე... – თვალები მოხუჭა.

– მივალ და ვაკოცებ... – გამიელვა და შევცბი, ხომ არ გაუგონიაო? – ნეტა თვალს გაახელდეს და.... – ვინატრე, არ ვიცი, რატომ. ალბათ იმისი თვალები მეტყოდნენ, თუ რას ფიქრობდნენ: – ახლა ხომ არ ვაკოცო? – ვეკითხები გულს და ჯერ მიუახლოვდიო, ამომძახებს გული. მეც ვუახლოვდები ფეხის წვერებზე შემდგარი, გულის

ფანცქალით. გადავიწიე მისკენ და ვაკოცე ლოყაზე. ვაკოცე და სუნთქვა შემეკრა. ვფიქრობ: აი, ახლა გაახელს თვალს და სილას გამაწნისო, მაგრამ არ ახელს თვალს და არც ლოყა შემხურებია. – თვალს აღარ გაახელ? – ვამბობ ჩემთვის და ველი, როდის შემიხურდება ლოყა, მაგრამ იქამდე, თვალი უნდა გაახილოს, ჰოდა, როგორც იქნა, აახილა თვალები და უხაროდათ, უხაროდათ ამ თვალებს, მე კი ამძგერებოდა გული და სადაცაა ამომივარდებოდა საგულედან.

ვგრძნობ, რომ რაღაცის თქმას აპირებს და ამიფორიაქდება სული, ვაითუ: აქ მოსვლა როგორ გაბედეო, მითხრას და ამის გაგონებას მირჩევნია ფეხქვეშ მიწა ჩამისკდეს და შიგ მომიყოლოს.

– ნუთუ იმ ლექსს ახლაც არ წამიკითხავ? – მეკითხება ლეილა. პასუხის მოლოდინში თვალები გაფართოებია, თითქოს თვალების ფერიც შეცვლოდესო.

– კი, წაგიკითხავდი, მაგრამ რომ არ დამიწერია ჯერ? – წამომცდა თითქოს გაწბილებულსაც და გახარებულსაც ერთდროულად, – თუკი შევძელი და დავწერე მაინც... – აქ ენა დამება და ნერწყვიც დამადგა ყელზე. ახლა მე დავხუჭავ თვალებს და ველი, რას მეტყვის ლეილა. ის კი არაფერს ამბობს. მე აღარც ვიცი, შევძლებ თუ არა თვალის გახელას, ამის გამბედაობა ვინ მომცა? – არც კი ვიცი, დავწერ საერთოდ იმ ლექსს, თუ დაუწერელი დამრჩება, სადღაც... სულში დაძირული იქნებ აღარც ამომიტივტივდეს და... ამას ხომ სიკვდილი მირჩევნია?! – ამოვიძახე და სული შემეკრა: „საით, საითკენ გადავდგა ნაბიჯი, მარჯვნივ, მარცხნივ, წინ თუ უკან... ერთგან უფსკრულია, ამას გული მიგრძნობს. სიკვდილი კი სწორედ ახლა არ მინდა, ლეილას თვალწინ: ერთი წამით რომ იელვებდეს, ჩემთვის ცხადი გახდებოდა ყველაფერი. ერთი წამით, მხოლოდ ერთი წამით!“ – ამას ლოცვა თუ არა, აბა სხვა რაღა უნდა ერქვას?!

სინათლე მომწყურებია, აღარ მინდა სიბნელეში ყოფნა. სიცოცხლე მწყურია, „იქმენინ ნათელიო!“ – გულში ვამბობ და იელვებს კიდეც.

ზღაპრულ მაღლობზე ვიდექი, ჩემს ირგვლივ ყაყაჩოები გადასისხლისფერებულიყვნენ. ვუყურებ ამ წითლოვანებას და მიტკბება სული. უხარიათ ყაყაჩოებსაც. მე აქ ზედმეტი არ ვყოფილვარო, – გულია, სიხარულისგან რომ მიფანცქალებს.

უცებ: შეირხა ერთი ყაყაჩო და ადამიანის სახე მიიღო. ძია ნოე შევიცანი მასში.

– შენ დაწერ იმ ლექსს, – დაწერ! – მეუბნება და როცა დარწმუნდა, რომ დავიჯერე მისი, კვლავ დაიბრუნა ის თავისი პირვანდელი სახე, – შეგიძლია თვალი გაახილოო.

ვახელ თვალს. ჩემს წინ ერთადერთი ყაყაჩო ცახცახებს. ეს ლეილაა.

– რა იყო, გიივი? – მეკითხება ერთობ შეწუხებული.

– იმ ლექსს დავწერ! უსიკვდილოდ დავწერ! დავწერ და... პირველი შენ წაიკითხავ იმ ლექსს!

სიხარულისგან თვალები გაბრწყინებოდა ლეილას. ფეხის წვერებზე აიწია და ლოყაზე მაკოცა: – მე მჯერა შენი. შენ მართლა დაწერ იმ ლექსს! დაწერ, დაწერ! – აღგზნებული გაიძახოდა.

„ჯერა ჩემი და მინდა სულში ჩავიძვრინო, მაგრამ ჯერ მივეფერო და მივიკრა მკერდზე. მერე კი ჩემს სულშიც დაიდებს ბინას. ჩემი გახდება, ჩემი სულის ნაწილად იქცევა“.

მე სიხარულით სავსე ფიალა ვარ. მეშინია არ შემაქანონ და სიხარულად დავიღვარო.

– მერე და რატომ გეშინია, სიხარულად რომ დაიღვარო?!

არ ვიცი, რა ვუპასუხო და ქანდაკად ქცეულს ხმაც დამეკარგება.

– გიივი! – ლეილა მეძახის და მეც მოვფხიზლდები. შევიგრძენი ჩემში ჩამოზღვავებული ჯერარგანცდილი გრძნობა და თვალი გავუსწორე ლეილას.

მე მას ვუხაროდი!

მკერდზე მომეყრდნო. გადმოდის ჩემში მისი სულის სითბო და მილბება გული. ვთბები და შემიძლია გავათბო მთელი ქვეყანა. მე მზე ვარ, მზე! მაგრამ დროა, დავტოვო აქაურობა, მაგრამ არ უნდა ავცდე სინათლის გზას!

და ლეილა გამიღიმებს.

მეორედაც გავბედავ და ვაკოცებ ლოყაზე. თვალებში სინათლე ჩადგომოდა იმას.

ჩამობნელებულიყო სინათლის ქუჩაზეც და გული მომეწურა, მაგრამ ასე რა მადარდებდა ნეტა? მე ხომ თვითონ მზე ვარ. თვითონ სინათლე, ნათელი და შემიძლია ვანათო ციცინათლესავით, გავათბო ჩვენი ქუჩა და ლამპიონებად გადავბრწყინდე.

უნებლიეთ მივიხედე უკან. სახეათინათებული ლეილა ხელს მიქნევდა.

უკვე წინ ლეილას სახება მიმიძღვის წინ. აწი რა დამკარგავს?!

...ძია ნოე მარტო იყო.

სუფრასთან მიმიწვია.

იმერული ყველი, თორნის პური და დოქით საფერავი.

ძია ნოემ ორი ჭიქა შეავსო შავი ღვინით. სავსე ჭიქა მაღლა აწია; მიყურა დიდხანს და ხმის კანკალით მითხრა: – შენ, გივი, მშვიდობის საწამლავი უნდა შესვა! მაგრამ შეგწევს კი ძალა იმისა, რომ შესვა ეს სადღეგრძელო?!

– მშვიდობის საწამლავი?! ვიფიქრებ ამაზე....

– ფიქრის უფლება გეძლევა, გიივი... ფიქრის უფლება ნამდვილად გვაქვს ადამიანებს, – ჩაფიქრდა ძია ნოე, – მაგრამ ვის შეუძლია შესვას მშვიდობის საწამლავი? ყველას ვინ მისცა ამის უფლება?! აქ შეცდომა უნდა გამოირიცხოს! მაგრამ სხვისი ტკივილი რომ აგტკივდება და ტკივილისგან თავბრუ დაგეხვევა, ე, მაშინ მოგეცემა უფლება, დალიო მშვიდობის საწამლავი... ამაზე იფიქრე!

ვფიქრობო, ვამბობ.

– და მაშინ მოგივა ის ლექსი, ის ერთადერთი ლექსი – ჭეშმარიტება!

– მე გადავწყვიტე!

– და დალევ მშვიდობის საწამლავს? მაგრამ მხოლოდ იმიტომაც ნუ შესვამ, რომ ლექსი დაიწეროს, უნდა აგტკივდეს სხვისი ტკივილი, გაითავისო სხვისი ტკივილი...

– ძნელია გაუგო სხვას, გესმოდეს მისი! – აღმომხდა უნებურად.

– ჩაიხედო იმ სხვის სულში და შეგძრას იქ დატრიალებულმა ტრაგედიამ. შენ ამ ტრაგედიის ერთადერთი მთავარი მონაწილე ხდები. შეგიძლია კი იტანჯო ყველას მაგივრად? ამ ჭიქაში მშვიდობის საწამლავი ასხია, გივი! დალევ და დაგცვივდება პატივმოყვარეობის ჟანგი, თავმოყვარეობის ქერცლი და ეგოიზმი საერთოდ... აღარ იქნება შენში ანგარება...

– მე აქ ადამიანები მრჩებიან... მომენატრებიან, მომენატრება სინათლის გზა თუ ქუჩა?! – ვთქვი და გამითბა დამზრალი გული, – დაე, იცოცხლოს ადამიანმა! – წამოვიძახე და მშვიდობის საწამლავით სავსე ჭიქას წავეტანე.

– მაგრამ ის ლექსი? ლექსი, რომელიც შენ უნდა დაგეწერა?! – შემაჩერა ძია ნოემ.

– რა დროს ლექსია, როცა ადამიანია გადასარჩენი?! იქნებ...

– სწორედ ის ლექსი იწერება, ვგონებ! – ამოთქვამს ძია ნოე.

მე სულმოუთქმელად ვცლი ჭიქას.

და: უჩვეულო სითბო ჩამომეღვრება სისხლძარღვებში და ნელ-ნელა წამოვდგები.

ძია ნოე ადამაძემ ხელი დამკრა მხარზე და გამომყვა გარეთ.

– მიგაცილო, თუ თვითონ წახვალ? – მკითხა.

თავი გადავაქნიე და ძია ნოემაც მიმიშვა თავის ნებაზე, საკუთარ ფიქრთან, წინ სინათლის გზაზე შემდგარმა.

მივდივარ სახლში: სანთელი ავანთე და ჩავჯექი ჩემი ფიქრის სავარძელში. სანთლის ალს გავაყოლე მზერა და ახალ ფიქრსაც გადავეყარე.

ფიქრი...

იგი სულია ჩემი:

„შენი ვარო, ლეილამ, ამაზე უკეთესს რას ვინატრებდი?!“

აქ მეორე ფიქრიც მომიჭრის გზას: „მინდა გავქრე, რომ სხვა ფიქრებმა ველარ შემაწუხონ...“ კაი გუნება-განწყობილებაზე კი უნდა ვიყო.

* * *

ხდება თურმე ქვეყნად სასწაული!

უფერულდება ჩემთვის ირგვლივ ყოველი და საგანი, როგორც ასეთი, ქრება. იგი ქრება თავისთვის თავის თავში, ველარაფერს ვხედავ, აღარც სინათლეა, მაგრამ აღარც წყვდიადია.

იქნებ მეც აღარა ვარ!.. გავმქრალვარ მეც და აღარცა ვარ! სარკეში რომ ჩამეხედა და ჩემი მე მეხილა...

და: სარკე ამკანკალებია ხელში... თუ ჩემი ხელი უკანკალებს სარკეს?

სარკეში არაფერიც და არავინ! სუფთაა სარკე, დანაორთქლიც არ ემჩნევა. წმინდა სიცარიელე!

„თვალი მივლულე და მიყევი ფიქრსო!“ – მესმის, – პირველ ფიქრს მიყევიო! – გამიმეორდება.

აგერ: ის ფიქრი №1-იც: „გესმის, გაიშრიალა!“

გაიშრიალა, მაგრამ ქარი არ იყო.

„ეს ფიქრია და უკან მიჰყევიო!“ – მებრძანა ამჯერად.

ნირწამხდარი შევდექი: მინდოდა კიდევ ერთხელ დავრწმუნებულიყავი არსებულ ვითარებაში და სრულიად გამეაზრებინა, მაგრამ მიწყდა შრიალი და ჩამოწვა ბიბლიური მიჩუმათება. იმედგაცრუებულმა ჩავიქნიე ხელი: ველარც ჩავწვდი და ველარც ავწვდი ამ იდილიურ სიჩუმეს.

და: ვუბრუნდები ჩემს ყოველდღიურობას.

ყოველდღიურობა კი ისეთია, რომც გინდოდეს, მაინც ვერ მოიწყენ!

თვალი საათისკენ გამექცევა უნებლიეთ: ზუსტად თორმეტია ღამის და თუკი ინდომებ, ეშმაკიც გამოგიჩნდება...

რატომღაც „ნატვრის ხე“ ვიხილე, მაგრამ რომ არ ვიცი, ეს ხილვა იყო მხოლოდ, თუ სინამდვილე – „იმ ნატვრის ხესთან რომ მივიდოდე... რას ვინატრებდი ნეტა? ვითომ ამისრულებდა ნატვრას? მაგრამ ნატვრაც რომ აღარ მქონდა.

ნატვრის ხეს კაცი მატერიალურად თუ დაუკმაყოფილებია, როგორც ვიცი, ალბათ ბედნიერებაც თავისთავად მატერიალური უნდა იყოს და როცა ბედნიერია კაცი, მაშინაა იგი თავისუფალი. მაგრამ აქ მატერიალური სულიერში უნდა გადაორთქლდეს... – ვგრძნობ, მეღლება ფიქრი და წამით შევისვენებ“.

მაგრამ სხვა ფიქრი ჩამიხვევს:

ასეა ფიქრი... ფიქრი სულივითაა....

იქნებ: სულიც იგივე ფიქრია...

სული მიბორგავს და იიქით გადავყავარ, ყველაფრის იქით. ახლა ჩემშია აბორგებული ცოდვილიც და უცოდველიც. ცოდვებს შორის გაჩხერილი მომაკვდავი სულიც ტალღასავით გამოდის ჩემგან და იკარგება სადღაც უსასრულობაში.

და დამძირვია ფიქრი. არ ვიცი, წარსულში თუ მომავალში. არა მგონი აწმყოში ვიყო...

* * *

დედულეთში ვარ... (ბავშვობისდროინდელი ამბავი მახსენდება):

კალანდამდე თვეც აღარ რჩება.

ბაბუამ ალიონზე გამაღვიძა და ტყეში მივდივართ, გეგელაშიო, მითხრა. – ხარებს შენ გარეკავ, მაგრამ გახსოვდეს, ჭოქას სახრე არ დაკრა, ისედაც ესმის შენიო. დაკრავ სახრეს და გაგიბრაზდება, გაგიუცხოვდება და მთელი ძალით გაიწევს წინ. მაშინ იკითხე, რა დღე დაადგება მის მეწყვილეს, ჯღამას?! – ცოტა დაფიქრდა და: – უღელს აღარ დაიდგამს მერე: ხარი, როგორც ხარი, აღარ ივარგებს, წახდება!

უღელში ჯერ ჯღამა შეაბა და მერე – ჭოქა.

ჭოქა წითლად ბზინავს. ისე ლამაზია, თვალს ვერ მოაცილებ. იცის ეს და ეამაყება, კუნთები უთამაშებს, კაცი ვერ გაძღება მისი ყურებით. ძალას ასხივებდესო თითქოს, შუბლზე თეთრი, მრგვალი, უუთეთრესი ნიკორი აზის და უნებლიეთ გამიელვებს, რატომ ნიკორა არ უნდა ერქვასო? მაგრამ თვითონ სიტყვა „ნიკორა“ ერთგვარი სინაზის გამომხატველია, ამიტომაც არ დაურქმევიათ „ნიკორა“. ჭოქა კი მართლა შეეფერება ამ წმინდა სისხლის ხარს, აბობოქრება რომ ჩვევია და ძნელიც უნდა იყოს მერე მისი დაშოშმინება.

ჯღამაც წითლად ბზინავს, მაგრამ ჭოქასთან შედარებით კაი მოზვერივით გამოიყურება, ჭოქასთან სად მივა?! თუკი წამით დავივიწყებთ ჭოქას, ჯღამაც ზორბაა და კუნთმაგარი, მხოლოდ ჯღამას თუ შესწევს, უღელი გაუწიოს ჭოქას და ისიც ცოტა ხნით.

ჭოქასთანა ხარი ლესაში კი არა, მთელ რაიონშიც არ მოიძებნება.

ურემი შუკაში გამოვიყვანეთ და ჩემი ადგილი დავიკავე. ბაბუამ სახრე მომცა ხელში და ისევ შემახსენა, სახრე არ გადამეკრა ჭოქასთვის და აბა, შენ იციო! მე თავი დავუქნიე ბაბუას, ჰაერში ავიქნიე სახრე და იმის ზუზუნს მივაყურადე. ბაბუა გვერდით მომიჯდა და აბა, მიდი, ფახიო. ზოგჯერ გირისაც მეძახის, ულვაშებში ეღიმება, რომ მიყურებს. შუკა უკან გვრჩება, გადავდივართ რკინიგზის ლიანდგებზე და გეგელასკენ გატყორცნილ საურმე გზასაც დავადგებით.

იიქით ტყეა.

წინ მიიწევს ჭოქა და უჭირს ჯღამას.

შევედით ტყეში.

– ო, ხიი! – შუვუძახე ხარებს და ურემიც დადგა.

ბაბუამ ხარები გამოხსნა და საბალახოდ მიუშვა.

ურმიდან ცული გადმოიღო და ერთი აქნევით გაკვეთა ჰაერი. მერე თითით პირი მოუსინჯა ცულს, – ცელივით თიბავს... – ჩაიღიმებს და მომყევიო, მეტყვის. ერთ უზარმაზარ, ბებერ ხესთან შემაყენებს, – ამ ზამთარს მაინც ვერ გადაიტანს.... დიდი დღე აღარა აქვს...

– ბაბუა, არ დაგაჯარიმებენ მერე?

– საბჭოს თავმჯდომარემ დამრთო ამ ხის მოჭრის უფლება, ასე რომ, სინდისი სუფთა მაქვს... სანამ არ მომკვდარა, იქამდე მოვჭრი... საზამთროდაც მოვიმარაგებთ შეშას და მასალასაც ხელში ჩამაღლეტენ...

ამის თქმა და აშრიალდა ხე და მისი ჩურჩული გავიგონე: – მინდა სიცოცხლე, როგორც არასდროს. სულ აღარ ვებრალები ადამიანს... მტერია ჩემი ადამიანი... მაგრამ მე მაინც არ მძულს იგი... ადამიანი ხომ ღმერთის რჩეულია?!

ამის თქმა და ბაბუამაც ცული შემოჰკრა ხეს, რომელსაც ასე არ უნდოდა სიკვდილი...

შემოჰკრა მეორედ, მესამედ და პირველი ნაფოტი ჩემს ფეხთით დავარდა. ავიღე და მივეფერე. მერე ისე, რომ ბაბუას არ დაენახა, უბეში შევინახე.

ბაბუა კი ცულს გამეტებით სცემდა ხეს. შუბლზე ოფლის წვეთები დასკდომია. სველი ტანსაცმელი ტანზე მიკვრია.

აჰა, კიდევ ერთხელ დაჰკრა ხეს ცული და ზედ შეატოვა. წელში გასწორდა და ამოიხვნეშა, – ხედავ, ბაბუა, ბებერი კია, მაგრამ რაფერ მიძალიანდება?! არ უნდა სიკვდილი... სულს მოვითქვამ და... ამინუთში მოვრჩები საქმეს...

– და მოკვდება ხე? – ხმა ამიკანკალდა.

– ადამიანებიც კვდებიან, ბაბუა... ვკვდებით და... – დადუმდა და კაი ხნის შემდეგ ჩაფიქრებულმა განაგრძო: – იქნებ ხეც ტირის, მაგრამ ადამიანებს არ გვესმის მისი. ხესაც აქვს სული, ბაბუა, მაგრამ რა ვქნა, კიდე კაი, მინდია რომ არ ვარ, თორემ ხის გოდება რომ მომყურებოდა, შეიძლება შევშლილიყავი ჭკუაზე, აბა!

– ბაბუა, მინდია ვინაა?

– მინდია დიდი კაცი იყო, გრძნეული, ესმოდა ბალახის ენა, ელაპარკებოდა ხესაც და რაღას არ ამბობდნენ მასზე სოფელში, ტყის ჩურჩულიც ესმოდაო... მე კი ერთი უბირი გლეხი ვარ, ზოგჯერ ადამიანი რომ ადამიანია, იმისიც აღარ მესმის... მინდიასთან ვინ მივა?! ყველა თავის ენაზე ლაპარკობს, ბაბუა და ფიქრობს. ეს ხეც ფიქრობს... იფიქრებს სანამ მოკვდებოდეს, მერე აღარ ვიცი... ბაბუა და არ მგონია, მწყევლიდეს, ისე მართალი და კაი თუ გინდა, უნდა მწყევლიდეს... მაგრამ რომ დავეწყევლე, ცული გამიშუშდებოდა ხელში, – ოფლი შეიწმინდა შუბლზე და თავისი დაძარღვული ხელი აუსვ-დაუსვა ხეს ახორკლილ ტანზე და მომეჩვენა, თითქოს იღიმებოდესო ხე.

ბაბუამ ხის ნაჭრილობევიდან ამოიღო ცული და შეუბრალებლად დაჰკრა.

ისმის, ისმის ცულის ხმა და შეუბრალებელია ეს ხმა. მესმის ჩემი გულის ფეთქვაც, მაგრამ არ შემიძლია ტირილი, მეტირება და თავს არ ვაძლევ იმის უფლებას, რომ ვიტირო.

ბაბუას ორთქლი ასდის, მუხას კი სულ უფრო და უფრო უღრმავდება ჭრილობა და ამ დროს რაღაცა გაიტკაცუნებს ყრუდ, მაგრამ გულის გამგმირავად.

– ხე იყო, ბაბუა, ხერხემალი გადავუმტვრიე. ეტკინა და წამოიკვნესა! ხომ ვთქვი სული აქვსო... – მე კი არა, თავის თავს ეუბნებოდა დაზაფრული ბაბუა.

„ხერხემალი გადაუმტვრია ბაბუამ ხეს...“ – სული ამტირებოდა მისი საცოდაობით და რომ ჩავუკვირდი, მაინც არ მძულდა ბაბუა. ამან გამაკვირვა, მაგრამ კითხვის დასმის უფლება თავს ვეღარ მივეცი. ბაბუა კი ისევ ურტყამს თავის ცულს ხეს და ცულიც სულ უფრო და უფრო მიიწევს სიღრმეში: „აწი ჭრილობა აღარ შეუხორცდება ხეს“, – გავიფიქრე და ბაბუას შევხედე.

–კიდევ სამი დარტყმა, ბაბუა და... – ამოიკვნესასავით ბაბუამ: – ეს ერთი, ბაბუა! ეს მეორეც და აი, ეს მესამეც! – ამოთქვა ბაბუამ და ძლივს გასწორდა წელში, ცული გადაიტანა მარცხენა ხელში და მარჯვენათი მთელი ძალით მიაწვა ხეს.

– ტკაც, ტკაც, ტკაც... – გავიგონე და გული კინაღამ შემიწუხდა, – ძლივს არ მოვერიე?! – წამოიძახა ბაბუამ და ჩემკენ გადმოდგა ნაბიჯი. ხეც შექანდა, გადაიწია წინ, გადაქანდა და გადაიზნიქა.

თითებით ყურები დავიგმანე, ეს მარტო ტკაცანიც არ ყოფილა, ამოიგმინა ხემ და მართლა გადატყდა წელში. ერთხელაც ამოიშრიალა და პირქვე დაასკდა მიწას.

ჰო, ადამიანივით ამოიგმინა.

– ეს რა იყო, ბაბუა? – წამოვიყვირე.

– რა იყო და... რატომ მომკალი, დომენტიო? – ხემ მითხრა, ბაბუა! ადამიანის ენით მითხრა... – ამბობდა შეწუხებული ბაბუა და – მაინც: კაცი არაა ხე. ყველა ჭრის და მოვჭერი მეც! მაგრამ რა დამემართა, რომ აღარ ვიცი?! ასე არასდროს მიფიქრია, მართლა მინდია ხომ არ ვარ?! არც მინდა მინდია ვიყო! – გულსაკლავად ამოთქვა: – ახლა ტოტებსაც შევასხიპავ და მორებად დავჭრი: – თითქოს თავს იმართლებდესო.

საქმეს, როგორც ჩაიფიქრა, მზის ჩასვლამდე მორჩა და უღელში შეაბა ხარები.

პირველი, მეორე და მესამე მორი ადვილად გამოვიტანეთ გზაზე. მეოთხე მორს ჭოქა და ჯღამა ვეღარ მოერივნენ. ჯღამამ უღელი ვეღარ გაუწია ჭოქას, წაიჩოქა და ადგომა ვეღარ შეძლო, საწყალობელი თვალებით ამოჰყურებდა ბაბუას, ნუ მომკლავო. კაიო, ბაბუამ და წამოიზლაზნა ჯღამაც, დამნაშავესავით გახედა ჭოქას და თავი ჩაქინდრა.

– ბაბუა, – თვალებით ვევედრები ბაბუას, – აქ ჯღამა ვერაფერს გახდება-მეთქი...

– ჰო, კაი პატრონი არ წაახდენს თავის ხარს... – ჩაიდუდღუნა ბაბუამ, – აქ ჯღამა ვერაფერს გახდება... – დამეთანხმა, ცოტა ფიქრის შემდეგ ნიჟაი გაახსენდა, – თავის კამეჩს რომ მათხოვებდეს... – ჩაილაპარაკა და ნიჟა ბაბუასკენ გასწია, ისიც ჩვენგან სულ ახლოს, ხეს ჭრიდა. ნიჟაის კამეჩები ლაფში ჩაწოლილიყვნენ და იქვე ბიჯგზე შეყენებული ურემი სულაც არ ახსოვდათ, „შინ მიტანილი თუ ეგონათ“.

ნიჟა ბაბუა ბაბუაჩემის გვერდით მოაბიჯებდა და გრძელ ულვაშებს ამაყად და სიამოვნებითაც იგრეხდა. წინ კამეჩი მოუძღოდათ.

ნიჟამ თავისი კამეჩი შეაბა უღელში და ისიც. ჭოქას უბღვერდესო თითქოს, წინა ფეხებს გამეტებით სცემდა მიწას.

ჭოქამ დამცინავადაც ჩაიფრუტუნა თითქოს და კუნთები აუთამაშდა.

გაიზუზუნა ჰაერში სახრემ და ჭოქა და კამეჩიც დაიძაგრნენ.

– ეჰეი, ჭოქა ჩემო, არ მიღალატო! – შესძახა ბაბუაჩემმა და ჩურჩულს მოჰყვა თავისთვის.

– ეჰეი, ჩემო ბოღურია! – შეუძახა ნიჟა ბაბუამ თავის კამეჩს, – ჭოქამ არ დაგჯაბნოსო.

ჭოქამ და ბოღურიამ თავი წამოაწევინეს მორს და ეს იყო სულ, მორმა არც ერთი არ გაუშვა წინ. ისევ გაიზუზუნა ჰაერში სახრემ და ბოღურიამ წამოიჩოქა. ნიჟა ბაბუა ბოღურიას მიეჭრა და ქედზე მოუსვა ხელი, – ბოღურიას წამოდექიო, ეხვეწებოდა.

კამეჩიც გაჭირვებით წამოდგა და გაიწია წინ. ნიჟა ბაბუაც მიეშველა და კამეჩმაც გამართა მუხლი.

ჭოქაც დაიჭიმა სიმივით და მისი ამობურცული კუნთების თვლა დავიწყე უნებლიეთ. ძარღვები დასკდომაზე ჰქონდა ჭოქას.

ისევ წამოიჩოქა ბოღურიამ და წამოიჩოქა ჭოქამაც. სუნთქვა შემეკრა და მზერა ბაბუასკენ გამექცა. იდგა იგი სულ გადაფითრებული. უცებ გამოერკვა და დაუჩოქა ჭოქას, – ჭოქა, ჩემო! –

შეუძახა და ჭოქაც წამოვარდა ადგილიდან, დაელოდა ბოღურიას წამოდგომას. ბოღურიამ თავი აიღო მაღლა. ჭოქამ მთვარეს ახედა (სულ ახლახან ამოსულიყო). მთვარე სავსე იყო და კაშკაშა.

ბაბუამაც შეხედა მთვარეს და ჭოქამაც ამ დროს შებღავლა მთვარეს. მომეჩვენა, ნიკორი გამუქებოდა ჩვენს ჭოქას და გულმა რეჩხი მიყო.

ბაბუა კი ისევ ეჩურჩულებოდა თავის საამაყო ხარს.

და გაიწევენ ხარიც და კამეჩიც ერთდროულად და მორიც დამორჩილდება მათ ნებას.

მაგრამ ისევ შებღავლა ჭოქამ მთვარეს, მთვარემაც ჩამობღავლაო თითქოს იმ სიმაღლიდან და გული ამიძგერდა. ავს მიგრძნობდა გული.

ნიჟა ბაბუამ გამოხსნა თავისი ბოღურია უღლიდან და წინ გაიგდო.

ბაბუამ ისევ შეაბა უღელში ჯღამა და ურემზე აღმოვჩნდი თვალის დახამხამებაში. ბაბუა გვერდით მომიჯდა. დაღონებული ხმას ვერ იღებდა.

– ბაბუ, არაფერს იტყვი? – ვეკითხები დადუმებულს.

იმან მხარზე გადამხვია ხელი და დამწუხრებულის ხმით მითხრა:

– ვფიქრობ, ძარღვები დაასკდა ჩვენს ჭოქას... გავწირე ხარი! – ურემი შეაჩერა და ხარები გამოხსნა. ჭოქა მთვარეს არ აცილებდა თვალს, დაიზმუვლა და წინა ფეხებზე წაიჩოქა.

– ჭოქა, ჩემო ჭოქა! – ბაბუა ნიკორზე ეამბორა ჭოქას და ცრემლებიც შეიწმენდა, – დაგღუპე, ხომ? შენ კი არც მისაყვედურებ... ნიჟაის კამეჩიც ვერ იქნება კაი დღეში...

ამის თქმა და მარცხნივ გადაქანდა ჭოქა და გადაიქცა. თვალები მთვარისკენ მიქცეოდა.

ჩავხედე მთვარით ამოვსებულ თვალებში და ტანში დამზრზინა. ტიროდნენ მთვარეც და ჭოქაც. ჭოქამ მესამედაც შებღავლა მთვარეს და ამოიხრიალა საწყალობლად.

იქით ნიჟა ბაბუა მოთქვამდა.

– ნიჟაის ბოღურიასაც უჭირს... – აღმოხდა ბაბუას და გააკანკალა. მთვარისკენ იმზირებოდა და ვაიმეო, შეჰყვირა.

ბაბუას მივვარდი: – რა იყო, ბაბუა?

– ვარესი მეკუთვნის, კიდევ ერთხელ, მთვარეო, ერთხელ კიდევო და... – სიმწრისგან დაიგრიხა.

– იქით, იქით გაიწი, ბაბუა! არა, მთვარევ, აი ბაღანაი უცოდველია... გაიწი, ბაბუა, მთვარისეული შოლტი არ მოგხვდეს!

– რაო, ბაბუ? მთვარის შოლტიო?!

– მთვარემ გადამკრა თავისი შოლტი, ბაბუა. ზურგი ახლაც მეწვის! ასე იცის მთვარემ!

– რა იცის, ბაბუა, მთვარემ?

– იცის, ბაბუა... ჭოქა რომ შემომაკვდა, იმიტომაც გამშოლტა მთვარემ! უარესის ღირსი ვარ, ბაბუა, გავიმეტე ჩემი ჭოქა... ნიჟაის ცოდვაც ჩემს კისერზეა! აწი რაფერ გავუსწორო თვალი ჩემს ნიჟას?!

– ბაბუ, მანახე ერთი შენი ზურგი...

ბაბუამ ხალათი აიწია ზევით და მთვარეს მიუშვირა ზურგი. ნაშოლტარი კარგად ემჩნეოდა ზურგზე.

– ბაბუ... ჭოქა რაღაცას შესთხოვდა მთვარეს და...

– პატიებას თუ თხოვდა, მორს რომ ვერ მოერია...

– მაგრამ ხომ გამოათრიეს ის მორი ჭოქამ და ბოღურიამ? ნიჟა ბაბუას კამეჩსაც უჭირს ჭოქასავით?

– გული მიჩივა, ისიც ჭოქას დღეში იქნება... ბაბუა...

* * *

ნაშუაღამევს სიცხემ ამიწია და სამი დღე არ გამიხელია თვალი.

ჭოქა მესიზმრებოდა და მელანდებოდა, მთვარეს რომ მისჩერებოდა.

სიცხემ მხოლოდ მეოთხე დღეს დამიწია. ვახელ თვალს. ბებია შეშფოთებული დამყურებს.

– ბებუკა! – უცებ შეიცვალა და თვალებიც გამოუცოცხლდა, – ღმერთო მაღალო, დიდი მადლობა, რომ შეიწყნარე ჩემი ლოვცა-ვედრება, – პირჯვარი გადაიწერა სამჯერ, – დიდია, ღმერთო, სახელი შენი... – შუბლზე მაკოცა.

– ბაბუა?! – ვიკითხე პირდაშაშხულმა, – წყალი, ბებია!

ბებიამ წყალი მომაწოდა, – დუქანზეა ბაბუაშენი.

– ჭოქა მართლა აღარაა?

– აღარაა... ნიჟაის ბოღურიაც აღარაა... ჭოქას ძვლები შაქრის ვაშლის ძირში ჩავფალით. წიქარას ზღაპარში რომაა, ისე...

ერთი სული მაქვს ბაბუას მოსვლამდე.

შებინდებისხანს გამოჩნდა: – კარგათ ხომ ხარ, ბაბუა. გეყო ამდენი წოლა. შაქრის ვაშლის ძირში ჩავმარხე ჩვენი ჭოქას ძვლები... დაიბარა ჭოქამ, შენმა გირიმ, სამჯერ დამკრას ფეხიო...

მივედი შაქრის ვაშლთან. სამჯერ არ დამიკრავს ფეხი, მაგრამ სამჯერ კი შევდექი ზედ.

– აწი ნურაფრის გედარდება, ჭოქამ თავისი ძალა შენ გადმოგცაო, – მითხრა ბაბუამ და თვალები გაუბრწყინდა, – და მერე ასეც დამაბარა: დღეიდან შვიდ დღეს იწვიმებსო. მეშვიდე დღეს ნაღველი გადაგევლება, ჩემო დომენტიო და რომ გადაიცრიალებს მერვე დღეს... იქნებ არც გადამიაროს ნაღველამო, წავიკითხე ბაბუას ფიქრი და ცას ავხედე. მე არა მგონია, მაგრამ ბაბუას კი ჩამოსცინა ცამ და გული მოგვეცა ორივეს, მეც და ბაბუას.

მართლა გაწვიმდა იმ დღეს. საათს დავხედე, ახალი დღის დაწყებამდე თხუთმეტი წუთი რჩებოდა, რომ წამოუშინა წვიმამ. მეგონა, ცა ჩამოიქცევა სადაცაოო.

– ისე იწყება, ბაბუა, ყველაფერი, როგორც მითხრეს... აი წვიმა შვიდ დღეს გაგრძელდება და წაიღებს ცას და ქვეყანას და... მეც გადამიყოლებს თან... – ნაღვლიანი მეჩვენა ბაბუას ხმა და გული შემეკუმშა. სანუგეშოც ვერაფერი ვუთხარი.

– არ გინდა, ბაბუა... გეუბნები და წასულია ჩემი საქმე... ხომ გახსოვს, მთვარემ თავისი შოლტი რომ გადამიჭირა ზურგზე? ახალაც არ მომშუშებია...

– ჩამოიქეცი ბარემ... – წუწუნებდა ბებიაჩემი.

– ეს პირველი დღეც დაიწყო... იმ შვიდიდან, – ბაბუამ ნეკა თითი მოღუნა...

– დომენტი, ასე რამ შეგაცია, კაძახო, არაყს რომ გადაკრავდე, გეშველოს იქნებაო.

– მეიტანე, თებრონე, მაციებს რაცხა.

ბებიამ წელში გამოყვანილ ჭიქაში დაუსხა არაყი და ბაბუამაც სულმოუთქმელად დაცალა. შეხურდა და კანკალმაც გაუარა.

მეორე ჭიქა თავისთვის დაისხა ბებიამ. გადაჰკრა და იელვა. ელვას ქუხილიც მოჰყვა და მეხიც გავარდა სადღაც, სულ ახლო ჩვენი ქუხნიდან. კაი ხანს მიბჟუოდა ყურებში. ისევ იელვა და იქუხა. ასე უცაბედად მოვარდნილმა სინათლემ თვალი მომჭრა და ჩამობნელდა ჩემს ირგვლივ. მეგონა აღარასოდეს გამითენდებოდა და სინათლე რომ დამიბრუნდა თვალში, ჩემდა უნებურად გადავიწერე პირჯვარი.

– რა მოხდაო, – იკითხა ბებიამ და ბაბუას ნაღვლიანმა ხმამ უპასუხა:

– მეხი ჩვენს ბაღჩაში ჩამოვარდა, თებრონე! – ადგილიდან წამოიჭრა ბაბუა და ქუხნიდან გავარდა ამ თავსხმაში, – ნეტა რომელი მხარი ჩამომასხიპა ამ სამგლემო! – კი გავიგონე და მეც წამოვიწიე ადგილიდან. ბებიამ მხარზე დამადო ხელი და იყუჩეო, ჩამჩურჩულა ყურში, მაგრამ ვეღარ დამაკავა. ბაბუას დავედევნე.

მეხს ლიმონის ვაშლი მოეკლა, შუაზე გაპობილი მწუხარედ ბოლავდა.

– ვაიმე გული! – დაიკვნესა ბაბუამ; ლიმონის ვაშლის სიკვდილმა შესძრა ბაბუაჩემი. ტიროდა ამხელა კაცი!

წვიმდა და წვიმდა კოკისპირულად და გადაუღებლად. წვიმა იყო დღეს დიდი მეხანძრე, თუმცა ვეღარ აუდიოდა თავის საქმეს. იმ დღეს სოფელში რამდენიმე ხეს მოუსწრაფა სიცოცხლე სტიქიამ.

იდგა ბაბუაჩემი ამ თავსხმაში თავშიშველი და ხმამაღლა მოთქვამდა.

– დიდი დღე მეც აღარ დამრჩენია, ჩემო ლიმონის ვაშლო, ნეტა ვიცოდე, რას გრძნობდი, როცა კვდებოდი? – ეფერებოდა უსიცოცხლო ხის ტანს და ტანში ჟრუანტელი უვლიდა. – შენც ხომ სულიერი ხარ, ლიმონის ხეო... შენ მართლა ადამიანივით, ადამიანზე უკეთაც იცხოვრე. განა არ ჯობდა შენი სიცოცხლე ნიკიფორე მეწვისქილის მკვლელის სიცოცხლეს?! ანდა ჩემი სიცოცხლეც რაღაა?!

* * *

პასუხი რომ დაუგვიანა ლიმონის ხემ, ბაბუამაც საბოლოოდ დაასკვნა: მართლა მომკვდარა ჩემი ლიმონის ხეო და ხმაჩახრინწულმა ამოთქვა: – რა საშინელი ურჩხულია თურმე სიკვდილი, ასე მაინც რაფერ დაგასახიჩრა, ხეო, სიკვდილმა? სიკვდილმა კი არა და... ეშმაკის ხელი ურევია შენს სიკვდილში, ჩემო ლიმონის ვაშლო... – ამოიოხრა ბაბუამ, – სიკვდილი სულ სხვა რამეა... უცნობი... მოხეტიალე მამაძაღლი, – აღარ მოეწონა თავისი ნათქვამი და დაუჩოქა ლიმონის ვაშლს, ხმას რომ ვეღარ იღებდა. მუხლებით მიწიდან ამოჭრილ ხორკლიან ფესვებზე იდგა და ტკივილსაც ვეღარ გრძნობდა უკვე. ეს მკლავის სიმსხო ფესვიც უსიცოცხლო ეჩვენა და შიშმა აიტანა. მძიმედ სუნთქავდა ბაბუა, თითქოს ჰაერი აკლდა და ფესვიდან იღებდესო.

სიცივეს იწოვდა და იყინებოდა, მაგრამ უთბებოდა გული.

სასწაული ხდებოდა ჩემს თვალწინ!

– მე მინდა სიცოცხლე! – აღმოხდა ბაბუას, – ნუ მომკლავ, ღმერთო...

იელვა, თვალი მოჭრა ბაბუას და ოდასახლისკენ წამობარბაცდა.

– გამოშტერებულხარ, კაძახო, თუ რა არის ეს, ნეტა რას ევედრებოდი მამაზეციერს. მაინც რა გაკლია, ბერიკაცო? – ბებიაჩემიც შეეწუხებინა ბაბუაჩემის დანაღვლიანებულ სახეს, – არ გაცივდე, შე სასიკტილე და აღარა! მოუკტი შენს თებროლას და... აღარა!

– რას შევთხოვდი და სიცოცხლეს, ჩემო თებროლა! – გულში ჩაეწურა ეს სიტყვები ბაბუას და თვალებით მიეფერა თავის თებროლას.

– დომენტი ჩემო... ისე იქცევი, თითქოს მეთხოვებოდე, სიკტილს ხომ არ აპირებ, კაძახო? მოგიკტეს შენი თებროლა!

ბაბუამ ცრემლები შეიწმინდა მალულად და თავი გვერდზე მიაბრუნა.

– გცივა, დომენტი, – თუნგი გადმოიღო ბუხრიდან, – ცხელი ჩაი მოგიხდებაო, – უთხრა და მობუზული ბაბუაჩემი დაკვირვებით შეათვალიერა, – ასე რომ ითოშებოდი, დომენტი, სიცოცხლეზე არ ფიქრობდი მაშინ? ასე რამ დაგაგლახაკა, ბერიკაცო?

– სიცოცხლეზე რომ ვფიქრობდი, თებროლე ჩემო, იმიტომაც ვარ ასთე... მეხმა მოგვიკლა ლიმონის ვაშლი და...

– დომენტი, მაი ლიმონის ვაშლი წროულ თუ არა, გაისად მაინც გახმებოდა... მაინც კაცივით კტება, მარა... შენ რომ გეგელაიდან პანტა ვაშლის ნერგი ამეიტანე... იმაზე შეგიძლია დაამყნო და... ხუთ წელიწადში ნაყოფს გამეიღებს... ჩვენ ვერ მევესწრებით? მერე: რაი მერე? აგერ შენი ფახი ხომ მეესწრება?! დალიე ცხელი ჩაი, მერე ფეხებსაც დაგითბილავ... ჩაწვები თბილ ლოგინში და ხვალ დილას საღ-სალამათი წამოდგები!...

– ჰო, გისმინოს უფალმა, ჩემო თებროლა! აბა, არ წამოვდგები?! – ამოიხვნეშა ბაბუამ და თვალები მოხუჭა.

* * *

მეხუთე დღეა წვიმს და გადაღებას აღარ აპირებს.

– ჩამეიქეცი ბარემ! – ცას აჰყურებს ბებიაჩემი, – არ უნდა გადაიცრიალო?

ეს მეხუთე დღეც ჩაათავა წვიმამ და გათენდა მეექვსე დღე. ისევ წვიმს. დღეს აღარ წამომდგარა ბაბუა. შეღამებისას ცუდად გახდა. ხურვება დაეწყო. ლოგინიდან წამოვარდა და საცვლებისამარა გაიჭრა გარეთ. ბებია დაედევნა და ძლივს მოაბრუნა უკან.

ბაბუას მალე ჩაეძინა. ბებიამ პირჯვარი გადაწერა მძინარეს და მე მომიბრუნდა: – ავადაა ბაბუაშენი... წვიმს აი დასაქცევი, თვარა ჩამოვიყვანდი ექიმს ლანჩხუთიდან, მამაშენს მაინც რა ღმერთი გუუწყრა, ამდენხანს რომ არ გამოჩენილა?!

წყვდიადი ღამე თვალსაც არ ახამხამებდა. ისევ წვიმდა კოკისპირულად.

ასე დადგება მეშვიდე დღეც.

ბაბუამ თვალი გაახილა.

– კაძახო, ძლივს არ გამეიხედე?! – ჯორკოდან წამოდგა ბებია, – აწი ქე უნდა წამოდგე!

– ვკდები, თებროლე, მაგრამ არ მეშინია სიკტილის, დღეს ნაღველამ უნდა გადამიაროს და ხვალე მზის ამოსვლას ვეღარ შევხვდები.

– კაძახო, რას გავს ეს, ამხელა კაცს ყურები რომ ჩამოგიყრია... მაი გეკადრება შენ, აი ბაღანაი რას იფიქრებს? – გაწყრა ბებია.

– ნუღარ მიწყრები, თებროლა... ვკვდები და... თბილი სიტყვა მაინც გამაყოლე... შენი სახე მიმყვება და... კარგად დამამახსოვრე თავი... კაი ქალი იყავი თებროლე... ამ მხრივ გამიმართლა მე, დომენტიას...

– დომენტი, მასეთები არ იყოს, ას წელიწადს ერთი დღეიც არ დეიკლო, თვარა...

– თებროლე ჩემო... მოუარე ამ ბაღანას, ოქროს გული აქვს და... იმდენი გადეიტანა ჩვენთან ერთად, რომ... ჭოქაი რომ არ მომკტარიყო, ამისთვის მეჩუქებია უნდა... გირის ჭოქაი იქნებოდა... – თვალები უბრწყინავდა ბაბუას, მაგრამ სევდასაც დაებუდებინა ამ აწყლიანებულ თვალებში.

მეშვიდე დღე მიწურულიც არ იყო და შეტევა დაეწყო ბაბუას (ალბათ ეს უნდა ყოფილიყო „ნაღველაის გადარება“).

დილა-უთენია გამომეღვიძა. ფანჯარას მივვარდი. მზეს თავი ამოეყო დიდი გორიდან, სადაცაა უნდა ამოცურებულიყო, რომ მიიცვალა ბაბუა.

ბებიას შეკივლებამ მომაფხიზლა. მიიბარა ბაბუაჩემის სული უფალმა და ამდენი საზრუნავისგანაც გაათავისუფლა.

ბაბუაჩემი ჯვარცმული კაცი არ ყოფილა, მაგრამ მაინც წამწარდა სიცოცხლე, მაგრამ უცნაურია, მაინც რა იხილა ისეთი სიკვდილის წინ, ასე ღიმილით რომ შეხვდა თავის აღსასრულის დღეს? ო, როგორ შვენოდა თეთრი, ქათქათა წვერი...

* * *

სულის მომყინავი ტკბილ-მწარე მოგონება...

ვიგონებ წარსულს და ვთავისუფლდები მძიმე ტვირთისგან...

წამოვდგები ჩემი ფიქრის სავარძლიდან ფიქრებისგან დაცლილი და ლეილას სახებაც ამოიზრდება ჩემს თვალწინ. ტალღაზე იდგა და ქარი უწეწავდა ოქროსფერ თმებს.

ამას წინათ ზღვის სანაპიროზე გამჭვირვალე კენჭებს დავეძებდი (რატომღაც, არ ვიცი, რატომ, გამჭვირვალე ქვებს ვაგროვებ და ზღვასვე ვუბრუნებ უკან). დღეს კი ერთ ასეთ გამჭვირვალე ქვას ვეღარ შეველიე (კენჭი არ ეთქმოდა). ცისფერი დაჰკრავდა და ვერ გადავაგდე. ჩემთვის დავიტოვე.

გახურებულ სილაში ჩავჯექით მე და ლეილა და ამ გამჭვირვალე ქვას დავუწყეთ თვალიერება.

– თვალი! ცისფერი თვალი! – წამოიძახა ლეილამ, – ნატვრისთვალი, გიივი! კარგად თუ დააკვირდი, ლურჯია ცის თვალი... კიდევ კაი, რომ არ გადააგდე! გქონდეს, შეინახე. იქნებ მართლა ნატვრისთვალია და... – გამომცდელად შემხედა, – მართლა ნატვრისთვალი რომ იყოს, რას ინატრებდი?

ჰოდა დავხედე ჩემს ნატვრისთვალს და: – რას ვინატრებდი? – წამით ჩავფიქრდი და აღელვებისგან სუნთქვა შემეკრა, – რას და... მართლა ნატვრისთვალი უნდა იყოს, რომ ვინატრო და შემისრულოს!

– ჰოდა, ნატვრისთვალია და ინატრე! – კი მითხრა ლეილამ და ფიქრმა წაიღო, – რას, რას ინატრებდი, გიივი?

მუჭი ჩემ და უნებურად შევკარი და ველი რაღაცას. ველი და შემითბა ხელში ნატვრისთვალი. ვშლი ხელს და: სილურჯე მომატებოდა და მოლურჯო კვამლში გახვეულიყო.

– გიივი, მართლა ნატვრისთვალია და ორივემ ვინატროთ! – თვალები მოხუჭა ლეილამ და მეც ვხუჭავ თვალებს.

მერე: თვალებს ერთდროულად ვახელთ?

– ინატრე? – მეკითხება ლეილა თითქოს და დარცხვენილი.

– ვინატრე...

– რა, რა ინატრე? – ამოთქვა ლეილამ და ისევ მოხუჭა თვალები.

– ლეილას ვუყვარდეო...

– მართლა?! – თვალები არც აუხელია, ისე ჩაიჩურჩულა ტუჩებგამობუტულმა, – არ გადაგდო.

– თან მექნება, გულთან ახლოს... – მაგრამ მე სულ სხვა კითხვის დასმა მინდოდა ლეილა-

სთვის, მაგრამ ვერც გავუბედე და კითხვას თავიც ვეღარ მოვაბი.

მიმიხვდა და თავისთვის ჩაიცინა: – ხვალ სინათლის ქუჩაზე რომ შემოვდგებით, შეგიძლია მაშინ მკითხო, გიივი.... – გამშორდა დამორცხვებული.

მიეფარა თვალს და კინაღამ მომეკვეთა მუხლები. ძლივს მივაღწიე სახლამდე. სარკეში ჩავიხედე. თითქოს არაფერი მჭირდა, მაგრამ სული ამწრიალებოდა.

სულში, სულში თუ მჭირს!

ვზივარ ჩემს ფიქრის სავარძელში. ხელისგულზე ჩემი ნატვრისთვალი მიდევს და ვცდილობ თვალი გავუსწორო. ის კი: ჩემი ნატვრისთვალი... ბროლის თვალი მართლაც და გაცოცხლდასავით!

„თვალი არ უნდა მოვწყვიტო, აზრით, აზრით უნდა ვწვდე და... ვუყურებ, რომ შევათბო და საბოლოოდ გამიცოცხლდეს! არ უნდა გამიორდეს თვალში... მაგრამ როგორ შევძლო თითქმის შეუძლებელი?!“

„როგორ და: – თითქოს მაღლიდან მკარნახობდნენო და კანზე ამბურძგლა, – როგორ და... ის გიყურებს შენ, ნურც შენ მოაცილებ თვალს! გრძნობ, რომ უხილავი ძაფები გაიბა თქვენს შორის? განგების ნებაა ეს!“

ჰოდა, დავყურებ ჩემს ნატვრისთვალს თვალებგაფაციცებული, მხოლოდ მას ვხედავ, სხვა აღარაფერი, აღარავინ მიჩანს თვალში და შევცბი. – ლეილა?!

– კარგად დამაკვირდი! – ნატვრისთვალია რომ მეუბნება და იმ ნატვრისთვალში, იმის კაკალ თვალში ლეილას ვხედავ.

– თვალი არ მომაცილო! ვარსებობთ მე და შენ. მე მცივა... შენ შეგიძლია, შემათბო და გამაცოცხლო... შეძლებ ამას და ნებისმიერ ნატვრას შეგისრულებ! უნდა ბოლომდე ჩამწვდე, რომ ამაღლდე...

და გამინათდება სული, თითქოს მიწასაც მოვწყდი ამ ჩემს სავარძლიანად, მივირწევი სულ წინ, წინ, ვფართოვდებოდეო თითქოს, მაგრამ მეკარგებოდა ფერი.

ბოლოს სულაც აღარა ვარ, არის მხოლოდ ნატვრისთვალი და მასში ვარ მთლიანად გაცნობიერებული, სრულიად განვფენილვარ შიგ და ჩემი მეობის საზღვრებიც გაუფერულებულა თითქმის. მერე ქრება კიდეც.

მე მართლა აღარა ვარ, ნატვრისთვალში გავსახიერებულვარ. და თბილა საოცრად, ასეთი სითბო არასოდეს განმიცდია, ასე ნეტარებით არასოდეს ავჟრჟოლებულვარ და ნატვრისთვალიც ახამხამებულიყოსო თითქოს... თვალი პატიოსანი... სიცოცხლე! სასწაული! რაღაცნაირი მთლიანობის, სიმრთელის შეგრძნება მეუფლება – ჩემი ცნობიერებისა და ნატვრისთვალის გაერთადერთება...

ახლა სულ სხვანაირად აღიქმება დრო და სივრცე: აწმყო, წარსული და მომავალი ერთ სიბრტყეზეა შემოდებული და ეს ყველაფერი ნატვრისთვალისა და ჩემი ცნობიერების გაერთადერთების წყალობითაა შესაძლებელი (ვიმეორებ და თავსაც შევახსენებ, რომ ნატვრისთვალში ვარ ჩასხივებული. მე ვთბები და ვიზრდები, ვფართოვდები და ვუერთები რაღაც დიდსა და განუმეორებელს, თითქოს ნაწილი ვაკლდი მთელს და დავბრუნდებოდე.

დროსაც შევიცნობ სივრცეში გარდასულს, აღვიქვამ და: ახალი და ღვთაებრივი თვალით მოვიცავ უსასრულო სივრცეს, დროში გარდასულს და მაინც: აკლდა რაღაც უსასრულობას, უსასრულობა რომ ყოფილიყო: უსასრულობის სული არ ჰყოფნის ჩემი.

ნატვრისთვალი ვარ, თბილი ქარივით ამოვჭრილვარ და მოვდებივარ სივრცეს. უსასრულობად ქცეული დროიდან დროში უხილავი სულივით ვმოგზაურობ და ვამსხვრევ კერპებს.

...და კარზე კაკუნი დამაბრუნებს მე სინამდვილეს...

* * *

ლიელა იყო...

– გეძინაო, გაკვირვებული მკითხავს.

– ნატვრისთვალი... ბროლისთვალი... – ვჩურჩულებ აღელვებული.

– მართლაც... ნატვრისთვალი... – ლეილამ ცისფერი თვალი ხელის გულზე დაიდო, იგი თვალდახელშუა გვილურჯდებოდა. თვალი ძლივს

მოწყვიტა ლეილამ ნატვრისთვალს, რომ მე დავენახე. მიყურებს და აღარ ახმხამებს თვალს.

„ბროლის თვალებით მიყურებს. და მათბობდეს თითქოს...“ – სასწაულებრივ სითბოში ვეხვევი. ვნეტარებდეო თითქოს.

შეთბება ჩვენს შორის არსებული სივრცე: ლოყები შეხურებია ლეილას და ქრება ჩვენს გარდა სხვა ყოველივე, უსასრულოდ გავრცობილნი უხილავი სულებივით ავძრულვართ.

და ამდენხანს აჩრდილივით ადევნებული სევდა, ასე რომ მიწუხ-მიფორიაქებდა სულს, გალეულიყო თითქოს და სადაცაა მიილეოდა სულაც.

* * *

გზას სანთლით ხელში მივიკვლევ. გული მეუბნება, რომ რაღაც საოცარს, სასწაულს გადავეყრები, ვიპოვი იმას, რაც ჩემთვისაც არაა ცნობილი ჯერ და არც არავის უთქვამს ჩემთვის მისი სახელი.

მარჯვენა ხელში სანთელი მიჭირავს, გულთან ახლოს. ამხელა წყვდიადს ჩემი პაწია სანთელია, რომ ანათებს. თითქოს წყვდიადიც აღარ იყოს. აწი აღარ დავიკარგები ამ სიდიადით გაჯერებულ უსასრულობაში.

ჯადოსნური ჩემი სანთელი... ხომ ყველაფერი ილევა ამ ქვეყნად, მაგრამ არ გაილევა ჩემი სანთელი, ოღონდაც უნდოდეს სხეულს სიცოცხლე, უნდოდეს სულსაც და მაშინ რაღა ჩაქრობს ჩემს ბედის სანთელს?!

თითქოს ხელში სანთელი კი არა, შენივე სული გეჭიროს აალებული, ხედავ ათრთოლებულს და აკაშკაშებულს. სულია, რომ აგჩურჩულებია, გესმის? ხომ გესმის სულის ძახილი?!

„მე სიცოცხლე მინდა... მწყურია სიცოცხლე.. შენც უკვდავების წყლითაა, წყურვილს რომ იკლავ და მაინც ვერ მოგიკლავს იგი წყურვილი...“

უცებ, სულაც რომ აღარ მოველოდი, მსუსხავი ქარი ჩამოიქროლებს და კინაღამ არ ჩამიქრობს ამ ჩემი სულის სანთელს?!

ჩაიგრიალებს საიერიშო ეტლივით და: სულის სანთელი? გადამირჩა წელში გასწორდა ალი და მერე: იმძლავრა (აწი ქარბორბალაც ვეღარ მოერევა). ნაბიჯი წინ წავდგი მხნედ და ამ დროს დიადი რამ სინათლე, ნათლის სვეტი ამოიწია. არ ვიცი საიდან და შეწვდა ცის თაღს, გადაანათა ჩემს ირგვლივ ყოველი, გადაწვდა ყველასა და ყველაფერს და გადააბრწყინა სრულიად უსასრულობა...

და აწი მე ჩემ სულის სანთლით რა დამკარგავს?! ამ სიხარულად დაღვრილ სინათლეში დიადი სინათლის დამდგარა ჟამი – მარადი სითბო – გამოულევი და ჯადოსნური. მე ნაწილი ვარ მისი და ვეღარც უჩემოდ დარცეს აწი დიდი სინათლე! ჩემგან, ჩემგან იწყება ეს მარადიული სითბო-ნათება...

მე და ჩემი აალებული სანთელი რომ არა...

დაწყებულია დიდი დათბობის ჟამი...

მე და ჩემი აალებული სანთელი... და ნათება მისი უსივრცო და უკიდეგანო...

(ფარდა უხილავი)

ცისანა ანთაძე

* * *

გთხოვთ, მაპატიოთ მკითხველებო, თუ თავს გაბეზრებთ,
ერთად გავუძლოთ წუთისოფლის მძიმე გამოცდას...
ნათელხილვებში ჩავიძირე, სიბრძნე-საბიზმით,
სხეულებრივი საწყისიდან ვლამობ გამოსვლას.

მე ჩემი სულის სიმსუბუქე მაოცებს თვითონ,
ფარატინაა, ეტრატივით წარსულს ბარდება,
ფეთქავს სტრიქონი, და სულ მცირედს, სულ მცირედს ითხოვს,
თუნდ გიტარაზე დაამღერონ ძველმა ბარდებმა.

არ შეკრთე ლექსო, სტრიქონებო, აფორიზმებო,
ინტეგრალური სამყაროდან გადმოფრენილნო,
უპოეზიოდ შეაჩერეთ სუნთქვა რითმებო,
შენც რა ქოთქოთი აგტეხია ჩემო წერილო?!

სხეულებრივი საწყისიდან ვცდილობ გამოსვლას,
წარსულში ვტოვებ გუთნისდედას, ქალს და ამორძალს.

* * *

ზეცა მიგულებს მე პირველ მსხვერპლად,
ბევრმა არ იცის ამის შესახებ...
სხეულს აქ ვტოვებ უფალო, ფერფლად
და გამახარებ, კვერთხს თუ შეახებ.

მე დაჭრილი ვარ ამ ცისქვეშ ასგზის,
რომ დედამიწა დედად იწოდოს...
შვილი შვილია, ტირილი გასდის,
მოვედი, სული გამოგიწოდო.

ეს ჩემი სული შედგა ბაგასთან.
(დაწინდულია ბაგა შობისთვის)...
და რაკი ღმერთი ყველას მამაა,
ქრისტეც თვლემს ყველა ახალშობილში.

რინგზე ვარ, ქარი სახეში მირტყამს,
გაღმიდან უცხო სისინიც მესმის...
გთხოვ, დამილოცო, მამაო ჩვენო,
ჩემს ღარიბ ქოხში შობილი ლექსი...

უმარტივესი ლექსი...

მწვერვალს მივუახლოვდი,
თავი არ მაქვს დალაშქვრის...
ახლობლებსაც ველარ ვცნობ,
თავს უცხოდ ვგრძნობ ქალაქში.

დამავიწყდა სად მივალ,
არც ის მახსოვს, სადა ვარ...
აქ მესაზღვრე რატომ დგას?!
საზღვარს თვითონ გადავალ.

რაც ვწერე და ვიკითხე!..
(გავისარჯე ნეტავ რად?)
ჯობდა თოვლის მოსვლამდე,
წინდის ქსოვა მესწავლა.

ვცდილობ, უკან დავბრუნდე,
სადაც ძველად ვსახლობდი...
ის ბილიკიც დავკარგე,
ველარ მივუახლოვდი.

უკან როგორ დავბრუნდე
დაქანცული, დაღლილი,
ვიცრემლები, ვბუზღუნებ,
გალახული ბალღივით.

დამავიწყდა სად მივალ,
არც ის მახსოვს სად ვდგავარ...
ვცდი, მოკლე გზით ვიარო –
– მწვერვალიდან გადავალ!..

* * *

დღემდი და... ალბათ ხვალაც ვერ ავხსნი,
იდუმალება როგორღა იშვა.
ვფიქრობ, ერთხელაც, ვერტიკალური
გზა გადაკვეთა სიკვდილის შიშმა.

ჩასაფრებულს ჰგავს, არავინ იცის
საითკენ მიდის, საიდან მოდის...
იდუმალება – წარსულის ექო,
არ ცნობს პოდიუმს ახალი მოდის.

არც სინონიმი მოეპოვება,
უსახოა და ფერსაც არ იცვლის,
იდუმალება თავსაც გაურბის,
იდუმალებას არ აქვს არც რიცხვი.

იდუმალებას არ აქვს არც სახე,
არც მარიფათი, არცა იერი,
იდუმალება ბებრუხანაა
და სამყაროზე უფრო ხნიერიც.

ან იქნებ სულაც ვნების პირმშოა
და სიამესაც ამიტომ იტევს...
იდუმალება თავხედიცაა,
თუ მოუნდება, კარებსაც მიმტვრევს.

მას ჭირისუფლობს სიძველის ხავსი...
იდუმალება რაა? – ვერ ავხსნი!..

* * *

მოდის მიქელგაბრიელი,
ყველანი ვართ წასახვეტი...
შენი დედაც!.. ანტიქრისტევ,
შეატოვე ცას ნახვრეტი.

ახვარი ხარ საუკუნევ,
შენ რად გინდა ცხოველ-სვეტი,
უკვე კარგად დაგინახე,
მთლიანად ხარ წასახვეტი.

გადამწიფდნენ თავთავები,
მომკელს ელის დიდი კალო,
არვინ უსმენს ციურ ზარებს,
ტოტზე ჩიტიც აღარ გალობს.

მართლა ტალახგასაწნელო,
წუთისოფლის ანგარებავ!
იტრიალე როკის ხმაზე,
ჩაძაღლდები ან გარეკავ.

თქვენც საბრალო ბერ-სალოსნო,
ვის ჭირდებით ჯვალო-კაბით,
რა ხანია, ანტიქრისტემ,
ერს ამოსდო ალიკაპი.

მოდის მიქელგაბრიელი,
ყველანი ვართ წასახვეტი...
შენი დედაც!.. ანტიქრისტევ,
შეატოვე ცას ნახვრეტი...

გურამ დოჩანაშვილს

კაცი არ ჰგავს თავის სახეს,
რესპოდენტი – რესპოდენტს...
სხვა რომ იყოს შენს ადგილას,
ტყვიას შუბლში ესროდნენ.

მაგრამ რაკი შენ შენა ხარ,
(ზოგჯერ გავხარ ნიკალას),
არ გჭირდება მეცენატი,
ბილიკს თვითონ იკვალავ.

განა ბილიკს? განაბული
ცნობს პუბლიკა ფოტოგრაფს,
სივრცეს გაცდი, დროსაც გაცდი,
ნიჭს როგორღა მოთოკავ.

გზა ეშლებათ ჩვენს სივრცეში
პრემიებს და გრანტებსაც,
ლაბორანტო, არ დანებდე,
ჩამოლაბორანტებას.

ნებისმიერ ნობელიანს,
(საუკუნე მიქარავს),
მირჩევნია, შენი ერთი
უნობელო ნიკალა!

ამირან ხაბაზის ხსოვნას

მოდიოდი, ჩანდი, ქუხდი,
ღამეს ლექსთან ათენებდი...
პოეზიას შეუსიე
ხინოს ციცინათელები.

გვარის ათი მელექსეთი
დაიპყარი მემლექეთი,
არასოდეს დაგიხრია
მელექსეთა შორის ქედი.

გზები გაიუცხოფერე
ცრუ და იაფ მასკარადის...
მიაბიჯებ ტბელის გვერდით,
ანთებული მაშხალათი.

ცას კბენს შენი ელვარება,
(შენ ხომ ლექსთან ათენებდი),
პოეზიას შეუსიე
ხინოს ციცინათელები...

ფეხშიშველაა ჩემი ბავშვობა...

ფეხშიშველაა ჩემი ბავშვობა,
არ იცის რაა დიბა და ფარჩა...
მომენატრება, მაგრამ ამაოდ –
– ჭის ფსკერში ძინავს, წარსულში დარჩა.

ჭის ფსკერიდანაც ელტვოდა ზეცას,
და ვარსკვლავებსაც სულში იფენდა...
ბედს შეურიგდა, როცა აუწყეს,
რომ ცის ქვეშეთში მარტო იფრენდა.

მოვლინებული იყო დროებით,
ვითარც ეული, მხოლოდ ომისთვის,

ის ფეხშიშველა დარჩა ჭის ფსკერზე
და გაიწირა მარტოობისთვის.

კანკალებდა და აცახცახებდა,
მის შორიახლოს მუდამ ციოდა...
ამოისუნთქა, როცა ირწმუნა,
რომ ვარსკვლავებიც ჭაში ცვიოდა.

ჭა კამკამაა – სარკე ვარსკვლავთა,
ბავშვობაც იქ თვლემს, ღამეს ათენებს...
სიზმრებში ხედავს ჭიამაიებს,
ჭრიჭინობლებს და ციცინათელებს.

ფეხშიშველაა ჩემი ბავშვობა...
არ გავაღვიძებ, იძინოს ჭაში...
წვეტიან ქვებზე ბევრი ირბინა,
ახლა ძილ-ბურანს უსინჯავს ჭაშნიკს.

ფეხშიშველაა ჩემი ბავშვობა...

* * *

გაზაფხული ჩავლილია,
მოფრენილა თიბათვე,
სიყვარული თუ მეწვია,
ისევ იებს მივართმევ.

კიდევ კარგი, არ ბერდება,
შემოდგომას არ უფრთხის...
...სული, გულზე ასხლეტილი,
ისევ თავის რიტმზე თრთის.

მენატრები აპრილში და
მენატრები ივნისში,
მენატრები ბათუმში და
მენატრები თბილისში.

„სიყვარულო, ძალსა შენსა“
(დაცემული ვდგებოდი),
უფრო მომენატრებოდი,
თუ შორს გაფრინდებოდი.

შენი ძალა მეხმარება,
სულით თუ არ ვეცემი...
ბრმაც რომ ვიყო, მოვალ შენთან,
ბნელში ხელის ცეცებით.

გაზაფხული ჩავლილია,
მოფრენილა თიბათვე,
სიყვარული თუ მეწვია,
ისევ იებს მივართმევ.

* * *

სამყარო არის პლიუს-მინუსი,
სული სწრაფი აქვს, რხევა სულ ნელი,
მამრის სარეცელს, მამრის სუნი აქვს,
ქალის სარეცელს, ქალის სურნელი.

ქარის სუნთქვაა, ცას რომ ზნეს უშლის,
პულსი ჩქარი აქვს, ქროლვა – უცვლელი,
მან არ დატოვა ზეცის ქვეშეთში,
გადაუშლელი ერთი ფურცელიც.

ცალ-ცალკე გდია პლიუს-მინუსი,
სტვენია ჩიტი უსტვენარია,
ჩამოშლილია კლდის პირ ქვა-ღორღი,
ცამ მოშალა თუ მზემ გადარია?!

მომაბეზრებელ წვიმიან დღეებს,
კიდევ რამდენ ხანს უნდა ვუყურო?
აღარც სიმწვანე, არც მეწამული,
ხეშიც ფუღურო, სულშიც ფუღურო.

წვიმა და სეტყვა, სეტყვა და წვიმა –
– სულში აცრილი უამინდობა...
სიყვარულის ტოტს ძარცვავს და ძარცვავს,
მატყუარა მზე როდი ინდობა.

მეც, რას ველოდი, ანდა რა მრჯიდა,
ან რა ჯანდაბამ ამიყოლია,
სამეფო მარკა არ უბრუნდება,
კომისიონში დადგმულ როიალს.

ლტოლვა, ასაკით ჩამოწერილი
ჩაწყნარდა, ჩაცხრა, სული დაბრძენდა...
ვხედავ, შემოკლდა ჩემი სავალი
და მთვარის შუქზე ჩრდილი დაგრძელდა.

ცოტაც კიდევ და... გეტყვი მშვიდობით!
ერთ ფუთაში მაქვს ღარიბის ბარგი,
ზეცამდი ერთი ფრთის გაშლა დამრჩა,
რომ დამესიზმრო, იმადაც არ ღირს...

* * *

დიდხანს მელოდა ჩემი ზამთარი,
მეც შესახვედრად მოვისწრაფვოდი,
ბევრჯერ აკვნესა ბნელში დამ თარი,
და მასმენინა სევდის აკორდი.

მელოდებოდა ძალიან დიდხანს,
აპრილის თვეშიც, ზაფხულის ხვატშიც,
დღეებს კენკავდა სულ მისხალ-მისხალ,
რომ ქანცმილეულს წამეგო მატჩი.

ახლაც არ მტოვებს, მეფობს დუმილი,
რაღაცას ჩუმად ხატავს მოლბერტზე,
არ მომწონს მისი მუქი ფერები,
ვგრძნობ, ეს-ესაა უნდა მოვბეზრდე.

თეთრო აფთარო, უნდა მოვრიგდეთ,
არ მსურს, ჩემს ეზოს გადაათოვო,
უნდა დაგისხლტე, ჩემო თოლიგე,
სუსხთან მარტოკა უნდა დაგტოვო.

ახლა ზეცაა ჩემი აკვანი,
ჩიტებს მოვუხმობ მეგზურ-თანმხლებად,
ბარგი არა მაქვს გადასატანი,
ცის აღსავალთან დედაც დამხვდება.

ბედმა მარგუნა მევლო შენი გზით,
ამოვიჩემეთ ჩვენ ერთმანეთი...
ჩემო ზამთარო, აბა, შენ იცი...
გამჭვირვალეა ცა პერგამენტი...

დიდხანს მელოდა ჩემი ზამთარი...

* * *

სანაპირო თოლიებმაც დატოვეს,
აღარც ბაღში გაიშალა ვარდი,
იზნიქება ეს პატარა ქალაქი,
იზნიქება სიმძიმით და დარდით.

დაეკარგა ძველებური ელფერი,
ზეციური სისადავის მადლი,
მოუმრავლდა ბოგანო და მშიერი,
ფინალი ჩანს ტრაგიკული კადრით.

სიყვარულიც ტალღას დადევნებია,
მრუში იჭერს ჯულიეტას ადგილს,
სულის საოხს ვერ იპოვი ამ ცის ქვეშ,
არცა მლოცველს არ გადმოდის მადლი.

სამუმი ქრის... ახლოსაა უდაბნო,
მაგრამ რაი? – არ გამოჩნდა მოსე,
ერთის ნაცვლად ზეობს ასი იუდა,
მოვიდნენ და ყველაფერი მოსრეს.

მეხთატეხა ეზოს კართან მიუსწრებთ,
დაშინებულთ, მუქარით და ავდრით;
იზნიქება ეს პატარა ქალაქი,
იზნიქება სიმძიმით და დარდით...

* * *

ახალგაზრდაა ეს საუკუნე,
რაღაც სულ ოცის გახდა ახლახან;
ერთი ნატვრა მაქვს ცნობისმოყვარეს,
ოთხმოცი წლისა ნეტავ მანახვა.

მაშინ მე – მისი ძველი ხიზანი,
მივუკაკუნებ ასორმოცდაათს,
არ გაგეცინოს ჩემო მკითხველო,
სიცილ-ხარხარში მხოლოდ დრო გამყავს.

ახალგაზრდაა ეს საუკუნე,
მე გავუსწარი რაღაც სამოცით,

მხრებით, ვით კოკა, დამაქვს ეპოქა,
და ეს-ესაა, ოთხმოცს გამოვცდი.

...და კოკასავით იმსხვრევა წლები,
წყალიც დაღმართში ჩაედინება...
და თუ არ დავსვი დროზე წერტილი,
ვგრძნობ, რომ ჩემს მკითხველს ჩაეცინება.

აი, წერტილიც! ძახილის ნიშნით,
კითხვის ნიშანს კი ჩემთვის ვიტოვებ,
ფრთებგაშლილია წელი ოთხმოცი,
ისე აცივდა, მგონი ითოვებს...

* * *

რეზო სტურუას ხსოვნას

ძამიკო, რეზო, შენ რომ გაფრინდი,
მთებზე მას მერე ჩამოათოვა...
თუმც მობილურის შენი ნომერი,
უბის წიგნაკში ისევ დავტოვე.

ვიცი, რომ ზარი აღარ შემოვა,
ვეღარც დავსხდებით ნაცნობ კაფეში,
აქ, შენი სულის მოსახსენებლად,
მე შევუკვეთე მცირე ტრაპეზი.

ვერ გაგაცილე, ვერ დაგიტირე,
მობოდიშება დღეს გვიანია...
„გაღმა სოფელში ასკილი ყვავის“,
გამოღმა გზები სევდიანია.

მაინც გიგზავნის ბათუმი სითბოს,
გადადებია ქუჩებს შენი შნო,
ნომერი შენი მობილურისა,
არ მანებებს, რომ ცრემლი შევიშრო.

ვერ გაგაცილე, ვერ დაგიტირე,
სულის კუნჭული ნაღვლიანია,
ჰა, მიიწურა ეს შემოდგომაც,
რა გვიანია, რა გვიანია...

ისევ და ისევ დედის მონატრება

ჰორიზონტების ცისფერი სევდა,
სადაც წავედი, ყოველგან მდევდა,
თქვი, დღეის მერე, რაღა ვქნა, დედა...
მოთიბულია ბალახი,
გალეწილია კალო...
რა ადიდება გცოდნია,
პატარა ღვედის წყალო.

უკვე ღამდება, საცაა ზეცა
მთვარეს ამინთებს, რომ სიზმრად გნახო,
ნუ მემალები, ბავშვობის სახლო!..

ადიდებულა პატარა ღელე,
ბონდის ხიდი კი არსაით მოჩანს...
ჩვენ ველარ შევხვდით, გათავდა, მორჩა!..
მოთიბულია ბალახი,
გალეწილია კალო...
რა ადიდება გცოდნია,
პატარა ღვედის წყალო!..

არაგვო უყარაულე...

ვალმოხდილი ხარ არაგვო,
თუშის ფარ-ხმალზე აცრილო,
ამაყიცა ხარ, გიჟმაჟიც,
წუთშესვენებას არ ცდილობ.

ცით დაშვებულო მირონო,
მთებიდან გადმომდინარევ,
დუმილს შეაწყვეტ ღილებს და
სიზმრებს დაუფრთხობ მძინარეთ.

მთის ბილიკებთან გაზრდილო,
მქუხარებ „არაგვიანო“,
ყველას ჩაისვამ უბეში,
აქ რო წყარონი დიანო.

ომში წასული გმირების
გამამხნევებელ-დარაჯო,

სხვა სურნელი აქვს შენს გვერდით
ამოსულ ია-ყაყაჩოს.

ამ ხეობაში, კლდეს შინა,
ვით უკვდავი ხმა მეგულვის,
შენი ტალღების კისკისი,
ჟრუანტელ წაკიდებული.

* * *

წუხელ, სიზმარში ვიღაც მეძახდა,
ხმა უცხო იყო, მეგონა ციდან...
მაგრამ არ ჰგავდა კეთილმოსურნეს,
ეშმაკის კერძი! ნამდვილად მცდიდა.

შემიძლიაო ლეთაგავლილი
გამოვაქროლო პირუკუ ქარით;
არჩევანს გაძლევ, ვინ დაგიბრუნო,
ძმა? დედა? მამა? ან იქნებ ქმარი!

რა უბადრუკი მეჩვენა იგი,
მეც შევაყარე უკუღმა ფეტვი...
რა დროს ეგაა, გასამგზავრებლად,
კარებთან მიცდის მფრინავი ეტლი.

წუხელ სიზმარში ვიღაც მეძახდა,
რეკავს მარეკი, ცოტა დრო დამრჩა,
სამგზავრო ფუთა უკვე შევკარი,
ლეთა ვახტზეა... მენავე არ ჩანს...

წუხელ, სიზმარში ვიღაც მეძახდა...

* * *

არც მესამე თვალი მინდა,
არც მესამეს თვალთვალი,
მონადირე მირჩევნია
უგულო და ცალთვალი.

შენ დაისობ, ის დაისობს,
მეც ვდაისობ, აბა რა!

გულმაც ფიქრი დაისია,
ჰგავს მაქსველის ქანქარას.

არეალი მუდმივია –
– დღე პირველი, დღე ბოლო...
გეგონათ, რომ სულ ვიქნებით?
გაიხარეთ, გეგონოთ!..

ცა რას მეტყვის? რომელი ცა,
ცარგვალი თუ ცა მრგვალი?
...მონადირე მირჩევნია
უგულო და ცალთვალი.

* * *

არ მაქვს უფლება, რომ შეგიყვარო,
მორალი ვნებებს მეტწილად იჭერს...
ახლა სიდინჯეს მეტი ძალა აქვს,
ვიდრე სალექსოდ გარითმულ სიტყვებს.

არ მაქვს უფლება, რომ შეგიყვარო,
არ მაქვს უფლება მოგიალერსო...
სულში ჩაგიძვრე, დაგისაკუთრო
და შეცოდებას ვარქვა „ალეგრო“...

არც არასოდეს ვუთვალთვალებდი,
სხვის ეზო-კარში შეთვალულ მტევანს,
რადგან პოეტი და ამორძალი,
მიუწვდომელი ოცნების ტყვე ვარ...

* * *

სულმა შიმშილი გამოაცხადა,
სულის კოდექსი არის ურყევი,
ეს საუკუნეც თვითონ ჩაცხრა და
არვინ დატოვა თმაშეურხევი.

ხელშეუხები არვინ დატოვა,
თვითონ მეფემ და თვითონ ბატონმა,
არავის შერჩა ძველი იერი,
მეფეც არ არის სვებედნიერი.

მეეტლევ, გზები არ აგერიოს –
– გზები ყინულის, გზები იათა...
ბეთლემის გავლით შეხვდი ალიონს,
გზა მიწიერი არ ღირს ჩირადაც.

სულო ქარებთან თანაზიარო,
ვერა, ვერ მეტყვი, რომ ბედი არ მაქვს,
ვერვინ მიბრძანებს, როგორ ვიარო,
წუთისოფელში, ქუდბედიანმა.

სულმა შიმშილი გამოაცხადა,
სულის კოდექსი არის ურყევი,
ეს საუკუნეც თვითონ ჩაცხრა და
არვინ დატოვა თმაშეურხევი.

ზაზა ხაღვაში

ჩანაწერებიდან „მე“

17.11. 2017
ვწერ.
არ ვიცი, რატომ.
ჩემთვის, ალბათ.
დრო გამყავს.

18.12.2017
სიბრიყვე ავად მყოფობაა.
სამწუხაროდ, განუკურნებელი.
და გადამდებიც!
ანუ, საყოველთაო...

01.01.2018
ცვლილებების დროა. ვერ გაექცევი, რომც არ გინდოდეს. თუ, რა თქმა უნდა, საერთო ფერხულში ჩაბმა მიგაჩნია მთავარ ღირებულებად. და აუცილებლად, შენს ძირითად მოთხოვნილებად! წინაალმდეგ შემთხვევაში რა აზრი აქვს მაშინ ცვლილებებს? შეჩვეული ჭირის თეორია ამ დროს კარგად მუშაობს. ჩვენში ძირითადი ნაწილი ადამიანებისა შიშით შესცქერიან ცვლილებების საჭიროებას. თუ საზოგადოებრივ ცხოვრებას გარკვეული სახის მოძრაობად წარმოვიდგენთ, უმრავლესობას, სწორედ რომელსაც საზოგადოებას ვუწოდებთ, ნაბიჯის გადადგმაც არ სურს, ეზარება, იმითაც კმაყოფილია, როგორც არის, ზედმეტ თავის ტკივილს ერიდება და უპერსპექტივო ენერგიის ხარჯვად თვლის ყოველგვარ აქტივობას. სამწუხაროდ, ასეთია რეალობა! ხელისუფლება ცალკე არ მოიაზრება, ის საზოგადოების სარკეა და ეს აქსიომა დღესაც აქტუალურია. რიტორიკული კითხვა იბადება თავისდაუნებურად, ანუ ლოგიკურად: რა არის გამოსავალი? და როგორც კი ამ კითხვას დასვამ, პასუხიც აქსიომური ყალიბდება: ცვლილებები! თუმცა ეს, როგორც ბევრი სხვაც, ფუჭი თეორიზმია და მეტი არაფერი, მსჯელობა მსჯელობისთვის, პრაქტიკული შედეგი – ნული. საზოგადო ცხოვრებას ინსტიქტები მართავს და არა მოწოდებები. სიტყვის ფუნქცია მოიშალა. ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახმა აჯობა. აქ დრო და ვითარება არაფერ შუაშია. ადამიანი ხომ მაინც იგივეა. იყოს ისე, როგორც არის, აი, გამჭოლი იდეა. ეს მარტო ჩვენ არ გვეხება, საყოველთაო სენია. ადამიანის სენი.

11.03.2018

...მიაბიჯებდა სხვა ქვეყნის დედაქალაქის ქუჩაში და ფიქრობდა, აქ მე არ ვიცნობ არავის და არც მე არავინ მიცნობს. მხოლოდ ამ კუთხით არის ეს ქვეყანა ჩემთვის უცხო. იქ, სადაც გიცნობენ, არის შენი ქვეყანა...

27.02.2018

...წერილი მოვიდა, წინასწარმეტყველება – შვილები შენს სახელს დაივიწყებენ, თაობები კი არაო.

21.04.2018

იური ლოტმანი კინოს სემიოტიკაზე როცა წერდა, რეალურ საგანსა და მის აღმნიშვნელ სიტყვას შორის ურთიერთმიმართებას სრულიად ერთმანეთის საპირისპირო კონტექსტში განიხილავდა, ანუ სიტყვა პირობითი აღმნიშვნელის ფუნქციად მიაჩნდა, მაგრამ იგივე საგნის გრაფიკული ნიშანი, ანუ რეალური საგნის გამოსახულება უცვლელ და ზუსტ აღმნიშვნელად. საგანი ეკრანზე არ არის სიტყვა, სიტყვა წარმოიქმნება ეკრანული ხატის შესაბამისად. ამიტომ ნარატიული კინოენის კულტივაცია, რაც დღევანდელ კინემატოგრაფში ასე მოზღვავებულია, სრულიად დაშორებულია კინოს ჭეშმარიტ ბუნებას.

25.06.2018

თვალის ერთი შევლებით ვნახე ორი იმპერია ერთმანეთის მიყოლებით.

ხალხი ყველგან უბედურია. არის სიმღერა, მაგრამ არ არის მხიარულება. არის ღიმილი, მაგრამ არ არის ბედნიერება. საჭმელი ყველგან ბევრია, მაგრამ შიმშილია გამეფებული.

ევროპაც იმპერიაა.

თავისებურად.

ამერიკაზე არაფერს ვამბობ. არ მინახავს და არ ვიცი. მაგრამ, რაც გამიგია, ვფიქრობ, ისიც იმპერიაა, თანამედროვე ფორმაციის.

სამხრეთელი მეზობელი ცდილობს გახდეს იმპერია, მაგრამ ერთხელ დაკარგულ მდგომარეობას ჯერჯერობით ვერ იბრუნებს. მოუძველდა ხერხები. სხვები უკეთესად გამეცადინდნენ.

ჰოდა, მოიფიქრე ახლა ქართველო, სად არის შენი ადგილი, რომ გადარჩე და სიცოცხლე გაგრძელო?

18.08.2018

დღეს საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოქცეულია გლობალური პოლიტიკური მოვლენები, რასაც ხელს უწყობს ზოგადად ყველა სახის მედიის მობილიზება და კონცენტრაცია აღნიშნული მოვლენების მიმართ, როგორც რეგიონალური, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

ნიშნავს თუ არა ასეთი კანონზომიერება მიზანმიმართულ და მართულ პროცესს?

ანუ, იმისათვის რომ ადამიანი ნაკლებად ჩაუღრმავდეს ლოკალურ პრობლემებს, საკუთარი საარსებო სივრცის მოწესრიგებას და იმ მიზეზების ანალიზს, რაც მას გაუსაძლის გაჭირვებაში ამყოფებს, უმჯობესია, თავისი ინტელექტუალური ენერგია მიმართოს ისეთი აბსტრაქციებისკენ, რომელიც თავად მას უშუალოდ არ ეხება და რომც მოინდომოს, არც შეეხება.

მასობრივი საინფორმაციო პოლიტიკა მიმართულია ინდივიდუალურობის ნიველირებისა და საკუთარი თავის ვერშეცნობისკენ.

დღე იგივე. ლექსი:

გისოსებს მიღმა ღრმა ღამეა ღამურებისთვის,
სარეცლის ციცა გაძარცული ცელავდა ცოდვას...
უთქმელი მთქმელი მოთმინებით ამთქნარებს თარებს,
გორების გორვა გადაგორდა გორვების გროვად...

გამოეცხადე, ვინც ღირსია ხილოს სიცხადე,
გამოუცხადე, უღირსობას ცოხნოს სიცოცხლე,
გამოექეცი ქაცვის ქარებს ქანცის ქიცინით,
შემოეფარე მოფერებულ მოთბო ფერადებს...

გამაგიჟებენ ჟინის ჟამზე ჩაჟამებული
მზერის მზეებად სამზეოზე გამზეურება,
ახლა ახდება ახდენილი ხილვების ხალვა.
ისურვე ისევ სურვილის სვა სისავსე სრული....

ნუ მონებ ნდომებს დარდიანი ნაადრევ ნდობას,
ქარვის ქარგული ქარაგმების ქარდაქარ ქროლვას...

04.11.2018

ადამიანი კი არ არის უმაღლესი ღირებულება, სიყვარულია ყველაზე მთავარი. ადამიანის უფლებების დასაცავად კი არ უნდა ვიბრძოდეთ, არამედ სიყვარულის უფლების გასამარჯვებლად. უმაღლესი ღირებულება მუდამ არამატერიალურია!

09.11.2018

უცხო ვარსკვლავებს ვესაუბრები. უფრო სწორად, მე ვლაპარაკობ და ისინი მისმენენ. ამ ვარსკვლავებს ბევრი უბედურება უნახავთ. თხოვნით და მუდარით, და თქვენ წარმოიდგინეთ, ლოცვითაც მათ გულს ვერ მოიგებ. ანათებენ, მაგრამ გაქვავდნენ. ჩემი ნაამბობით ისინი ძალიან ნაცნობ, მაგრამ უკვე დაკარგულ მიწაზე ბრუნდებიან, სადაც წყალს განკურნების უნარი ისევ შერჩენია, ხოლო ადამიანებს ბუნებასთან, და ბუნებაში, და ბუნებისთვის სიცოცხლე დაუსახავთ მიზნად.

26.11.2018

დარდი.
ლამაზი სიტყვაა!

03.12.2018

ადგილის დრო.
ძველი ამბის ახალი ლეგენდა.
ხანდახან დგება დრო, როცა იბადება წარსულის გადაფასების მოთხოვნილება. ეს არ ნიშნავს შეურაცხყოფას. ეს გათამამებულად გაზრდილი შვილის პროტესტია, მშობლებს რომ საკუთარი არსებობა შეახსენოს. არაფერი წარსულში კარგი არ იყო. იყო მხოლოდ მონობა და სიცრუე. იყო ჩაშვება და სიძვა. ღალატი და მკვლელობა. დგება ახალი მოდა. შენ დააშავე, რომ გადარჩი! ვინც ვერ

გადარჩა, იმათი ბრალია – ვინც გადარჩა! აი, მთავარი იდეოლოგიური პოსტულატი. და გრცხვენია, რომ ცოცხალი ხარ!.. სიცოცხლე დანაშაულია, ცხოვრება სასჯელი.... ის კი, ვინც ბრალს გდებს, რატომ ხარ ცოცხალიო, ისე აგრძელებს არსებობას, ვითომ თვითონ არც ერთ დროს არ ეკუთვნის, ზედროულია, მას წინ უწყვია წარსულიც, აწმყოც და, რა თქმა უნდა, მომავალიც, ის დროს განკარგავს და ამიტომ უფლებაც ენიჭება, განსაჯოს და სასჯელები გაანაწილოს. ბევრი მინახავს ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, გამჩენს რომ უტოლებდა თავს და ბოლოს სიმარტოვის ჯოჯოხეთში ამთავრებდა თავის დღეს...

გარდაცვლილზე ამბობენ ან კარგს, ან საერთოდ არაფერს.

18.12.2018

როდესაც კედელზე გაჭიმულ თეთრ ზეწარზე მატარებელი სადგურში შემოვიდა და პერონთან გაჩერდა, კინომ საკუთარი ისტორიის შექმნა დაიწყო... და ატყდა კამათი – გამოსახულება წარმოსახვითია, თუ საგნობრივი? ვინც ჩათვალა რომ ეკრანზე ნაჩვენები მატარებელი რეალურია (საგნობრივი), შეშინებული გავარდა დარბაზიდან, რკინის ბორბლების ქვეშ არ აღმოვჩნდეო. ვინც იაზრა, რომ ეკრანზე წარმოსახვითი რეალობაა, კინემატოგრაფის დაბადებას დაესწრო. დღესაც ორადაა გაყოფილი კინოსადმი დამოკიდებულება. ერთნი თვლიან, რომ მატარებელი „ნამდვილია“. მეორენი კი ფიქრობენ, რომ მატარებელი „სიზმარია“. „ნამდვილისტები“ რეალობის „ასახვით“ არიან დაკავებული, „სიზმრისტები“ კი კინოენის სრულყოფის გზებს ეძებენ. ეს ის შემთხვევაა, როცა ორივე მხარე ბედნიერია. ერთი „ყოველსა მოსახვეჭელსა“ იხვეჭს, მეორე კი ქადაგივით მარტოსული ჯიუტად წერს სიზმრების ხატებს...

ჩემთვის კინომცოდნეები სიზმრის ამხსნელები არიან. ერთი და იგივე სიზმარს სხვადასხვა ახსნას უძებნიან.

ჩემთვის კინო ის სიზმარია, რომელიც წუხელ დამესიზმრა და დილით სხვებსაც გავუზიარე. სამზარეულოში, ფინჯან ყავაზე. სიზმრების ეიფორია მშვენიერი განწყობაა!

მატარებელი ჩვენსკენ რომ მოქრის, რა უნდა ამით ავტორს გვითხრას, ანუ იმ „თვალს“, რომელმაც კამერა ასეთ პოზიციაში დააყენა და მატარებლის მოძრაობა დააფიქსირა?

კინო არ არის „ტექნიკური“ ხელოვნება, ანდა სინთეზი სხვადასხვა ხელოვნების შესაძლებლობებისა.

„კინო“ ეს არის შემეცნების ფორმა. აზროვნების სახეობა. ისევე როგორც ფილოსოფია, ლიტერატურა, მხატვრობა.

კინო – მხატვრობის ფილოსოფიური ლიტერატურა. თუ – ფილოსოფიის ლიტერატურული მხატვრობა.

31.12.2018

ნუ დამძრახავთ. ჩემთვის ვამბობ:

„საქმე“ ჩუმად უნდა ვაკეთოთ. ბევრს ვლაპაკობთ გასაკეთებელზე.

ძირითადად ვტრაბახობთ!

საკმარისია!

ავის მსურველი ინუსხავს ჩვენს ნათქვამებს!

ჩვენ ბევრი გვაქვს დასაბრუნებელი. არავინ არაფერს თავისით რომ არ აბრუნებს, ყველამ კარგად ვიცით! ძალა კი ჯერჯერობით არ გვაქვს იმდენი, ღონით მივიღოთ მისაღები.

გონს მოვუხმოთ, აჯობებს! არ გვინდა ამდენი მუშტების გულზე ცემა. თუ რამე შეგვიძლია, ჯერ გავაკეთოთ და... – არც მერე არ ვილაპარაკოთ.

ცუდს არ ჩავიდენთ. ჩვენი ზრახვები საერთო სიკეთეა. გვჯერა, ერთი და იგივე გვსურს ყველას. რა გზას დავადგეთ, ნუ ვიდავებთ.

გულში ჩავიხედოთ. გულისთქმას ვენდოთ.

უპირატესობა არ არის ბედნიერება.

თანაბრობაშია თითოეულის სიმშვიდე.

მორჩა. აქედან იწყება ათვლა.

07.01.2019

როცა გაქებენ – მტრები მრავლდებიან, როცა გაძაგებენ – თანაგიგრძნობენ და მომხრეებს იძენ. პარადოქსული კანონზომიერებაა.

14.04.2019

მასტერკლასისთვის:

დიჯიტელური ეპოქა.

კამერა, როგორც საწერი კალამი და რვეული, რომელიც ყველგან იყიდება.

თხრობითი კინო. ნარატიული. კლასიკური ფორმულირებით – ექსპოზიცია, კონფლიქტი, მოქმედების განვითარება, კულმინაცია, კვანძის გახსნა. ანუ ე.წ. არისტოტელეს ფორმულა. ევროპული გამოცდილება.

ეს არის ქმედების ილუსტრაცია.

ჩვენებითი კინო.

ის არ მოგვითხრობს. ასეთი კინო გვაჩვენებს და ჩვენ, მაყურებელი თხრობას თავის თავში ვაყალებებთ იმ ვიზუალური ხატების მიხედვით, ავტორი რომ გვაჩვენებს. ანუ აღქმა (აღმქმელი სუბიექტი) ხდება შემოქმედებითი აქტის თანამონაწილე.

გოდარი. კუროსავას „სიზმრები“.

საკუთარი გამოცდილებიდან:

„ჟამი“.

დავწერე სხვა, გამოვიდა სხვა.

21.05.2019

თქვენ არ გჯერათ. არც უნდა გჯეროდეთ. ყველა ტყუის. თქვენც. სხვათა შორის!

და მეც! თქვენთან ერთად.

07.08.2019

ამ ქვეყანაში ყოველგვარი აქტივობა დამოკიდებულია მხოლოდ ინდივიდუალურ ინიციატივაზე. არავინ არავისგან არაფერს ელოდება!.. არც ითხოვს!.. ყველა თავის საქმეს აკეთებს. და აკეთებს ისე, რომ თავისი გაკეთებული საუკეთესო იყოს. ამიტომ მუშაობს პრინციპი (ძველი, როგორც სამყარო) – ვიყიდი ყველაფერს, რასაც შემომთავაზებ, ოღონდ ერთი პირობით, უნდა იყოს საუკეთესო საუკეთესოთა შორის. დიდი პაექრობაა ბაზრისთვის, როგორც გლობალური, ისე რეგიონალური მასშტაბით. როგორიც არის შენი „ნახელავი“, ისე ცხოვრობ! და ვერავის დაადანაშაულებ, რატომ ვცხოვრობ ისე, როგორც ვცხოვრობ და რატომ არ ვცხოვრობ უკეთესადო?! „...რასაცა გასცემ...“ ადექვატურს ღებულობ... მაგრამ აუცილებლად მიიღებ იმას, რასაც და რამდენსაც იმსახურებ, და ეს არის ამერიკული სისტემის პრინციპული უპირატესობა სხვებთან შედარებით...

02.04.2019

შინა-არსი უცვლელია. გარეგნობა ცვალებადი.

როცა მარტო ხარ – იცი, რაც ხარ.

როცა ხალხის ნაწილი ხარ – იცი, ვინც ხარ. ორივე შემთხვევაში იცი, როგორი ხარ.

კაენის ნიშანს ვატარებ მაშინ, როცა აბელს ვეძებ...

და, სამწუხაროდ, ვპოულობ!

შენ მომკალი! პასუხსაც შენ აგებ! ოღონდ ვინღაა პასუხის მომთხოვნი?! არავინ! დატოვე სახლი, წადი სხვაგან და სხვა სახლი აღმართე...

აღმართზე ავდივარ. ჯერ მინდა, რომ გავნიავდე. პასუხს მერე ვიტყვი. ცოტა დასვენება მჭირდება.

ფრთხილი სიმშვიდე, თუ ბობოქარი წესრიგი?! – კითხვა აქტუალურია ყველა ასაკში.

თვალი ტკბება, ანუ მზერის რაკურსი ქმნის განწყობას.

ჩანაწერებიდან „ეკალი“

13.10.2019

ყველა თავის თავზე წერს. ჩემზე უკეთესად ვინ იცის ჩემი ამბავი. არ მჭირდება გამოგონილი გმირი. თვითონ ვარ ყოველგვარი თხრობის მიზეზი. მიყვარს თხზვა. მაგრამ არ ვიგონებ. ნამდვილის ასლებს ვამზადებ. ასლი არასდროს არის სინამდვილე. მხოლოდ მიმსგავსებულია. არ ვიცი. ნამდვილს უამრავი შრე აქვს. ადამიანი ამ შრეების მხოლოდ ნაწილს აღიქვამს. ანდა აცნობიერებს.

21.04.2019

მოიწევს „მეზობელი“, შენი აივნიდან კარგი ხედიაო. ვიცი-მეთქი, ვეუბნები. აქედან ქართლის სანახების ცქერა ცალკე პოეზიაა-მეთქი, ვახარბებ. პოეზია მიყვარსო, მეუბნება „ცეცხლის მეზობელი“, შენი აივნიდან დანახულ სანახებზეც კი ვწერ ლექსებსო და ისეთი მაგრები გამომდის, ეგრევე კლასიკოსი ვარ ჩემს ქვეყანაშიო, ანუ შენს სამეზობლოშიო, შე ჩემნაიროო...

Кавказ подо мной... ასე რო იტყვი, ქე დაგიძახებენ კლასიკოსს, აბა რა იქნება და ...памятник нерукотворный-საც ქე დაგიდგამენ უეჭველი-მეთქი, ვეუბნები. თანაც მარტო შენს სახლში კი არა, კავკასიის ერთიან დედაქალაქშიც... ჰოდა, ამასობაში მხარ-თეძოზე წამოწოლილს გვერდზე არ მომიწვა ეს ჩემი ცეცხლის მეზობელი თამაშ-თამაშ, პოეზიაზე და მის დანიშნულებაზე ამაღლებული ბაასით თავშექცეულს, საამური მამაპაპისეული ღვინით გამთბარს, აწმყოს შეგრძნება რომ მაქვს სრულად გათიშული და წარსულს წაპოტინებული სულ მუდამ მომავლის იმედად რომ ვარსებობ და თანაც მიხარიამიხარიამიხარიაااა!.. რანაირად უნდა გაბრაზდე მეზობლის ასეთ შინაურულობაზე!... ოღონდ, გემუდარებით, არ მკითხოთ ახლა, რა და რატომ მიხარია... მიხარია, ვახ!

05.01.2020

დასავლეთი გიახლოვდება. მას აქეთ აინტერესებს. შენ იქეთ. გაპრიალებული ტროტუარიც ბეზრდება ადამიანს. დიდი გადანაცვლებები ხდება. ტრანსფორმაცია. მეგაპოლისური მენტალობა/მსოფლმხედველობა შენარჩუნებულია არა ავთენტურ საზოგადოებაში, არამედ მოსული მასების

ხარჯზე. ვინც მეგაპოლისი შექმნა, თვითონ იქ აღარ ცხოვრობს. ბუნებრივ გარემოს მიელტვის. ბუნებრივობაში დაბრუნებას ცდილობს. მეორმოცე სართულზე ბაღის გაშენება ვერ აკმაყოფილებს ნამდვილის მოთხოვნილებას.

31.01.2020

მივდივარ. ვხედავ. და რასაც გზადაგზა ვხედავ, ვიმახსოვრებ. და რასაც ვიმახსოვრებ, იმას ვწერ.

რატომ ვწერ?!

იმიტომ რომ არ დამავიწყდეს.

და არ დამავიწყდეს მინდა იმიტომ, რომ ცხოვრება ის არის, რაც გახსოვს.

სხვა მიზანი არ გამაჩნია. მწერალი არ ვარ. არ ვიგონებ. არ ვთხზავ. ისედაც სავსეა მოგონილი ამბებით ქვეყანა. ნამდვილი სინამდვილე იყო ყოველთვის მთავარი. ახლაც იგივე მოთხოვნილებაა. არ ვიპრანჭები! მინდა, თვალებში ჩავხედო. და რასაც დავინახავ, დავიმახსოვრო. და რასაც დავიმ-სხსოვრებ, დავწერო/აღვბეჭდო, რომ არ დამავიწყდეს/დამეკარგოს.

არ ველოდები ამ საქმისგან არც მოგებას და არც სახელს. არაფერს. მაგრამ მაქვს შანსი უფრო მეტი გავიგო, ვიდრე ვიცი. და იმიტომ მინდა მეტი ვიცოდე, რომ მეტი მივხვდე ჩემი თავისა და არ ვიყო მონა საკუთარი ვნებების. გასართობად ვერ ვიარტისტებ. თვითონ ვარ გართობის მოყვა-რული. თუ ჩემი გართობა ვინმეს არტისტობად მოეჩვენება, ეს მისი საქმეა. არ ვარ წინააღმდეგი. მაგრამ, აქვე ვაზუსტებ, პასუხს ვაგებ მხოლოდ საკუთარ თავთან და არ ვარ ვალდებული ყველას ყველაფერი ავუხსნა.

დღე იგივე. მოგვიანებით:

აჰა, წავიკითხე, რა ხდება ახალი, და უცებ მივხვდი, რომ საკუთარი პრობლემები გლობალურ გამოწვევებთან მიმართებაში ერთი ფუტკრის ზუზუნადაც არ ღირს. თუმცა, ეს აზრი იბადება იმ შეხედულებიდან, რომ ერთი ადამიანის სიცოცხლე იმდენად უმნიშვნელოა, არც ღირს ამის გამო სინანული. ვის სურს, რომ ასე ვფიქრობდეთ?

ირინა ხინიკაძე

* * *

ნაწვიმარია ქუჩა, ქვაფენილები, ძვლები,
ნაწვიმარია ზღვების ლურჯი ტანი და ტალღა.
ნაწვიმარია თვალი – ადამიანის, ღმერთის,
ნაწვიმარია ჩემი სიყვარული და დაღლა.
ნაწვიმარია ფერი გადაგდებული სულის,
ნაწვიმარია თლილი და ნაკოცნარი ხელი,
ნაწვიმარია ძარღვი არგაწყვეტილი – შუბლის,
ნაწვიმარია დარდი, რომ ვამბობდი და ვერ ვთქვი.
ნაწვიმარია ლექსი – აქამდე, რაც კი ვწერე,
ნაწვიმარია თეთრი, პატარა სახლი – სოფლის,
ნაწვიმარია ფიქრი გაუხუნარი შენზე!
ნაწვიმარია ლანდი მონატრებული მშობლის.
ნაწვიმარია ქუჩა, ქვაფენილები, ძვლები,
ნაწვიმარია ზღვების ლურჯი ტანი და ტალღა,
ნაწვიმარია თვალი – ადამიანის, ღმერთის,
ნაწვიმარია ჩემი სიყვარული და დაღლა.

* * *

საით მიდიხარ უჩემოდ... საით?
ან მე უშენოდ, რა გზას დავადგე?
და ვფიქრობ, როგორც ბეღურა ქარში –
რომ არის სახლი, ჩვენთვისაც სადმე.
სადაც გავითბობთ გაყინულ თვალებს,
სადაც არავინ არაფერს ითხოვს...
შენი სიჩუმით ავავსებ ჰაერს,
რომელიც სხვათა ხმაურებს მიჯობს.
სადაც მე მჯერა კეთილი ბოლო,
სადაც მე ჩვენზე სიმღერას ვბედავ,

სადაც ფიფქები, ბავშვივით თოთო, –
გზებსა და ხეებს დაფარავს თეთრად.
საით მიდიხარ უჩემოდ? საით?
ან მე უშენოდ, რა გზას დავადგე?
და ვფიქრობ, როგორც ბელურა ქარში –
რომ არის სახლი, ჩვენთვისაც სადმე.

* * *

დაიგვიანა, წვიმამ მოსვლა დაიგვიანა,
ტანკენარები შეჰყურებენ ზეცას ალვები,
რა სევდიანად მღერის ქნარი, რა სევდიანად,
რისთვის მოვედი? რისთვის ვიყავ? რისთვის წავედი?
არ მახსოვს წუთი – ყოფილიყო უტკბესი შენზე,
არ მახსოვს წამი – ასე ძლიერ სხვა მყვარებოდა,
ალბათ ოდესმე მე დაგიწერ მხიარულ ლექსებს,
ალბათ ოდესმე, ალბათ სადმე ჩვენი დროც მოვა.
გადაუხდელი ტკივილები, როგორც ვალები,
უხილავ ხელით იხდებიან ადრე თუ გვიან,
ზღვის ფსკერზე ყრია უსიცოცხლო ჩვენი თვალები,
და უსიცოცხლო ჩვენი ფრთებიც ზღვის ფსკერზე ყრია.
რა ულმობელი სიყვარული სცოდნია ბათუმს,
რა ულმობელი მამასავით არდავიწყება!!!
იქ, სადაც ურტყი... სადაც გირტყეს, სადაც ჯვარს ეცვი –
სადაც მთავრდება შენში კაცი – იწყება ღმერთი.
დაიგვიანა, წვიმამ მოსვლა დაიგვიანა,
ტანკენარები შეჰყურებენ ზეცას ალვები,
რა სევდიანად მღერის ქნარი, რა სევდიანად
შენთვის მოვედი, შენთვის ვიყავ, შენთვის წავედი.

* * *

ძვირფასო, რას ცვლის ეს განშორება...
რას ცვლის ეს ხალხის აურზაური...
არ კვდება, ცოცხლობს ჩვენი ოცნება –
ხელუხლებელი და უცნაური.
რას ცვლის ეს შენი ბრაზი და დაღლა,
ან რას ცვლის სევდა ეს უსაშველო
ნუ გგონია, რომ ღმერთია მაღლა –
შენში ღმერთს შენვე, უნდა უშველო.

ვიცი ძნელია, ძნელია ვიცი –
რომ შევძლო, შენზე ფიქრი და წერა,
რომ სიყვარულის ჩვენა ვართ ღირსნი –
შემთხვევა იყო თუ ბედისწერა.
ქარში, წვიმაში, თოვაში, მზეში
განა იცვლება ასე მარტივად –
ღმერთი, რომელიც ვიპოვე შენში
მამა, რომელიც არ დამავიწყდა.
და მაინც რას ცვლის ეს განშორება...
რას ცვლის ეს ხალხის აურზაური...
არ კვდება, ცოცხლობს ჩვენი ოცნება –
ხელუხლებელი და უცნაური.

* * *

უფლის ამარა შემოვრჩი ცის ქვეშ,
მზე თეთრ ღრუბლებში მიდის და ქრება,
არ შეიძლება, რომ დამავიწყდე
რომ დამავიწყდე არ შეიძლება.
შენი სულივით კრიალა წყალში
წვეთ-წვეთად ჩაღვრილ ჩემს ცრემლებს ვხედავ,
შენ მალე უნდა დაბრუნდე სახლში,
რომ არ დაბრუნდე არ შეიძლება.
სიმღერას ვატან იმ დიდ სიყვარულს
ცაში ასროლილ მერცხლების ფრთებად,
შენს ნაფეხურებს უნდა გამოვყვე –
რომ არ გამოვყვე არ შეიძლება.
უფლის ამარა შემოვრჩი ცის ქვეშ,
მზე თეთრ ღრუბლებში მიდის და ქრება,
არ შეიძლება, რომ დამავიწყდე
რომ დამავიწყდე არ შეიძლება.

* * *

ის დღე იყო და ის დღე...
ხმაურიანი გზებიდან რომ გავიქეცი.
დედას გეფიცებით...
სულ მართლად ვიარე და ჩემს სიყვარულთან მოვედი.
სიმშვიდეა – ჩემი სიყვარული.
გზად ღმერთი შემომხვდა.

აბა უღმერთოდ, სულ მართლად ვერ ივლის ადამიანი.
ის დღე იყო და ის დღე...
სასტიკი წვიმებიდან რომ გავიქეცი.
სასტიკი წვიმები იციან პატარა ქალაქებმა.
უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე...
სველ ჭრილობებზე მზე დავიყარე
და ჩემს სიყვარულთან მოვედი.
სიმშვიდეა – ჩემი სიყვარული.
ის დღე იქნება და ის დღე...
მამა რომ დაბრუნდება,
სამუდამოდ დახუჭულ თვალებს ავუხელ
და სიამაყით ვეტყვი:
შეხე ჩემს სიყვარულს მამიკო...
რა ლამაზია, იმიტომ რომ მართალია.
სიმშვიდეა – ჩემი სიყვარული.

თენგიზ გორგოშაძე

ადრე წავიდა ამქვეყნიდან (1964-2006). დაიხარჯაო, აჭარაში იტყვიან გარდაცვლილზე, რომელიც სიკეთით ცხოვრობდა სააქაოს. ნაადრევად დაიხარჯა თენგიზ გორგოშაძე: თხუთმეტი წლის წინ, სულ რაღაც ორმოცდაორი წლისა...

წერდა... თუმცა იშვიათად ბეჭდავდა. მერე ორმა მისმა მომცრო პოეტურმა კრებულმა დაიტია მისი სულიერი სამყაროს სხივი, საოცარი გულწრფელობით გამორჩეული ემოცია და ზოგჯერ იმედიც, თუმცა, უფრო მეტად, სევდა და ტკივილი...

ეს მთელი მისი თაობის თანამდევი ტკივილია, ეპოქის კვალი სულშიც და ყოველდღიურ ყოფაშიც, პოეზიის სანთელი, რომელიც გულის ცეცხლით ანთია და იწვის: „ყოველ ნაბიჯზე ცოდვისა და სისხლის შხეფია... გავყურებ ხვალეს და მეშინია. ჩემმა დღეებმა იმედების კარი დარაზეს“...

სამყაროსთან ურთიერთობის ურთულესი გზაა პოეზია. სიბრძნის დარგიცაა და მოვარდნილი მეწყერიც. შემოქმედის სულის ჩაუმქრალი ნაწილი კი ყველაზე მკაფიოდ მაინც მისსავე შემოქმედებაში რჩება...

ეს ლექსებიც პოეტის გახსენებაა: ნაადრევად წასული კაცისა...

ჩემს დაბადებას დემონები არ დასწრებიან

ჩემს დაბადებას დემონები არ დასწრებიან,
ანგელოზებმა დამანათლეს სული კეთილი,
შექმნეს პროფილი უბოროტო და უსუსური,
საიქიოსთვის გამოკვეთილი.
ზედმეტი მომცეს მორიდება, ტრფობა, სინაზე...
მე რა მინდოდა, რა მინდოდა ამ ქვეყანაზე.

შეუსაბამოდ იფერფლება ჩემი ასაკი,
ვერ აღვუდექი წინ საწუთროს ვნებას ჟინიანს,
ყოველ ნაბიჯზე ცოდვისა და სისხლის შხეფია...
გავყურებ ხვალეს და მეშინია.
ჩემმა დღეებმა იმედების კარი დარაზეს,
ო, რა მინდოდა, რა მინდოდა ამ ქვეყანაზე.

ტრფობაში მსურდა ვყოფილიყავ ავთანდილივით,
(ო, სიყვარულიც სააქაო ფარსი ყოფილა),

ყოველდღიურმა სისაძაგლემ სული დაღალა
და შემიძულა შავი ჭირივით.
ჩემი პროფილი სააქაოს ვეღარ აბრაზებს,
მე რა მინდოდა, რა მინდოდა ამ ქვეყანაზე.

ექვსი თაობა

„ეს კაცი – ბაბუასთვის მამამისს უთქვამს –
ბაბუაჩემი არის“...
თან უჩვენებია დროით დესპოტით
ნახატი ყდაშემომცდარი.
ამ კაცზე – მამა მეუბნება ბაბუის ნათქვამს –
ერთი ამბავი სოფელში დადის;
(ის ამბავს იხსენებს, რადგან
დრომ მოსპო იმ კაცის ხატი).
– ყანიდან დაბრუნებულს, კოჟრებგამრავლებულს,
მეუღლე მიუხვდა წადილს.
(– უსიტყვოდ, ეჰ, იმ დროს ვეყურბანე,
განა ჩხუბითა და დავით,
– მამას ულვაშებში ეღიმება,
ამას დედის ჯიბრზე სჩადის),
ხელ-ფეხი დაჰბანა, სადილად მოართვა
ლობიო, ჯვრიანი მჭადით.
მაშინ დაავიწყდა, დათვს რომ ეძახოდნენ
ყველანი ჭამა-სმის მადით,
მჭადს უხმოდ უყურა შუბლი გაუბრწყინდა
სხვა იერითა და მადლით,
უყურა, უყურა... არც თვითონ მოტეხა,
ბადიშსაც ასწავლა ყადრი,
და როცა გაცივდა, და როცა გაქვავდა,
აღარ იჭმებოდა მჭადი,
ცარიელს ლუკმავდა, ღიმილს აყოლებდა,
ნამდვილი დათვური მადით,
და როცა გამძღარა (სვავივით გამძღარა),
ჩეროში გაშოტილა
(გელინს ბალიში მიურთმევია,
ლერწამად აშოტილა),
ჩურჩულით უთქვამს (გულ-მკერდზე ხელის მოსმით)
– გელინ, აქ ჯვარი მტკივა,
მთელ ღამეს უბორგია, ბევრი უბოდია და დაუსვენია დილას.
მამა მეუბნება ბაბუის ნათქვამს:

– მამას ეს კაცი არ უყვარდაო,
ჯვარს მიტომ უყურებდა, ალბათ ეშმაკისგან
გაქიაფირდა და გაგიავრდაო,
საღამოს შენაცოდი – ტანჯვით და წამებით
დილით ცხვირ-ბუკიდან წამწარდაო,
ჯენნეთში გასაშვები, თავისი საქმეებით
ალაჰს საჯერნემოდ ჩაბარდაო.
მე მესმის ორივე წინაპრის,
(მამის პოზიციაც მესმის),
სულ პირველს ჯვარის სახით მოენატრა
თავისი ჯილაგის ფესვი,
მეორეს,
(რწმენით სახეცვლილი თაობისას)
პირველის მიმართ
გულში უღვივოდა გესლი,
და მამა იმ ორზე იღიმება,
სქელი ულვაშების ხრესვით,
ჩვენ სიტყვა არ გვინდა, ერთი დროისა ვართ,
ერთ-ურთის უსიტყვოდ გვესმის;
– საქმეა მოსასწრები, თორემ ფიქრის ბაღებს
ხვალის დღე თილისმად ესხმის.

ღამე

I

ახლა ღამეა – ღამის დაბადების დღეა.
ვინ იცის რამდენი წლისაა ღამე? რამდენი ხანია
მას შემდეგ რაც დედის საშოდან სიშავით აშრიალებული
შამბნარში შევარდა შეშინებული, შურიანი დღით შეშინებული.
შორს გაუშლია სეფა საქეიფოდ, მის სულს სურს, უსურვაზივით
შემოეჭედოს ყელზე მსოფლიოს, და სიხარულით ასისინებული
სიო, ღამის სარდაფში ცეკვავს სამაიას, სამი საძმო სიმი –
სიო, დაისი, სინაზე – ღამის სარდაფში სამობენ სამაიას.
ღამე ბერს სკლეროზი საფეთქლებს უზელს – რომ გაახსენოს
დრო, როცა ადამიანები – ეს ყეყეჩი ამპარტავნები – ხეებზე
კუდით ეკიდებოდნენ და მკვახე ნაყოფს იტენიდნენ ხარბად ხახაში.
იცის ღამემ, ურჯულო ღამემ, გულების საქმე.
ბევრჯერ სმენია სიყვარულზე მთვარიან ღამეს
და მუდამ ტანში აჟრჟოლებდა სიხარულისგან: რადგან
ლამაზ რამეს, ია-იებით მოფენილ შარას, ან ოქროს
დალალს, ბედიღბლის კარავს აგონებდა – სხვა რამეს არა.

ბრმა სკლეროზმა ღამეს საფეთქლებზე მარწუხები
შემოუჭირა, მაგრამ ვერაფრით ვერ ამოუგდო
თავის ქალიდან სიტყვა „სიყვარული“ და „სიხარული“,
ასისინებული სიო ღამის სალხინოდ ცეკვავს სამაიას.

II

მე მოხუცი ვარ, უფრო მოხუცი, ვიდრე ეს ღამე
და რა თქმა უნდა, უფრო მოხუცი ვიდრე
სკლეროზი. ჩემი გონება განგებას გაისიგრძეგანებს –
გამოთვლის ღამის გაჩენის ხანს.
ღამეს არ ძალუძს მომიკლას გული, ღამეს არ
ჩააცვას ძაძა ცამდე აწვდილ ძლიერ სულს
ჩემსას, რადგან მე მაქვს ის, რაც ყველას შეშურდება –
მე მაქვს იმედი. დრო მიდის – მოდის დარდი, დაღონება.
მაგრამ მე მომდევს სამარადისოდ დიდი იმედი გამარჯვებისა.
მე ძლიერი ვარ ვიდრე ღამე.
მე ძლიერი ვარ ვიდრე ღამე.
მაგრამ არც ღამეა უძლური, ამიტომ მიყვარს
იგი, ამიტომ ვეტრფი შავს.

* * *

მადლობელი ვარ ძვირფასო, შენი,
შენგან შორს წასვლა რომ მეძნელება,
შენ შემაყვარე ცოდვილი მიწა,
ვით ამ იებმა და ენძელებმა!
შენ შეიფარე პოეტის სული,
ვაჭრულ ბუნაგის მწირი ხიზანი,
და მასზე ზრუნვით ისე ბერდები –
წუხელ სიზმარში ვეღარ გიცანი.
რა ვქნა, ცხოვრებამ გამხადა ცივი
ესეც შემინდე ქალო რაინდო...
მინდა ავკინძო ცვარ-ნამის მძივი
და მეტაფორად ყელზე დაგკიდო.
ეხლა სხვა გრძნობის კარი გაიღო
და სიხარული გადაიწმინდა –
წარმოვიდგინე შენ რომ არ იყო,
წარმოვიდგინე და შემეშინდა.
მადლობელი ვარ ძვირფასო, შენი,
შენგან შორს წასვლა რომ მეძნელება,
გაგილამაზო მინდა ცხოვრება
ვით ამ იებმა და ენძელებმა.

* * *

„მალე გაზაფხული მოვა“,
სული ცის კამარას ეტრფის,
მერცხლის ამღერდება გროვა
და მეც ავმღერდები შენთვის.

მარტი შეშფოთებულ იებს
პირველ კოცნასავით გაშლის,
ფერადს მიმოაბნევს იმდენს
თვალი დაიღლება თვალში.

ასაკს გამოიწვევს ხმალში,
დარი ვნებისაკენ მიწვევს
და ვით პაემანზე მაშინ,
შენ დაგელოდები ისევ.

* * *

რა საქმე მაქვს? ხმალი მე არ მაბარია
და არც ერი სამომავლოდ სატარები,
ლექსების თქმა სწორედ ჩემი საფერია
ვიცხოვრებ და გულში ბოღმით მეყვარები.
იმ სურვილის ყავლი უკვე ნაცარია
დაკრძალვისთვის მზად არიან ეს ზარები,
მე რა შემწევს: ხმალი მე არ მაბარია
ვიცხოვრებ და მკვდარიც ისევ მეყვარები.
რიგში ვდგავარ, პანაშვიდიც გავლილია,
გვირგვინს დავდებ შენს საფლავზე ჩემი რიგით,
თავს ვიმშვიდებ: ჩემეული ყვავილია
არა სხვისთვის მონაპარი უცხო ხრიკით.
მე რა ძალმიძს ხმალი მე არ მაბარია.

მერის

ჩემი ოცნება კაბას გიკერავს,
ცდილობს შეგამკოს ნაირფერებით,
შენი თმის ღერი ხელში მიჭირავს,
ხელში მიჭირავს და ვეფერები.

ეს სიყვარული მწველი და დიდი
ჩვენს ყოველ ასოს თანაბრად ერგო,
შენ თმებს აწვალებ კრძალვით და რიდით
მე ვცდილობ შენი ფიქრი გავიგო.

გული იჭრება და მაინც ითმენს,
თუ ვერ მოითმენს რაღა გულია,
ო! ნუ აწვალებ ძვირფასო მაგ თმებს
მაგ თმებში ჩემი სიყვარულია.

ფიქრები არაპოეტურად

ხვალ დილით, მე რომ ადრიანად გავიდე გარეთ,
როგორც იტყვიან, მზეს დავასწრო სახლიდან გასვლა,
ტანთ, რომ მემოსოს თეთრი „მისტერ დე“,
შავი ჰალსტუხით, ვერიდებოდე ფეხსაცმლის ტალახში გასვრას,
ხელით ვატარო სისხლიანი ჩემი ლექსები,
რომ ვილოდინო ტყავგაკრულ კართან,
რომ გამოვნახო ათასგვარი ცნობა, მოწმობა,
მაშინ იქნებ მეც ნამდვილად დავიბეჭდები.
რა გაეწყობა, ლექსების წიგნს ხომ მედროვე მართავს.
სანამ გეტყოდე, რა მოხდება, რომ დავიბეჭდო
მანამდე მინდა განგიმარტო სიტყვა – „მედროვე“
მედროვე ერქვა იმას ვისაც ფეხზე ეკიდა
ცვალებადობა და გაყინვა, ვისაც ყოველთვის
მარაგად ჰქონდა ორი დროშა, ორი ფერისა,
ეს მაშინ იყო. ეხლა მედროვე
სულ სხვა თარგზეა გამოჭრილი,
სირცხვილი ახრჩობს, მაგრამ მაინც
სკამს უფრთხილდება და უბოროტო,
ნულოვანი ხმით ცდილობს კრუტუნს,
ის ძალიან ჰგავს პატრონის ფეხთან
მოკურტნულ ფისოს.
ჰო, გამიგრძელდა რატომღაც სიტყვა:
რა მოხდებოდა, რომ დავიბეჭდო
წარმოიდგინეთ: დაკოდილი ხარების ჯოგი,
მთქნარებით წიწკნის ნამიან ბალახს,
ერიდებიან ლაფსა და ტალახს,
და უკვდავების წყაროს სვამენ პრიმიტიულად,
ვთქვათ შემოვარდა მათში მოზვერი,
სიცოცხლით სავსე, სიცოცხლეზე შეყვარებული,
და გაახსენდათ დაკოდილ ხარებს, რომ

მათი ჯიში ასე არ ცხოვრობს,
რომ ამ ცხოვრებას ძალადობით უდებენ წესად.
რა, დაიწყება ახალი ერა? არა ბატონო,
დაკოდილ ხარებს კვლავ სიკვდილზე ტირილი უჯობთ,
კვლავ მორიდება ლაფსა და ტალახს,
საწყალ მოზვერს, ხომ მოეჭრება საქვეყნოდ თავი
და გაცრუება იმედისა დასტოვებს სახტად.
ამიტომ მიჯობს ვწერო ჩუმად,
ჩუმად ვიფიქრო და ხვალინდელი ლექსები ვწერო...
ფაფარ აყრილმა მინდვრები ვსერო.

* * *

მე იმ ვარსკვლავთა მიღმა ვიწყები,
და ამ ტირიფის ჩრდილქვეშ ვთავდები,
აქ სადგურდება ჩემი ფიქრები,
ჩემი ეჭვები და იმედები.

ამ ვარსკვლავიდან – ამ ტირიფამდე
სიძულვილიც და ტრფიალიც ჰყრია,
არის გულები მე რომ მივენდე,
არის გულები რომ ვუძღვენ ტყვია.

ზეცაში იყო მარადი კოშკი,
მიწის ედემიც ხიბლავდა თვალებს,
გზას მივმუხლავდი ოფლისფერ დროშით,
შუბლის ტკივილით ვაღებდი კარებს.

ჩემს ნატერფალზეც აჩნდა ტალახში
ამოზელილი ტურფა იები,
შეუნდობელი საპატიები
და შენდობილი უპატიები.

* * *

შენ მოხვიდოდი,
და რა იცოდი
ჩასაფრებული თუ ვიქნებოდი,
კოცნისთვის არა –
მხოლოდ იმისთვის
რომ მეთქვა:

აჰა, ლექსთა კრებული.
შიგ არის რასაც
ეგ გული ფარავს,
რასაც ინახავს
მარტოდენ შენთვის,
რომ შენ გულს,
არა, არ გადაეთქვა
უთქმელი ფიცი –
ყველაზე მტკიცე.

* * *

მე ახლა მინდა ფოთოლცვენის დრო იყოს სოფლად
(შემოდგომაზე მონატრების სევდა მეტია)
კვლავ მოვყვებოდე გზაბაწარებს შენამდე ობლად
და კვლავ მიყვარდეს ის ვარსკვლავი, სულ რომ კენტია,
რბილი ხმაური ფოთოლცვენის ხსნიდეს მირაჟებს;
ზურგშექცეული, თმაგაშლილი მზის მტვერში დგახარ,
ჩუმად გიცქერდე, ჩუმად ვცლიდე სავსე ფუჟერებს,
სადღეგრძელოებს ვიგონებდე ახალს და ახალს.
ჰკრთოდეს ნიავი, ფოთოლცვენის სევდით მოსილი
და ჩემი სიტყვა წარმავლობას ჭირისუფლობდეს
და ხელისგულზე დაცვენილი მკვდარი ფოთოლი
დასატირებლად ჩვენს წმინდა ცრემლს კვნესით უხმობდეს.
ო, გევედრები გაიმეტე ეს იდილია!
ნუ მომანატრებ მონატრებას კუბოს კარამდე,
მაგრამ ვაი, თუ ფოთოლცვენა გადახდილია
და ხვედრად მერგო მარტის იებს სითბოს ვპარავდე.

* * *

ო, პოეზიავ, თენგო,
შენი დიადი პრიზმის,
ამაყად დადგა კართან,
არ წამებია რადგან
არავითარი „იზმი“,
პატრიოტიზმის გარდა.

ქნევას ლომებრივ ტორის
ახდენს სინათლე თვალთა,

სხვა საძლეველი არ მაქვს
აწმყოს დაძლევის გარდა.

მოსეს იმედი მესმის,
მესმის და მაინც ვკარგავ,
არავითარი „იზმი“,
პატრიოტიზმის გარდა.

ჩემი მამულის ხვალევ,
ათასწლეულის ფარდავ,
არავითარი ძეგლი
შენი შვილობის გარდა.

* * *

მერის

მე ვზივარ და სტრიქონს ვლამბავ,
შენ ჩემს პერანგს ღილებს აბამ,
ფიქრით ზვერავ ხვალის ამბავს –
ჩემს გზებს სულ დიდებით ბამბავ.
ოცნებაში ბრძენად მრანდავ,
მხედავ უკვდავების კართან,
სიხარულებს ჩეჩქად ფანტავ
მახსნევინებ სივრცის ფარდას...
რასაც ვწერ და რასაც ვხატავ
იცის ვინმემ ჩემზე კარგად?
შენ ამ ეჭვებს ჯმუხად ფანტავ,
არ იკარებ, წამსვე ჰკარგავ.
მე ვზივარ და სტრიქონს ვლამბავ,
შენ ჩემს პერანგს ღილებს აბამ.

კაზუო იშიგურო

ესტრადის მომღერალი

იმ დილას, როცა ტურისტებს შუა მოკალათებული ტონი გარდნერი შევნიშნე, ვენეციას ისის იყო გაზაფხული შემოჰპარვოდა. მოედანზე პირველ კვირაში ჩასატარებელი კონცერტები უკვე დამთავრებული გვქონდა. თავს უფლებას ვაძლევ მოგახსენოთ, რომ იმ ხანგრძლივ გამოსვლებთან შედარებით, რომლებიც მანამდე კაფის სიღრმეში გვიწევდა და შიდა კიბეზე ასვლის მსურველთაც ფეხებში ვებლანდებოდით, ეს ნამდვილი შვება იყო. გვარიანად ქარიანი დილა იდგა და ჩვენი ანსამბლის ახალ, მოზრდილ კარავს აქეთ-იქით აქანავებდა, მაგრამ თავს შედარებით მხნედ და ენერგიულად ვგრძნობდით, რაც ვფიქრობ, ჩვენს შესრულებასაც ემჩნეოდა.

თუმცა, ახლა ისე ვლაპარაკობ, თითქოს რომელიმე ჯგუფის მუდმივი წევრი ვიყო. სინამდვილეში მეც ერთ-ერთი იმ „ბოშათაგანი“ ვარ (როგორც სხვა მუსიკოსები გვიწოდებენ), ერთ-ერთი ის ბიჭი გახლავართ, რომლებიც სამი ადგილობრივი კაფის, რომელიმე ორკესტრისთვის დახმარების თხოვნის მოლოდინით, მოედანზე დაეხეტებიან. უმეტესად აქ, კაფე №232, „ლავენაში“ ვუკრავ, თუმცა ისეც ხდება, რომ დატვირთულ ნაშუადღევს, შესაძლოა „კვადრის“ ბიჭებსაც მივეკედლო, „ფლორიანსაც“ დავეხმარო და მოედნის გავლით, კვლავ „ლევანაში“ დავბრუნდე. ყველა მათგანს და მიმტანებსაც მშვენივრად ვეწყობი და ნებისმიერ სხვა ქალაქში ალბათ უკვე დამკვიდრებულიც ვიქნებოდი, მაგრამ ტრადიციებითა და დრომოჭმული წარსულით გაჯერებულ ამ ქალაქში ყველაფერი თავდაყირაა. გიტარისტები ყველგან სასურველნი არიან. თუმცა აქ? რაა, გიტარა? მის დანახვაზე კაფის მეპატრონეები მაშინვე იმრიზებიან. გიტარა არა, – ძალიან თანამედროვეა. შემოდგომაზე ჯაზის ერთი ძველმოდური, ოვალურ-სახმო ფოსოიანი გიტარა ვიშოვე, ალბათ ისეთი, როგორზეც ჯანგო რეინჰარდტი[1] უკრავდა ხოლმე და მისი წყალობით, ჩემს როკენ-როლის მუსიკოსობაშიც ეჭვსაც ვეღარავინ შეიტანდა. ამით საქმე ცოტა გავიიოლე, თუმცა კაფის პატრონები მაინც ცხვირს მიბზუებდნენ. საქმე ისაა, რომ თუ გიტარისტი ხარ, მაინცდამაინც ჯო პასი[2] უნდა იყო, სხვანაირად ამ მოედანზე მუდმივად არავინ გამუშავებს.

რა თქმა უნდა, მე კიდევ ერთი უმნიშვნელო რამეც მიშლის ხელს, – იტალიელი არ ვარ, მითუმეტეს, – ვენეციელი. იმ ზორბა ჩეხ ბიჭსაც,

[1] ჯანგო რეინჰარდი (1910-1953) – ფრანგული წარმოშობის ბელგიელი ჯაზ-გიტარისტი და ბოშური წარმოშობის კომპოზიტორი, რომელიც XX ს-ის ერთ-ერთ უდიდეს მუსიკოსად ითვლება.

[2] ჯო პასი (1929-1994) – სიცილიური წარმოშობის, XX ს-ის ერთ-ერთი უდიდესი ჯაზ-გიტარისტი.

ალტის საქსაფონზე რომ უკრავს, იგივე პრობლემა აქვს. ჩვენ ყველას ვესიმპათიურებით, სხვა მუსიკოსებსაც ვჭირდებით, მაგრამ ოფიციალურ საკონცერტო პროგრამებში ჩვენი ვინაობა მაინც არ შეაქვთ. – მხოლოდ დაუკარით და ენას კბილი დააჭირეთო, – აი, ეს არის, რასაც კაფის მეპატრონეები ყოველთვის შეგვახსენებენ ხოლმე. – ასე ტურისტები ვერ მიხვდებიან, რომ იტალიელები არ ხართო. შესაფერისად უნდა გეცვათ, მზის სათვალე უნდა ატაროთ, თმა უკან გადავარცხნილი უნდა გქონდეთ და განსხვავებასაც ვერავინ იგრძნობს, მხოლოდ ხმა არ უნდა ამოიღოთ, საუბარი არავის გაუბათო.

მაგრამ, პირადად მე საწუწუნო სულაც არაფერი მაქვს. სამივე კაფის ორკესტრი, როცა მოედანზე დაკვრა ერთდროულად უწევთ და ერთმანეთის კონკურენტები არიან, გიტარის მელოდიური, მტკიცე, თუმცა ნაღდი, მჟღერი აკორდის ფონის გარეშე ვერაფერს გახდებიან. ალბათ, გაიფიქრებთ, რომ ერთსა და იმავე მოედანზე, სამი სხვადასხვა ჯგუფის ერთდროული შესრულება ნამდვილ დომხალს ემსგავსება, მაგრამ წმიდა მარკოზის საკმაოდ დიდი მოედანი ამას თავს იოლად ართმევს. მოედანზე მოსეირნე ტურისტის ყურს ხან ნელი, მიმქრალი მელოდია მისწვდება და ხანაც – ხმამაღალი, ისე, თითქოს რადიო არხების გადამრთველს ატრიალებდეს. ერთადერთი რამ, რაც აქ ტურისტებს არ ბეზრდებათ, კლასიკური მუსიკაა და ცნობილი არიების გადაკეთებულ ინსტრუმენტალურ ვერსიებზეც უარს არ არიან. კი ბატონო! ეს ხომ წმიდა მარკოზია, აქ თანამედროვე პოპულარული სიმღერები არავის უნდა. ყოველ წუთს რაღაც ძველი და ნაცნობი სურთ: ან ჯული ენდრიუსის[3] ადამისდროინდელი შესრულება, ან სულაც რომელიმე ცნობილი ფილმის მელოდია. მახსოვს, ერთხელ, გასულ ზაფხულს, ერთი ორკესტრიდან მეორეში ხეტიალისას, მარტო ერთ დღეში „ნათლიის“ მუსიკა ცხრაჯერ მაინც დავუკარი.

ასეა თუ ისე, იმ გაზაფხულის დილას, როცა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ტურისტების წინაშე ვუკრავდით, ყავის ფინჯანთან ერთად, განმარტოებით მჯდარი ტონი გარდნერი დავინახე, ლამის ცხვირწინ გვიჯდა, ალბათ, ჩვენი კარვიდან სულ რაღაც ექვსიოდე მეტრის მოშორებით. მოედანზე ცნობილ ადამიანებთან შეხვედრა ჩვენთვის უცხო არ არის, მათი დანახვა სრულებითაც არ გვაღელვებს. სიმღერების დასრულების შემდეგ, ისეც ხდება, რომ შესაძლოა ანსამბლის წევრებმა ერთმანეთს ჩუმად გადავულაპარაკოთ: შეხედე, ეს ხომ ვორენ ბითია[4], კისინჯერს[5] თუ ამჩნევ? აი, იქით, ის ქალი, იმ ფილმში თამაშობს, ადამიანები ერთმანეთს სახეებს რომ უცვლიან. ჩვენ აქ მსოფლიოს ვარსკვლავებთან შეხვედრას მიჩვეულნი ვართ. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ წმიდა მარკოზის მოედანია. თუმცა, როცა მივხვდი, რომ იქ ნამდვილად ტონი გარდნერი იჯდა, ეს სულ სხვა რამ იყო. ძალიანაც ავღელდი.

ტონი გარდნერი დედაჩემის საყვარელი მომღერალი გახლდათ. დიდი ხნის წინათ, ჩემს სამშობლოში, ჯერ კიდევ კომუნისტებამდე, მისი სიმღერების ჩანაწერების შოვნა იოლი საქმე სულაც არ იყო, მაგრამ დედამ მოახერხა და საკმაოდ კარგი კოლექციაც გვქონდა. ერთხელ, ბავშვობაში, ერთი ასეთი ძვირფასი ფირფიტა დამეჩხაპნა. ჩვენს ბინაში სივიწროვე იყო და ჩემი ასაკის ონავარი ბიჭი, რა თქმა უნდა, ერთ ადგილზე ვერ გაჩერდებოდა, განსაკუთრებით ზამთრის ცივ სეზონზე, როცა გარეთაც ვერ გახვალ. ასე, რომ, ერთხელაც, პატარა დივნიდან სავარძელში გადახტომით თავს ვირთობდი, ფირ-საკრავს წამოვედე და დავაზიანე. ნემსი ფირფიტაზე აცა-ბაცა სრიალებდა. ეს დიდი ხნის წინათ მოხდა, კომპაქტ-დისკების მოდაში შემოსვლამდე. დედაჩემი სამზარეულოდან გამოვარდა და ჩხუბი დამიწყო. ძალიან ცუდად

[3] ჯული ენდრიუსი (დ. 1935) – ბრიტანელი მსახიობი, მოცეკვავე და მომღერალი.
[4] უორენ ბიტი (დ. 1937) – ცნობილი ამერიკელი მსახიობი, პროდიუსერი, სცენარისტი, რეჟისორი.
[5] ჰენრი კისინჯერი (დ. 1923) – ცნობილი ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი და საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი.

გავხდი. იმიტომ არა, დედა რომ მიყვიროდა. მივხვდი, ტონი გარდნერის ერთ-ერთი ძვირფასი ჩანაწერი გავაფუჭე და ისიც გავაცნობიერე, ეს მისთვის როგორი მნიშვნელოვანი იყო. ახლა უკვე ვიცოდი, რომ ტკბილად ნამღერ იმ ამერიკულ სერენადებს, იგივე ხმაზე ვეღარ მოვისმენდი. წლების შემდეგ, როცა უკვე ვარშავაში ვმუშაობდი და შავ ბაზარზე გასაყიდ მუსიკალურ ფირფიტებშიც გავერკვიე, დედაჩემს ტონი გარდნერის ალბომების ძველი კოლექცია სრულიად ახლით შევაცვლევინე, სადაც ის ფირფიტაც იყო, ბავშვობაში რომ დავუზიანე. ამ საქმეს სამი წელი მოვანდომე, ასე, სათითაოდ ვიძენდი და როცა შინ, დედის სანახავად ჩავდიოდი, ყოველთვის ახალ-ახალ ფირფიტებს ვჩუქნიდი ხოლმე.

ახლა, დარწმუნებული ვარ, ნამდვილად გამიგებთ, ასე ძალიან რატომაც ავღელდი, როცა სულ რაღაც ექვსიოდე მეტრის მოშორებით თავად ის, – ტონი გარდნერი შევამჩნიე. თავდაპირველად თვალებს ვერ ვუჯერებდი და მომდევნო აკორდზე გადასვლა ლამის მთელი ტაქტით დავაგვიანე. ტონი გარდნერი! ნეტავ, რას მეტყოდა ჩემი ძვირფასი დედა, ამ ამბავს რომ ვუამბობდი! ზუსტადაც რომ მისი გულისთვის, მისი ხსოვნის პატივსაცემად, მასთან მისვლა და გამოლაპარაკება მმართებდა, სულაც არ მადარდებდა, დამცინებდნენ თუ არა სხვა მუსიკოსები და ჩემი საქციელის გამო, სასტუმროს კარისკაცს შემადარებდნენ.

მაგრამ, რასაკვირველია, მისკენ დაუყონებლივ, ასე თავქუდმოგლეჯით ვერ გავვარდებოდი, გზა და გაზა მაგიდებს და სკამებს მუჯლუგუნის კვრით აქეთ-იქით ვერ მივყრიდი. ჯერ ჩვენი პროგრამა უნდა დაგვესრულებინა. უნდა გითხრათ, რომ ეს ნამდვილი აგონია იყო, კიდევ სამი თუ ოთხი სიმღერა უნდა შეგვესრულებინა და ყოველ წამს ველოდი, რომ წამოდგებოდა და წავიდოდა. თუმცა ისევ იქ იჯდა, წყნარად, თავისთვის, ფინჯანს მიშტერებული და ყავას ისეთი შეფიქრიანებული ურევდა, თითქოს ვერც ხვდებოდა, ოფიციანტმა რა მიუტანა. ნებისმიერი სხვა ამერიკელი ტურისტისგან არაფრით განსხვავდებოდა, – ღია ცისფერ, მოკლესახელოიან პერანგსა და განიერ ნაცრისფერ შარვალში გამოწყობილი. ის ძალიან მუქი, ძალიან მბზინვარე თმა, როგორიც ფირფიტების ჩასადები კონვერტებიდან მახსოვდა, თითქმის მთლად გაჭაღარავებოდა, თუმცა არ გასცვენოდა და სათუთად მოვლილ-დავარცხნილს კვლავაც იმ ძველმოდურ სტილზე ატარებდა. პირველად რომ შევნიშნე, ხელში მუქ სათვალეს ატრიალებდა და ალბათ, ზედ რომ კეთებოდა, ვერც ვიცნობდი-მეთქი, ჩემთვის გავიფიქრე. მთელი ჩვენი კონცერტის განმავლობაში თვალს ვერ ვაშორებდი, სათვალეს დრო და დრო იკეთებდა და იხსნიდა, მერე ისევ იკეთებდა. ფიქრებში გართული ჩანდა და იმედგაცრუება ვიგრძენი, როცა მივხვდი, რომ ჩვენი შესრულება სულაც ფეხზე ეკიდა.

კონცერტი დავამთავრეთ. კარვიდან ჩქარი ნაბიჯით ისე გამოვედი, არავისთვის არაფერი მითქვამს, პირდაპირ ტონი გარდნერის მაგიდისკენ გავეშურე, მერე ერთი წამით პანიკამ შემიპყრო, არ ვიცოდი, საუბარი რით დამეწყო. მის უკან ავიტუზე, მაგრამ მეექვსე გრძნობამ უკარნახა, შემოტრიალდა და ამომხედა, – ალბათ, თაყვანისმცემლებთან მრავალწლიანი ურთიერთობის ჩვევამ თავისი ქნა. მერე უკვე საკუთარი თავი წარვუდგინე, ავუხსენი თუ როგორ ვიყავი მისით აღფრთოვანებული, ვუთხარი, რომ იმ ანსამბლში ვუკრავდი, რომლის შესრულებაც ის-ის იყო მოისმინა, რომ დედაჩემი მისი თაყვანისმცემელი იყო და მისთვის ჭკუას კარგავდა. ეს ყველაფერი ერთი ამოსუნთქვით ჩამოვურაკრაკე. სერიოზული სახით მისმენდა, ყოველი წამის შემდეგ თავს მკურნალი ექიმივით მიკრავდა. საუბარს დაუსრულებლად ვაგრძელებდი და დრო და დრო მხოლოდ ამას მეკითხებოდა: „მართლა? ასეა?“. როგორც იქნა, მივხვდი, რომ უკვე თავის დანებების დრო იყო და ის-ის იყო, დამშვიდობებას ვაპირებდი, რომ მითხრა;

– მაშასადამე, თქვენ წარმოშობით ერთ-ერთი კომუნისტური ქვეყნიდან ხართ. ალბათ, თქვენთვის რთულია.

– ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, – მხრები უდარდელად ავიჩეჩე. – ახლა უკვე თავისუფალი ქვეყანა გვაქვს. დემოკრატია.

– მოხარული ვარ, თუ ასეა. და ის ანსამბლიც თქვენია, სულ ცოტა ხნის წინ ჩვენთვის რომ უკრავდა? დაბრძანდით. ყავას ხომ არ მიირთმევთ?

ვუთხარი, რომ არ მსურდა მისთვის საკუთარი თავი მომეხვია, მაგრამ მისტერ გარდნერმა ოდნავ შეპარული სიჯიუტით მითხრა:

– არა, არა, იყავით. დედათქვენს ჩემი ფირფიტები მოსწონდა, ხომ ასე მითხარით?

ისევ დავჯექი და ცოტა რამ კიდევ მოვუყევი: დედაზე, ჩვენს სახლზე, შავ ბაზარზე გასაყიდად გამოტანილ ფირფიტებზე. მისი ალბომების სახელწოდებები ვერ გავიხსენე და ფირფიტების კონვერტებზე დახატული სურათების აღწერა დავიწყე, ისე, როგორც მახსოვდა და ჩემი ყოველი მინიშნების შემდეგ, თითს ზემოთ იშვერდა და რაღაც ამდაგვარს ამბობდა:

– ოჰ, ეს „განუმეორებელი“ უნდა ყოფილიყო. „განუმეორებელი ტონი გარდნერი“.

ის-ის იყო, ამ თამაშის ეშხში შევედით, რომ უცბად მისტერ გარდნერმა გვერდზე გაიხედა, მეც მაშინვე თვალი მის მზერას მივადევნე და ჩვენსკენ მომავალი ქალი დავინახე.

ის იმ ამერიკელ, საუკეთესო ქალბატონთაგანი გახლდათ, რომლებიც თმას ზედმიწევნით უვლიან, ელეგანტურ სამოსს იცვამენ, დახვეწილი ფიგურა აქვთ და ვერანაირ ასაკს ვერ მისცემთ, ვიდრე ახლოდან არ ნახავთ. შორიდან ერთ-ერთი პრიალა მოდების ჟურნალის ფოტო-მოდელს მივამსგავსე, მაგრამ, როცა მისტერ გარდნერს გვერდით მიუჯდა და მზის მუქი სათვალე შუბლზე აიწია, მივხვდი, რომ მეტის თუ არა, სულ ცოტა ორმოცდაათის მაინც იქნებოდა. მისტერ გარდნერმა მითხრა:

– ეს ლინდია, ჩემი ცოლი.

მისის გარდნერმა ოდნავი ძალდატანებით გამიღიმა და ქმარს მიუბრუნდა:

– და ეს ვინ არის? მეგობარი გაიჩინე?

– ასეა, ძვირფასო. მასთან საუბარში დრო მშვენივრად მოვკალი... უკაცრავად, მეგობარო, არც კი ვიცი, რა გქვიათ.

– იანი, – სწრაფად ვუპასუხე, – თუმცა მეგობრები იანიკს მეძახიან.

ლინდი გარდნერმა მკითხა:

– გინდა თქვათ, რომ თქვენი მეტსახელი ნამდვილზე გრძელია? ეს როგორ?

– ბიჭს უხეშად ნუ მიმართავ, ძვირფასო.

– არ ვუხეშობ.

– უცხო სახელებს მასხარად ნუ აიგდებ, ძვირფასო. ცოტა ჭკუას მოუხმე.

ლინდი გარდნერი უმწეო გამომეტყველებით მომიტრიალდა:

– ხედავთ, რას ამბობს? მე, რაა, მართლა შეურაცხყოფა ხომ არ მოგაყენეთ?

– არა, არა, – ვთქვი მე, – სრულებითაც არა, მისის გარდნერ.

– ყოველთვის ასე მსაყვედურობს. თითქოს ადამიანებს უხეშად ვეპყრობოდე. თუმცა, უზრდელი სულაც არ ვარ. რა, ახლა თქვენც ხომ არ გეუზრდელეთ?

მერე მისტერ გარდნერს უთხრა:

– ადამიანებს თავისუფლად, ბუნებრივად ვესაუბრები, ჩემო საყვარელო. უკვე ჩვევაში მაქვს. ცხოვრებაში უხეშად არასოდეს არავის მოვქცევივარ.

– კარგი, ასე იყოს, ძვირფასო. ასეთ უმნიშვნელო რამეს, საქმედ ნუ ვაქცევთ. თუმცა, რაც არ უნდა იყოს, ამ კაცს მასასთან მაინც ნუ გააიგივებ.

– ოჰ, მართლა? მაშ, ვინ არის? შემთხვევით, შენს დიდი ხნის უნახავ ძმისშვილს ხომ არ გადაეყარე?

– ცოტა უფრო ზრდილობიანად, ძვირფასო. ეს ადამიანი, – ჩვენი კოლეგაა. მუსიკოსი. პროფესიონალი. მათ სულ ცოტა ხნის წინ შესანიშნავად გაგვართეს. – მისტერ გარდნერმა ჩვენს კარავზე მიანიშნა.

– ძალიანაც კარგი! – ლინდი გარდნერი ისევ მე მომიბრუნდა.

– ეს წუთია, რაც იქ უკრავდით, არა? კარგია. შესანიშნავი იქნებოდა. ხომ აკორდეონზე უკრავთ? ნამდვილად გადასარევი იქნებოდა.

– დიდი მადლობა. საერთოდ, გიტარისტი ვარ.

– გიტარისტი? მეხუმრებით? სულ რაღაც ერთი წუთის წინ თვალს გადევნებდით, აი, იქ, მარჯვნივ, ორი კონტრაბასისტის გვერდით იჯექით და აკორდეონზე არაჩვეულებრივად უკრავდით.

– მაპატიეთ, მაგრამ აკორდეონზე კარლო უკრავს. ჩასხმული, მელოტი ახალგაზრდა...

– დარწმუნებული ხართ? არ შაყირობთ?

– ძვირფასო, ხომ გითხარი, ამ კაცს უხეშად ნუ ესაუბრები-მეთქი. – არ დაუყვირია, მაგრამ აშკარად მკაცრი, გაბრაზებული ხმა ჰქონდა და უხერხული სიჩუმეც ჩამოვარდა, რომელიც პირველმა ისევ თვითონ დაარღვია და წყნარად წარმოსთქვა:

– ვწუხვარ, ძვირფასო. შენი წყენინება არ მინდოდა. – მერე ხელი მისკენ გაიშვირა და ქალის ხელს ჩაჭიდა. მეგონა, ქალი არ მიიკარებდა, მაგრამ პირიქით, უფრო ახლოს მიუჩოჩდა და მეორე ხელის გული ერთ მუჭად შეკრულ ორივე ხელს ზემოდან დაადო. მცირე ხანს ასე ისხდნენ, მისტერ გარდნერს თავი ჩაექინდრა, ცოლი კი ქმრის მხარს მიყრდნობილი, მოედნის იქით მდებარე ბაზილიკას არაფრისმთქმელი თვალებით გაჰყურებდა. ამ წუთებში არამც თუ ჩემი, არამედ მოედანზე ადამიანისშვილის არსებობაც აღარ ახსოვდათ. მერე, ქალმა თითქმის დაიჩურჩულა:

– ყველაფერი კარგადაა, საყვარელო. ჩემი ბრალია. უმიზეზოდ გაწყენინე.

ცოტა ხანს ისევ ასე ისხდნენ, ერთმანეთს ხელს არ უშვებდნენ. მერე ქალმა ამოიოხრა, ხელი გაითავისუფლა და შემომხედა. ჩემთვის მანამდეც შემოუხედავს, მაგრამ ეს რაღაც სხვა იყო. მისი ხიბლი უცბად ვიგრძენი. ამ ქალში თითქოს რაღაც შინაგანი, ციფერბლატიანი დისკო იდო, ზედ ნულიდან ათამდე ციფრები ეწერა და იმ მომენტში, გადაწყვიტა, რომ ისარი ექვსზე ან შვიდზე დაეყენებინა და ჩემკენ მოემართა, ეს მწვავედ ვიგრძენი და რაც არ უნდა ეთხოვა, – თუნდაც მოედნის იქით წასვლა და მისთვის ყვავილების ყიდვა, – სიხარულით დავთანხმდებოდი.

– იანეკ, – მითხრა მან. – ეს შენი სახელია, ხო? მაპატიე, იანეკ. ტონი მართალია. ასეთი ტონით თქვენთან არ უნდა მესაუბრა.

– მისის გარდნერ, მართლაც სულ არაფერი, ნუ ინერვიულებთ, გეთაყვა.

– და თქვენ, ორს საუბარში ჩაგერიეთ. სანაძლეოს ჩამოვალ, რომ მუსიკაზე საუბრობდით. იცით, რაა? მე ახლა დაგტოვებთ და შეგიძლიათ ისევ გააგრძელოთ.

– შენი წასვლის მიზეზს ვერ ვხედავ, ძვირფასო, – უთხრა მისტერ გარდნერმა.

– ოჰ, მიზეზი ნამდვილად მაქვს, საყვარელო. ერთი სული მაქვს, „პრადას“ იმ მაღაზიაში როდის შევივლი. აქ მხოლოდ იმის სათქმელად მოვედი, რომ უფრო დიდი ხანი დამჭირდება, ვიდრე ვაპირებდი.

– კარგი, ძვირფასო. – ტონი გარდნერი წელში პირველად გაიმართა და ღრმად ამოისუნთქა. – შეგიძლია იმდენ ხანს დარჩე, რამდენიც გინდა, ვიდრე არ მოგწყინდება.

– მაღაზიაში დროის ფანტასტიურად გატარებას ვაპირებ. ასე, რომ მუსიკოსებო, დასხედით და გულიანად ისაუბრეთ. – ქალი წამოდგა და მხარზე შემეხო:

– ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ, იანეკ.

ორივემ თვალი მიმავალს გავაყოლეთ, შემდეგ მისტერ გარდნერმა აქაურ მუსიკოსთა ვენეციურ ცხოვრებაზე რაღაცეები მკითხა და განსაკუთრებით კაფე „კვადრის“ ორკესტრით დაინტერესდა, რომელმაც იმ წუთას დაკვრა დაიწყო. მივხვდი, რომ ჩემი პასუხები დიდადაც არ აინტერესებდა და ბოდიშის მოხდასა და დამშვიდობებას ვაპირებდი, რომ მოულოდნელად მითხრა:

– მეგობარო, რაღაცის თქმა მინდა. ნება მომეცით, ჩემი გულისნადები გაგიმხილოთ და თუ არ გაწყობთ, შეგიძლიათ უარი მითხრათ.

წინ გადმოიხარა და ჩუმად თქვა:

– იცით, რაა? პირველად, როცა მე და ლინდი ვენეციას ვესტუმრეთ, თაფლობის თვე გვქონდა, ოცდახუთი წლის წინანდელი ამბავია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი ჩვენს

ბედნიერ მოგონებებს უკავშირდება, მას მერე, აქ აღარასოდეს ჩამოვსულვართ, ყოველ შემთხვევაში, ერთად მაინც და როდესაც ამ მოგზაურობას ვგეგმავდით, ამ განსაკუთრებულ მოგზაურობას, შევთანხმდით, რომ რამდენიმე დღით ვენეციაში გავჩერდებოდით.

– ქორწინების რომელიმე წლისთავი გაქვთ, მისტერ გარდნერ?

– წლისთავიო? – კითხვა გაოცებულმა შემომიტრიალა.

– მაპატიეთ, – ვუთხარი მე, – თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, – განსაკუთრებული მოგზაურობაა, რომ ამბობდით, ასე ამიტომაც ვიფიქრე.

ცოტა ხანს ასე იჯდა გაოცებული, მერე გაიცინა, ხმამაღლა ახარხარდა და უცბად, მისი ის სიმღერა გამახსენდა, დედაჩემი დაუსრულებლად რომ უსმენდა ხოლმე, რომელშიც ტონი გარდნერი, სიმღერის შუაში რამდენიმე სიტყვას წარმოსთქვამს, რაღაც ისეთს, თითქოსდა ქალისგან მიტოვება სულაც არ ადარდებდეს და მერე, სიმღერას ასეთივე დამცინავი ხარხარით ამთავრებს. ახლაც, აქ, მოედანზე ზუსტად ისეთივე ხარხარი ისმოდა. მერე თქვა:

– რა წლისთავი? არა, არა, ჩვენი ქორწინების წლისთავი არა, თუმცა ჩემი წინადადება მაინც ამ საკითხს უკავშირდება, რადგან რაღაც ძალიან რომანტიკულის ჩადენა მსურს. მინდა, რომ ლინდის სერენადა ვუმღერო, ზედმიწევნით ვენეციურ სტილში. აი, ამაში მჭირდება თქვენი დახმარება. თქვენ გიტარაზე დაუკრავთ, მე ვიმღერებ. სიმღერას გონდოლიდან შევასრულებთ, რომელიც მისი ფანჯრის ქვეშ, წყალზე ნელ-ნელა იტივტივებს, იქიდან ვუმღერებ. არც თუ ისე შორს, დიდი სახლი გვაქვს ნაქირავები. მისი საძინებლის ფანჯარა არხს გადმოჰყურებს. შებინდებისას ეს არაჩვეულებრივად გამოგვივა, კედლების ლამპიონების სინათლე სავსებით საკმარისია. მე და თქვენ გონდოლაზე ვიქნებით, ის ფანჯარასთან მივა. მის ყველა საყვარელ სიმღერას შევასრულებთ. დიდხანს არ გავჩერდებით, ღამით აქ საკმაო სიგრილეა. მხოლოდ სამი ან ოთხი სიმღერა, – ასე მაქვს ჩაფიქრებული. თანადგომისთვის კარგადაც გადაგიხდით. აბა, რას მეტყვით?

– მისტერ გარდნერ, ეს ჩემთვის ისეთი დიდი პატივია, რომ ვერც ვიოცნებებდი. უკვე გითხარით, თუ როგორი მნიშვნელოვანი ადამიანი ბრძანდებით ჩემთვის. ამას როდისთვის აპირებთ?

– ამაღამვე, თუ არ გაწვიმდა. ასე, ცხრის ნახევრისთვის? ადრე ვისადილებთ და უკან დავბრუნდებით. მერე, სახლიდან გამოსვლის მიზეზს მოვიფიქრებ, მოვალ და შეგხვდებით. გონდოლიორსაც შევუთანხმდები, არხით გამოვცურავთ და ჩვენი ფანჯრის ქვეშ გავჩერდებით. ყველაფერიც იდეალურად გამოვა. რას იტყვით?

ალბათ, იოლი მისახვედრია, რომ ეს ყველაფერი ახდენილ სიზმარს გავდა და ამასთანავე, თვითონ იდეაც ზღაპრული იყო, – დიდი ხნის შეუღლებული წყვილი, – სამოცს მიღწეული მამაკაცი, ქალი, – ასე, სადღაც ორმოცდაათამდე და შეყვარებული თინეიჯერებივით იქცეოდნენ. ამ აზრმა იმდენად აღმაფრთოვანა, რომ მანამდე ცოლ-ქმარს შორის რაც მოხდა, უშუალო თვითმხილველი რომ ვიყავი, სრულებით გადამავიწყდა. მინდა გითხრათ, მაშინ უკვე, რაღაცნაირად გუმანით მივხვდი: ყველაფერი ასე იოლად ვერ იქნებოდა, როგორც მისტერ გარდნერმა დამიხატა.

ცოტა ხანს ისევ ასე ერთად ვისხედით და თითოეულ წვრილმანზე ვმსჯელობდით, – კერძოდ, რომელი სიმღერების შესრულება სურდა საკუთარი რეპერტუარიდან, როგორ ტონალობაში იმღერებდა და ა. შ. მერე, ჩემი კარავში დაბრუნების და მომდევნო პროგრამის შესრულების დროც მოვიდა, ამიტომ წამოვდექი, მისტერ გარდნერს ხელი ჩამოვართვი და დავპირდი, რომ იმ საღამოს არ ვუღალატებდი.

* * *

იმ ღამეს, მისტერ გარდნერთან შესახვედრად რომ მივეშურებოდი, ქუჩებში ბნელოდა და სიჩუმეს დაესადგურებინა. მაშინ, წმინდა მარ-

კოზის მოედანს ოდნავ შორს თუ გავცდებოდი, გზა ყოველთვის მებნეოდა. ამიტომაც, თადარიგი დავიჭირე და ადრე გამოვედი, რადგან ის ხიდი, მისტერ გარდნერმა რომ დამისახელა, კარგად არ ვიცოდი სად იყო, თუმცა რამდენიმე წუთით, მაინც შემაგვიანდა.

ზუსტად ლამპიონის ქვეშ იდგა, მუქი, დაღეჭილი პიჯაკი ეცვა, პერანგი მესამე-მეოთხე ღილამდე ჩაეხსნა და მკერდზე ბალანი მოუჩანდა. როცა დაგვიანებისთვის ბოდიში მოვუხადე, მითხრა:

– რამდენიმე წუთი რას ნიშნავს? მე და ლინდი ოცდაშვიდი წელია რაც ერთად ვართ და ამასთან რამდენიმე წუთი რა მოსატანია?

გაბრაზებული არ ჩანდა, მაგრამ აშკარად ხასიათზე ვერ იყო, – რაღაცნაირად მოღუშული გახლდათ, თითქმის დამწუხრებულიც, რომანტიკის ნიშან-წყალიც არ ეტყობოდა. მის უკან გონდოლა წყალზე ნელა ირწეოდა. გონდოლიორი ვიტორიო აღმოჩნდა, ის ბიჭი, გულზე დიდად რომ არ მეხატებოდა. თუმცა, ჩემს მიმართ თვითონ ყოველთვის მეგობრულად იყო განწყობილი, მაგრამ ვიცი და მაშინაც ვიცოდი, რომ აქეთ-იქით დაეთრეოდა და ბილწსიტყვაობდა, ყველანაირ სისაზიზღრეს ავრცელებდა, ჩემისთანებს „ახლადგამომცხვარი ქვეყნებიდან ჩამოხეტებულ გადამთიელებს“ უწოდებდა. ამიტომაც, იმ ღამით, როცა ძმური სალამი მომცა, თავი სულ ოდნავ, მსუბუქად დავუქნიე და ჩუმად ველოდი, ვიდრე მისტერ გარდნერს გონდოლაში ჩაჯდომაში ეხმარებოდა. მერე, ჩემი საკუთარი ესპანური გიტარა გავუწოდე, – ის არა, ოვალურ-სახმო ფოსოიანი და მე თვითონაც გონდოლაში ჩავხტი.

მისტერ გარდნერი ნავის კიჩოზე მოკალათებას ცდილობდა და რაღაც მომენტში ისე დაეზღერთა, კინაღამ ამოვტრიალდით. თუმცა, თვითონ ვერც შეამჩნია და როცა დავიძარით, წყალს ისევ ისე მიაშტერდა.

მცირე ხანს ასე უსიტყვოდ მივცურავდით, – პირქუშ შენობებს ჩავუარეთ და ვიწრო ხიდებქვეშ გავძვერით. მერე, ღრმა ფიქრებიდან გამოერკვა და მითხრა:

– მისმინე, მეგობარო. რაც უნდა დავუკრათ, ამაზე უკვე შევთანხმდით, მაგრამ მაინც მეფიქრება. ლინდის ის სიმღერა უყვარს, – „როცა ფინიქსს ვეწვევი“. დიდი ხნის წინათ, ის მეც ჩავწერე.

– დიახ, მისტერ გარდნერ. დედა ყოველთვის ამბობდა, რომ თქვენი ვერსია სინატრასას ჯობდა და გლენ ქემბელის[6] იმ ცნობილ ჩანაწერზე უკეთესიც იყო.

მისტერ გარდნერმა თავი დახარა და ცოტა ხანს ასე იჯდა, ამიტომაც სახეზე აღბეჭდილი ემოცია ვერ შევნიშნე. ვიდრე არხის კუთხემდე მივაღწევდით, ვიტორიომ გონდოლიერების ჩვეული შეძახილით შეჰყვირა და კედლებიც ექოთი გამოეპასუხნენ.

– ლინდის ამ სიმღერას ხშირად ვუმღეროდი, – თქვა მისტერ გარდნერმა. – იცი, მგონია, რომ მისი მოსმენა ამაღამაც გაეხარდება. მელოდიას თუ იცნობთ?

გიტარა ბუდიდან უკვე ამოღებული მქონდა და რამდენიმე აკორდს ჩამოვკარი.

– ცოტა ზემოთ აიღეთ, – მითხრა მან, – მი-ბემოლამდე. ალბომში ზუსტად ასე მაქვს.

აკორდები ამ ტონალობაში დავუკარი და მისტერ გარდენმა, ლამის მთელი სტრიქონის გამოტოვების შემდეგ, ხმადაბლა, მთელი ხმით სიმღერა წამოიწყო, – აშკარა იყო, რომ სიმღერის ტექსტი კარგად აღარ ახსოვდა. თუმცა, სიჩუმით სავსე არხში მისი ხმა ჩინებულად გაისმა. სიმართლე გითხრათ, ალბათ, უკეთესადაც, ვიდრე სხვა ნებისმიერ ადგილას. და სულ ერთი წამით, ჩემი თავი, ისევ ის ბიჭუნა მეგონა, – ჩვენს ვიწრო ბინაში, დივანზე ჩამომჯდარი, გადაქანცული და იქნებ გულგატეხილი დედის წინ, ხალიჩაზე რომ გაწოლილიყო და სადღაც ოთახის კუთხეში, ტონი გარდნერის ფირფიტა უკრავდა.

მოულოდნელად მისტერ გარდნერმა სიმღერა შეწყვიტა და მითხრა:

[6] გლენი კემპბელი (1936-2017) – ამერიკელი მომღერალი, გიტარისტი, კომპოზიტორი, ტელეწამყვანი და მსახიობი.

– შევთანხმდით, „ფინიქსს“ მი-ბემოლში შევასრულებთ, შემდეგ, ალბათ, „მე ძალიან ადვილად მიყვარდებასაც“[7] ვიმღერებთ, როგორც დავგეგმეთ და „ჩემს პაწაწინასაც“[8], – ამით დავასრულებთ. საკმარისი იქნება. მეტს ვეღარც მოისმენს.

მერე, ისევ ფიქრმა წაიღო და სიბნელეში ვიტორიოს გონდოლის სუსტი ჩქაფუნით მივცურავდით.

– მისტერ გარდნერ, – ვერ მოვითმინე, – შეიძლება, გკითხოთ? მისის გარდნერმა ამის შესახებ უკვე იცის თუ საოცარ სიურპრიზს ვუმზადებთ?

მძიმედ ამოიოხრა, შემდეგ მითხრა:

– ვფიქრობ, წინ უცნაური სიურპრიზების მთელი გროვა ელის. – მერე დაუმატა: – ღმერთმა იცის, როგორ მიიღებს. გამორიცხული არაა, ბოლო სიმღერის შესრულება აღარც მოგვიწიოს.

ვიტორიომ კიდევ ერთი კუთხე მოგვატარა და უცბად, სიცილისა და მუსიკის ხმა ერთდროულად მოგვესმა. დიდი, სინათლით გაკაშკაშებული რესტორნის შორიახლოს მივცურავდით. ყველა მაგიდა დაკავებული ჩანდა, მიმტანები საქმიანად დაჰქროდნენ, სტუმრები ძალიან მხიარულნი ჩანდნენ, მიუხედავად იმისა, რომ წელიწადის ამ დროს არხიდან უსიამოვნო ცივი ქარი უბერავდა.

იმ სიჩუმისა და სიბნელის შემდეგ, რომელიც უკან მოვიტოვეთ, რესტორანმა ჩვენში ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია. ისეთი გრძნობა დაგვეუფლა, თითქოს ნავსადგურთან უძრავად ვიდექით და თვალს არ ვაშორებდით იმ მოზეიმე სტუმრებით სავსე ნავს, რომელმაც ჩვენს სიახლოვეს გაცურა. შევამჩნიე, იქიდან რამდენიმემ გადმოგვხედა კიდეც, თუმცა რაიმე განსაკუთრებული ყურადღება არავის გამოუჩენია. როცა რესტორანს გავცდით, ვთქვი:

– რა სასაცილოა! ხომ წარმოგიდგენიათ, რას იზამდნენ ეს ტურისტები, ის რომ სცოდნოდათ, ნავში, რომელმაც სულ ახლახანს მათ ცხვირწინ ჩაიარა, ლეგენდარული ტონი გარდნერი იჯდა?

ვიტორიომ ინგლისური ცუდად იცოდა, თუმცა ჩემს ნათქვამს მიხვდა და ჩაიცინა. მაგრამ მისტერ გარდნერმა ამჯერად არ მიპასუხა. ისევ სიბნელეში მივცურავდით და როცა ვიწრო არხის სუსტად განათებულ გასასვლელებს ჩავუარეთ, მაშინ მითხრა:

– ჩემო მეგობარო, თქვენ კომუნისტური ქვეყნიდან ხართ. ამიტომაც, აქაურ სიტუაციებში კარგად გარკვევა გიჭირთ.

– მისტერ გარდნერ, – ვუთხარი მე, – ჩემი სამშობლო კომუნისტების აღარ არის. ახლა, უკვე თავისუფლები ვართ.

– უკაცრავად. თქვენს ეროვნებასთან მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მამაცი ერი ხართ. ვიმედოვნებ, რომ მშვიდობასაც მოიპოვებთ და კეთილდღეობასაც მიაღწევთ. რის თქმასაც ვაპირებდი, ანუ რაც ვიგულისხმე, მხოლოდ ისაა, რომ უცხოელისთვის, – ეს ძალიანაც ბუნებრივია, – ბევრ რამეში გარკვევა რთულია. ზუსტად ისე, როგორც შენს სამშობლოში ჩემთვისაც უამრავი რამ გაუგებარი აღმოჩნდებოდა.

– ვხვდები, რომ მართალი ხართ, მისტერ გარდნერ.

– აი, ახლაც, რესტორანს ჩავუარეთ. იმ ადამიანებთან რომ მისულიყავით და გეკითხათ „მომისმინეთ, რომელიმეს ტონი გარდნერი თუ გახსოვთო?“, ალბათ, რამდენიმეს ან სულაც უმრავლესობას, შესაძლოა დადებითადაც ეპასუხა. ვინ იცის? თუმცა, რომც ვეცნე, ასეთნაირად, გონდოლაში მჯდარი, როგორ ფიქრობთ, ძალიანაც აღფრთოვანდებოდნენ? ჩანგალს გვერდზე მაინც არავინ გადადებდა, სანთლების შუქზე გულიან საუბარს არავინ შეწყვეტდა. ან სულაც რისთვის? ვიღაც პრეისტორიული ხანის ესტრადის მომღერალი, მერე რა?

– ვერ დაგეთანხმებით, მისტერ გარდნერ. თქვენ ისეთივე კლასიკოსი ბრძანდებით, როგ-

[7] „ძალიან იოლად მიყვარდება“ – სიმღერა, რომელსაც ფრენკ სინატრა ასრულებს 1945 წელს გადაღებულ ფილმში „ღუზები ჩაშვებულია“.

[8] „ჩემი პაწაწინასთვის“ – ცნობილი სიმღერა, რომელსაც ფრენკ სინატრა ასრულებდა ფილმში „ცა შეზღუდულია“.

ორც სინატრა და დინ მარტინი[9]. კლასიკა მუდამ კლასიკად რჩება, მოდიდან არასდროს გადის, ამ თანამედროვე პოპ-ვარსკვლავებისგან განსხვავებით.

– ჩემს მიმართ ძალიან კეთილი ხართ, მეგობარო. ვგრძნობ თქვენს სიმპათიას. მაგრამ, ამაღამ, ამ განსაკუთრებულ ღამეს მაინც, ჩემს გაშაყირებას ნუ შეეცდებით.

შეპასუხებას ვაპირებდი, თუმცა მის ნათქვამში რაღაც ისეთი ვიგრძენი, რომ უმალ გადავიფიქრე. ასე, კვლავ ხმაამოუღებლად მივცურავდით. გულწრფელად გითხრათ, ახლა უკვე ტვინს ვიჭყლეტდი იმაზე ფიქრით, თუ პირადად მე, რა მრჯიდა, რატომ გავერიე ან ამ სერენადების შესრულებასაც, საბოლოოდ, რა შეიძლება მოჰყოლოდა. ბოლოს და ბოლოს, საქმე ამერიკელებთან მქონდა. ვინ იცის, როცა მისტერ გარდნერი სიმღერას დაიწყებს, იქნებ მისის გარდნერი ფანჯარას იარაღთან ერთადაც მოადგეს და ორივე ადგილზე მიგვაცხრილოს?

ალბათ, ვიტორიოსაც იგივე ფიქრები აწუხებდა, რადგან როცა კედლის ლამპიონის ქვეშ გავცურეთ, ისე შემომხედა, თითქოს ამის თქმა სურდა: „აქ რა უცნაური ვინმე გვყავს. ხომ ასეა, amico[10]?“

არაფერი შევიმჩნიე. მის აზრს მისტერ გარდნერის წინააღმდეგ ვერაფრით გავიზიარებდი. ვიტორიოსთვის რომ გეკითხათ, ჩემნაირი გადამთიელები, აქ, მხოლოდ ტურისტებისთვის რაიმის დასაცინცლად, არხების დასაბინძურებლად და საერთოდაც ამ წყეული ქალაქის დასანგრევად მოეხეტებოდნენ. ერთ დღესაც, თუ ცუდ ხასიათზე დადგებოდა, შესაძლოა ჩვენთვის დაყაჩაღება-გაუპატიურებაც დაებრალებინა. ერთხელაც, პირდაპირ ვკითხე, „ჩვენზე ასეთ საზიზღრობებს მართლა ამბობ-მეთქი?“ მაგრამ დაიფიცა, არაო, ყველაფერი სიცრუეაო. რასისტი რანაირად იქნებოდა, როცა ებრაელი ბიცოლა ჰყავდა, რომელსაც დედაზე მეტად თუ არა, ნაკლებად არ აღმერთებდა? მაგრამ, ერთ ნაშუადღევს, როცა კონცერტიდან კონცერტამდე თავისუფალი დროის მოკვლას ვცდილობდი დორსოდუროს ხიდის მოაჯირს გადაყუდებული, მისი გონდოლა შევნიშნე. იქ სამი ტურისტი იჯდა, ვიტორიო ნიჩბით თავს დასდგომოდა და მთელი ქვეყნის გასაგონად, ზუსტად ამისთანა უწმაწურ რამეებს ამბობდა. მას შემდეგ, შეიძლება ერთმანეთს პირისპირაც შევხვდეთ, მაგრამ ჩემგან მეგობრულ მოპყრობას ველარასოდეს ეღირსება.

– ერთი პატარა საიდუმლოს გამხელა მსურს, – თქვა უცბად მისტერ გარდნერმა, – ჩვენი ამღამინდელი შესრულების შესახებ. როგორც პროფესიონალი პროფესიონალს, ამას ისე გეუბნებით. ძალიან უბრალო რამაა. აუცილებლად წინასწარ რაღაცის ცოდნა გმართებთ, მნიშვნელობა არა აქვს, ეს რა იქნება, მაგრამ თქვენი მსმენელის შესახებ რამეს გაგება, მეტად საჭიროა. რაღაც უმნიშვნელო დეტალი მაინც, რაც თქვენს თვალში მას გუშინდელი მაყურებლისგან განასხვავებს. ვთქვათ, მილოუკელი აუდიტორიის წინაშე უნდა წარსდგეთ, აუცილებელია, საკუთარ თავს ჰკითხოთ: კერძოდ, რით განსხვავდება ეს აუდიტორია სხვებისგან? რა არის მილოუკელებისთვის ნიშანდობლივი? რა არის ის რაღაც, რაც მათ მედისონელებისგან გამოარჩევს. თუ ვერაფერს მოიფიქრებთ, მაშინ ტვინს ძალა დაატანეთ და მიხვდებით. მილოუკი, მილოუკი. აქ ღორის დაბეგვილი ხორცის გემრიელ კატლეტებს ამზადებენ და ეს სრულიად საკმარისია. როცა სცენაზე გამოხვალთ, შეგიძლიათ ამით ისარგებლოთ. თუმცა, მათთან ამის შესახებ სიტყვაც არ უნდა დაგცდეთ, სიმღერის დროს მუდამ გონებაში უნდა გქონდეთ, რომ თქვენს წინაშე ის ადამიანები სხედან, ვინც ღორის ხორცის კარგ კატლეტს მიირთმევს. როცა საქმე ღორის კატლეტს ეხება, მათ შეფასების მაღალი სტანდარტის პრეტენზია უჩნდებათ. ხომ მიმიხვდით, რასაც ვგულისხმობ? ასეთი მეთოდით, ის აუდიტორია ვისთვისაც მღერით,

[9] დინ მარტინი (1917-1995) – ამერიკელი მომღერალი, მსახიობი, კომიკოსი, პროდიუსერი.
[10] Amico – (იტალ.) მეგობარო.

თქვენთვის უკვე ნაცნობი და ახლობელი ხდება. ჩემი საიდუმლო სულ ეს არის. როგორც პროფესიონალი პროფესიონალს, ამას ისე გეუბნებით.

– უღრმესი მადლობა, მისტერ გარდნერ. ასეთი რამ, თავში აზრადაც არასოდეს მომსვლია. თქვენნაირი ადამიანის რჩევა სამუდამოდ მემახსოვრება.

– მაშ, ამაღამ, – განაგრძო მან, – ლინდისთვის ვმღერით. ჩვენი მსმენელი ლინდია. ამიტომაც, მსურს, რომ მის შესახებ ცოტა რამ გიამბოთ. გაინტერესებთ?

– რა თქმა უნდა, მისტერ გარდნერ. ძალიან, ძალიანაც მინდა.

* * *

მომდევნო ოცი წუთი, შეიძლება ცოტა მეტიც, ისევ იმ გონდოლაში ვისხედით და არხს გარშემო ვუვლიდით. მისტერ გარდნერი ამბავს მიყვებოდა. ზოგჯერ ჩურჩულით ლაპარაკობდა, თითქოს მხოლოდ საკუთარ თავს ესაუბრებოდა. შემდეგ, როცა ლამპიონის შუქი ან ფანჯრიდან სინათლე ჩვენს ნავს მოადგებოდა, გავახსენდებოდი, ხმასაც აუწევდა და რაღაც ამდაგვარს მეტყოდა ხოლმე: „ხომ ხვდებით, რასაც ვამბობ, მეგობარო?“

როგორც მითხრა, მისი ცოლი ამერიკის შუადასავლეთით მდებარე, მინესოტას შტატის პატარა ქალაქიდან იყო. სკოლაში მასწავლებლებთან ყოველთვის პრობლემები ჰქონდა, რადგან გაკვეთილებზე კინოვარსკვლავთა ჟურნალებს ხელიდან არ უშვებდა და მათ ჩასცქეროდა.

– ეს ქალბატონები ვერაფრით ხვდებოდნენ, რომ ლინდის სამომავლოდ დიდი გეგმები ჰქონდა და აბა, შეხედეთ, მდიდარიცაა, ლამაზიც, მთელი მსოფლიოც მოვლილი აქვს. სკოლის ის პედაგოგები კი ნეტა დღეს სადღა არიან? რა ცხოვრებით ცხოვრობენ? მათაც რომ რამდენიმე პრიალა კინო-ჟურნალი გადაეფურცლათ, ცოტა მეტად რომ ეოცნებათ, შესაძლოა მცირე რამ ისეთი მაინც ჰქონოდათ, რაც დღეს ლინდის გააჩნია.

– ცხრამეტი წლის იყო, როცა შემხვედრ მანქანებს გამოჰყვა, უფასოდ იმგზავრა და კალიფორნიაში ასე ჩავიდა. ჰოლივუდში მოხვედრა სურდა, მაგრამ ლოს-ანჯელესის გარეუბანში აღმოჩნდა და ერთ გზისპირა სასაუზმეში მიმტანად მოეწყო.

– გასაოცარი ის არის, რომ, – თქვა მისტერ გარდნერმა, – სწორედ ამ პატარა კაფეზე უკეთეს ადგილს, – ერთ ჩვეულებრივ გზისპირა სასაუზმეზე მეტს, – თურმე ვერც ინატრებდა, რადგან მუდმივად, დილიდან დაღამებამდე, ამბიციებით შეპყრობილი ყველა გოგონა იქ დაიარებოდა. ისინი შეხვედრებს აწყობდნენ, შვიდი, რვა, ხან თორმეტნიც გროვდებოდნენ, ყავას, ჰოთ-დოგებს უკვეთავდნენ და ასე, საათობით ისხდნენ და ყბედობდნენ.

– ეს გოგონები, – ლინდიზე ცოტა უფროსები, – ამერიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიოდნენ და ლოს-ანჯელესში ასე, სულ მცირე, ორი-სამი წლით მაინც რჩებოდნენ. კაფეში საჭორაოდ, უიღბლო ისტორიების მოსაყოლ-მოსასმენად დაიარებოდნენ, მოქმედების ტაქტიკაზე მსჯელობდნენ და ერთმანეთის წარმატებებზე თვალიც ეჭირათ. თუმცა, ამ კაფის მთავარი სატყუარა მაინც მეგი გახლდათ, – ასე, ორმოცს მიტანებული ქალი, ლინდის შემცვლელი.

– ამ გოგონებისთვის მეგი ნამდვილი უფროსი და და სიბრძნის წყარო გახლდათ, რადგან ერთ დროს მათგან არაფრით განსხვავდებოდა. მინდა აგიხსნათ, რომ ეს გოგონები სულელები სულაც არ იყვნენ, პრიქით, ამბიციები ნამდვილად აწუხებდათ და მიზანდასახულობაც არ აკლდათ. როგორ ფიქრობთ, სხვების მსგავსად, ისინიც მოდურ ტანისამოსზე, ფეხსაცმელზე და კოსმეტიკურ საშუალებებზე საუბრობდნენ? რა თქმა უნდა, მაგრამ მათ მხოლოდ ისეთი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და მაკიაჟი აინტერესებდათ, რომელიმე ვარსკვლავთან ქორწინებაში რომ დაეხმარებოდა. ფილმებზე ან მუსიკაზე თუ მსჯელობდნენ? რატომაც არა. მათი საუბრის თემას დასაქორწინებელი მომღერლები და მსახიობები წარმოადგენდნენ ან ისინი, ვინც სულ მალე განქორწინებას აპირებდნენ. და იცით, მეგი აღმოჩნდა ის ადამიანი, ვისაც მათთვის ამ

ამბების და კიდევ უფრო მეტი და მეტი ჭორების მიწოდება შეეძლო. მეგი სასაუზმეში მათზე გაცილებით ადრე მოხვდა. ის ყველა წესი და ხრიკი კარგად იცოდა, რაც მათ ვარსკვლავებთან საქმის დაჭერასა და გათხოვებაში წაეშველებოდა. და ლინდიც იჯდა ასე, მათთან ერთად და ყველაფერს ღრუბელივით ისრუტავდა. მისთვის ის მომცრო სასაუზმე, ჰარვარდიც იყო და იელიც. ცხრამეტი წლის მინესოტელი გოგონა? ახლა შიშისგან ეკალიც კი მაყრის, იმაზე ფიქრით, თუ რას შეიძლება გადაყროდა. თუმცა, გაუმართლა.

– მისტერ გარდნერ, – ვუთხარი მე, – უკაცრავად, რომ საუბარს გაწყვეტინებთ, მაგრამ თუ ეს მეგი ასეთი ჭკვიანი იყო, ყველაზე ყველაფერი ზუსტად იცოდა, თვითონ ვინმე ვარსკვლავზე გათხოვება რატომ ვერ მოახერხა? მაშ, იმ სასაუზმეში, ჰოთ დოგებს რაღას დაატარებდა?

– კარგი შეკითხვაა, თუმცა ყველაფერს მაინც ვერ ხვდებით, რაც იქ ხდებოდა. შესაძლებელია, ამ ქალბატონ მეგის ბედმაც უმტყუნა. მაგრამ საქმე ისაა, რომ მის თვალწინ ვიღაცეებს გაუმართლათ. ახლა ხომ მიმიხვდით, მეგობარო? ოდესღაც თვითონაც ისეთივე გოგო იყო და კარგად ხედავდა, რომ ბედი ზოგს უღიმოდა, ზოგს, – არა. მას უკვე ყველაფერი გამოცდილი ჰქონდა, – წარმატებაც და წარუმატებლობაც. თითოეულ ასეთ ამბავსა თუ ისტორიას გოგონებს უამბობდა, ისინიც უსმენდნენ და რამდენიმე მათგანი დასკვნებსაც აკეთებდა. მაგალითად, ლინდი. როგორც უკვე გითხარით, მისთვის ჰარვარდი ეს იყო. ზუსტადაც იქ ჩამოყალიბდა ისეთი, როგორიც დღეს არის. იქ საკუთარ თავში ის ძალა იგრძნო, რაზეც მანამდე ოცნებობდა და ძალიანაც ჭირდებოდა. პირველი წარმატების მისაღწევად ექვსი წელი დასჭირდა. წარმოგიდგენიათ? მანევრირებას, გეგმების შემუშავებას, საბრძოლო პოზიციის შესწავლას ექვსი წელი მოანდომა. რამდენჯერმე არ გაუმართლა, მაგრამ მაინც არ დანებდა. ზუსტად ისე, როგორც ჩვენს პროფესიაშია, – პირველი ორი-სამი წარუმატებლობის შემთხვევაში მიტოვება და უარის თქმა რომ არ შეიძლება. ის გოგონები, რომელთაც ბრძოლის უნარი არ აღმოაჩნდათ, ახლა ვიღაც რიგითი კაცების ცოლები არიან და სადღაც მიყრუებულ ქალაქებში ცხოვრობენ. თუმცა, არც თუ ისე ბევრისთვის, ლინდის მსგავსად, ყოველი წარუმატებლობა კარგი გაკვეთილი აღმოჩნდება ხოლმე, რაც მათ ძალას ჰმატებს, ამტანობას აჩვევს და მიზნის მისაღწევად გაცილებით მეტი შემართებით და სიჯიუტით იბრძვიან. როგორ ფიქრობთ, წარუმატებლობა ლინდისაც არ სტანჯავდა? ასეთი სილამაზისა და ხიბლის მიუხედავად? ადამიანები ვერ ხვდებიან, რომ სილამაზე ყველაფერს სულაც არ ნიშნავს. თუ მას არასწორად გამოიყენებ, უკვე ბოზად გთვლიან. ასე იყო თუ ისე, საბოლოოდ, ექვსი წლის შემდეგ, თავისას მაინც მიაღწია.

– ეს უკვე მაშინ, როცა თქვენ გაგიცნოთ, მისტერ გარდნერ?

– მე? არა, არა. მე სცენაზე მაშინვე არ გამოვჩენილვარ. ცოლად დინო ჰარტმანს გაჰყვა. დინოზე არასოდეს გსმენიათ? – მისტერ გარდნერმა აქ ცოტა არ იყოს და ცალყბად ჩაიღიმა.

– საწყალი დინო. ვფიქრობ, მის სიმღერებს კომუნისტურ ქვეყნებში დიდად არც იცნობდნენ. თუმცა, იმ პერიოდში მისი სახელი ქუხდა. ლას-ვეგასში კონცერტებს ხშირად მართავდა, რამდენიმე ოქროს ფირფიტაც გამოუშვა. როგორც გითხარით, ლინდის პირველი წარმატება სწორედაც ის იყო. როცა პირველად შევხვდი, უკვე დინოს ცოლი გახლდათ. ამისთანა საქმეებში კარგად გამობრძმედილ მეგის შეეძლო აეხსნა ძირითადად ასე რატომაც ხდება. რა თქმა უნდა, შესაძლოა გოგოს პირველივე მცდელობაზე გაუმართლდეს და მაშინვე წარმატების მწვერვალზეც მოექცეს, სინატრას ან ბრანდოს ცოლი გახდეს. თუმცა, ყოველთვის ასე არ ხდება. გოგონა თავიდანვე შეგუებული უნდა იყოს იმ აზრს, რომ დასაწყისისთვის ლიფტიდან მეორე სართულზე უნდა გადმოვიდეს და ცოტა ხანს იქ ყიალიც მოუწევს. იმ სართულის ჰაერს უნდა შეეჩვიოს. მერე, გამორიცხული არაა, რომ ერთ მშვენიერ დღესაც, შემთხვევით, მანსარდიდან ქვემოთ, სულ რამდენიმე წუთით, რაიმე უმნიშვნელო

საქმისთვის ჩამოსულ ახალგაზრდა კაცსაც გადაეყაროს. და ამ ყმაწვილმა, შესაძლოა, შესთავაზოს კიდეც: ეი, შენ, არ გინდა ჩემთან ერთად ზემოთ ამოხვიდე? ლინდიმ იცოდა ასეთ შემთხვევაში რაც უნდა ექნა. როცა დინოს ცოლად გაყვა, საკუთარ ამბიციებზე უარი არც მაშინ უთქვამს, სისუსტეებს არ დანებებულა. დინო კი წესიერი ახალგაზრდა იყო. მე ის ყოველთვის მომწონდა. ამიტომაც დავიბენი ასე ძალიან, როცა პირველად ლინდი დავინახე, ერთ ადგილას გავშეშდი. თუმცა თავი ნამდვილი ჯენტლმენივით მეჭირა. მოგვიანებით გაირკვა, რომ სწორედაც ეს იყო ლინდის საშინელი სიჯიუტის მიზეზი. ღმერთო ჩემო, როგორ შეიძლება ასეთი გოგოთი არ აღვფრთოვანებულიყავი! უნდა გითხრათ, მეგობარო, რომ ზუსტად იმ პერიოდში უკვე წარმატების ზენიტში მყოფი ვარსკვლავი გახლდით. ალბათ, ეს ის დრო იყო, როცა დედათქვენი ჩემს სიმღერებს უსმენდა. თუმცა, დინო პოპულარობას უკვე სწრაფად კარგავდა. მაშინ, ასე, ბევრ იმ დროინდელ ესტრადის მომღერალს დაემართა. გარშემო ყველაფერი იცვლებოდა. მოზარდები „ბითლზებს“, „როლინგ სტოუნზს“ უსმენდნენ. საწყალი დინო, მისი შესრულების მანერა ბინგ ქროსბის სტილს ძალიან ემსგავსებოდა. ბოსანოვას ალბომის გამოშვება მოსინჯა, მაგრამ მსმენელებმა მასხარად აიგდეს. ზუსტადაც ის დრო იყო, ლინდის საკუთარი თავისთვის ეშველა. ასეთ სიტუაციაში ვერავინ გაგვამტყუნებდა. ვფიქრობ, თვითონ დინოც არ გაგვკიცხავდა. და მაშინ იყო, რომ გავაქტიურდი. აი, ასე აღმოჩნდა ჩემთან, ლინდი ზემოთ, სარდაფში.

ლას-ვეგასში ვიქორწინეთ. სასტუმროს აბაზანა შამპანურით ავავსეთ. დღეს ჩვენ „ძალიან იოლად მიყვარდება“ უნდა შევასრულოთ. იცით, მაინცდამაინც, ეს რატომ შევარჩიე? გსურთ, რომ იცოდეთ? ჩვენი შეუღლებიდან ლონდონში მალევე წავედით. საუზმის შემდეგ ნომერში დავბრუნდით, რომელსაც სასტუმროს დამლაგებელი გვილაგებდა. მაშინ მე და ლინდის კურდღლებივით სულ სექსი გვინდოდა. შევდივართ ნომერში და დასასვენებელი ოთახიდან მტვერსასრუტის ხმა გვესმის, მაგრამ დამლაგებელს ვერ ვხედავთ, ტიხარს უკანაა. ასე, პატარა ბავშვებივით ფეხაკრეფით დავიპარებით. მიმიხვდით? საძინებელში ჩუმად შევდივართ. კარს ვხურავთ. ვხვდებით, რომ ოთახის დალაგება უკვე მოუსწრია, ამიტომაც, შესაძლოა, აქ აღარც შემოვიდეს, მაგრამ მთლად დარწმუნებული მაინც არ ვართ. თუმცა, სულ ერთია, არ გვადარდებს. ტანსაცმელს სწრაფად ვიძრობთ, ლოგინზე ვწვებით და სიყვარულს ვეძლევით, ხოლო დამლაგებელი კი მთელი ამ დროის განმავლობაში, ჩვენი ოთახის სიახლოვეს ტრიალებს, აზრადაც არ მოსდის, რომ უკვე შინ ვართ. ხომ გეუბნებით, სექსის მეტი არაფერი გვინდოდა-მეთქი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, ყველაფერი ისე სასაცილოდ გამოვიდა, რომ ხარხარს ძლივს ვიკავებდით. როცა სიყვარულობანას მოვრჩით, ისევ ერთად ვიწექით და ერთმანეთს მსუბუქად ვეალერსებოდით, დამლაგებელი კვლავ თავის საქმეს აგრძელებდა და იცით, რა მოხდა? უცბად სიმღერა დაიწყო! მტვერსასრუტი გამორთო და მთელი ხმით ამღერდა, და მერადა რა საზიზღარი ხმით მღეროდა! სიცილისგან ჩაბჟირებული ვეყარეთ, მაგრამ ვცდილობდით, მას არ გაეგონა. მერე სიმღერა შეწყვიტა და რადიო ჩართო. უცბად ჩეტ ბეიკერის ხმა მოგვესმა. „ძალიან იოლად მიყვარდებას“ ჩვეული საუცხოო, დაბალი, ტკბილი ხმით მღეროდა. ვწევართ, ასე, ერთად და ჩეტს ვუსმენთ და ცოტა ხნის შემდეგ მეც ავყევი, ისეთივე დაბალი ხმით: რადიოში – ჩეტ ბეიკერი, ლინდი – ჩემს მკლავებში. აი, ყველაფერი ზუსტადაც ასე იყო. ამიტომაც გადავწყვიტე ამაღამ ეს სიმღერა ვუმღერო. თვითონ ახსოვს თუ არა, ისიც არ ვიცი, ან ვინ იცის?

მისტერ გარდნერმა საუბარი დაამთავრა და დავინახე, ცრემლები როგორ მოიწმინდა. ვიტორიომ კიდევ ერთ კუთხესთან მიგვიყვანა და მივხვდი, რომ რესტორნის წინ უკვე მეორედ უნდა ჩაგვევლო. ადრინდელთან შედარებით, იქ კიდევ უფრო მეტი მხიარულება იყო, ახლა უკვე კუთხეში, ჩემი ნაცნობი, პიანისტი ანდრეა უკრავდა.

როცა ისევ სიბნელეში გავცურეთ, მე დავიწყე:

– მისტერ, გარდნერ, ვიცი, ჩემი საქმე სულაც არაა, მაგრამ ვგრძნობ, რომ თქვენსა და მისის გარდნერს შორის ყველაფერი მაინცდამაინც კარგად ვერ უნდა იყოს. მინდა გითხრათ, რომ ეს ჩემთვის უცხო სულაც არ არის. დედაჩემიც ხშირად იყო ხოლმე ასეთ სევდიან განწყობაზე, როგორზეც ახლა თქვენ ბრძანდებით. ეგონა, რომ ვიღაც იპოვა, ისეთი ბედნიერი იყო და მითხრა, რომ ის ახალგაზრდა კაცი ჩემს ახალ მამობას აპირებდა. ერთხანს მჯეროდა, მერე მივხვდი, რომ მსგავსიც არაფერი იყო. თუმცა დედას ამის იმედი მთელი ცხოვრება ჰქონდა. და რამდენჯერაც სევდა შეეპარებოდა, – შეიძლება ისე, როგორც ახლა საკუთარ თავს გრძნობთ, – იცით რას აკეთებდა? ფირსაკრავს ჩართავდა და თქვენს სიმღერებს ხმას ააყოლებდა ხოლმე. ზამთრის გრძელ საღამოებში ჩვენს ვიწრო ბინაში, დივანზე ასე ფეხიფეხგადადებული, ჭიქით ხელში იჯდა და თქვენს სიმღერებს ღიღინებდა. და ზოგჯერ, მისტერ გარდნერ, კარგად მახსოვს, რომ მეზობლები ასეთ დროს ზემოდან გვიბრახუნებდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა სწრაფ ტონალობაში ისეთ სიმღერებს ასრულებდით, როგორიცაა „დიდი იმედები“ ან „ყველამ გაიცინა“. დედას თვალს ვერ ვაცილებდი, თუმცა თვითონ ვერაფერს ამჩნევდა, მხოლოდ თქვენი მოსმენით იყო გართული, ყოველ ტაქტზე თავს დაბლა ხრიდა და ტუჩებით სიმღერის სიტყვებს ჩურჩულებდა. მისტერ გარდნერ, აი, რისი თქმა მსურდა. თქვენი მუსიკა დედაჩემს რთული პერიოდების დაძლევაში ეხმარებოდა და, ალბათ, მილიონობით სხვებსაც და მას თქვენი შველაც ზუსტად ასევე შეუძლია.

მის გასამხნევებლად ოდნავ გავიღიმე, თუმცა იმაზე ხმამაღლა გამომივიდა, ვიდრე ვაპირებდი.

– შეგიძლიათ ამაღამ მენდოთ, მისტერ გარდნერ. მთელი გულით და სულით დავუკრავ, ისე კარგად, როგორც ნებისმიერი ორკესტრი, აგერ ნახავთ. მისის გარდნერი გაიგონებს და ვინ უწყის? იქნებ თქვენს შორის ყველაფერი ისევ ისე მშვენივრად აეწყოს. ყველა ცოლ-ქმარს უწევს თანაცხოვრების მანძილზე სირთულეების გადატანა.

მისტერ გარდნერმა გამიღიმა. – რა კარგი ახალგზარდა ხართ. ძალიან მადლიერი ვარ, რომ ამაღამ უნდა დამეხმაროთ. მაგრამ, სასაუბროდ დრო აღარ გვრჩება. ლინდი ახლა უკვე თავის ოთახშია. სინათლე აანთო.

* * *

დიდ სახლს მივუახლოვდით, რომელსაც მანამდე უკვე ორჯერ ჩავუარეთ, და მაშინ მივხვდი, ვიტორიო წრეზე ამდენს რატომაც დაგვატარებდა. მისტერ გარდნერი ერთ კონკრეტულ ფანჯარაში სინათლის გამოჩენას ყურადღებით უთვალთვალებდა და თუ იქ ისევ ბნელოდა, ახალ წრეზე მივცურავდით. ახლა მესამე სართულის ფანჯრიდან სინათლე მოჩანდა, დარაბები გაეღოთ და ჩვენი მანძილიდან მუქი ხის კოჭებიანი ჭერის პატარა ნაწილს ვხედავდით. მისტერ გარდნერმა ვიტორიოს ანიშნა, მაგრამ ის ნიჩბებს აღარ უსვამდა და ასე, გონდოლის წყალზე ნელი ტივტივით, პირდაპირ ფანჯრის ძირამდე მივცურდით.

მისტერ გარდნერი ფეხზე წამოდგა, რის გამოც ნავი ისევ სახიფათოდ შეტორტმანდა და ვიტორიოსაც სწრაფი რეაგირება მოუხდა, რათა წონასწორობა დაეცვა. შემდეგ მისტერ გარდნერმა დაიძახა, თუმცა ძალიან გაუბედავად: „ლინდი?! ლინდი?!“, ბოლოს კი შედარებით ხმამაღლა: „ლინდი!“

ვიღაცის ხელმა დარაბები უფრო ფართოდ გამოაღო, შემდეგ ვიწრო აივანზე ბუნდოვნად ფიგურა გამოჩნდა. ლამპიონი სახლის კედელზე, ჩვენს შორიახლოს იყო მიმაგრებული, მაგრამ ბჟუტავდა და მხოლოდ მისის გარდნერის სილუეტი ჩანდა. თუმცა მაინც შევნიშნე, რომ მას მერე, რაც მოედანზე შევხვდი, ალბათ, საღილამდე, თმის მოწესრიგება მოესწრო.

– საყვარელო, შენ ხარ? – ქალი აივნის მოაჯირზე დაეყრდნო, – უკვე ვფიქრობდი, რომ გაგიტაცეს ან რაღაც ამგვარი დაგემართა. როგორ მანერვიულე.

– ნუ სულელობ, ძვირფასო. ასეთ ქალაქში რა შეიძლება დამემართოს? ისე, სხვათა შორის, წერილი დაგიტოვე.

– არაფერი მინახავს, საყვარელო.

– წერილი დაგიტოვე, რომ არ გენერვიულა.

– და აბა, სად არის ის წერილი? შიგ რა ეწერა?

– არც მახსოვს, ძვირფასო. – მისტერ გარდნერს ხმაში უკვე გაღიზიანება შეეპარა. – ჩვეულებრივი წერილი იყო. სიგარეტის საყიდლად წავედი ან რაღაც ასეთი.

– და ახლაც მანდ იგივეს აკეთებ? სიგარეტს ყიდულობ?

– არა, ძვირფასო. სულ სხვა რამაა. უნდა გიმღერო.

– რაა, მეხუმრები?

– არა, ძვირფასო. არ გეხუმრები. ვენეციაში ვართ. აქ ასე იქცევიან.

მისტერ გარდნერმა ჩემზე და ვიტორიოზე ხელით მიანიშნა, თითქოს ჩვენი იქ ყოფნით ნათქვამის დამტკიცება სურდა.

– საყვარელო, აივანზე ჩემთვის ცოტა გრილა.

მისტერ გარდნერმა ღრმად ამოიოხრა.

– მაშინ, შეგიძლია ოთახში შეხვიდე და იქიდან მოგვისმინო. ოთახში შებრუნდი, ძვირფასო, კომფორტულად მოეწყე. მხოლოდ ფანჯარა ღია დატოვე და ჩვენ ხმას მშვენივრად გაიგონებ.

ვიდრე ქალი ოთახში შევიდოდა, ქმარს ცოტა ხანს, ასე აივნიდან უყურებდა, მისტერ გარდნერსაც თავი აეწია და ლინდის ქვემოდან შესცქეროდა და ორივე დუმდა. მერე ცოლი ისევ ოთახში შეტრიალდა და მისტერ გარდნერი იმედგაცრუებისგან მოღუშული ჩანდა, თუმცა ცოლი ზუსტად ისე მოიქცა, როგორც თვითონ შესთავაზა. თავი დახარა, ისევ ამოიოხრა და მინდა გითხრათ, რომ საქმის დაწყებას აყოვნებდა. ამიტომაც ვუთხარი:

– დავიწყოთ, მისტერ გარდნერ, დავიწყოთ, „როცა ფინიქსს ვეწვევის“ სიმღერა დავიწყოთ.

და მოკლე შესავალი დაბალი ტონალობით, რიტმული აკომპანიმენტის გარეშე დავუკარი. მერე სიმღერაც შემოგვეშველებოდა და ეს აკორდებიც მის ხმაში ჩაიკარგებოდა. დაკვრისას ამერიკული სურათების გაცოცხლებას შევეცადე, – მოწყენილი გზისპირა ბარები, ფართო, დაუსრულებელი ავტომაგისტრალები და ვიგრძენი, რომ ისევ დედაზე ფიქრი არ მასვენებდა: ოთახში შევდივარ და ვხედავ, დივანზე წამომჯდარი, ფირფიტების ჩასადებ კონვერტებს მიშტერებია, რომლებზეც ამერიკის ავტობანები ან სულაც, ამერიკულ მანქანაში მჯდომი მომღერალია დახატული. ერთი სიტყვით, ამ მოკლე შესავლის დაკვრას ისე შევეცადე, თითქოს დედაჩემიც ზუსტად იმ სამყაროს ეკუთვნოდა – სამყაროს, რომელიც ფირფიტების ჩასადებ კონვერტებზე იყო აღბეჭდილი.

მერე, ვიდრე ამის გაცნობიერება მოვახერხე, ვიდრე მელოდიას წყნარად ვუკრავდი, მისტერ გარდნერმა სიმღერა დაიწყო. გონდოლაში ძალიან არასაიმედოდ იდგა და მეშინოდა, რომ ნებისმიერ მომენტში შესაძლოა წონასწორობა დაეკარგა. თუმცა ისევ ისე მღეროდა, როგორც მახსოვდა, – დაბალი, თითქმის ჩახლეჩილი, მაგრამ იმდენად სავსე, ძლიერი ხმით, რომ იფიქრებდით ხელში უხილავი მიკროფონი უჭირავსო და ყველა, ყველა ცნობილი ამერიკელი მომღერლის მსგავსად, მის ხმაშიც დაღლა, – ოდნავი გაუბედაობა იგრძნობოდა, თითქოს ის ადამიანი მღეროდა, რომლისთვისაც ასეთი გზებით საკუთარი გულის მხილება უცხოა. ეს ესტრადის ყველა ცნობილი ვარსკვლავის ჩვეული მანერაა.

სიმღერა მოგზაურობასა და განშორებას ეძღვნებოდა. ამერიკელი კაცი შეყვარებულს სცილდება. სხვადასხვა ქალაქებში სტუმრობისას, საყვარელ ქალზე ფიქრი არ შორდება. ტექსტის ყველა სტროფში ქალაქების სახელწოდებები ისმის, – ფინიქსი, ელბაკერკი, ოკლაჰომა, მანქანა წინ-წინ მიჰქრის, დაუსრულებელ გზებზე, – დედაჩემს ასეთი მგზავრობა ვერ ეღირსა. განშორება რომ ასეთი იოლი იყოს, – ვხვდები, ეს ალბათ ის იყო, რაზეც დედა ფიქრობდა. მწუხარების გადატანა ასე მარტივად რომ შესძლებოდა...

სიმღერა დამთავრდა და მისტერ გარდნერმა მითხრა:

– კარგი. მოდი, პირდაპირ მომდევნო სიმღერაზე გადავიდეთ. „ძალიან იოლად მიყვარდება“.

ეს მისტერ გარდნერთან ჩემი აკომპანიორობის პირველი შემთხვევა იყო, ამიტომაც ყველაფერზე ფხიზლად უნდა ვყოფილიყავი, თუმცა კარგად გამოგვივიდა. მას შემდეგ, რაც ამ სიმღერის შესახებ მიამბო, ფანჯრისთვის თვალი არ მომიშორებია, მაგრამ მისის გარდნერისგან ჩამიჩუმიც არ ისმოდა, – ვერც მისი მოძრაობა შევნიშნე და ხმაც არ მესმოდა. მერე სიმღერაც დავასრულეთ და ჩვენს გარშემო კვლავ სიჩუმემ და სიბნელემ დაისადგურა. სადღაც შორიახლოს, მუსიკის ხმაზე, ვიღაც მეზობელმა დარაბა ხმაურით გამოაღო, – ალბათ, უკეთესად რომ მოესმინა, მაგრამ მისის გარდნერის ფანჯრიდან ისევ არაფერი ისმოდა.

სიმღერა „ჩემი პაწაწინასთვის“ ძალიან ნელ ტონალობაში, ფაქტობრივად ყოველგვარი რიტმის გარეშე შევასრულეთ, თუმცა მაინც სიჩუმე იყო. ფანჯარას ისევ ისე მივშტერებოდით, მერე, საბოლოოდ, შესაძლოა, სულ რაღაც წუთის შემდეგაც, იქიდან რაღაც მოგვესმა. მალევე უშეცდომოდ მივხვდით. აშკარა იყო, რომ მისის გარდნერი ოთახის სიღრმეში ქვითინებდა.

– ჩვენ ეს შევძელით, მისტერ გარდნერ! – დავიჩურჩულე, – გამოგვივიდა. გული ავუჩუყეთ.

მაგრამ მისტერ გარდნერს სიხარული არ ემჩნეოდა. თავი დაღლილმა დახარა, ჩამოჯდა და ვიტორიოს ანიშნა:

– მეორე მხარეზე გადაგვიყვანე. ჩემი შინ წასვლის დროა.

როცა გონდოლა ისევ დაიძრა, მომეჩვენა, რომ მისტერ გარდნერი თვალს მარიდებდა, თითქოს რცხვენოდა, რაც ჩავიდინეთ და ჩემთვის გავიფიქრე, ეს ყველაფერი მხოლოდ ბოროტული ხუმრობა ხომ არ იყო და, შესაძლოა, ყველა სიმღერა მისის გარდნერისთვის რაღაც საშინელსაც ნიშნავდეს-მეთქი. ამიტომაც გიტარა გვერდზე გადავდე, ცოტა მოვიწყინე და გზა ასეთი განწყობით გავაგრძელეთ.

როგორც იქნა, შედარებით ფართო არხში გავედით, მაშინვე წყლის ტაქსმაც გვერდით ჩაგვიშხუილა და ტალღები წამოვიდა. თუმცა მისტერ გარდნერის სახლთან უკვე ორ ნაბიჯზე ვიყავით მიახლოებული და ვიდრე ვიტორიო გონდოლას ნავსადგურში მიაყენებდა, ვუთხარი:

– მისტერ გარდნერ, თქვენ ჩემი ბავშვობის მნიშვნელოვანი ნაწილი ხართ და ეს ღამეც ჩემთვის განსაკუთრებულია. თუ ახლა ერთმანეთს უბრალოდ დავემშვიდობებით და ველარასოდეს შევხვდებით, ვიცი, რომ მთელი სიცოცხლე ამაზე ფიქრი დამტანჯავს. ამიტომაც, გეხვეწებით, ამიხსენით. აი, სულ ახლახანს, მისის გარდნერი ბედნიერებისგან ტიროდა თუ მწუხარებისგან?

ვფიქრობდი, არ მიპასუხებდა. მბჟუტავი სინათლის შუქზე ნავის კიჩოსთან მისტერ გარდნერის ფიგურა წელში მოხრილი ჩანდა. ვიდრე ვიტორიო თოკს მიაბამდა, წყნარად მითხრა:

– ვხვდები, რომ კონცერტმა სიამოვნება მიანიჭა. თუმცა, მაინც გულნატკენი დარჩა. ჩვენც გვაწყენინა. ოცდაშვიდი წელი – არცთუ ისე ცოტა დროა, თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, ამ მოგზაურობის შემდეგ, მაინც ერთმანეთს ვშორდებით. ეს ჩვენი უკანასკნელი ერთობლივი მოგზაურობაა.

– ძალიან ვწუხვარ, მისტერ გარდნერ, – ფრთხილად ვუთხარი, – ვიცი, რომ უამრავი ოჯახი ინგრევა, თუნდაც ოცდაშვიდი წლის, მაგრამ მხოლოდ ძალიან ცოტას თუ შეუძლია ასე არაორდინალურად დაშორება. შვებულების ვენეციაში გატარება. გონდოლაზე მდგარს სიმღერა. ერთმანეთს არც თუ ისე ბევრი ცოლ-ქმარი ცილდება ასე ცივილურად.

– და რატომაც არ უნდა დავშორდეთ სკანდალების გარეშე? ჩვენ ერთმანეთი ისევ გვიყვარს. ამიტომაც იტირა, რომ მასაც ზუსტად ისე ძალიან ვუყვარვარ, როგორც მე.

ვიტორიო სანაპიროზე დააბიჯებდა, მე და მისტერ გარდნერი კი ისევ სიბნელეში დავრჩით. ველოდი, რომ კიდევ რაღაცას მეტყოდა და არც შევმცდარვარ. ხანმოკლე დუმილის შემდეგ, მითხრა:

– როგორც გითხარი, ლინდი პირველივე ნახვით შემიყვარდა. მაგრამ მაშინვე მასაც იგივე

გრძნობა დაეუფლა? ეჭვიც არ მეპარება, რომ ასეთი შეკითხვა თავში აზრადაც არ მოსვლია. მე ვარსკვლავი ვიყავი და მეტიც არაფერი აინტერესებდა. მე ვიყავი ის, ვისზეც დიდი ხნის წინათ, იმ პატარა სასაუზმეში ოცნებობდა და ბედნიერებისთვის სამომავლო გეგმებს აწყობდა. ვუყვარდი თუ არა, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მაგრამ ოცდაშვიდწლიან ქორწინებას ბევრი რამის შეცვლა შეუძლია. უამრავ წყვილს ერთმანეთი შესაძლოა სწორედაც რომ დიდი ხნის თანაცხოვრების შემდეგ შეუყვარდეთ, მერე ერთმანეთი მოსწყინდეთ და ბოლოს ქორწინება სიძულვილითაც დაასრულონ. ზოგჯერ პირიქითაც ხდება. რამდენიმე წლის შემდეგ, ლინდიმ ასე თუ ისე, მაინც შემიყვარა. თავიდან ვერ ვიჯერებდი, მაგრამ საბოლოოდ მივხვდი, რომ ნამდვილად ასე იყო. მხარზე ხელს ნაზად შემახებდა ხოლმე, როცა მაგიდიდან წამოვდგებოდით. ოთახის ბოლოდან პირზე ღიმილმომდგარი გამომხედავდა, როცა სასაცილო სრულებითაც არაფერი იყო, უბრალოდ თავს ისულელებდა. სანაძლეოს დავდებ, თვითონაც უკვირდა, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე მოხდა, წარსულში დარჩა. ასე, სადღაც ხუთი-ექვსი წლის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ ერთად თავს კარგად ვგრძნობდით. ერთმანეთზე ვდარდობდით, ვზრუნავდით. ისევ გაგიმეორებთ, რომ ერთმანეთი გვიყვარდა და ახლაც ისევ გვიყვარს.

– არ მესმის, მისტერ გარდნერ, მაშ, რატომღა შორდებით?

ისევ ამოიოხრა:

– როგორ აგიხსნათ მეგობარო, როცა ვიცი, რომელი ქვეყნიდანაც ხართ? თუმცა დღეს ისეთი გულითადი დახმარება გამიწიეთ, რომ ვეცდები გაგარკვიოთ. საქმე ისაა, რომ მე უკვე ისეთი პოპულარული აღარ ვარ, როგორიც ერთ დროს ვიყავი. მეთანხმებით თუ არა, ჩვენნაირ ქვეყნებში ამას ვერ გაექცევი. ჩემი სახელი უკვე აღარაფერს ნიშნავს. ბედს უნდა შევეგუო და ჩრდილში დავდგე, დიადი წარსულით უნდა ვიცხოვრო. თუმცა, მინდა გითხრა, ყველაფერი ჯერ არ დამიმთავრებია, სხვა სიტყვებით რომ გითხრა, მეგობარო, წარსულის დაბრუნება უნდა შევძლო. ბევრი, ვისაც ჩემნაირი პატივი არც ჰქონიათ, ასე იქცევიან, თუმცა ასეთი გართობა იოლი სულაც არ არის. უამრავ ცვლილებას მომზადებული უნდა შეხვდე, რაც არ უნდა გიჭირდეს. უნდა გამოიცვალო, ისიც უნდა დათმო, რაც გიყვარს.

– მისტერ გარდნერ, მაშ, მისის გარდნერს იმიტომ ეყრებით, რომ სცენას დაუბრუნდეთ?

– აბა, იმათ შეხედეთ, ვინც დაბრუნდა და წარმატებულიცაა. ჩემი თაობის იმ ადამიანებს შეხედეთ, რომლებიც ისევ ფორმაში არიან. თითოეულმა მათგანმა ისევ იქორწინა, ზოგმა უკვე მეორედ, მესამედაც. ყველას ახალგაზრდა ცოლები ჰყავთ. მე და ლინდი თანდათან სასაცილო ვხდებით. გარდა ამისა, ჩემს ცხოვრებაში უკვე არსებობს ერთი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც თვალი დავადგი, მასაც მოვწონვარ. ლინდი ყველაფერს ხვდება. ჩემზე ადრეც ხვდებოდა, შესაძლოა, მაშინაც კი, როცა იმ სასაუზმეში მეგის უსმენდა ხოლმე. ამაზე უკვე ვიმსჯელეთ. ხვდება, რომ უკვე განშორების დროც დადგა.

– მაინც ვერ ვხვდები, მისტერ გარდნერ. ის ქვეყანა, რომელიც თქვენთვის და ლინდისთვის მშობლიურია, არ შეიძლება სხვა დანარჩენებისგან ასე ძალიან განსხვავდებოდეს. ზუსტადაც ამიტომ, სწორედ ამიტომაც, მისტერ გარდნერ, ის სიმღერები, რომლებსაც წლებია მღეროდით, ყველა ადამიანისთვის ასეთი ახლობელი და ძვირფასია. იქაც კი, სადაც ადრე ვცხოვრობდი. და ყველა სიმღერა რას გვეუბნება? იმას, რომ როცა ორ ადამიანს ერთმანეთი შეუყვარდებათ და უნდა დაცილდნენ, სამწუხაროა, მაგრამ თუ ერთმანეთი ისევ უყვართ, მაშინ სამუდამოდ ერთადაც უნდა იყვნენ. აი, რა არის იმ სიმღერებში.

– ვიცი, თქვენ რასაც ამბობთ, მეგობარო და, ალბათ, გულიც გწყდებათ, ვიცი. მაგრამ საქმე ზუსტად ამას ითხოვს. და მომისმინეთ, ლინდისთვისაც ეს სიტუაცია სულერთი არაა. მისთვის ყველაზე უპრიანი იქნება თუ სწორედ ახლა გავქორწინდებით. სიბერემდე ჯერ კიდევ

ბევრი დრო დარჩა. ხომ ნახეთ, ისევ ისეთი ლამაზი ქალია. ახლა უნდა მოასწროს, ეს მას სჭირდება, ვიდრე უკვე ძალიან გვიან არ არის.

არ ვიცოდი, რა მეპასუხა. თუმცა მისმა მერე ნათქვამმა გამაოცა:

– დედათქვენი. ვხვდები, რომ მან ეს ვერ მოასწრო.

ცოტა ხანს დავფიქრდი, შემდეგ წყნარად დავეთანხმე:

– დიახ, მისტერ გარდნერ. ვერ მოასწრო. ვერასოდეს მოახერხა. იქამდე ვერ იცოცხლა, რომ ჩვენს ქვეყანაში ცვლილებები ენახა.

– ძალიან საწყენია. დარწმუნებული ვარ, არაჩვეულებრივი ქალი იყო. რასაც შენ ამბობ, თუ ეს სიმართლეა, რომ ჩემი მუსიკა დაეხმარა, რათა ბედნიერი ყოფილიყო, ჩემთვის ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. სამწუხაროა, რომ ვერ მოესწრო. არ მინდა, ჩემს ლინდისაც იგივე დაემართოს, არაფრად არ მინდა, სერ. ოღონდაც ჩემს ლინდის ეს ნუ დაემართება. მინდა, რომ ლინდიმ მოასწროს.

წყალზე მოქანავე გონდოლა ნავსადგურის ნაპირს მსუბუქად მიეხალა. ვიტორიომ მისტერ გარდნერს წყნარად დაუძახა, ხელი გაუწოდა და ისიც ზანტად წამოდგა და ნაპირზე გადავიდა. ვიდრე ჩემი გიტარით ნაპირზე გადმოსვლას ვცდილობდი, – არ ვაპირებდი ვიტირიოსთვის უფასოდ დახმარება მეთხოვა, – მისტერ გარდნერს საფულე უკვე ამოეღო.

ჩანდა, რომ ვიტორიო ანაზღაურებით კმაყოფილი დარჩა და ჩვეული ტკბილი ფრაზებითა და ჟესტებით, ისევ გონდოლაში ჩახტა და სიბნელეში გაცურა.

თვალი გავაყოლეთ და მისტერ გარდნერმა ხელში ქაღალდის ფულის მთელი დასტა სწრაფად ჩამიდო. ვიუარე და ვუთხარი, რომ ძალიან ბევრი იყო და პირიქით, მასთან ერთად ყოფნა უდიდეს პატივად მიმაჩნდა, მაგრამ არაფრის გაგონება არ ისურვა.

– არა, არა, – დაჟინებით იმეორებდა და ხელებს წინ ისე აქნევდა, თითქოს უნდოდა, რომ არა მარტო ფულს, ან მე, არამედ ამ ღამეს ან სულაც თავისი ცხოვრების მთელ ამ პერიოდს რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდა.

დიდი სახლისკენ გაემართა, თუმცა რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ, შეჩერდა და ჩემკენ მოიხედა. იმ პატარა ქუჩაზე, სადაც ვიდექით, არხშიც სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ სადღაც შორიდან მოისმოდა ტელევიზორის ხმა.

– დღეს არაჩვეულებრივად დაუკარით, მეგობარო, – გამომძახა მან. – შესანიშნავი ტუში გაქვთ.

– გმადლობთ, მისტერ გარდნერ. თქვენ კი ჩინებულად იმღერეთ. ჩინებულად, – როგორც ყოველთვის.

– შეიძლება გამგზავრებამდე მოედანზე შემოგიაროთ. მოგისმენთ, თქვენს ანსამბლთან ერთად როგორ უკრავთ.

– იმედია, მისტერ გარდნერ.

მაგრამ მე ის აღარასოდეს მინახავს. რამდენიმე თვის შემდეგ, შემოდგომაზე, შევიტყვე, რომ მისტერ და მისის გარდნერები ერთმანეთს დაშორდნენ. კაფე „ფლორიანის“ ერთ მიმტანს ამის შესახებ რომელიღაც გაზეთში წაეკითხა და მიამბო. ახალმა ამბავმა ის ღამე გამახსენა და, ცოტა არ იყოს, ისევ დავნაღვლიანდი, რადგან მისტერ გარდნერი ნამდვილად ღირსეული ადამიანი ჩანდა. სცენას დაუბრუნდა თუ არა, როგორც არ უნდა იყოს, ის მაინც ერთ-ერთი დიდი მომღერალია და სამუდამოდაც ასეთად დარჩება.

ინგლისურიდან თარგმნა **მაია ბოლაშვილმა**

ქანა-მარი დე ბრენს დე ჯომონი

ფრანგი მწერალი და პედაგოგი, დაიბადა 1711 წელს (გარდაიცვალა 1776 წელს). იყო პროსპერ მერიმეს დიდი ბებია.

მწერლის ყველაზე ცნობილი ნაშრომია სასწავლო სახელმძღვანელო – „ბავშვთა სასწავლებელი, ანუ ზნეობრივ-დიდაქტიკური საუბრები მოსწავლეებთან“. საუბრებს თან ახლავს ზღაპრები, რომელთა შორის ერთ-ერთის, – „მზეთუნახავი და ურჩხულის“ დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი შეიძლება შეეჩვიოს სხვა ადამიანში ფიზიკურ სიმახინჯეს, ბოროტებას კი არასდროს.

წიგნმა დიდი პოპულარობა მოიპოვა ევროპასა და რუსეთში. იგი მრავალჯერ გამოიცა. რუსეთში საერთო ტირაჟმა 15 მილიონს მიაღწია.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში მაყურებელმა იხილა მხატვრული ფილმის „მზეთუნახავი და ურჩხულის“ პარიზული ეკრანიზაცია.

1991 წელს აშშ-ში, ამავე ზღაპარზე გადაღებული სრულმეტრაჟიანი მულტიპლიკაციური ფილმი ოსკარის ჯილდოს მფლობელი გახდა.

მზეთუნახავი და ურჩხული

(ფრანგული ზღაპარი)

ცხოვრობდა ოდესღაც ერთი მეტად მდიდარი ვაჭარი. ჰყავდა 6 შვილი: სამი ვაჟი და სამი ქალი. ჭკუასაკითხავი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. შვილების აღსაზრდელად არაფერს იშურებდა, ყოველთვის საუკეთესო მასწავლებლებს არჩევდა მათთვის. ქალიშვილები ძალიან ლამაზები იყვნენ, მაგრამ უმცროსი, – გამორჩეულად პირმშვენიერი და მოხდენილი. ბავშვობაში ყველა მზეთუნახავად მოიხსენიებდა და, ეს სახელი, რომელიც დიდობაშიც შემორჩა, დებს შურით აღავსებდა, რასაც არც ფარავდნენ.

უმცროსი არათუ ფიზიკურად, ბუნებითაც სჯაბნიდა თავის დებს, რომელთაც თავი ქალბატონებად წარმოედგინათ. რადგან მდიდრები იყვნენ, ვაჭართა შვილებს ზემოდან დაჰყურებდნენ, მხოლოდ უმაღლეს წრეში ეძებდნენ მეგობრებს, დადიოდნენ მეჯლისებზე, თეატრალურ სანახაობებზე, უყვარდათ გასეირნება. უმცროს დას კი დასცინოდნენ, რადგან იგი დროს უმთავრესად წიგნების კითხვაში ატარებდა. დიდძალი მზითევის გამო ქალიშვილებს მდიდარ ვაჭართა ოჯახებიდან ბევრმა ახალგაზრდამ შესთავაზა ხელი, მაგრამ უფროსი დები ყველას უარით ისტუმრებდნენ, რადგან მხოლოდ ჰერცოგის ან გრაფის ოჯახების ღირსად მიაჩნდათ თავი.

მზეთუნახავი (მას ასე ეძახდნენ), მადლობას თავაზიანად უხდიდა ყველა თაყვანისმცემელს და უთვლიდა, ოჯახის შესაქმნელად ჯერ ძალიან ახალგაზრდა ვარ და, რამდენიმე წელს მამის გვერდით ყოფნას ვამჯობინებო.

მოხდა ისე, რომ მოულოდნელად ვაჭარი გაკოტრდა. დაკარგა მთელი თავისი ავლადიდება, დარჩა სოფლის პატარა სახლის ამარა, ქალაქიდან კარგა მოშორებით. სასოწარკვე-

თილმა მამამ შვილებს აუწყა, რომ ამიერიდან მათ აქ უნდა ეცხოვრათ, თანაც, გლეხებივით დაემუშავებინათ მიწა და, ასე გაეტანათ თავი. უფროსმა ქალიშვილებმა შორს დაიჭირეს თავი, მათ არაფრით ისურვეს ქალაქის დატოვება და მამას გამოუცხადეს, რომ მათი თაყვანისმცემელი ახალგაზრდა მამაკაცები თავს ბედნიერად იგრძნობენ, თუ კი მათ ცოლობაზე დასთანხმდებიან, არაფრად ჩააგდებენ იმას, რომ გოგონებს მზითევი აღარ გააჩნდათ. მაგრამ ცდებოდნენ; რაც გაღარიბდნენ, მათკენ საერთოდ არავინ იხედებოდა. მათი მედიდური და ამპარტავნული ხასიათის გამო, ირგვლივ მყოფთა შორის, მათდამი კეთილგანწყობა არ შეიმჩნეოდა. იმასაც ამბობდნენ, შებრალებას ნამდვილად არ იმსახურებენ და, ამიტომაც დაისაჯნენ კიდეცო. ჰოდა, ახლაც იამაყონ, ცხვრების სამწყესად რომ წავლენო. მზეთუნახავზე კი სხვაგვარად მსჯელობდნენ; გულსატკენია. ეს კეთილი და პატიოსანი გოგონა. ასე რომ გაუბედურდა, მერედა, როგორი გულმოწყალებით გამოირჩეოდა ღარიბების მიმართო. თუმცა, ერთი სუც არ გაჩნდა, დიდებულებში მაინც მოიძებნებოდნენ, ისეთნი, ვინც არც ახლა შეიკავებდა თავს მის ცოლად შერთვაზე, მაგრამ მზეთუნახავი მაინც უარზე იდგა, საბაბად მამის მარტო დატოვებას იმიზეზებდა და, ამბობდა, ამ გაჭირვებაში მამას ნუგეშისმცემელი და საოჯახო საქმეებში წამშველებელი დასჭირდებაო.

საბრალო მზეთუნახავი ძალიან განიცდიდა თავისი ოჯახის შეჭირვებულ მდგომარეობას, მაგრამ თავს იმხნევებდა: ბევრი ტირილით და გოდებით რა გამოვა, ჩემს ქონებას მაინც არავინ დამიბრუნებს, ძალის მოკრებაა საჭირო, სიღარიბეშიც უბედურად რომ არ იგრძნო თავიო.

როცა თავიანთ სოფლურ სახლში გადავიდნენ, ვაჭარი და მისი სამივე ვაჟი მიწის დამუშავებას შეუდგნენ. მზეთუნახავი დილაუთენია დგებოდა და სასწრაფოდ წესრიგში მოჰყავდა სახლი, შემდეგ ოჯახის წევრებს კერძებს უმზადებდა. სიმართლე რომ ვთქვათ, პირველ ხანებში ძალიან გაუჭირდა, როგორც შინამოსამსახურეს, ჯარასავით ტრიალი, მაგრამ გავიდა რამდენიმე თვე. გოგონა კიდევ უფრო ჯანმაგარი გახდა და ღაწვებიც ვარდისფრად შეუფაკლდა. მუშაობას რომ მორჩებოდა, წიგნებს კითხულობდა, კლავესინზე უკრავდა, ან ქსოვდა და თან ღიღინებდა.

მზეთუნახავის დებმა, პირიქით, ძალიან მოიწყინეს, ისინი დილაობით მოგვიანებით დგებოდნენ და, მთელ დღეს სეირნობაში ატარებდნენ, გუნებაწამხდარნი, ხშირ-ხშირად იხსენებდნენ, რა ძვირფას კაბებს იცვამდნენ და, რა საზოგადოებაში ტრიალებდნენ.

– ერთი შეხედეთ, ეს ჩვენი ნაბოლარა, როგორი მდაბიური სულის, ბრიყვი ვინმე ყოფილა, ნირსაც რომ არ იტეხს და, თავისი უბადრუკი ცხოვრებითაც კმაყოფილი რომააო. – ამბობდნენ დები.

მაგრამ მათი მამა უფროსი ქალიშვილებივით როდი მსჯელობდა; გაგონილი ჰქონდა. უმცროსი გოგონა საზოგადოებაში უფრო დაფასებული რომ იყო. იგი აღტაცებული იყო მისი სათნო გულით, განსაკუთრებით კი მოთმინების უნარით, რადგან უკმაყოფილო დებმა ყველა შინაურული საქმე მას შეაჩეჩეს და, როგორც კი შემთხვევა მიეცემოდათ, მასზე შეურაცხყოფის მიყენებასაც არ ერიდებოდნენ.

ერთი გრძელი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ოჯახი ასეთ სიდუხჭირეში ცხოვრობდა და, ერთ დღესაც, ვაჭარი ღებულობს წერილს, რომლითაც ატყობინებდნენ, რომ მისი საქონლით დატვირთული ხომალდი, შორეული ქვეყნიდან დაბრუნდა. უფროსი დები სიხარულით ცას ეწივნენ; ბოლოს და ბოლოს, ისევ ქალაქში დაბრუნდებოდნენ და მათ მოწყენილობასაც წერტილი დაესმებოდა, – ასე წარმოედგინათ მათ. როცა დაინახეს, რომ მშობელი მამა გამგზავრებას აპირებდა, კისერზე ჩამოეკიდნენ და სთხოვეს, მათთვის ძვირფასი კაბები, ბეწვის მოსასხამები, შლაპები და ნაირ-ნაირი ბიჟუტერია ჩამოეტანა.

მზეთუნახავმა თხოვნისგან თავი შეიკავა, რადგან ფიქრობდა, რომ საქონლის მთლიანი მოგებაც არ იკმარებდა დების სურვილების დასაკმაყოფილებლად.

– შენ რა, არაფერს მთხოვ, პატარავ? – ჰკითხა მამამ.

– მამილო, ვატყობ ჩემთვის სიკეთე გსურთ. ჩამომიტანე ერთი ვარდი, სულაც არ დაგიჯდება ძვირი, თანაც ჩვენთან ძნელად საშოვნია.

მზეთუნახავს ვარდი დიდად არ სურვებია, მაგრამ შეეშინდა, თუკი რაიმეს არ დავაბარებ, დები გამინაწყენდებიან, ჩვენს ჯიბრზე არაფერს აბარებსო.

ბერიკაცი გზას დაადგა. როცა დათქმულ ადგილას ჩავიდა, იმდენი ატარეს სასამართლო პროცესებზე რომ, დაღლილ-დაქანცულმა, უკან გამომგზავრება გადაწყვიტა და, იქაურობა დატოვა ისეთივე ღარიბმა, როგორიც წასვლამდე იყო. 30 მილიღა რჩებოდა შინ მისვლამდე და გული სიხარულით უძგერდა, კვლავ რომ იხილავდა შვილებს. დიდ უღრან ტყეს რომ მიაღწია, ისეთი ქარბუქი ამოვარდა, რომ ორჯერ გადმოვარდა ცხენიდან. ამასობაში დაღამდა. „აი, სიკვდილიც მომიახლოვდა. უეჭველია, შიმშილით მოვკვდები, ან კიდევ მგლები შემჭამენ, მათი ღმუილი სულ ახლოს მესმისო“, – ფიქრობდა თავისთვის.

ვაჭარმა ირგვლივ მიმოიხედა. მოულოდნელად ხეების გრძელ მწკრივებს რომ გაჰყურებდა, მისგან შორს, ცეცხლის წერტილი შენიშნა. იგი სინათლის მიმართულებით გაეშურა და შეამჩნია, რომ შუქი გამოდიოდა დიდი სახლიდან, რომლის ყველა ფანჯარა გაჩახჩახებული იყო.

ვაჭარმა ღმერთს მადლობა შესწირა და იქითკენ აჩქარებული ნაბიჯებით გაემართა, მაგრამ დიდად გაინცვიფრა, როცა კარ-მიდამოში ძე-სულიერი ვერავინ დალანდა. ცხენმა თვალი ჰკიდა დიდ გაღიაღებულ საჯინიბოს, შევარდა შიგნით და ხარბად დაუწყო ჭამა შესასვლელშივე დაყრილ თივას და ქერს. საბრალო ცხოველი რამდენიმე დღის ნაშიმშილარი იყო.

კაცმა ცხენი საჯინიბოში დააბა და სასახლისკენ გასწია, მაგრამ გზაზე არავინ შეხვედრია. როცა დიდ დარბაზში შევიდა, იქ დახვდა მოგიზგიზე ცეცხლი და, მხოლოდ ერთი ადამიანისთვის გაწყობილი, ხორციანი კერძებით სავსე მაგიდა. იგი ისე იყო თოვლსა და წვიმაში ამოლუმპული, მყისვე კერიას მიუჯდა გასაშრობად. „სასახლის პატრონი და მობინადრენი, ვფიქრობ, მაპატიებენ ჩემს ასეთ თამამ მოქცევას, ალბათ, მალე გამოჩნდებიანო“, – ჩაილაპარაკა თავისთვის.

ვაჭარი დიდხანს ელოდა. თერთმეტმა საათმა ისე დარეკა, რომ არავინ გამოჩენილა. მოწოლილი შიმშილის შეგრძნებას მეტი ვეღარ გაუძლო და სუფრიდან შემწვარი წიწილა აიღო, რომელიც ორ ლუკმადაც არ ეყო. თუმცა, შიშისგან აკანკალებდა, რამდენიმე ჭიქა ღვინოც ზედ მიაყოლა. სასმელმა სასიამოვნოდ დაუარა ძარღვებში და გაბედულებაც შეჰმატა. მალე დარბაზიდან გამოვიდა. შემდეგ მდიდრული ავეჯით გაწყობილი მოზრდილი ოთახები დაათვალიერა. ბოლოს საძინებელშიც შევიდა. კუთხეში პატარა კოხტა საწოლი დაინახა და, რადგან შუაღამეს გადასცილდა და, თან ძალზე დაღლილი იყო, კარები ჩაკეტა, საწოლში ჩაწვა და მაშინვე ძილს მიეცა.

მეორე დღეს, დილის ათ საათზე წამოდგა და გაოცებული დარჩა, როცა თავისი ჭუჭყიანი სამოსის ნაცვლად, სკამზე გადადებული ახალი, სუფთა ტანსაცმელი იხილა.

– თქმა არ უნდა, სასახლე ვინმე კეთილ ფერიას ეკუთვნის, – გაიფიქრა მან. მერე ფანჯრიდან გადაიხედა. გუშინდელი თოვლი სრულიად გამქრალიყო. ირგვლივ ისეთი ბაღნარი იყო გაშენებული, თვალს ვერ მოსწყვეტდი.

ვაჭარი იმ დარბაზში შევიდა, სადაც წინა საღამოს ივახშმა და ღამე გაათია. დილით მაგიდაზე პატარა შოკოლადი შენიშნა, მაშინვე მიირთვა და ცხენის მოსაყვანად გავიდა გარეთ. გზაზე ვარდების ბუჩქთან შეჩერდა და ერთი ტოტი შეატეხა, მაგრამ, მოულოდნელად, საშინელი ხმაური გაიგონა და დაინახა მისკენ მომავალი ამაზრზენი არსება, რომლის შეხედვაზე გული კინაღამ წაუვიდა.

– ეჰ, რა უმადური ვინმე ყოფილხართ! მე თქვენ სიცოცხლე გადაგირჩინეთ, სასახლეში გიმასპინძლეთ, თქვენ კი მპარავთ ვარდებს, რომელიც ამ ქვეყნად ყველაფერს მირჩევნია. რაც მოიმოქმედეთ, დანაშაულია და, ამისათვის სიკ-

ვდილს იმსახურებთ. გაძლევთ თხუთმეტ წუთს, რომ პატიება შესთხოვოთ ღმერთს, – საზარელი ხმით განუცხადა მას.

ვაჭარი ურჩხულს ფეხებში ჩაუვარდა. ხელები გულზე დაიწყო და მავედრებელი ტონით მიმართა:

– დიდო ბატონო! ღვთის გულისთვის, მაპატიეთ! მე თქვენთვის შეურაცხყოფის მოყენება არც მიფიქრია. ვარდი მოვწყვიტე ჩემი ერთ-ერთი ქალიშვილისთვის, რომელმაც მთხოვა, მისთვის ჩამეტანა.

– მე ბატონი არ გახლავარ. მე ურჩხული ვარ. არ მიყვარს ქათინაურები. მიწოდე ის, რაც ვარ. ასე რომ, არ იფიქროთ, პირფერობით მომილბოთ გული. თქვენ ახსენეთ, რომ ქალიშვილები გყავთ. მე გაპატიებ და ცოცხალს გაგიშვებ იმ პირობით, თუკი ქალიშვილთაგან ერთ-ერთი თავისი სურვილით მოვა ჩემთან და თქვენ მაგივრად დათმობს საკუთარ სიცოცხლეს. ნუ ეცდებით გადამათქვევინოთ. ქალიშვილები თუ უარს იტყვიან თქვენთვის რომ მოკვდენ, მაშინ დაიფიცეთ, რომ სამი თვის შემდეგ თვითონ მეახლებით.

ბერიკაცს, ცხადია, არც უფიქრია საზარელი ურჩხულისთვის შეეწირა რომელიმე ქალიშვილი, გულში კი გაივლო – „თუ გამიშვებს, ერთხელ ხომ მაინც ვინახულებ ჩემს ასულებსო“. ჰოდა, მანაც ფიცი მისცა ურჩხულს, რომ აუცილებლად დაბრუნდებოდა უკან. ამ უკანასკნელმა გაუშვა იგი თავის სამშობლოში. სანამ გაემგზავრებოდა, უთხრა:

– მე არ მინდა ხელცარიელი გაგიშვათ. შებრუნდი ახლავე ოთახში, სადაც ღამე გაათიეთ. თქვენ იქ ნახავთ მოზრდილ სკივრს, უფლებას გაძლევთ, ჩააწყოთ შიგ ყველაფერი, რაც მოგეწონებათ. საჩუქრებს მე თვითონ გამოგიგზავნი, – წარმოთქვა ურჩხულმა და ოთახიდან გავიდა.

ბერიკაცი ჩაფიქრდა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– თუ სიკვდილი მიწერია, ჩემი შვილები მაინც არ დამრჩებიან ულუკმაპუროდო.

ცხენი ერთ გზას დაადგა ტყეში. საათიც არ გასულა, ვაჭარი უკვე თავის სახლს მიუახლოვდა. გახარებული შვილები მამას შემოეხვივნენ. იმის ნაცვლად, რომ შვილების ალერსით გული ეჯერებინა, მათი შემყურე ვაჭარი ცრემლებს ვერ იკავებდა, ვარდის ტოტი, რომელიც ხელში ეჭირა, უმცროს ქალიშვილს გადასცა და უთხრა:

– ჩემო ულამაზესო ასულო! აიღე ვარდები, რომელიც ძალიან ძვირად დაუჯდება შენს საბრალო მამას და, მან ოჯახს თავისი საბედისწერო თავგადასავალი მოუთხრო.

მამის მონაყოლზე უფროსმა ქალიშვილებმა ერთი ვაი-შველება ატეხეს და სალანძღავი სიტყვებიც არ დაიშურეს უმცროსი დისთვის, რომელიც უხმოდ იჯდა და არ ტიროდა.

– ნახეთ, ამ პატარა არსების სიამაყეს, სანამდე მივყავართ?! იცით, რატომ არ დააბარა საჩუქრები მამას? ჩვენგან გამორჩეული სურდა ყოფილიყო. საბრალო ჩვენი მამა, მსხვერპლად უნდა შეეწიროს მის კაპრიზებს და, თვითონ მას კი, ერთი ცრემლიც არ გადმოდენია.

– რატომ უნდა ავტეხო ვიშვიში იმაზე, რაც არაფრის მომტანია. ან, რატომ უნდა გამოვიტირო მამა მაშინ, როცა ურჩხული თანახმაა, მის მაგივრად ერთ-ერთი ქალიშვილი მიიღოს? ჰოდა, მსხვერპლს მე გავიღებ. ეს მე აღვუდგები წინ მის ბოროტებას და, ძალიან ბედნიერადაც ჩავთვლი თავს. სიკვდილის მოახლოებისას კი სიხარულს მომგვრის იმის განცდა, რომ ვიხსენი მშობელი მამა და ამით ჩემი ერთგულება და სიყვარული დავუმტკიცე.

– არა და არა! ჩვენო დაო! – ახლა, თავის მხრივ, ძმებმაც ამოიღეს ხმა. – შენ არ მოკვდები. ჩვენ წავალთ და შევებრძოლებით, ან დავმარცხდებით, ან დავიღუპებით მასთან შეტაკებისას.

– არც იფიქროთ, ჩემო შვილებო! – ჩაერია ვაჭარი – ურჩხული ყოვლისშემძლეა, მე არანაირი იმედი არა მაქვს, რომ მოვერევით. ვაღიარებ, აღტაცებული ვარ ჩემი ქალიშვილით, მაგრამ მისი გაწირვა არ მინდა. თავად მე, ამქვეყნად ცხოვრების დიდი ხანი არ დამრჩენია, მხოლოდ რამდენიმე წელს დავკარგავ, რასაც, ნამდვილად არ ვინანებ.

– მისმინე, მამაჩემო! თქვენ არ წახვალთ ჩემ გარეშე სასახლეში. ამას კი ვერ დამიშლით. მართალია, ახალგაზრდა ვარ, მაგრამ არც ისე ძლიერ ვარ ჩაბღაუჭებული სიცოცხლეს, ვარჩევ, მე გადამსანსლოს ურჩხულმა, ვიდრე თქვენი დაკარგვით გამოწვეულმა სევდამ მომიღოს ბოლო.

განზრახული ვერაფრით გადაათქმევინეს. მზეთუნახავმა მტკიცედ გადაწყვიტა გამგზავრება. უფროსი დები კმაყოფილები ჩანდნენ, რადგან მათ ყოველთვის შურდათ თავიანთი დის კეთილშობილებისა, და ბოლოს, როგორც იქნა, თავიდან მოიშორებენ მას.

ვაჭარი იმდენად დადარდიანდა ქალიშვილის შესაძლო დაკარგვის გამო, რომ სულ გადაავიწყდა ოქროთი სავსე სკივრი, რომელიც ურჩხულს უნდა გამოეგზავნა. ოთახში რომ შევიდა, თვალები გაოცებისგან გაუფართოვდა, თავის საწოლთან სკივრი რომ დაინახა. ის არ აპირებდა შვილებისათვის გაემხილა, სად და როგორ მოხვდა ეს განძი მის ხელში, და ეს იმიტომ, რომ მისი ქალიშვილები ქალაქში დაბრუნებას მოისურვებდნენ, მას კი სოფელში უნდოდა დაესრულებინა თავისი სიცოცხლე. თუმცა, ველარ მოითმინა და საიდუმლო მაინც გაანდო უმცროს ქალიშვილს, რომელმაც ამცნო, რომ მისი არყოფნის დროს გამოჩნდნენ თაყვანისმცემლები უფროსი ქალიშვილების ხელის სათხოვნელად. მათ შორის იყო ორი ახალგაზრდა მამაკაცი, რომელთაც გულში ჩავარდნოდათ გოგონები. მზეთუნახავმა მამას სთხოვა ქორწინების ნება დაერთო მათთვის. მას ისეთი კეთილი გული ჰქონდა და ისე უყვარდა თავისი დები, შეეძლო ეპატიებინა კიდეც ყველა ის ბოროტება, რასაც ისინი სცოდავდნენ მის მიმართ.

ბოროტმა დებმა ხახვი წაისვეს თვალებზე, რომ აცრემლებულიყვნენ. გასამგზავრებლად გამზადებული მამისა და უმცროსი დის წინაშე. ტიროდნენ და ცრემლებს ღვრიდნენ, მხოლოდ მზეთუნახავი იყო თავშეკავებული, რადგან არ სურდა კიდევ უფრო გაემძაფრებინა მდგომარეობა.

ვაჭრის ცხენი შორეულ გზას დაადგა. საღამოს, მამა-შვილმა უკვე შეამჩნიეს განათებული სასახლე. ეზოში შევიდნენ თუ არა, ცხენი მაშინვე საჯინიბოსკენ გაქანდა, ხოლო ვაჭარი ქალიშვილთან ერთად, სასახლის დიდი დარბაზისკენ გაემართა, სადაც მათ ორი ადამიანისათვის გაწყობილი დიდებული სუფრა დახვდათ. ვაჭარს ჭამის მადა საერთოდ არ ჰქონდა, ქალიშვილი ეცადა სიმშვიდე შეერნარჩუნებინა. იგი მაგიდას შემოუჯდა და ვაშმობას შეუდგა. – ალბათ ურჩხულის სურვილია. სანამ შემჭამდეს, ცოტათი რომ გავსუქდე, რახან ასეთ გულუხვობას იჩენსო, – გაიფიქრა გულში.

ვახშამს რომ მორჩნენ, საშინელი ხმაური შემოესმათ და, ვაჭარიც აქვითინებული გადაეხვია თავის გოგონას, რადგან დარწმუნებული იყო, ეს ურჩხული იქნებოდა. მზეთუნახავი ცახცახმა აიტანა, როცა თვალწინ ასეთი სიმახინჯე იხილა. შეეცადა არ დატყობოდა. ურჩხული შეეკითხა, შენი ნებით ჩამოდიო? და გოგონამაც თავი დაუქნია.

– გეტყობა, კეთილი გული გაქვთ, მე თქვენგან დავალებული ვარ. შენ კი ბერიკაცო, ხვალ დილითვე გაემზავრე უკან და აქ დაბრუნებაზე, არც არასდროს იფიქროთ. – უთხრა ვაჭარს ურჩხულმა.

– მშვიდობით, მზეთუნახავო! მშვიდობით ურჩხულო! – წარმოთქვა ვაჭარმა.

ურჩხული მალევე გაეცალა იქაურობას.

– ეჰ, ჩემო ძვირფასო შვილო! – მიუბრუნდა ვაჭარი ქალიშვილს და მოეხვია, – შიშისგან კინაღამ გავთავდი. დამიჯერე, დამტოვე აქ.

– არა, მამაჩემო! – მტკიცედ განუცხადა მზეთუნახავმა. – თქვენ ხვალ დილითვე გაემგზავრებით. მე კი ღვთის იმედად დავრჩები აქ. ვინ იცის, იქნებ შემიბრალოს.

ვაჭარი და მისი ქალიშვილი დასაძინებლად წავიდნენ. მაგრამ დაძინებაზე არც უფიქრიათ. თუმცა, დაწვნენ თუ არა, მაშინვე ძილი მოერიათ. მზეთუნახავს ესიზმრა ქალი, რომელმაც უთხრა:

– მზეთუნახავო! შენ კეთილი გული გაქვს: მზადა ხარ მამის გადასარჩენად საკუთარი სიც-

ოცხლე მიიტანო სამსხვერპლოზე, ამისათვის კი ჯილდოს იმსახურებთ.

როცა გაიღვიძა, მან სიზმარი მამას მოუყვა და ცოტათი დააწყნარა, მაგრამ ამ უკანასკნელმა თავი მაინც ვერ შეიკავა და, სასოწარკვეთილს, გმინვა აღმოხდა, უძვირფასეს ქალიშვილს სამუდამოდ რომ უნდა გამოთხოვებოდა.

ვაჭარი სამშობლოში გაემგზავრა. მზეთუნახავი შევიდა დიდ დარბაზში და ატირდა. ცოტა ხნის შემდეგ ძალა მოიკრიბა, ღმერთს წყალობა შესთხოვა და გადაწყვიტა, აღარ ედარდა იმ უმცირესი დროის გამო, რაც მას სიკვდილამდე დარჩენოდა, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული, ურჩხული ბევრს არ აცდევინებდა და ამ საღამოსვე გადასანსლავდა. მის მოლოდინში გარეთ გასეირნება მოისურვა, რომ ასეთი მშვენიერი სასახლე დაეთვალიერებინა. იგი აღფრთოვანებას ვერ ფარავდა, ამდენი სილამაზის ხილვის გამო. ო, რა ძლიერ გაოცდა, როცა დაინახა კარები, რომელზედაც იკითხებოდა წარწერა: „მზეთუნახავის აპარტამენტი“. მერე კარები დიდი სიფრთხილით შეაღო, თვალი მოსჭრა იმ ზღაპრულმა სანახაობამ, რაც იქ დახვდა. რამაც ყველაზე მეტად განაცვიფრა, ეს იყო წიგნებით დახუნძლული თაროები, კლავესინი და უამრავი წიგნი მუსიკაზე. „როგორც ჩანს, არ სურს მოვიწყენოო“, – გაივლო გულში და ფიქრს მიეცა: „ერთი დღე რომ მქონდეს დარჩენილი, ჩემდამი ასეთ მზრუნველობას არ გამოიჩენდა“. ამ აზრმა გაამხნევა, შემდეგ აიღო ერთი წიგნი, რომელზეც ოქროს ასოებით ეწერა: „ისურვე და უბრძანე“, თქვენ აქაურობის ბატონ-პატრონი და დედოფალი ბრძანდებით“.

– ერიჰაა! – წარმოთქვა მან. – თუ რაიმეს ვისურვებდი, ეს ჩემი საბრალო მამის ნახვაა. ნეტავ, რით არის დაკავებული? – გაუარა გულში, უცბად მოზრდილმა სარკემ მიიპყრო მისი მზერა, ჩაიხედა შიგ და, თვალები საცრისოდენა გაუხდა, თავისი სახლი და ეზოში მოსიარულე, საშინლად დასევდიანებული მამა რომ დაინახა. ხოლო მის ახლოს, დები, რომელთაც თავი ისე ეჭირათ, თითქოს თავადაც დადარდიანებულები ყოფილიყვნენ, ცხადში კი, სიხარულს უფრო ამოიკითხავდით მათ თვალებში. სურათი მალე გაქრა. მზეთუნახავი უკვე მიხვდა, რომ ურჩხული მისდამი კეთილგანწყობილი იყო და აწი მისი შიში აღარ უნდა ჰქონოდა.

შუადღისას მზეთუნახავს კვლავ მდიდრულად გაწყობილი სუფრა დახვდა და მშვენიერი კონცერტიც მოისმინა, მაგრამ შემსრულებელთაგან ვერავინ დაინახა.

საღამოს, ვახშმის წინ ხმაური მოესმა. ეს ურჩხული უნდა ყოფილიყო. ქალი შეკრთა.

– მზეთუნახავო! – მიმართა მას ურჩხულმა. – მინდა გიყუროთ, როგორ ვახშმობთ.

– ბატონი ბრძანდებით, თქვენი ნებაა, – კანკალით უპასუხა მზეთუნახავმა.

– არა! აქ მხოლოდ თქვენ ხართ ბატონი. საკმარისია მითხრათ, რომ ჩემი აქ ყოფნა ცუდ გუნებაზე გაყენებთ და მაშინვე გაგეცლებით. ძალიან შეუხედავი ვარ, არა?

– ჰო ასეა. მე ტყუილი არ შემიძლია. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ძალიან კეთილი უნდა იყოთ.

– თქვენ მართალი ხართ! – მიუგო ურჩხულმა. – მაგრამ გეტყვი: გარდა იმისა, რომ გონჯი ვარ, ჭკუითაც ვერ დავიკვეხნი.

– თქვენ არა ხართ ურჩხული, – განაგრძო მზეთუნახავმა. – როცა ვინმე თავის თავზე ამბობს, უჭკუო ვარო, ის არ არის უჭკუო, რადგან სულელი, ამას არასდროს აღიარებს.

– ტკბილად მიირთვით, მზეთუნახავო! – უთხრა ურჩხულმა. – ეცადეთ, არ მოიწყინოთ აპარტამენტში. აქ ყველაფერი თქვენ გეკუთვნით. უკმაყოფილო თუ იქნებით, ამით გულს მატკენთ.

– რა კეთილშობილი ხართ! – უთხრა მზეთუნახავმა. – ვაღიარებ, მე თქვენს სიკეთეს ძალიან ვაფასებ და, როცა ამაზე ვფიქრობ, უშნო სულაც არ მეჩვენებით.

– ჰო, ქალბატონო! – მე კეთილი გული კი მაქვს, მაგრამ მაინც ურჩხული ვარ.

– არსებობენ თქვენზე უფრო ურჩხული ადამიანები. მიუხედავად თქვენი შეუხედაობისა, მე თქვენ გამჯობინებთ მათ. ბევრს ადამიანის სახე აქვს, მაგრამ გული აქვს ბოროტი.

– ეჰ! საღი გონება რომ გამაჩნდეს, მადლიერების გამოსახატავად ქათინაურებით აგავსებდი. მაგრამ, რას იზამ, მე სულელი ვარ. რაც შემიძლია გითხრათ, ესაა: თქვენგან ძალიან დავალებული ვარ.

მზეთუნახავმა გემრიელად ივახშმა. უკვე, თითქმის გაუქრა ურჩხულის შიში, მაგრამ გული კინაღამ წაუვიდა, როცა ურჩხულმა უთხრა:

– ცოლად გამომყვებით?

ქალიშვილს რამდენიმე წუთს პასუხი შეუგვიანდა. შეშინდა, უარი რომ ვუთხრა, ვაითუ განმირისხდესო და კანკალით, მაგრამ მაინც უპასუხა:

– არა ურჩხულო, არ შემიძლია.

ამის გაგონებაზე ურჩხულმა ერთი ღრმად ამოიოხრა და თან ისეთი საზარელი სტვენა ამოაყოლა, მთელი სასახლე შეზანზარდა. მზეთუნახავი მალე დამშვიდდა, რადგან მან სევდანარევი ხმით უთხრა, მშვიდობითო.

ქალი ოთახიდან გამოვიდა, დრო და დრო უკან მიტრიალდებოდა ხოლმე, მიმავალი ურჩხულისთვის კიდევ ერთხელ რომ შეევლო თვალი.

მარტოდ დარჩენილი, უდიდეს თანაგრძნობას განიცდიდა ურჩხულის მიმართ.

„ეჰ, რა დასანანია, ასეთი უგვანო რომ დაიბადა, არადა, რა კეთილიაო," – გაივლო თავის გულში მზეთუნახავმა.

სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მზეთუნახავი სასახლეში მშვიდად და თავის ნებიერად ცხოვრობდა. ვახშმობისას, ყოველ საღამოს სტუმრობდა მას ურჩხული და, საკმაოდ აზრიანად ესაუბრებოდა, მაგრამ მთლად ისე არა, რასაც საზოგადოებაში გონივრულს უწოდებენ.

მზეთუნახავი ყოველი შეხვედრისას ახალ და ახალ დადებით თვისებებს ავლენდა მასში, თანდათანობით შეეჩვია კიდეც მას, და ისე უშნოდ აღარ აღიქვამდა. შიში კი სრულიად გაუქრა. მალიმალ დახედავდა ხოლმე საათს, ცხრა ხომ არ შესრულდაო, რადგან ურჩხული არასდროს აგვიანებდა. მაგრამ იყო რაღაც, რაც მზეთუნახავს ტკივილს აყენებდა. ურჩხული ყოველ მოსვლაზე შეახსენებდა ხოლმე, გაჰყვებოდა თუ არა ცოლად და ძლიერ იტანჯებოდა, როცა, არაო, უპასუხებდნენ.

ერთ დღეს მზეთუნახავი ეუბნება:

– თქვენ მე საგონებელში ჩამაგდეთ ურჩხულო! ნეტავ, შემეძლოს გამოყოლა, მაგრამ გულწრფელი ვარ, როცა უარს გეუბნები. მინდა შეგაჩვიოთ იმ აზრს, რომ ეს არასდროს მოხდება. მეგობრად კი ყოველთვის მიგულეთ, შეეცადეთ, ამით დაკმაყოფილდეთ. ასე სჯობია, მერწმუნეთ.

– ვცდილობ, სამართლიანი ვიყო. ძალიან კარგად ვიცი, რომ ამაზრზენი ვარ. მაგრამ რა ვქნა, რომ ძალიან, ძალიან მიყვარხართ! უბედნიერესი კაცი ვარ, აქ ჩემთან რომ დარჩით. პირობა მომეცით, რომ არასდროს მიმატოვებთ. – შეევედრა ურჩხული.

– გპირდებით, არასდროს მიგატოვებთ. მაგრამ ისე მენატრება მამაჩემი, მისი ნახვის სიამოვნებას თუ არ მომანიჭებთ, დარდისგან მოვკვდები. – შეჰბედა მან ერთ საღამოს ურჩხულს.

– მირჩევნია, თვითონ მოვკვდე, ვიდრე ტანჯვისთვის გაგიმეტო. სურვილს კი აუცილებლად შეგისრულებ. მე გაგაგზავნი მამასთან, მაგრამ, თქვენ იქიდან არ დაბრუნდებით, რასაც, საბრალო ურჩხული ვერ გადაიტანს.

– არა და არა! – სლუკუნით მიუგო ქალიშვილმა – მე თქვენ ისე მიყვარხართ, სიკვდილისთვის ვერ გაგიმეტებთ. გპირდებით, ერთ კვირაში აუცილებლად დავბრუნდები. მინდა ვნახო ჩემი გათხოვილი დები და, ჩემი ძმები, რომლებიც საფრანგეთის არმიაში მსახურობენ. მამაჩემი ამჟამად სულ მარტოა და იტანჯება. დამიჯერეთ, ერთ კვირაზე მეტ ხანს არ გავჩერდები.

– თქვენ იქ ხვალ დილითვე მოხვდებით, – უთხრა ურჩხულმა – მაგრამ პირობა არ დაგავიწყდეთ, დაბრუნებას როცა ინდომებთ, დაწოლისას მაგიდაზე დადეთ ბეჭედი. ახლა კი, მშვიდობით, მზეთუნახავო.

ამ სიტყვების წარმოთქმისას, ურჩხულმა, ჩვეულებისამებრ, ამოიოხრა. მზეთუნახავი, ასე დანაღვლიანებულს რომ ხედავდა მას, თვითონაც გულდამძიმებული წავიდა დასაძინებლად.

დილით, როცა გამოიღვიძა, საწოლის გვერდით ღილაკს დააჭირა თითი. ზარის ხმაზე ოთა-

ხში მოსამსახურე ქალი შემოვიდა, რომელმაც, მის დანახვაზე მოულოდნელობისგან შეჰყვირა. ყვირილის ხმაზე მამამისიც გამოვარდა და სიხარულისგან ლამის გაგიჟდა, თავისი ძვირფასი ქალიშვილი რომ იხილა. მამა-შვილი კარგა ხანს იყო ერთმანეთს გადახვეული.

მზეთუნახავს საწოლიდან ადგომა სურდა, მაგრამ ეგონა, ჩასაცმელი არ მაქვსო, რადგან ურჩხულმა, ჯადოსნური ძალით, დაძინებული, პირდაპირ აქ გადმოიყვანა, მაგრამ ამ დროს მოსამსახურე შემოვიდა და მოახსენა, მეზობელ ოთახში ვიპოვე მოოქრულ-მოვერცხლილი კაბებით სავსე სკივრიო. მზეთუნახავმა მადლიერება ვერ დაფარა ურჩხულის მიმართ, მასზე ასეთი მზრუნველობის გამო. მერე, ერთი, შედარებით სადად გაფორმებული კაბა შეარჩია და მოსამსახურეს უთხრა, დანარჩენი კაბები დაკეცე, ჩემს დებს უნდა ვაჩუქოო, მაგრამ სათქმელი ბოლომდე არ ჰქონდა დამთავრებული რომ, სკივრი სადღაც გაქრა. მამამ ამცნო, ეს ძვირფასი ტანსაცმელი, ურჩხულმა მხოლოდ შენთვის გამოგზავნაო. ერთ წამში კაბები და სკივრი იმავე ადგილას დაბრუნდა.

მზეთუნახავმა კაბა მოირგო. მისი ჩამოსვლა დებსაც შეატყობინეს და ისინიც, ქმრებთან ერთად გამოემგზავრნენ.

უიღბლო გამოდგა დების ქორწინება. უფროსის ქმარი, თავადიშვილი, ულამაზესი ჭაბუკი. ისე იყო თავისთავზე შეყვარებული, დილიდან საღამომდე მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდა და, ცოლი საერთოდ არ უჩანდა თვალში. შუათანა ქალიშვილი ცოლად გაჰყვა ერთ ძალზე განათლებულ კაცს, რომელიც არავის უყადრებდა თავს, და ყველას, პირველ რიგში კი ცოლს, ზემოდან დაჰყურებდა და არაფრად აგდებდა.

უფროსი დები შურისგან ლამის გულზე გასკდნენ, როცა მზისადარი, პრინცესასავით მორთულ-მოკაზმული უმცროსი და გამოეცხადათ, რომელიც სულ ტყუილად ცდილობდა დების გულის მოგებას. იმათი შური და ღვარძლი. ზღვარს გადასცილდა, როცა მოუყვა, თუ რა ბედნიერად გრძნობდა თავს. ორივე და ბაღში გავიდა, გულიანად რომ ეტირათ, უმცროსი დის ასეთი იღბლიანობის გამო. თან ერთმანეთში ჩურჩულებდნენ:

– ეს ნაბოლარა, რატომ უნდა იყოს უფრო ბედნიერი, ჩვენ განა უფრო ლამაზები არ ვართო?!

– ჩემო დაიკო, – მიუბრუნდა უფროსი ქალიშვილი შუათანას – თავში ერთი აზრი მომივიდა, გავაჩეროთ იგი აქ ერთ კვირაზე მეტხანს. უეჭველია, მისი ბრიყვი ურჩხული ძალზე გაგულისდება, სიტყვა რომ გატეხა და, დარწმუნებული ვარ, ცოცხალს არ დატოვებსო.

– მართალი ხარ, ჩემო დაო. – უპასუხა შუათანამ.

როგორც კი აზრები შეაჯერეს, მაშინვე შეცვივდნენ სახლში და, ისეთი სითბო და სიყვარული გამოავლინეს უმცროსი დის მიმართ, რომ საბრალო სიხარულისგან ატირდა.

გავიდა ერთი კვირა და უფროსმა დებმა ერთი ვაი-ვიში ატეხეს, თავში ხელები წაიშინეს, უშენოდ როგორ ვიყოთო, და მზეთუნახავიც შეჰპირდა, რადგან ასე გსურთ, ერთ კვირას კიდევ დავრჩები თქვენთანო.

მზეთუნახავს მოსვენება დაეკარგა. თავის თავს საყვედურობდა, რომ სიტყვის გატეხით ტკივილს მიაყენებდა ურჩხულს, რომელიც მთელი გულით უყვარდა და, დასევდიანებული იყო, მას რომ ვერ ხედავდა.

მეათე ღამეს, რაც მამასთან იმყოფებოდა, ესიზმრა, თითქოს სასახლეში იყო, ხოლო ურჩხული ბალახზე ეგდო ცოცხალ-მკვდარი და უმადურობაში ადანაშაულებდა მას. მზეთუნახავი საწოლიდან წამოიჭრა და მწარედ აქვითინდა: „განა ბოროტება არაა ეს, გული ატკინო ადამიანს, ვინც შენდამი დღენიადაგ მზრუნველობას იჩენს?! რა მისი ბრალია, ასე მახინჯი რომ დაიბადა, მაგრამ, ის რომ კეთილია, ყველაფერს აღემატება, ჰოდა, რატომ არ უნდა გავყვე ცოლად?! მე უფრო ბედნიერი ვიქნები მის ხელში, ვიდრე ჩემი დები არიან მათ ქმრებთან. ქალს, ცალ-ცალკე არც სილამაზე და არც ჭკუა-გონება ვერ მიანიჭებს ბედნიერებას, ადამიანში მთა-

ვარი კეთილი გული და ხასიათი, სათნოება და შემწყნარებლობაა. ურჩხული ყველა ამ ზნეობის მატარებელია. როგორც მამაკაცი, მე ის არ მიყვარს, მაგრამ ვაფასებ. ის ჩემი კარგი მეგობარია და მე, მისი უბედურების მიზეზი თუ შევიქნები, მერე მთელი ცხოვრება ვერ ვაპატიებ ჩემს თავს ასეთ უმადურობასო“.

ამ სიტყვების შემდეგ მზეთუნახავი წამოდგა, ბეჭედი მაგიდაზე დადო და დასაძინებლად წავიდა.

როგორც კი დაწვა, მაშინვე ჩაეძინა. გაღვიძებულმა შვებით ამოისუნთქა, როცა ნახა, რომ ურჩხულის სასახლეში იმყოფებოდა. მერე წამოდგა და, რაც შეიძლება, ლამაზად მოირთო და მოიკაზმა, ურჩხულისათვის მეტი სიამოვნება რომ მიენიჭებინა.

მთელი დღე გულჩათხრობილი იჯდა, საღამოს ცხრა საათის მოლოდინში. ზარებმა ცხრაჯერ დარეკა, მაგრამ ურჩხული არ გამოჩენილა. მზეთუნახავს შიში შეეპარა, ვაითუ ჩემი დაგვიანებით, მისი სიკვდილი გამოვიწვიეო, – გაიფიქრა და, სასოწარკვეთილმა, სულ კივილით შემოირბინა მთელი სასახლე თავისი შემოგარენით, ყველგან, ყველგან ეძებდა, მაგრამ ამაოდ. ანაზდად სიზმარი გაახსენდა და, ბაღში, არხისკენ გაეშურა, სადაც, იპოვა კიდეც მიწაზე უგონოდ განრთხმული ურჩხული, რომელიც მას მკვდარი ეგონა. არხიდან წყალი ამოიღო და სახეზე დააპკურა. ურჩხულმა თვალი გაახილა და მზეთუნახავს მჭმუნვარე სახით ახედა: – თქვენ დაარღვიეთ პირობა. ჰოდა, მე თქვენი დაკარგვის შიშმა მაიძულა უკიდურესი ზომისთვის მიმემართა, – შიმშილით მომეკლა თავი. მაგრამ მე კმაყოფილი ვტოვებ წუთისოფელს, რადგან განგებამ თქვენი კვლავ ნახვის ბედნიერება მარგუნა.

– არა, ძვირფასო ურჩხულო! თქვენ არ მოკვდებით, იცოცხლებთ და ჩემი მეუღლე გახდებით. დღეიდან მე ჩემს ხელს გთავაზობთ და გეფიცებით, რომ თქვენი ერთგული თანამეცხედრე ვიქნები. მეგონა, რომ მხოლოდ მეგობრობა მაკავშირებდა თქვენთან, თურმე ვცდებოდი, რასაც ახლა განვიცდი, მაფიქრებინებს, რომ უთქვენოდ ვერ ვიცოცხლებ, – უთხრა მზეთუნახავმა.

წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვები, სასახლე ერთბაშად გაჩახჩახდა, ფანჯრებში მაშხალები აინთო. აჟღერდა მუსიკა და ზეიმიც გაჩაღდა. მაგრამ, ყოველივე ამ სანახაობის მიმართ მზეთუნახავი გულგრილი ჩანდა.

იგი ათრთოლებული შებრუნდა თავისი ურჩხულისკენ, რომელიც არსად ჩანდა, მაგრამ მის ნაცვლად, თავისდა გასაკვირად, მის ფერხთ, დაჩოქილი მზეჭაბუკი იხილა, რომელიც მადლობას უხდიდა იმის გამო, რომ მისი წყალობით, ჯადო მოეხსნა. მზეთუნახავმა მაინც მოიკითხა ურჩხული.

– ურჩხული ახლა თქვენს ფერხთაა, – წამოიწყო უფლისწულმა. მე ბოროტმა ფერიამ გამომიტანა ასეთი განაჩენი, მანამდე მეტარებინა მახინჯი სახე, სანამ მზეთუნახავი ცოლობაზე არ დამთანხდებოდა, ვგრძნობ, ნათელი გონებაც დამიბრუნდა, თქვენ მე მხსნელად მომევლინეთ. გთავაზობ ჩემს გვირგვინს. ძნელია გამოვთქვა, რამდენად ვარ თქვენგან დავალებული.

ბედნიერებით აღვსილმა მზეთუნახავმა მზეჭაბუკს ხელი გაუწოდა და წამოაყენა. ისინი ხელიხელჩაკიდულები გაემართნენ სასახლისკენ. აქ კი მზეთუნახავი ლამის გადაირია სიხარულისგან, როცა დიდ დარბაზში თავისი მამა და მთელი ოჯახი ნახა, რომლებიც, ცხადია, სიზმარში გამოცხადებულმა ფერიამ გადმოიყვანა სასახლეში.

– მზეთუნახავო! – მიმართა მას ყოვლისშემძლე ფერიამ – მიიღეთ ჯილდო თქვენი საუკეთესო არჩევანისთვის. თქვენ, სილამაზეს სიკეთე ამჯობინეთ, გონიერებისა და ზნეობის ყველა ამ თვისებას, უეჭველად იპოვით ერთ ადამიანში, თვითონ კი დედოფალი გახდებით. იმედი მაქვს გვირგვინის დადგმა თქვენს კეთილ გულს ზიანს არ მოუტანს.

– თქვენ კი, ქალბატონებო! – ფერია ახლა მზეთუნახავის დებისკენ მიტრიალდა. – აი, რას გეტყვით: ჩემთვის ცნობილია ის ბოროტება და

მზაკვრობა, რაც თქვენი დის მიმართ გიძევთ გულში. მე თქვენ ქვაში ჩაგსვამთ და ქანდაკებებად გაქცევთ, მაგრამ შეგინარჩუნებთ საღ გონებას. იდგებით კარებთან უმცროსი დის სასახლეში და მისი ბედნიერების მოწმენი შეიქნებით. აი, სასჯელი, რაც დაიმსახურეთ. ისევ ადამიანებად მხოლოდ მაშინ იქცევით, როცა დაფიქრდებით და, თქვენ მიერ ჩადენილ ცოდვებს განსჯით და მოინანიებთ. მაგრამ, ვშიშობ, რომ სამუდამოდ დარჩებით ქანდაკებებად. ადამიანებმა შეიძლება დაძლიონ სიამაყე, მრისხანება, გაუმაძღრობა, სიზარმაცე, მაგრამ ბოროტი და შურიანი გული თუ გამოსწორდება, ეს ნამდვილი სასწაული იქნება.

ფერიამ მოიქნია თავისი ჯადოსნური ჯოხი და, ყველა, ვინც იქ იყო, ერთ წამში უფლისწულის სამეფოში აღმოჩნდა. დიდად გაიხარეს მისი ნახვით ქვეშევრდომებმაც.

სულ მალე უფლისწული და მზეთუნახავი დაქორწინდნენ და იცოცხლეს დიდხანს, დიდხანს, სრულ ბედნიერებასა და სიამტკბილობაში, რასაც სიკეთე ედო საწყისად.

ფრანგულიდან თარგმნა **ნანა ახალაძემ**

ესეჯი



შოთა ფოიძე

გრიგოლ რობაქიძე – მითი და სინამდვილე

ესეისტურ ნაშრომში წარმოდგენილია ახალი მასალების ანალიზი, რომლებიც ნათელს ჰფენენ გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიის გაორებულ ეპიზოდებს, კერძოდ, ვინ იყო გრიგოლ რობაქიძე, ფაშისტური რეჟიმის იდეოლოგი თუ საბჭოთა რეზიდენტი?

გრიგოლ რობაქიძეს მეორე მსოფლიო ომის წლებში დასავლეთში აღმერთებდნენ, ხოლო სსრ კავშირში აკრძალული იყო. ახლა კი პირიქით, დასავლეთში აღარავინ ახსენებს, რადგან იგი აღარავის ჭირდება. ჩვენთან კი მოეხსნა ყოველგვარი ცენზურა და განვადიდეთ.

განხილულია, ასევე, სალიტერატურო კრიტიკის დამოკიდებულება მისი მხატვრულ შემოქმედებაში. უთუოდ საინტერესოა ნაშრომის ავტორის დამოკიდებულება, როცა მწერლის მხატვრული ოსტატობის საკითხებზე საუბრობს.

ჩვენს წინაშეა სრულიად ლეგიტიმური კითხვები: ბოლოს და ბოლოს, ვინ იყო გრიგოლ რობაქიძე, გარდა იმისა, რომ მას ვიცნობთ როგორც პოეტს, პროზაიკოსს, დრამატურგს, ესეისტს, პუბლიცისტს?! არის თუ არა იგი საბჭოთა სისტემის მტერი? არის თუ არა იგი ფაშისტური იდეოლოგიის მგზნებარე პროპაგანდისტი? არის თუ არა იგი სტალინისა და ბერიას პირადი რეზიდენტი გერმანიაში? თუ არცერთი არ არის?! ცხადია, ამ კითხვებზე პასუხი დღეს ჩემს შესაძლებლობებს აღემატება. ყველა შემთხვევაში, სრულყოფილი სურათის დადგენას სჭირდება ჩვენს ქვეყანაში ლუსტრაციის კანონის მიღება.

გრიგოლ რობაქიძე არ არის ჩემი საყვარელი მწერალი, მისი გაორებული „იდეებისა“ და იმპერატიულ-ამპარტავნული წერის მანერისა და სტილის გამო. მე აქ ვამხელ საკუთარ თავს. ჩემი ეს პოზიცია კიდევ უფრო მავალდებულებს მეტ ობიექტურობას მისი მხატვრული შემოქმედების მიმართ. ეს დამოკიდებულება არ უშლის ხელს იმ ადამიანებს, რომლებსაც უყვართ გრიგოლ რობაქიძე და პატივს მიაგებენ მის შემოქმედებას. საგულისხმოა, რომ ევროპულად განსწავლულმა მწერალმა და ქართულმა ატმოსფერომ ერთმანეთი ვერ იგუეს. შალვა ნუცუბიძე წერდა, გრიგოლ რობაქიძე ვერ

შეელია საკუთარ ამბიციებსა და შეელია სამშობლოს: „გრ. რობაქიძე ვერ გაექცა უიდეო ცხოვრებას. მან ასეთ გაქცევას სამშობლოდან გაქცევა ამჯობინა, რომელსაც ოდესღაც თავისი ჯავრი გაანდო. ის დაუბრუნდა კერას, რომელზედაც ავანტიურისტები თარეშობდნენ და თავის სამშობლოს განდიდებას, ავანტიურისტების, როგორიც იყო ჰიტლერი და მუსოლინი, განდიდება ანაცვალა“ (შ. ნუცუბიძე).

გრიგოლ რობაქიძე 1908 წელს დაბრუნდა საქართველოში და აქტიური შემოქმედებითი მუშაობა გაშალა. „საქართველოში შემოიჭრა დასავლეთ ევროპიდან – ფაქტობრივად გერმანიიდან „ცნობილი ლექტორი“, როგორც ის აცხადება თავის პირველ სალექციო აფიშაში – გრიგოლ კავკასიელი. ეს იტალიური კაზმულობის გვარი ზემო იმერული დიაკვნის შვილი გრიგოლ რობაქიძე იყო“ (შ. ნუცუბიძე). მას აღიარებაც არ აკლდა, მაგრამ ეს მის ამბიციებს აღარ აკმაყოფილებდა. ადრეც დამიწერია, რომ რაც კი კარგი და ღირებულია რობაქიძის შემოქმედებაში, საქართველოში, ემიგრაციაში წასვლამდე დაიწერა. განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა პიესა „ლამარას“, რომელიც დიდმა სანდრო ახმეტელმა დადგა რუსთაველის თეატრში, რომელმაც ნამდვილი ფურორი მოახდინა მოსკოვური გასტროლების დროს. რაც შეეხება მის პოეზიასა და პროზას, მათ გაფეტიშებას ხელი შეუწყო იმ დროს მისმა ემიგრანტობამ, ანუ წლების მანძილზე აკრძალული ხილი იყო, ამიტომაც ყველაზე ტკბილი გვეგონა. ახლა როცა ტაბუ მოეხსნა და ყველაფერი დაიბეჭდა, ვნახეთ, რომ მისი შემოქმედება, პროზა და პოეზია, საშუალო დონის ჩარჩოს ვერ გასცდა. მიმაჩნია, რომ მისი ნიჭიერება, როგორც მწერლისა, პუბლიცისტიკასა და ესეისტიკაში უფრო გამოვლინდა, ვიდრე პროზასა და პოეზიაში. ისიც ნათელია, რომ გრიგოლ რობაქიძე ჩვენს მწერლობაში მოდერნისტულ-ავანგარდისტული მიმართულების წარმომადგენელი გახლდათ. ტიციან ტაბიძის თქმით, „სიმბოლიზმი ჩვენში გრიგოლ რობაქიძემ შემოიტანა“. ჩვენი ლიტერატურათმცოდნეები ამაზე აპელირებენ და „ლამარას“ ავტორს ცისფერყანწელებთან ერთად, მათი ტრაგიკული ცხოვრების გამო, ხშირად გაზვიადებულად ხატავენ. მაშინ, როცა გრიგოლ რობაქიძის პროზაული ნიმუშები ვერც ლეო ქიაჩელისა და ვერც ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრულ ოსტატობას წელამდე თუ წვდება. ვერც „ცისფერყანწელების“ დასავლურმა ფორმებმა დიდად ვერაფერი გვახეირეს. აქ კი ყველა და ყველაფერი დაჩრდილა გიორგი ლეონიძისა და შოთა ნიშნიანიძის ლექსების ტრადიციულმა ფორმებმა და ეროვნული ცნობიერების გამომხატველმა თემატიკამ და მოტივებმა. პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი წერს: „საქართველოში ცხოვრების პერიოდში გამოქვეყნებული გრ. რობაქიძის ლექსებს იმდროინდელი ლიტერატურული საზოგადოება, განსაკუთრებით კი „ცისფერყანწელები“, უმაღლეს შეფასებას აძლევდნენ და ქართული პოეზიის უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად თვლიდნენ. დღეს გარკვეული დროული დისტანციის შემდეგ, გრ. რობაქიძის პოეტურ ნაწარმოებებს, მიუხედავად მათი ლიტერატურული ღირსებისა, ასეთ მაღალ შეფასებას ვერ მივცემთ. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს ლექსები ხშირად მწიგნობრული განწყობილებებითაა ნასაზრდოები და უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეული ლიტერატურული პროცესის შესასწავლად და გასაცნობიერებლად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავიანთი მხატვრული სრულყოფით“. ციტატის ავტორმა 1919 წელს დაწერილი სონეტი „ვასაკა“ ამავე სტატიაში მხატვრულ ანაქრონიზმად კი მიიჩნია.

1931 წელს გრიგოლ რობაქიძე ექვსთვიანი შემოქმედებითი მივლინებითა და მკურნალობის მოტივით გერმანიაში წავიდა, საიდანაც სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. მისი უცხოეთში გამგზავრებისა და არა „გაქცევის“, როგორც ადრე ვამბობდით, და იქ დარჩენის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები არსებობს. ერთი მათგანით, ლავრენტი ბერია მტრობდა და მის დაჭერას აპირებდა. მეორე ვერსიით კი თვითონ ბერიამ გაგზავნა რეზიდენტად. ორივე ვერსიას აქვს არსებობის უფლება. ლავრენტი ბერია ობობას ქსელის დახლართვისა და მახეების დაგების დიდოსტატი იყო.

იქნებ საგანგებოდ შექმნა მისი დევნის იმიტაცია, რითაც შემდგომ სარეზიდენტო ქვეყნის სპეცსამსახურებს დაარწმუნებდა რობაქიძის გულწრფელობაში და გაამყარებდა ემიგრაციაში დარჩენის მოტივს. რომელი ვერსიაა მართალი, როცა არც რობაქიძე და არც ბერია ცოცხლები აღარ არიან, ძნელი დასადგენია. ყოველი შემთხვევისათვის, შეგახსენებთ, რომ მიხელ ჯავახიშვილს 1931 წელს, არც შემოქმედებითი მივლინებითა და არც სამკურნალოდ, გერმანიაში არავინ გაუშვებდა. ისიც ნათელია, რომ კომუნიზმი და კომუნისტური იდეები გრიგოლ რობაქიძეს გულზე არ ეხატებოდა. იგი ერთი უკიდურესობიდან მეორეში – უფრო უარესში წავიდა. დიდი გერმანელი მწერალი, ნობელიანტი, თომას მანი ფაშიზმს გერმანიიდან ამერიკაში გაექცა. ამბობდა კიდეც, თუ არჩევანზე მიდგება საქმე, მე ფაშიზმს კომუნიზმი მირჩევნიაო. გრიგოლ რობაქიძემ კომუნიზმს ფაშიზმი არჩია. აღსანიშნავია, რომ ფაშიზმიც და კომუნიზმიც ევროპაში დაიბადა და მათი მშობლები ევროპელები არიან. გილიოტინის სამშობლო პარიზია. პირველი და მეორე მსოფლიო ომები ევროპამ დაიწყო. გაზის კამერებიც ევროპამ შექმნა. ანაქრონიზმად მოჩანს, როცა ჰიტლერს ფრთიან ანგელოზად სახავენ და სტალინს – ურჩხულად. „როდესაც კაცობრიობა სისხლად იღვრებოდა და კულტურის ღირებულებანი ჯოჯოხეთში ფერფლად ცვიოდა, გრ. რობაქიძის მუზა იმათ ღაღადისს აჟღერებდა. ისტერიული გებელსი მორიგ პარტაიტაგზე გრ. რობაქიძის წიგნს ჰიტლერის შესახებ თვითონ ურიგებდა დელეგატებს, ხოლო ფაშისტური ცენტრალური ორგანო „სახალხო მეთვალყურე“ (ფელკიშერ ბეობახტერი) წერდა – „ჩვენ ვიცოდით, რომ ჰიტლერი გენიოსი იყო, მაგრამ ეს გვიჩვენა რობაქიძემ“ (შ. ნუცუბიძე) .

1945 წლამდე გრიგოლ რობაქიძესა და მის შემოქმედებას ფაშიზმის იდეოლოგები და ზოგი ქართველი ემიგრანტი, დასავლელი მწერლები გენიოსად წარმოაჩენდნენ, გოეთეს გვერდით აყენებდნენ და მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენლად სახავდნენ. ძნელი სათქმელია, თავად რობაქიძე როგორც აღიქვამდა და ეგუებოდა ამას. ყოველ შემთხვევაში არსად, არასოდეს არ გაუპროტესტებია. გრიგოლ რობაქიძისა და მისი მეხოტბეების სამწუხაროდ, მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ, ევროპული ლიტერატორების დამოკიდებულება მის მიმართ რადიკალურად შეიცვალა. ყოველივე ამის შესახებ მწერალი აკაკი ბაქრაძე წერს, რომ 1945 წლის შემდეგ, იგი „გარიყა ევროპულმა კულტურულმა ცხოვრებამ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომდროინდელი ევროპული სინამდვილისათვის უცხო და მიუღებელი გამოდგა მწერლის შემოქმედება. მისი სახელი თანდათანობით დავიწყებას ეძლევა“. აკაკი ბაქრაძე განაგრძობს: იგი „აღარ აინტერესებდათ. გერმანულენოვან სამყაროში იგი თანდათანობით ავიწყდება პუბლიკუმს. ამის მიზეზი მარტო ის არ ყოფილა, რომ გრიგოლ რობაქიძე ავტორი იყო „ადოლფ ჰიტლერისა“ და „მუსოლინისა“, – უფრო რთული და არსებითი მიზეზიც არსებობდა. გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება ეკუთვნოდა სიტყვაკაზმული მწერლობის იმ სახეობას, რომელსაც გერმანელები... მიწისა და სისხლის ლიტერატურას უწოდებენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ სახეობის ლიტერატურა საერთოდ მიეცა დავიწყებას. მიწა, სისხლი, რასა, ჯიში მკითხველს ნაციზმსა და ფაშიზმს ახსენებდა. ყველას შიშით აცახცახებდა და მათი გაგონება აღარ უნდოდა. შეხედულებანი ნელ-ნელა იცვლებოდნენ და კოსმოპოლიტურ ხასიათს იღებდნენ“. ციტატის ავტორს აზრადაც არ მოუვიდოდა იმისი დაშვება, რომ გრიგოლ რობაქიძე საბჭოთა რეზიდენტი იქნებოდა ჰიტლერის გარემოცვაში.

გაზეთ „კალმასობაში“, წარსულში ცნობილმა ფალავანმა სიმონ პაპოაშვილმა, რომელიც რამდენიმე წელიწადი ფაშისტთა ტყვეობაში, ქალაქ ფრეიბერგის სამხედრო ყაზარმებში გაეტარებინა, საინტერესო მონათხრობი შემოგვთავაზა, რომლის ავტორია შალვა ზედელაშვილი. ვერმახტის მაღალჩინოსნებს სამასამდე ქართველი ტყვისათვის ლექციის წასაკითხად გრიგოლ რობაქიძე შეუხვე-

დრებიათ. ლექციის დასასრულს გრიგოლს მოუწოდებია, ომი რომ დამთავრდება სამშობლოში უნდა დაბრუნდეთო. „მეც, როცა თქვენსავით ახალგაზდა ვიყავი, მეგონა რომ აქ ბედნიერი ვიქნებოდი, მაგრამ რაც დრო გადის, იმდენად უფრო მიძნელდება სამშობლოს გარეთ ცხოვრება“ – უთქვამს დასასრულს. ერთ ტყვეს მწერლისათვის უკითხავს – „ჩვენ რომ გვირჩევთ ომის შემდეგ აუცილებლად საქართველოში დაბრუნდითო, თქვენ თვითონ რატომ მიატოვეთ სამშობლო?“ გრიგოლი ოდნავ შეყოვნებულა და შემდეგ უთქვამს: „მე მწერალი ვარ და ჩემთვის უმთავრესი პირობაა შემოქმედების თავისუფლება. მე იქ მოკლებული ვიყავ ასეთ თავისუფლებას. მიბრძანებდნენ, იმაზე მეწერა და ისე მეწერა, როგორც კომუნისტებს სურდათ. ეს ჩემთვის აუტანელი იყო და ამიტომ მივატოვე კომუნისტური რეჟიმი“ (შ. ზედელაშვილი).

ეს ალუზია მრავალმხრივ საყურადღებოა. გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში არ იყო სიტყვის თავისუფლება და ამიტომ დატოვა სამშობლო. ქართველ ტყვეს მისთვის რომ ეკითხა, ფაშისტურ რეჟიმს თუ აქვს სიტყვის თავისუფლებაო, ძნელი სათქმელია, რას უპასუხებდა ემიგრანტი მწერალი. მე სულაც არ მეპარება ეჭვი, რომ მას წუთით რომ გადაეხვია ფაშისტურ იდეოლოგიიდან, გერინგი გაზის კამერაში უკრავდა თავს. მე ახლაც მჯერა, რომ საბჭოთა საქართველოში სიტყვის მეტი თავისუფლება იყო, ვიდრე ფაშისტურ გერმანიაში. ამ მოტივით, გაცილებით ადრე დატოვა გერმანია ჰაინრიხ ჰაინემ. იგი საფრანგეთში გარდაიცვალა.

რაც შეეხება გრიგოლ რობაქიძის წიგნებს ჰიტლერისა და მუსოლინის შესახებ, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ გახდა ხელმისაწვდომი ქართველი მკითხველისათვის. ძალიან კვალიფიციურად თარგმნა გერმანისტმა დალი ფანჯიკიძემ და ნანა გოგოლაშვილმა. შეიძლება ითქვას, რომ რობაქიძე ნიცშეანელი იყო, ნიცშეანელი იყო ჩვენი დიდი კლასიკოსი კონსტანტინე გამსახურდია, რომელმაც შეასრულა საბჭოთა შეკვეთა და სტალინზე დაწერა წიგნი, რომელიც პირველად ტრილოგიად იყო (ჩაფიქრებული), მაგრამ მას შემდეგ, როცა 30-იანი წლების ბოლოს პირველი წიგნი დაიბეჭდა, როგორც ზეპირი ვერსიით ცნობილია, სტალინს იგი არ მოეწონა. ცხადია, რომ მწერალი შემდგომ მუშაობას აღარ გააგრძელებდა. დღეს ეს წიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. ამის გამო მე იგი ვერ წავიკითხე. ახლა, ცხადია, ვერაფერს ვიტყვი მის მხატვრულ ღირსებებზე, მაგრამ მისი გამოცემა აუცილებელია, თუნდაც ლიტერატურის ისტორიისათვის.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა გრიგოლ რობაქიძის წიგნები უპრობლემოდ დაიბეჭდა, საბჭოთა პერიოდში არაოფიციოზის მიერ შექმნილი მითი მისი გენიოსობის შესახებ, დაიმსხვრა. ცნობილია გრიგოლ რობაქიძის ემიგრანტული პერიოდის შვიდი ლექსი, რომელთაგან არცერთი არ გამოირჩევა მხატვრული ოსტატობით, საშუალო დონესაც კი ვერ წვდება.

ჩვენში ყოველთვის ერთი ტენდენცია იჩენს თავს: გამოჩენილ თუ ცნობილ ადამიანს ან ცოცხლად ვმარხავთ, ან მწვერვალზე აგვყავს. ოქროს შუალედი არ გაგვაჩნია. გრიგოლ რობაქიძეს არც ერთი აკლდა და არც მეორე – იგი ზოგჯერ ყალბი დიდების მსხვერპლი, ზოგჯერაც ზღვარგადასული კრიტიკის ობიექტი იყო. მე ორივეს წინააღმდეგი ვარ. გამოჩენილ პიროვნებაზე „სადღეგრძელოების ენით“ ლაპარაკი არ შეიძლება. ჩემზე განსაკუთრებით ძლიერი გავლენა იქონია სტალინის დაცვის უფროსის ვლასიკის მოადგილის, გენერალ-ლეიტენანტ მიხეილ თევდორაძის (1900-1982) მემუარულმა ჩანაწერებმა, რომლებიც 2004-2005 წლებში გაგრძელებებით გამოაქვეყნა გაზეთმა „ქრონიკამ“. ადგილი დაუთმო ასევე ჟურნალმა „თბილისელებმა“. მემუარები ლიტერატურულად დაამუშავა და გამოაქვეყნა მწერალმა ნიკა ლაშაურმა. ჩემთვის და ლიტერატურის ისტორიის მკვლევართათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მემუარების ქვეთავი „ რა ფიცით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული სტალინი და გრიგოლ რობაქიძე“. რა არის ეს, მითი თუ სინამდვილე?! მემუარების ავტორი ძალიან ბევრ ალუზიას აცოცხლებს უახლოესი ისტორიიდან, როგორც ამ მო-

ვლენების თვითმხილველი და მონაწილე. მიხეულ თევდორაძე ამბობს, რომ კაცი, რომლის ნაწერების ციტირებას ახდენდა სტალინი, გრიგოლ რობაქიძე იყო. ერთხელაც ბელადს მისთვის უთქვამს, ის კაცი ჰიტლერის მეგობარიაო. რამდენიმე თვის შემდეგ, 1939 წლის ივლისში სტალინმა, – ამბობს მ. თევდორაძე – თავისთან მიხმო. „პოსკრებიშევმა კარი გამიღო და ბელადის კაბინეტში შევედი". იქ დახვედრია ლავრენტი ბერიაც.

„ჰიტლერის მეგობარზე რომ გელაპარაკებოდი შარშან შემოდგომაზე, თუ გახსოვს? სერიოზული სახით მკითხა დიდმა ბელადმა.

– მწერალი რობაქიძე? – ვკითხე სტალინს.

– სწორედ მასზე. დაჯექი, რატომ წამოხტი?

– მე და ლავრენტიმ მოვითათბირეთ... რომ შენ ჩვენი თანამემამულე გაგაცნოთ, – ჩაილაპარაკა სტალინმა.

– ჰიტლერის მეგობარი?...

– უფრო, ჩვენი მეგობარი, – მიპასუხა სტალინმა" (ნ. ლაშაური).

შემდეგ სტალინს დალუქული კონვერტი გადაუცია და უთქვამს, ამაღამ სპეცრეისით ინკოგნიტოდ ბერლინში გაფრინდები და ამ კონვერტს რობაქიძეს გადასცემ. იქ ერთი დღით მოგიწევს დარჩენა. რობაქიძე კონვერტს გამოგატანს და დაბრუნდებით. დანარჩენს ვლასიკი გეტყვისო. ვლასიკს „ესესის" ფორმა გადაუცია და იგი სამხედრო აეროდრომით ბერლინში გაფრინდა.

რობაქიძეს თევდორაძე კარგად მიუღია, სტალინის წერილი წაუკითხავს და დილამდე გაუჩინარებულა. დილით რობაქიძეს „დაბეჭდილი" წერილი მოუტანა, სოსოს ჩაუტანეო. რვა საათის შემდეგ, ბერლინიდან დაბრუნებული თევდორაძე სტალინის კაბინეტში იჯდა. კარგი ფეხი გქონიაო, უთქვამს სტალინს, ჰიტლერი თანახმაა ჩვენთან შეხვედრაზეო. შემდეგ აღწერილია თუ როგორ მიიღეს ჰიტლერი რიწაზე: 1939 წლის 3 აგვისტოს, სოხუმის ყურეში, დილის 7 საათსა და 45 წუთზე, საბჭოთა წყალქვეშა ნავების თანხლებით, გერმანიის წყალქვეშა ნავი „ოტო ბისმარკი" შემოვიდა. ბორტზე იმყოფებოდნენ ადოლფ ჰიტლერი, გერმან ჰერინგი და გრიგოლ რობაქიძე. რიწაზე ათსაათიანი მოლაპარაკების შემდეგ, მეორე დილით „ოტო ბისმარკმა" დატოვა საქართველო, ხოლო სამიოდე კვირის შემდეგ რიბენტროპი ჩამოვიდა სსრ კავშირში და თავდაუსხმელობის აქტს მოუწერა ხელი" (ნ. ლაშაური).

ზემოთ ციტირებული ამბები ზოგიერთისთვის დაუჯერებელიც კი იქნება. მე ეჭვების გასაფანტავად ამ მოგონებების სხვა თავების გადაკითხვაც მომიხდა. აღსანიშნავია, რომ იგი ზედმიწევნით ზუსტად აღწერს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს და რაღა აქ გაექცეოდა კალამი. ჩემი აზრით, აქ მოტანილი ფაქტების გამოგონება არ შეიძლება.

2010 წლის ივნისის ჟურნალ „თბილისელებში" დაიბეჭდა თინათინ თიკაშვილის სტატია „რა ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან სტალინსა და გრიგოლ რობაქიძეს". მე ზემოთ „ლამარას" მოსკოვური გასტროლი ვახსენე, რომელსაც სტალინი დაესწრო. სტატიის ავტორი წერს: „სტალინი სცენასთან მივიდა, მიულოცა ყველა ხელოვანს და გამოთქვა სურვილი რუსთაველის თეატრის ევროპაში საგასტროლოდ გამგზავრების შესახებ. მან იქვე დაუმატა, რომ სანამ თეატრი გასტროლებზე წავიდოდა, მანამდე დრამის ავტორი გასცნობოდა ევროპას. სტალინს უნებლიედ გამორჩა, რომ გრიგოლ რობაქიძე ევროპას, განსაკუთრებით გერმანიას კარგად იცნობდა, რადგან მან განათლება თავის დროზე გერმანიაში მიიღო" (თ. ბიკაშვილი) მე ვფიქრობ, სტალინს კი არ გამორჩა, არამედ ამ განცხადებით სპეცსამსახურებს ვიზა მისცა მწერლის ევროპაში გამგზავრებისათვის. სტალინს, რომელიც რობაქიძის ციტატებს ზეპირად ამბობდა, ასეთი რამ არ გამორჩებოდა. მით უმეტეს, სპექტაკლ „ლამარას" გასტროლს სულაც არაფერში ჭირდებოდა ავტორის ევროპულ ცხო-

ვრებაში გათვიცნობიერება. ისიც ცნობილია, რომ ომის დასასრულს, 1945 წელს კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს მთავრობაში შუამდგომლობით შესულა, რომ გრიგოლ რობაქიძეს რეპრესია არ შეხებოდა. ვინც იცის მისი ფრთხილი დამოკიდებულება პოლიტიკური მოვლენებისადმი, დამერწმუნება, რომ ამას იგი თავისი ნებით არ მოიმოქმედებდა.

გრიგოლ რობაქიძის ესე ლენინის შესახებ პირველად 1924 წელს დაიბეჭდა „ქართულ სიტყვაში“ (№11), რომლის მიხედვით არ ჩანს, რომ ავტორი ანტიმარქსისტი ან ანტისაბჭოელია. ლენინის პორტრეტი ამაღლებულ რეესტრშია გადაწყვეტილი. იგი წერს: „....ვისაც განუცდია, თუ რა არის მონობა – ჩაგვრა – შიმშილი – დაბეჩავება – წამება: მას არ შეუძლია არ მიიღოს რევოლუცია; ვისაც განუცდია, თუ რა არის: თავისუფლება – მონობის მოსპობა – ადამიანის ღირსების აღდგენა – ქვეყნის გადახალისება – ერთა თვითდამყარება: მას არ შეუძლია არ ახსენოს სახელი ლენინის, განურჩევლად პარტიული დაყოფისა და პროგრამებისა“. გრიგოლ რობაქიძე განაგრძობს – „როცა რადიომ ლენინის სიკვდილი მსოფლიოს აცნობა, ალბათ ჰაერში მისი ტალღა სხვანაირად დაიკლაკნა. მე არ მგონია არსებობდეს ისეთი ადამიანი, რომელიც ლენინის სიკვდილით არ შეძრულიყოს“ (გრ. რობაქიძე). ჩემი ფიქრით, ლენინის ასეთი პოზიტიური შეფასება სხვა გამოჩენილ ქართველ მწერლებს არ მოუციათ. სულ სხვა ჭრილშია გადაწყვეტილი სტალინის რობაქიძისეული შეფასება. იგი პოლიტიკური პამფლეტის ჟანრს უფრო განეკუთვნების. რობაქიძე წერს, რომ სტალინი წარმოშობით ოსი იყო. მე ვერავინ დამაჯერებს, რომ რობაქიძემ არაფერი იცოდა სტალინის ქართული წარმოშობის შესახებ. დასანანია, რომ სოციალურ ქსელებში ახლაც მუსირებს აზრი სტალინის ოსობისა თუ სომხობის შესახებ. სამწუხარო ისაა, რომ მეზობელი სომხები და ოსები გვეცილებიან სტალინის წარმომავლობაში. ამას ზოგიერთი სულგაყიდული ქართველიც უწყობს ხელს. ვურჩევ წაიკითხონ დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის კვლევა „ხალხთა ბელადის გვარის სადაურობისათვის“, რომელიც 1939 წელს დაიწერა და გამოიცა 1991 წელს.

ანტისტალინელები აპელირებენ მენშევიკ სოსო ირემაშვილის სტატიით „სტალინი და საქართველოს ტრაგედია“, რომლითაც სურთ ილიას სისხლი სტალინს შეახოცონ, რაკი ბოლო დროს სერგო ორჯონიკიძე თითქმის გამოირიცხა ამ საქმიდან.

რა თქმა უნდა, რობაქიძის წიგნი, რომელიც პირველად გამოიცა გერმანულ ენაზე დიდერიხის გამომცემლობაში 1935 წელს, სხვანაირი ვერ იქნებოდა, რადგან მაშინ იგი ცდილობდა ანტისაბჭოელის იმიჯის განმტკიცებასა და ჰიტლერის ნდობის მოპოვებას. ასეც მოხდა. მწერალი სტალინის პორტრეტს კიდევ უფრო ამუქებს „ჩაკლულ სულში“. მე აქ არ შევუდგები მის ციტირებას. იგი ქართულად გამოიცა და ყველასათვის ხელმისაწვდომია. რაც შეეხება რობაქიძის მიერ ჰიტლერისა და მუსოლინის ესისტურ პორტრეტებს, ქართული გამოცემის ნიჭიერად დაწერილ წინასიტყვაობაში მათ პროფესორმა როსტომ ჩხეიძემ „პოლიტიკური პამფლეტი“ უწოდა. სავსებით მართალია როსტომ ჩხეიძე, როცა ამბობს, რომ ამ თაობის ლიტერატურას პოლიტიკურ სარჩულს ვერ ჩამოვაცილებთ. „ჩამოვაცილებთ კიდეც, – ამბობს იგი – თვითონ რომ სცილდებოდეს“. თავად „ჰიტლერის“ ავტორი გრიგოლ კაზანძაკისს სწერდა: „ომის პირველ წლებში ორი პატარა წიგნი გამოვეცი: „ჰიტლერი“ და „მუსოლინი“. აქვე დავძენ: „არც პირველია ნაცისტური და არც მეორეა ფაშისტური. ამ თემას განსაკუთრებული სულიერი თვალთახედვით ვუყურებდი“. მე ეჭვი მეპარება ამ სიტყვების გულწრფელობაში. იგი უფრო პოლიტიკური კონიუნქტურაა.

გრიგოლ რობაქიძე ომის დამთავრების შემდეგ შვეიცარიაში დასახლდა. თავისუფლად გადაადგილდებოდა ევროპის ქვეყნებში. მისი წიგნები ჩვენში აკრძალული იყო. არც უცდია სამშობლოში დაბრუნება. ისიც კარგად ჩანს, რომ საბჭოთა მხრიდან იგი განსაკუთრებული დევნის ობიექტი არ ყოფილა. ზემოთ ვამბობდი, რომ ომის დამთავრების დღეებში კონსტანტინე გამსახურდია საქარ-

თველოს მთავრობაში შუამდგომლობით შევიდა, რათა გრიგოლ რობაქიძეს რეპრესია არ შეხებოდა. ამის გამო თავად რობაქიძე წერს: „სამი თვის წინათ ერთი ამბავი მაცნობეს პარიზიდან. ოლია თავაძეს, ყოფილ წევრს საქ. მთავრობისა, ეამბნა, როცა ბერლინი 1945 წელს საბჭოთა ჯართა მიერ ალყაშემორტყმული, ცეცხლის ქვეშ ნადგურდებოდა, მოვარდა ჩვენთან, მთავრობის სასახლეში, ერთი ჯგუფი მწერალთა კ. გამსახურდიას მეთაურობით – თხოვნით: რაიმე ზომები მიგვეღო გრ. რობაქიძის და მ. წერეთლის, რომელნიც მაშინ ბერლინში ეგულებოდათ, გადასარჩენადო, – მრავალი შერხევა განმიცდია ნეტარი წუთით, ხოლო ასეთი სიმძაფრით არა. ასეთი რამ მხოლოდ დიდი კარდჰუს სამშობლოში თუა შესაძლო. მრავალი ცრემლი დავღვარე, ცრემლი ნეტარების. ეხლაც შერხეული ვარ, ვიგონებ რა ამ ამბავს, გამოვუცხადო მადლობა ამ მწერლებს? ეს ემსგავსებოდა – მადლობა გამომეთქვა მღვდელმთავრისადმი ზიარებისათვის. დეე, ეს „აქტი“ დარჩეს წვეთად სამშობლოდან მოგვრილი ზედაშისა, რაიც ვიგემე მე სამუდამოდ გადმოხვეწილმა“. არა მგონია დღესაც ვინმეს ეჭვი შეეპაროს ამ სიტყვების გულწრფელობაში.

ნინო ნიქარაძე

პანდემიური რეფლექსიები

ხართ თუ არა თავგადასავლების მაძიებელი ცხოვრება უკითხავად იმდენ თავგადასავლებს გიმზადებს... ზოგს ვუმკლავდებით, ზოგს გავურბივართ, ან ვივიწყებთ... ზოგსაც ვემორჩილებით.

კოვიდ-ვირუსი და მასთან დაკავშირებული თავგადასავლები მოულოდნელად და უჩვეულოდ დაგვატყდა თავს. თავგადასავლებიდან პირველი – იზოლაცია იყო. საკუთარ სახლში, სახელოსნოში, საკუთარ თავთან, „მე“-სთან პირისპირ...

ცნობილია, მხატვრის შემოქმედებითი მუშაობისთვის უცილობელი პირობა არის დრო, და აი, მოგვეცა დრო თვითდაკვირვების, თვითგამორკვევის, თვითშეფასებისთვის...

სამყარო შეიკუმშა, დაპატარავდა – შინ შემოვიდა, სახელოსნოში დაეტია, ინტროსპექციაში აღმოვჩნდით (ლათინურიდან თარგმნილი „ვიხედები შიგნით“) – ეს მეორე ცხოვრებისეული თავგადასავალია... ეძიებ თემებს, ხატავ, ფიქრობ, იხსენებ, ელაპარაკები საკუთარ თავს, უსმენ მუსიკას, ესაუბრები იმ ცელქ გენიოსს – მოცარტს, ქართველ გენიოს ვაჟას, ან ფრანგ მატისს და სხვებს... არავის შემოუშვებ შენს ფიქრებში... და გაიელვებს აზრი ლათინური სიბრძნისა – მილანში, დოჟების სასახლის შესასვლელთან თაღის თავზე ამოტვიფრული: „ფიქრი შეიძლება ყველაფერზე, ლაპარაკიც ყველაფერზე შეიძლება, მაგრამ არ დაივიწყო რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას“...

ნეტა შემეძლოს ნაფიქრალის ტილოზე გადატანა...

დიდ ფანჯარაში გარე სამყარო მოჩანს – მზე, ცა, დაცარიელებული ქალაქის ჩუმი უბანი და ქუჩის ძაღლი, დაბნეულად რომ ურტყამს წრეს ნაგვის ბუნკერს.

ადამიანი? არ ჭაჭანებს... როგორ მომნატრებია ადამიანები – ნაცნობი თუ უცნობი, დიდი და პატარა, კარგი თუ ცუდი, სულიერი... ყველა მენატრება, და კიდევ, ძალიან მენატრება მუზეუმი, სადაც ვმუშაობ. ჩაკეტილი, მიტოვებული სურათები, გარინდული ქანდაკებები. ვიცი, იმათაც ვენატრები, ადამიანები ენატრებათ, სუნთქვა მათი, აღტაცება, თვალის შევლება...

ასეთ საგანგებო გარემოებაში, რომელსაც პანდემია უწოდეს ახალი რეფლექსიები იბადება. ხვდები, რომ ცხოვრების სხვა ეტაპი, სხვა თავგადასავლები იწყება. იზოლაცია წარსული ცხოვრების ერთი უმნიშვნელო მონაკვეთია, ისტორიული წამი...

თვითიზოლაციაში ყოფნა თვითგანწმენდის შესაძლებლობაც არის, რათა გარდაქმნილ სამყაროში გასვლისას შენც გარდაქმნილი გახვიდე, როცა სხვისი განსაცდელი ცრემლს მოგგვრის, სხვისი სიხარულით იხარებ, მადლიერების გრძნობას გააძლიერებ, ბევრ სხვა სათნოებებს დაიბრუნებ ან... შეიძენ, გარდასულებს მოიხსენიებ, ახალშესვენებულებს, კორონავირუსს შეწირულებს...

ზამთარი „კუდს იქნევს“... ცივაااა... და მაინც, ქუჩებში ყოჩივარდები გამოჩნდა. გაზაფხულის პირველი მაუწყებლები, კონებად შეკრული ბუნების პაწაწინა დესპანები, მცინარი, გამძლე, ველური ყვავილები.

სულ მალე პირველი საგაზაფხულო გამოფენა ეწყობა, პირველი – „პოსტპანდემიური“. ვინ იცის, იზოლაციაში შექმნილ მხატვრობას რა დაღი დაესვა. იქნებ ახალი მიმდინარეობებიც წარმოიშვა – „კოვიდიზმი“ ან „დისტანციონიზმი“, ან სულაც სხვა, ჯერ შეუცნობელი, ვერ აღქმული, არმიღებული, შესაძლოა დრამატულიც.

ბუნების კანონია: ყოველთვის, ზამთრის შემდეგ გაზაფხული დგება, ყოველი განსაცდელის შემდეგ – სიხარული.

ეს დღეც დადგა! პოსტპანდემიური პერიოდის პირველი „ღია“ გამოფენა „ART-კოვიდის“ სახელწოდებით, რა თქმა უნდა, რეგულაციების დაცვის მოთხოვნით. არავინ უწყოდა რას გვიმზადებდა ეს თავგადასავალი.

ვერნისაჟზე შევხვდებით! ურეკავდნენ ერთმანეთს მხატვრები, აზროვნებისა და ქცევის შეუზღუდავ თავისუფლებას მიჩვეული ხელოვანები. და იქცა ვერნისაჟი ნამდვილ დღესასწაულად, სადაც „პირბადე-ცხვირბადეებით“ შენიღბულები ერთმანეთს ვერც კი ცნობდნენ, მაგრამ ყველა გულითადად ხარობდა, ერთმანეთს გულში იკრავდა და გუგუნებდა. სურათები ვისღა ახსოვდა, თუმცა ფერწერული ტილოებიდან ისეთი სითბო და სიმშვიდე იღვრებოდა, თითქოს მხატვრებმა იზოლაციაში კი არა პლენერზე იმუშავეს, ბუნების წიაღში, რომელიც ამ პერიოდში საოცრად განიწმინდა და დაწყნარდა.

ვინ იცის წინ რა თავგადასავლებს გვიმზადებს კოვიდცხოვრება – და მაინც, ხელოვნება „გადაარჩენს კაცობრიობას“!

დრო და მხატვარი

მხატვარი!... ყველა დროში, ეპოქაში, კაცობრიობის საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების პროცესში მხატვრის ხვედრი იყო ერთდროულად მძიმეც და ბედნიერიც: პროფესია – მხატვარი მუდამ თავისუფლებასთან ასოცირდებოდა და ეს ერთადერთი პრივილეგიაა, რაც ნეტარებას ანიჭებს მხატვარს. „ნეტარი“ საზოგადოების თვალში ერთგვარად შერეკილ, უცნაურ ადამიანს ნიშნავს და ამ უცნაურობას თავისუფლებასთან აიგივებენ, აზროვნების, ყოფიერების, ნების თავისუფლებასთან, რასაც მხატვრად წოდებული ადამიანი არაფერში გაცვლის, მისთვის წოდება – მხატვარი უპირატესია... იყო დრო, როდესაც მუშაობის პროცესში შესწრებულ მხატვარს (დიდოსტატს) უფლება ჰქონდა მეფესთან მისასალმებლად ფეხზე არ წარმომდგარიყო!...

ძნელია რომელიმე კასტას მიაკუთვნო მხატვარი (ხელოვანთა შორის გამორჩეულ ინდივიდუალისტს). ვერც მაღალ, ან დაბალ საზოგადოებას, ვერც პრივილეგირებულს ან ჩაგრულს...

დრომ ბევრი რამ შეცვალა. ახალმა ცივილიზაციამ თითქმის შთანთქა წინა საუკუნის კულტურა, შეცვალა ცხოვრების წესი, ფასეულობები, მოთხოვნები, შეიცვალა მხატვრის, როგორც ახალი დროის ხელოვანის მსოფლხედვა, მრწამსი. მრავალი ილუზია დაიმსხვრა, მრავალი ძველთა-ძველი პრობლემა ახალი (დროის შესაბამისი) სიმძაფრით წამოიჭრა. დროება სრულიად განსხვავებულ, არატრადიციულ თემებს, საშემსრულებლო ტექნიკას და ტექნოლოგიებს გვკარნახობს.

საუკუნეთა მიჯნაზე მომხდარი მეტამორფოზების შედეგად ჩვენთვის უცხო, უჩვეულო შემოქმედებითი იმპულსები აღიძრა, ხედვის არეალი, ახალი პერსპექტივები გაიხსნა, მაგრამ ამავდროულად, სამწუხაროდ, წაიშალა ზღვარი პროფესიონალიზმსა და არაპროფესიონალიზმს

შორის, ყველას უნდა ხატვა! და არა მხოლოდ თავისი სიამოვნებისთვის, არამედ საზოგადოებრივი აღიარებისთვის. ამრიგად, იშლება ზღვარი ხელოვნებასა და კულტურას შორის. ისეც ხდება, რომ ხელოვნება – მაღალი, ზენა ფენებიდან ჩამოქვეითდება, კულტურა კი მიწიერ შრეებს ვერ სცდება და ასე, ეპოქალური პრობლემების გამარტივებით „მასიურ კულტურად“ გადაიქცევა, რაც მხოლოდ „მომხმარებელზეა“ გათვლილი და სრულიად გამორიცხავს ხელოვნების ნაციონალურ თავისებურებებს, თვითმყოფადობას.

თანამედროვე გამომსახველობითი ფორმების ძიებაში გაჩნდა შეუზღუდავი ინოვაციური ხედვა. მხატვრობის „იზმებითა“ და „მინდიზმებით“ დატვირთული სახეობები...

ასევე დაიტვირთა უცხო-უცხო ტერმინებით გაჯერებული ხელოვნების ანალიტიკოსთა გართულებული ლექსიკა, რაც ტრადიციული აზროვნების მხატვრებისთვის („ჩუმი მეტყველების“ ოსტატებისთვის) მიუღებელი, ვერ გაგებული, ან აუთვისებელი დარჩა.

ფანტასტიკურის ზღვარს სცილდება ახალი, სრულყოფილი ტექნოლოგიების შესაძლებლობები, ისინი დროს უსწრებენ! ესეც დროის თავისებურებაა, რომელიც ერთგვარად ბოჭავს იმ ადამიანებს, ვინც ამ დროის სიახლეებს მხარი ვერ აუბა, ან... არ მიიღო... შესაძლოა – არ დაემორჩილა.

სახვითი ხელოვნების სისტემა, ისევე როგორც სახვითი ხელოვნების სხვა დარგები სანახაობითი, ძლიერ გახმოვანებული (ხშირად – ხმაურიანი) ეფექტებზე აგებული სანახაობა ხდება – შოუ...

შოუზე რეპრეზენტირებულ ექსპონატს („ობიექტს“) ვერ ეკონტაქტები, ვერც მის სიღრმეებში აღწევ... ის ვერ შემოდის შენში, სულს ვერ ეხება, გულს არ გითბობს. შოუ სხვა მიზნებს, სხვა ამოცანებს ისახავს, აქედან გამომდინარე დრო აღქმის კულტურას, მის ემოციურ და ესთეტიკურ კატეგორიას ცვლის, ახალ მიდგომებს აყალიბებს, რაც უფრო მაყურებლის შოკირებაზეა გათვლილი, ვიდრე ნაწარმოებით ტკბობაზე ან აღტაცებაზე. ეს ცნებები ხომ გარდასულ საუკუნეთა სივრცეებში დაიფანტა და თანამედროვეთა შეხედულებით – ძველმოდურია, მოსაწყენი...

მოვლენათა სწრაფმიმდინარე დროში, ასევე სწრაფცვალებადია შემოქმედებითი პროცესებიც. შედეგებს კი ალბათ დრო განსჯის! როგორც საშლელი, რომლითაც მხატვარი ზედმეტს შლის, შეცდომებს (იგივე შეცოდებებს) ამოშლის, და ტოვებს მხოლოდ არსებითს, უმთავრესს! დროც... წაშლის მხატვრობაში, ზოგადად ხელოვნებაში დაუშვებელ შეცდომებს და ხელოვნების ისტორიაში, ქვეყნის ისტორიაში მხოლოდ ნამდვილს, ღირებულს, ჭეშმარიტს დატოვებს. განსჯა ასეთი მხატვრობისა ძალუძს ისევ – დროს! სხვას ყველაფერს „დროებითი“ დაერქმევა და დრო მას შთანთქავს...

დრო – მხატვართა ყველაზე სამართლიანი კრიტიკოსი (ან... მოტრფიალე) ყველა(ფერს)... შესა(ფერის) ადგილებზე დაამკვიდრებს.

დრო მეფობს მხატვრობაში...

დრო იყო, არის და რჩება ხელოვანთა მთავარ მსაჯულად.

2014 წელი

ოთარ გოგოლიშვილი
ნუცა ჩხაიძე[1]

ნესტორ იაკობის ძე ხვინგია
(1888-1941 წწ.)

ეს სტატია განაპირობა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კონსტიტუციის, 100 წლისთავის თარიღმა – თუ სად, როგორ, რა პირობებში და ვის მიერ იქნა დასტამბული ეს ისტორიული დოკუმენტი.

ცნობილია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კონსტიტუცია დაიბეჭდა ბათუმში, ხვინგიების სტამბაში. ამ დოკუმენტის გამოცემისთვის მეტად დაძაბულ პერიოდსა და ვითარებაში.

თვითონ ამ სტამბის შექმნას თავისი წინაპირობებიც ჰქონდა – XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფეხი მოიკიდა სასტამბო საქმემ, რასაც ხელი შეუწყო კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფმა განვითარებამ, ფაბრიკა-ქარხნების გამრავლებამ, აღებ-მიცემობამ და კულტურულმა ვითარებამ.

პირველი სტამბა ბათუმში ამუშავდა 1879 წელს, შემდგომ მომრავლდა სტამბები, რომელთა მფლობელები იყვნენ, როგორც ქართველი, ასევე უცხოელები.

თავდაპირველად ეს სტამბები ტექნიკურად გაუმართავი იყო, ამიტომ არ ხერხდებოდა არც წიგნების და არც გაზეთების ბეჭდვა, მხოლოდ ბეჭდავდნენ მცირე მოცულობის აფიშებსა და ბუკლეტებს. მოგვიანებით კი კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებამ და სტამბებზე მოთხოვნილების გაზრდამ, შესაძლებელი გახადა ბათუმში სტამბების ტექნიკური გადაიარაღება და უცხოეთიდან ახალი სასტამბო დანადგარების ჩამოტანა. ამჯერად კი სტამბებმა მთელი ძალებით დაიწყეს საქმიანობა და შეკვეთებიც მომრავლდა.

ბათუმში არსებულ სტამბებს შორის გამოირჩეოდა ნესტორ იაკობის ძე ხვიანგიას სტამბა. ნესტორ ხვინგია ცნობილი პიროვნება გახლდათ. მას ბათუმში პატივს მიაგებდნენ. მასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელ ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს – ქალაქისთავს ივანე ანდრონიკაშვილს, გრიგოლ ვოლსკის, ივანე მესხს და სხვებს. ნესტორი, ასევე, ძალიან განათლებული პიროვნება და კარგი მოსაუბრე გახლდათ. მისი სტამბის ხშირი სტუმრები იყო როგორც ბათუმის საზოგადოება, ასევე თბილისიდან ჩამოსული ცნობილი პიროვნებები. მიუხედავად იმისა, რომ ხვინგიების სახელით ცნო-

[1] ნუცა ჩხაიძე არის ნესტორ ხვინგიას შვილთაშვილი.

ნესტორ ხვინგია და მისი მეუღლე ნინო (ნუცა) წივწივაძე

ბილი სტამბის გარდა, ბათუმში სხვა სტამბებიც არსებობდა, ეს სტამბა იმდენად პოპულარული იყო, რომ მხოლოდ მასთან სურდათ სხვადასხვა სახის ლიტერატურისა თუ გაზეთების დაბეჭდვა. ამასთან ნესტორ ხვინგიასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ბათუმში არსებული სხვა სტამბების მფლობელებსაც. მაგალითად, როდესაც იმათ სტამბებში წარმოიშვებოდა რაიმე სახის ტექნიკური პრობლემა, ისინი ნესტორთან მიდიოდნენ და თხოვდნენ დახმარებას. ნესტორიც უარს არ ეუბნებოდა მათ. ეს შეეხებოდა როგორც ქართველ, ასევე რუს მესტამბეებს. მაგალითად, სტამბის რუსი მფლობელი დ. კაპელი ამბობდა, რომ ნესტორი ღირსეული ადამიანია, მასთან რა დროსაც არ უნდა მიხვიდე, იგი არასდროს არ დაიზარებს დახმარებას და თავისი ძვირფასი რჩევებით სწორ გზაზე დაგაყენებსო.

ნესტორ ხვინგია გახლდათ პატრიოტი ადამიანი, იგი ყველანაირად ცდილობდა ბათუმში ქართული ცნობიერების ამაღლებას, აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სახის პოლიტიკურ თუ სხვა საქმიანობაში. ამის გამო მას ზოგჯერ უკმაყოფილებაც კი ჰქონია ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობასთან, მაგრამ მისი ავტორიტეტის გამო, არასდროს უქმნიდნენ პრობლემებს. ნესტორ ხვინგია რომ დიდი პატრიოტი გახლდათ, ამაზე მეტყველებს მის სტამბაში ისეთი სახის ლიტერატურისა და გაზეთების დაბეჭდვა, რომლებიც არსებული რეჟიმისადმი კრიტიკით გამოირჩეოდა. ყველაფერს, რომ თავი დავანებოდ, მის სტამბაში არაერთხელ დაბეჭდილა ისეთი სახის პროკლამაციები, რომლებიც ხელისუფლებისადმი არალოიალური იყო. ასევე, სწორედ ნესტორის სტამბაში დაიბეჭდა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ წესდება და პროგრამა და რაც მთავარია, მისსავე სტამბაში დაიბეჭდა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ ნომრები. ეს კი მეტყველებს ამ ადამიანის დიდ პატრიოტიზმსა და თავდადებაზე. სწორედ ნესტორ ხვინგიასთან ჰქონდათ ახლო დამოკიდებულება „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ წევრებს: მემედ აბაშიძეს, ჰაიდარ აბაშიძეს, სულეიმან დიასამიძეს, იუნუს წულუკიძეს და სხვებს. ისინი ხშირად სტუმრობდნენ როგორც სტამბას, ასევე ოჯახს. ნესტორის სტამბაში დაიბეჭდა „მოწოდება ქართველებისადმი“, რომელიც მიეძღვნა ბათუმის ოლქის ინგლისელთა ორწლიანი ბატონობის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი გადაცემას. ამ მოწოდებაში, რომელიც ჩვენი აზრით, ნესტორის დაწერილი უნდა იყოს, საუბარია საქართველოს წარსულზე, მისი დიდების დღეებზე და ასევე საუბარია იმ დღეზე, როდესაც ბათუმი და მისი ოლქი დაუბრუნდა დედასაქართველოს და ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში მან უნდა თქვას მისი ღირსეული სიტყვა. ნესტორი ასევე მიესალმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას და მხარდაჭერა გამოუცხადა დემოკრატიულ მთავრობას. დიახ, ასეთი პიროვნება გახლდათ ნესტორ ხვინგია.

ნესტორ ხვინგია თავისი საქმის მაღალი დონის პროფესიონალი იყო. მან გარდაქმნა სტამბის ტექნიკური აღჭურვილობა, შეცვალა შრიფტი, საბეჭდი მოწყობილობა, დაამატა სასტამბო საქმის კარგად მცოდნე თანამშრომლები და წამყვანი ადგილი დაიკავა ბათუმში არსებულ სტამბებს შორის. ნესტორის სტამბაში დაიბეჭდა 16 დასახელების წიგნი ქართულ ენაზე და 12 დასახელების წიგნი რუსულ ენაზე. სწორედ მის სტამბაში დაიბეჭდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ისტორიული პოემა „ბედი ქართლისა“, ვიქტორ ჰიუგოს „მხიარული ცხოვრება“ და სხვა. აქვე დაიბეჭდვა თარგმნილი წიგნები ფრანგულიდან, ჩინურიდან და სხვა. ნესტორ ხვინგიას სტამბაში იბეჭდებოდა და ბათუმის მოსახლეობაში ვრცელდებოდა გაზეთები: „ბათუმის მოამბე“ (1917 წლის 7 მარტი), „ხმა“ (1914 წლის 11 თებერვალი), „ბათუმის გაზეთი“ (1911-1914 წ.წ.), „სამუსლიმანო საქართველო“ (1919-1921 წ.წ.), „მუშათა პრესის დღე“ (1917 წელი), გამოვიდა რამდენიმე ნომერი და ასევე გაზეთები რუსულ ენაზე. და რაც მთავარია, ნესტორ ხვინგიას სტამბაში დაიბეჭდა პირველი ქართული კონსტიტუცია, რაც ამ ადამიანის სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულსა და უმაღლეს პროფესიონალიზმზე მეტყველებს. ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

ნესტორ ხვინგია დაიბადა ხონის რაიონის სოფელ პატარა კუხში, 1888 წელს. სკოლის პერიოდი იქვე გაატარა და ხონის გიმნაზია დაამთავრა. ნესტორ ხვინგია ბათუმში თავის ძმასთან კოლია (ნიკოლოზ) ხვინგიასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთვება. 1918 წლის ბოლოს ხონიდან ნუცა წივწივაძეს (ნესტორის მეუღლე) ახლობლები სპეციალურად ატანენ წერილს ნესტორთან, ადრესატს წივწივაძე არ იცნობდა. აქიდან დაიწყო მათი ისტორია, 1919 წელს ისინი დაქორწინდნენ. ბებიას (ეთერი ხვინგიას) გადმოცემით მშობლებს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ, ნუცა იყო ყველა მისი წამოწყების დიდი მხარდამჭერი და ასე გრძელდებოდა სიცოცხლის ბოლომდე. ნიკოლოზ ხვინგია, ბათუმში გერმანელ ქალბატონს მელიტას გაიცნობს. მელიტას მამა გერმანიიდან რკინიგზის მშენებლობისათვის მოწვეული სპეციალისტია. 1917 წელს კოლია და მელიტა ქორწინდებიან. გერმანელი ნათესავების დახმარებით მალევე ჩამოაქვს გერმანიიდან სტამბის დანადგარები და სტამბა ფუნქციონირებას იწყებს. მთავარი მოვალეობები ძმებს გადანაწილებული აქვთ. კოლია (ნიკოლოზი) სტამბის ფუნქციონირებაზე, ხოლო შიდა საქმიანობასა და უშუალოდ ბეჭდვის პროცესზე პასუხისმგებელი ნესტორი გახლდათ.

ნესტორ ხვინგია (ცენტრში) დგას, მარჯვნივ – ნესტორის უფროსი ძმა ნიკოლოზ ხვინგია, ნიკოლოზ ხვინგიას ქალიშვილი ტატიანა და ვლადიმერ ხვინგია

მესამე ძმა ვლადიმერი თეთრი არმიის გვარდიის წევრი იყო, წითელარმიელებს შემთხვევით გადარჩენილი 1919 წელს უბრუნდება სამშობლოს, ჯერ ხონში ჩადის, შემდეგ კი ბათუმში. ერთვება ძმების წამოწყებაში და საბუღალტრო საქმეს იღებს საკუთარ თავზე.

ძმები შეხმატკბილებულად საქმიანობდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მათი სტამბა გამორჩეული და პოპულარული ყოფილიყო.

ნესტორ ხვინგიამ იმ დროისათვის ცნობილმა მესტამბემ, უკვდავყო თავისი სახელი. საქართველოს დაუტოვა ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი დოკუმენტი და ამით მან დიდი საერო საქმე გააკეთა.

ცნობილია, რომ საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს პირველი კონსტიტუცია ნაჩქარევად მიიღო 1921 წლის 21 თებერვალს. ეს ის დროა, როდესაც ოკუპანტი ბოლშევიკები თბილისის მისადგომებთან იდგნენ და დღე დღეზე ქალაქი უნდა დაცემულიყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით და მასთან ერთად საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები იძულებული გახდნენ სასწრაფოდ დაეტოვებინათ თბილისი და ბათუმისაკენ წამოსულიყვნენ. 25 თებერვალს მოხდა თბილისის დაპყრობა. ჟორდანიას მთავრობა ბათუმში 1921 წლის 10 მარტს ჩამოვიდა, ისინი აქ დარჩნენ 18 მარტამდე და აქედან წავიდნენ იტალიური გემით ემიგრაციაში. 12 მარტს ბათუმში გაიმართა დამფუძნებელი კრების ბოლო სხდომა. სწორედ ამ მონაკვეთში 10 მარტიდან 18 მარტამდე უნდა გამოცემულიყო კოსტიტუცია. ამისათვის მათ შეარჩიეს ცნობილი ბათუმელი პოლიგრაფისტის ნესტორ ხვინგიას სტამბა. კონსტიტუცია დაიბეჭდა ცალკე წიგნად (ზომა – 19-3, მოცულობა 40 გვერდი, ტირაჟი უცნობია. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ იგი გამოიცა 100, ხოლო სხვა მოსაზრებით 200 ტირაჟით) სათაურით „საქართველოს კონსტიტუცია მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21“. ეს გამოცემა არის ბიბლიოგრაფიული იშვიათობა. მისი ერთ-ერთი ჩვენამდე მოღწეული ეგზემპლარი დაცულია თბილისში, საქართველოს წიგნის პალატაში.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კონსტიტუციის დაბეჭდვა ბათუმში შემთხვევით არ უნდა მომხდარიყო, არამედ იმ რეალობის გათვალისწინებითაც, რომ ბათუმი პოლიგრაფიული წარმოებით საკმაოდ დაწინაურებული ქალაქი იყო. საქართველოს პირველი კონსტიტუციის გამოქვეყნების დროისთვის ნესტორ ხვინგია უკვე გამოცდილი მესტამბე იყო. მისი პოლიგრაფიული საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობა და მეპატრონის პროფესიონალიზმი იძლეოდა საშუალებას, რომ აქ გამოეცათ როგორც გაზეთები, ასევე წიგნები.

ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, ემიგრაციაში წასვლამდე, თავს მოვალედ თვლიდა, რომ ქვეყნის პირველი კონსტიტუცია სტამბური წესით საქართველოშივე გამოექვეყნებინა. ამიტომ მთავრობას უნდა გაეთვალისწინებინა შემდეგი გარემოებები: სტამბის ტექნიკური მონაცემები, შეკვეთის სწრაფად და ხარისხიანად შესრულების შესაძლებლობა. ამ მხრივ ნესტორ ხვინგიას სტამბა სათანადოდ მზად იყო. ეს ეტყობა იქ დაბეჭდილ 1921 წლის კონსტიტუციასაც. მისი ტექსტი 100 წლის სიძველის მიუხედავად, დღესაც კარგად იკითხება, შესრულებულია ლამაზი შრიფტით, სათანადოდაა გამოყოფილი კონსტიტუციის ცალკეული თავები და მუხლები, არ არის დაშვებული არც ერთი არსებითი ხასიათის შეცდომა. ასევე, მთავრობას უნდა გაეთვალისწინებინა მისი მფლობელის და თანამშრომელთა სანდოობა, რადგან ქვეყნისთვის ამ უმთავრესი პოლიტიკური დოკუმენტის შემთხვევითი პირების ხელში მოხვედრა დაუშვებელი იყო, ისიც საბჭოთა რუსეთის აგრესიის პირობებში, ხვინგია მხარს უჭერდა დამოუკიდებელი საქართველოს იდეას და ვფიქრობთ, სწორედ ამ ნიშნით შეირჩა აღნიშნული სტამბა.

ნესტორ ხვინგია კარგად გრძნობდა ბოლშევიკებისგან მოსალოდნელ საფრთხეს, მაგრამ ქვეყნის წინაშე მოქალაქეობრივი და პატრიოტული მოვალეობის შეგნება ჩანს ამ პიროვნებაში ბევრად უფრო მაღლა იდგა, ვიდრე მესაკუთრის კერძო ინტერესები. რა თქმა უნდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასაც ასეთი სანდო პირი სჭირდებოდა,

რომ საქართველოშივე მოესწრო ამ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტის ბეჭდურად გამოქვეყნება.

უაღრესად საინტერესოა ნესტორის პიროვნება, ასევე, საინტერესოა მისი ოჯახის წევრების შემდგომი ბედი.

1931 წელს დაიბადა მათი ერთადერთი ქალიშვილი ეთერი. მისი გადმოცემით, ბოლშევიკების შემოჭრის დროს ნესტორი დაპატიმრებისთვის მზად იყო, თუმცა ქვეყნის დატოვება არც კი უფიქრია.

1937 წლის რეპრესიების დროს ნესტორი დაიკავეს და მისი მეუღლე ნინო (ნუცა) წივწივაძე იძულებული გახდა გაენადგურებინა უნიკალური ბიბლიოთეკა და საბუთები. ახლანდელ მემედ აბაშიძის ქუჩაზე, სადაც თავად ცხოვრობდა, მის მეუღლესა და მცირეწლოვან ქალიშვილთან ერთად გასაიდუმლოებულად გამოცემულ მრავალ წიგნთან ერთად (მათ შორის კონსტიტუციასთან) სტამბის მთლიანი დოკუმენტაცია დაიწვა. მაშინდელი ხელისუფლება ნესტორს ბრალს სდებდა მოსკოვში, წითელ მოედანზე ჩასვლასა და სტალინის მოკვლის მცდელობაში, რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ოჯახის ვარაუდით, ბოლშევიკებმა გაითვალისწინეს, რომ სტამბა უკვე მათთვის გადაცემული ჰქონდა და სავარაუდოდ, ისიც გამოიკვლიეს, რომ მოსკოვში ნამყოფიც კი არ იყო. ბოლშევიკების მიერ წართმეულ სტამბაში სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე რიგით ასოთ-ამწყობად მუშაობდა. 1941 წელს სტამბიდან ტყვიით მოწამლული ორგანიზმის ქრონიკული დაავადების გამო, ნესტორი კრიტიკულ მდგომარეობაში გადაჰყავთ საავადმყოფოში, მეორე დღეს ქალიშვილს დაბადების დღეზე დაბრუნებას დაჰპირდა, თუმცა იმავე დღეს ღამით ნესტორ ხვინგია გარდაიცვალა.

ომის პერიოდში ბუნებრივია სხვა ოჯახებივით, ობლად დარჩენილი შვილის რჩენა ნუცას ძალიან უჭირდა. ამ პერიოდში უკვე დაპატიმრებულია ნიკოლოზის მეუღლე, მელიტა და მათი შვილები ბორისი და კონსტანტინე ნუცა წივწივაძესთან რჩებიან. მელიტა გათავისუფლების უწყების მიღების შემდეგ, საკანში გულის შეტევით გარდაიცვალა. მალევე ბორისი ჯარში გაიწვიეს, კონსტანტინეს ასაკის გამო არ უწევდა ომში მონაწილეობა, მაგრამ, ტყუილით, მოხალისედ წავიდა. კონსტანტინე კრასნოდარის ოლქში ძმათა სასაფლაოზეა დასაფლავებული, ხოლო ბორისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

ნესტორ ხვინგიას ქალიშვილი ეთერ ხვინგია (ცენტრში), ნესტორის შვილთაშვილი დანიელ მარკარიანი (მარჯვნივ) და შვილთაშვილი ნინო (ნუცა) ჩხაიძე (მარცხნივ)

ნესტორ ხვინგიას შვილიშვილები – ლიანა ნიკოლაიშვილი, დავით ნიკოლაიშვილი, მედეა ნიკოლაიშვილი

ნუცა წივწივაძე სრულიად მარტო რჩება ქალიშვილთან ერთად და იძულებულია მკერავად დაიწყოს მუშაობა. ქალიშვილის სწავლას დიდ

ყურადღებას აქცევს, მისცა პედაგოგიური განათლება. ეთერ ხვინგიამ 45 წელზე მეტი იმუშავა ჯერ სოფ. ჩელტის, შემდეგ ბათუმის მე-20 და მე-3 საშუალო სკოლებში პედაგოგად. 1950 წელს ეთერი დაქორწინდა გიორგი ნიკოლაიშვილზე და გარდაცვალებამდე, 2017 წლამდე, ბათუმში ცხოვრობდა.

ვლადიმერს, ორი შვილი ჰყავდა. ორივე მეცნიერულ საქმიანობას ეწეოდა. მიხეილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი და სამთო-მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი იყო. ხოლო მისი ძმა ლევანი კი მეცნიერებათა დოქტორი, კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი გახლდათ. ლევანის შვილები ნინო და ზურაბ ხვინგიები საბჭოთა პერიოდში ამერიკაში მიიწვიეს და ჰილტონის უნივერსიტეტში ასწავლიდნენ. მიხეილსაც დარჩა ქალიშვილი – მარიამ ხვინგია, რომელიც ამ დრომდე თბილისში ცხოვრობს.

ნესტორს 3 შვილიშვილი დავით, მედეა და ლიანა ნიკოლაიშვილები და ორი შვილთაშვილი დანიელ მარკარიანი და ნუცა ჩხაიძე დარჩა.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც უნდა ითქვას. ნესტორ ხვინგიას შვილთაშვილს დანიელ მარკარიანს შეჩერებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა, რაც მიგვაჩნია არასწორად. შეჩერების მიზეზი გახლავთ ის, რომ ის არის რუსეთის მოქალაქე. ვთხოვთ საქართველოს ხელისუფლებას, რომ დანიელ მარკარიანს მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეობა. ეს იქნება ნესტორ ხვინგიას სახელისა და ღვაწლის დაფასება.

ასეთი იყო ნესტორ ხვინგიას ცხოვრება და შემორჩენილი ის ნამდვილი მწირი ინფორმაცია, რომელიც წარმოაჩენს საქართველოს პირველი კონსტიტუციის გამოცემისთვის გაწეულ ღვაწლს, ნესტორ ხვინგიასა და მისი ოჯახის სიცოცხლის რისკის ფასად.

დიანა ზოიძე

იამბიკური სვინაქსარი

A-85 ხელნაწერის კომენტარში ნათქვამია: „ესე იამბიკონნი ხუთთა თუჱთა მეტნი არ იყუნეს ენასა ზედა ქართლისა და ოთხთა თუჱთანი არსენი ბულმაისიმისძემან თქუაჲ, ქართლისა კათალიკოზმან, ჩემითა შეხუჱწითა“ (148 r). სიტყვა „ჩემითა“ ხელნაწერში ქარაგმითაა წარმოდგენილი – „ჩ˜ითა“ და ის შეიძლება წავიკითხოთ, როგორც „ჩუენითა“, მაგრამ ამ შემთხვევაში უპირატესობას ვანიჭებთ პირველ წაკითხვას, რაც გულისხმობს იმას, რომ საგალობლის დამკვეთია ტბელ აბუსერისძე, რომელსაც ეკუთვნის დამოწმებული კომენტარი. „ჩუენითა“-ს შემთხვევაში, დამკვეთებს შორის ტბელთან ერთად საგულვებელი არიან მისი ძმები – აბუსერი და ვარდანი, რაც, ჩვენი აზრით, გამორიცხულია, რადგან, როგორც წესი, ერისთავთ-ერისთავ ძმებზე ტბელ აბუსერისძეს არ ახასიათებს ნაცვალსახელებით წერა, მწერალი მათ ყოველთვის სახელით იხსენიებს.

ამგვარად, მოცემული კომენტარის მიხედვით, თებერვალ-მაისის თვეების იამბიკონი ეკუთვნის არსენ ბულმაისიმისძეს და დაწერილია ტბელ აბუსერისძის ინიციატივით.

„იამბიკური სვინაქსარი“ ანალოგიური შინაარსის ბერძნული ტექსტის ადაპტირებული ქართული ვერსიაა. მას საფუძვლად უდევს **„ათორმეტთა თვეთა პროლოღია“, ანუ „გალობანი ყოველთა წმიდათანი“ – გალექსილი საეკლესიო კალენდარი, რომელიც ბიზანტიელ პოეტს ქრისტეფორე მიტილინელს ეკუთვნის.** „იამბიკურ სვინაქსართან“ არის დაკავშირებული ქართული მწერლობის სამი უდიდესი წარმომადგენლის – იოანე პეტრიწის, არსენ ბულმაისიმისძის და ანტონ კათალიკოსის სახელი. სვინაქსარის გალექსვა იოანე პეტრიწს დაუწყია და გაულესავს ხუთი თვის – სექტემბერ-იანვრის კალენდარი, მომდევნო ოთხი თვის – თებერვალ-მაისის – გალექსილი კალენდრის თარგმანი არსენ ბულმაისიმისძეს ეკუთვნის. იამბიკური სვინაქსარის ეს ორივე ნაწილი ტბელ აბუსერისძემ A-85 ხელნაწერში შეიტანა. სვინაქსარის დარჩენილი სამი თვის – ივნის-აგვისტოს მონაკვეთი კი ანტონ კათალიკოსმა გალექსა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტზე მუშაობდა სხვადასხვა ეპოქის სამი უდიდესი მოღვაწე, ძეგლი ნაკლებადაა შესწავლილი. არსენ ბულმაისიმისძის და ანტონ კათალიკოსის სვინაქსარი საერთოდ არ არის გამოცემული, ხოლო იოანე პეტრიწისეული ტექსტი 1978 წელს გამოსცა თ. კუკავამ ორი გვიანდელი (XVIII საუკუნის) ხელნაწერის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ სამივე ნაწილი „პროლო-

ღიისა“ გაუერთიანებიათ და ერთ კრებულში შეუტანიათ XVIII საუკუნის ორ ხელნაწერში (H-3731, H-2185).

იამბიკური სვინაქსარის შესახებ კ. კეკელიძე წერს: „სჳნაქსარი იამბიკური ოთხთა თთუეთანი: ფებერვალის, მარტის, აპრილის და მაისის, რომელთა გამოთქმა უთხოვია მისთვის (არსენ ბულმაისიმისძისათვის) აბუსერ აბუსერისძეს, ეს გააგრძელებაა იოანე პეტრიწის იამბიკური სჳნაქსარისა, რომელიც მოყვანილია თებერვლამდე (სექტემბრიდან), დაწერილია პეტრიწისავე სტილითა და მეთოდით, ქართველ წმინდათა ხსენება შიგ არ არის“ (კეკელიძე, 1960:326). ცხადია, აქ შესწორებას მოითხოვს ის გარემოება, რომ არსენ ბულმაისიმისძემ აბუსერ აბუსერისძის თხოვნით კი არა, უშუალოდ ტბელ აბუსერისძის თხოვნით დაწერა „სათვეო სვინაქსარი“.

ქრისტეფორე მიტილინელის შრომა („გალობანი ყოველთა წმიდათანი“) იყო პირველი ნიმუში გალექსილი კალენდრისა და ჰქონდა თავისი დანიშნულება – გაეადვილებინა რთულად აღსაქმელი მასალის მარტივად დამახსოვრება. ლექსის ფორმით დაწერილი ტექსტის სპეციფიკური დატვირთვა სწორედ ამაში მდგომარეობს. ქრისტეფორე მიტილინელი კი, რომელიც მიჩნეული იყო თავისი დროის ერთ-ერთ ცნობილ სქედოგრაფად (სქედოგრაფია სასკოლო დისციპლინა, რომელიც ეფუძნებოდა ენის შესწავლის მნემოტექნიკურ მეთოდს), შეეძლო, წარმატებით გაერთვა თავი ამ ამოცანისათვის. ქრისტეფორე მიტილინელის „გალობანი ყოველთა წმიდათანი“ იამბიკური საზომითაა დაწერილი. სწორედ აღნიშნული იამბიკური კალენდრის ფორმა გამხდარა იოანე პეტრიწისთვის საინტერესო, როცა ქმნიდა მსგავს ორიგინალურ შრომას, თუმცა, საინტერესოა ისიც, რომ პეტრიწს მიტილინელის შრომა შეუმოკლებია, ამოუღია ეპითეტები, საკუთარი სახელები და უთარგმნია იგი ლიტურგიკული კანონის სახით.

ი. მაკარაძემ შეისწავლა ძეგლის ვერსიფიკაციული, სტრუქტურული და სტილური თავისებურება. ქართული იამბიკოს ბერძნულის ტექსტის მიხედვით გამართვისას დასახელებულ ავტორებს ძირითადი ყურადღება იმისთვის მიუქცევიათ, რომ ცეზურა მეხუთე მარცვლის შემდეგ მოსულიყო. მაგალითისთვის ი. მაკარაძეს მოჰყავს „პროლოღიის“ ერთი სტრიქონი:

„ამამებს ჩჩჳლთა // სისხლთა მისთა შერევაჲ“.

ი. მაკარაძის დაკვირვებით, როგორც წესი, იამბიკონის ერთი მუხლი შეიცავს ერთ დღეს მოსახსენებელ წმიდათა სვინაქსარულ ცხოვრებებს. შესაბამისად, ერთ თვეში იმდენი მუხლია, რამდენი დღეც არის. მაგალითად, პირველ თებერვალს მოხსენებულია ორი წმინდანი. მათგან პირველია წმ. მოწამე ტრიფონი (250):

ტურიფონს ჰშუჱნან, ყრმასა კამსადოს ღრღედნი.
მადლით ღმერქმნილსა, ეშმაკთა ქრისტებრ ფლობაჲ.
ნიკეას შინა, თჳთ მუნ თქმულთათჳს ჴრმალვაჲ.
ჴამლთ აღმომსჭუალვაჲ, გუჱრდსა ლამპრითა ძღუნობაჲ.
და მითვე მთმენსა, ჴელად სულსა ღირსებაჲ.

შემდეგ არსენის იამბიკო წმ. ტრიფონის ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის: წმ. **ტრიფონი** დაიბადა სოფელ კამპსადაში, უფალმა მას სიყრმეშივე მიანიჭა ეშმაკთა განსხმის ნიჭი. ქრისტიანთა სასტიკი მდევნელის – **დეკიუსის** (249-251) ზეობის დროს წმინდანი უშიშრად ქადაგებდა ქრისტიანობას და მრავალი მოაქცია თავის რჯულზე, რის გამოც შეიპყრეს ის და სასტიკად აწამეს. ბოლოს მას თავის მოკვეთა მიუსაჯეს. სასიკვდილო განაჩენის აღსრულების წინ წმიდა ტრიფონმა შესთხოვა უფალს, განსაკუთრებული მადლი მიენიჭებინა მათთვის, ვინც მის სახელს შემწედ მოუხმობდა. ქრისტეს ტარიგმა მანამ შეჰვედრა სული უფალს, სანამ ჯალათი აღმართულ მახვილს დაჰკრავდა.

ჰიმნოგრაფი ლაკონურად გადმოგვცემს წმინდანის ცხოვრების ამა თუ იმ ეპიზოდს; ზოგ შემთხვევაში კი ერთი ან ორი სიტყვით მიგვანიშნებს მასზე. მაგალითად:

„ესერთე პავლე, კრისკენტი, დიოსკორე,
ნატალიოდი, ლონაჲცა ჰრომი“ (236r)
„მარკელლოს მწყემსი კჳპრელი წმიდათაგანობს.
მოწამენიცა რიგენი და ანტონი სალოსსა ვისმე
თეოდორეს თანა ცად ვლენ“ (226v).

მოყვანილი ციტატიდან ყურადღებას გავამახვილებთ წმიდა მოწამე კრისკენტის (მირონ-ლუკიელი) ცხოვრების ისტორიაზე, რომელიც დიდგვაროვანი ოჯახის შვილი იყო და წინ აღუდგა წარმართული სარწმუნოების ქაგადებას, რის გამოც წმინდანი დაატუსაღეს და მიჰგვარეს ქალაქის ხელმძღვანელს; გამგებელმა ურჩია წმინდანს, ხალხის დასანახად წარმართობა ეღიარებინა და თაყვანი ეცა კერპებისთის, თუმცა წმ. კრისკენტმა უპასუხა: – „შეუძლებელია სხეულმა გააკეთოს ის, რაც სულს არ უნდა, რადგან მას სული მართავს და ამოძრავებს“. ამის შემდგომ მოწამე კრისკენტ-მირონ ლუკიელი სასტიკად აწამეს, გახურებულ ღუმელში ჩააგდეს (მაისის თვის მოსახსენებელი).

ასევე საინტერესოა წმინდანების შესახებ შემდეგი სტრიქონები, სადაც ვკითხულობთ:

„ეპარსნეს ნივთთა ორნი წმინდანი სპარსნი იოანე და ბარუქიოს ნეტარნი“ (229 r).

ზემოთ მოხმობილ ციტატიდან ყურადღებას გავამახვილებთ წმ. ბარუქზე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის სულიერი მჭევრმეტყველების განჭვრეტაში, როგორც მწერალს და იერემია წინასწარმეტყველის მეგობარს, მოწაფეს. მან მოახერხა თავისი მასწავლებლის წინასწარმეტყველებების მთელი გრაგნილის ჩაწერა და იერუსალიმის ტაძარში შეკრებილ ხალხს გააცნო მოძღვრის შემოქმედება; ასევე იწინასწარმეტყველა იუდეველების გათავისუფლება ბაბილონელთა ტყვეობიდან; ჭერშმარიტად განჭვრიტა ძე ღვთისას განკაცებაც.

ასევე საინტერესოდ და დახვეწილი ლაკონურობით გადმოგვცემს შემდეგ ისტორიას:

„მოწამე მღდელი აკაკი ეპისკოპი
აღმსარებელი, ქრისტესთჳს გრძლად ტანჯული.
განიტევა რაჲ ტრედებრ ცვალნა ბუდენი“ (229v).

აქ საუბარია წმინდა მოწამე აკაკის შესახებ, რომელიც გახლდათ მარტისიის პოლკის ასისთავი. ეს ის პერიოდია, როცა იმპერატორი მაქსიმილიანე გალერიუსმა (305-311) დაიწყო ქრისტიანთა დევნა. თუმცა წმინდა აკაკიმ ჭეშმარიტად და ყოველგვარი შიშის გარეშე აღიარა ქრისტიანობა, მას, სხვა პატიმრებთან შედარებით, სასტიკად ექცეოდნენ. ღამით პატიმრებმა დაინახეს, რომ წმინდანთან მოვიდნენ ნათლით მოსილი ჭაბუკები, საჭმელი მოუტანეს და მობანეს წყლულები. განრისხებულმა ვივიანემ გარეზგა, რის შემდეგ წმინდანი სასტიკად აწამეს და თავი მოჰკვეთეს.

საინტერესოა პირველი მარტის მოსახსენებელი, სადაც წმინდანთა ჩამონათვალი უფრო ვრცელია და შესაბამისად, მუხლში ტაეპთა რაოდენობაც უფრო მეტია:

„**ევდუკიასთა** კნინღა შევეზღვენით
ცვლილმან სატირმან პირველთაგან მეორედ,
აცისკრისფერა, ბნელი ინათლმთენა რაჲ.
ამსხუერპლნა სისხლნი ქრისტეს ესრეთ მეტყუჷლსა,
ზეცისა ძალნო, ჩემთანა გიხაროდენ!

და წმიდათაცა **ნესტორ** და **ტრიფიმიოს**,
მარკელლ, ანტონი, სილიბისტროს, სოფრონი
და **ანტონინე მარკოზ** მონაზონითურთ
ქედნი ალესნეს იაკინტებრნი ჴრმალსა,
სულთა ჰაერთა სულნი უვნებლად აღვლნეს“.

ტექსტი ცხადყოფს, რომ ტაეპების რაოდენობა განსხვავებულია და ამის მიზეზი, პირველ რიგში, ტექსტის არაქართული წარმომავლობაა; ასევე 1) ამა თუ იმ დღეს მოხსენებული წმინდანთა რაოდენობა; 2) წმინდანთა სვინაქსარული ცხოვრების მოცულობა; 3) ავტორის გადაწყვეტილება, დაწეროს ერთ წმინდანზე ვრცლად, ვიდრე – მეორეზე (მაკარაძე, 2010).

როგორც წესი, იამბიკონში წმინდანი იხსენიება სახელით და ეპითეტით, თუმცა არცთუ იშვიათია მათი საქმეების მოკლე აღწერაც:

„ბენდიმიანე ავქსენტისი მისებრვე
და ნახეთქებთა ათ-ოთხ და ორ წელ მყოფი
მუჴლმოდრეკილი სარკეთაჲთ პიპირო(ე)ბს“.

აქ იგულისხმება ის ფაქტი, რომ წმ. ღირსი ვენდიმიანი (†512) იყო წმ. ავქსენტის მოწაფე და მან 42 („ათ-ოთხ და ორ“) წელი დაჰყო კლის ნაპრალში.

„პერპეტო და ფილიკტი
დიაკეულთა ველურთა განბრძარულნი,
მოყუსებთა თანა ჴრმალსა ემაღნინტვიან“.

პერპეტოს და ფილიკტის ღვაწლს ანალოგიურად, მოკლედ გვიხასიათებს გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი „დიდი სვინაქსარიც“, სადაც ნათქვამია: „პერერპეტუა იყო აფრიკეთით, ქალაქით თუვრიტანოჲთ. ხოლო შეპყრობილ იქმნა ურწმუნოთა მიერ და მოყუსები თურთწინაშე ათასისთავისა წარიდგინა. მაშინ პერპეტუას და ფილიკიტატს მიუტევეს დეკეული ველური, რომელი იგი მოუჴდა მათ ზედა და განბძარნა იგინი და მერმე სხუათა მათ თანა მახჳლითა აღესრულნეს ორნივე“ (დიდი სვინაქსარი 2018:165).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა 5 თებერვლის იამბიკონი, რომელშიც, „დიდი სვინაქსარის“ მსგავსად, სამი წმინდანის (აღათის, აბრაამ ეპისკოპოსისა და აზარია წინასწარმეტყველის) ხსენებაა შეტანილი:

„ქალწულსა ღუაწლნი ჰპირად-ჰპირადობდენ-რაჲ
აღათის პეტრე ენეაჲსთა მიჰმადლებს
მერმეთრეული ცეცხლითა განიბრძმედვის,
სიძესა სულსა დილეგით ზითვად მისცემს.
ხოლო აბრაჰამ, ეპისკოპოსი სპარსეთს
ღმერთთა განჰბასრავს, ქრისტესა ამხოლოებს,
ვინაჲ მოუწოდს სერად ქედითა ჴრმალსა
და აზარია ადდოჲსი, წინამცნობი,
მამულსა თჳსსა დაიძინებს მშჳდობით“.

საგულისხმოა, რომ იამბიკონი ზოგჯერ უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავს, ვიდრე „დიდი სვინაქსარი“. მაგალითად, 14 თებერვალს ფილიმონ მოციქულის – ღაზელი ეპისკოპოსის ხსენებაა, რასაც

„დიდი სვინაქსარი“ მხოლოდ მისი მოხსენიებით გვაუწყებს, იამბიკონში კი, ამასთან ერთად, წმ. ფილიმონის ღვაწლზეც არის საუბარი:

„და ფილიმონი, ღაზელთა ებისკოპი,
კუართსა აზეზებს მეწამულად სისხლითა
ქრისტესთჳს ძჳნად აღტეხილთა ერთაგან“.

ხშირად იამბიკონი იმავე ინფორმაციას შეიცავს, რასაც „დიდი სვინაქსარი“, მაგრამ სახოტბო ეპითეტებით აღემატება მას. ამის მაგალითად გამოდგება 26 თებერვლის მოსახსენებლები; „დიდ სვინაქსარში“ ამ დღის ხსენებები, ძირითადად, სახელთა ჩამონათვალს შეიცავს:

„წმიდისა **პორფირი ღაზელ ეპისკოპოსისაჲ** და წმიდისა სტეფანესი, რომელმან აღაშენა სასნეულოჲ არმატიისაჲ და წმიდისა მამისა ჩუენისა და აღმსარებელისა **პროკოპი დეკაპოლელისაჲ** და წმიდისა მოწამისა **თეისი**“ (დიდი სვინაქსარი 2018: 176).

იამბიკონში იგივე მოსახსენებლებია წარმოდგენილი, თუმცა მასში ტექსტი გავრცობილია სახოტბო ეპითეტების ხარჯზე, რომლებიც ქვემოთ ხაზგასმული გვაქვს:

„**ღაზელთა მწყემსი**, *დიდი, სახელგანთქმული*
პორფირი *ქრისტეს სამწყსოთა მემზრუნველე,*
აღსარებისა ღუაწლთა შინა ოფლვილი,
მიწასა მიწად, სულსა აღმრთისკარავებს,
დასტეფანეცა სასნეულოთმოღუაწე
პროკოპის თანა დეკაპოლიელისა
იმშჳდთქუეყანებს, მშჳდობით მირულვილი;
თეი *მარტჳლობს ქრისტესთჳს ნაცვალთმგისა“.*

ზოგჯერ არსენი იმდენად გართულია სიტყვაკაზმულობით, რომ ძნელია მის ტაეპებში რაიმე აზრის დანახვა. ამგვარია, მაგალითად, თებერვლის თვის იამბიკონის ბოლო ორი ტაეპი:

ებვერვარისა ერდოჲ გარდაგმენაკო,
ფიციოთსავნები ჩუენი გარდაგმენაკო.

ამ ჰარმონიულად აჟღერებულ ტაეპებში სრულიად გაუგებარია „ებვერვარისა“ და ორგზის განმეორებული და ლექსიკურ ანაფორად ქცეული „გარდაგმენაკო“-ს მნიშვნელობა.

ზოგადი შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ იამბიკური სვინაქსარის ტაეპეპი იშვიათადაა გარითმული, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ ლექსიკურ ანაფორას და ერთმარცვლიან რითმას, რითაც არსენ ბულმაისიმისძე ლექსის ჰარმონიულ ჟღერადობას აღწევს. იამბიკური სვინაქსარი ძირითადად რიტმულად ორგანიზებული პროზაული სტროფების კრებულია:

„ტარასი დიდთა იკკლისიათა ერთ იქმს
კრებათა წესსა პორფირად მომბლარდნელი,
წმიდათა ხატთაჲ ჴმამაღალი ქადაგი,
მწყემს მწყემსთა ქმნილი ქალაქთა დედოფლისაჲ,
წმიდად წმიდათა აწ ზემესაიდუმლე.
და ალექსანდროს ფიცხელთა ღუაწლთა მთმენი,
მიმოიხილვის კიდულხუჱტილცეცხლვილი,
მოსაგრე ზენად, ჴრმალსა ლესავს ქედითა.
მარკელლოს მწყემსი კჳპრელი წმიდათგანობს.

მოწამენიცა რიგენი და ანტონი
სალოსსა ვისმე თევდორეს თანა ცად ვლენ...“

სხვა ბევრი მაგალითის მოყვანაც შეიძლება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსენ ბულმაისიმისძე ზოგჯერ ახერხებს იამბიკური საზომის ქართულ ლექსთან ეფექტურ შეხამებას, რაც არაიშვიათად გვაძლევს ევფონიურად ჟღერად სტროფებს. ასეთია, მაგალითად:

„დიოლოღონსა გრიგოლს ჰშუჭნი პაპობაჲ,
ქრისტეს ჴელობაჲ, არ თჳსითცა ნუკვებაჲ,
ლოდაკსა ძღუნებაჲ, ტრაიანეს მჴსნელობაჲ,
სწავლათა ღუარსა უხუად აღმომდენლობაჲ“ (228 r).

ცალკე განსახილველია არსენ ბულმაისიმისძის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი იამბიკო, რომელიც ეხმიანება დემეტრე მეფისა და ბორენა დედოფლის იამბიკოებს; ტექსტიდან ამოუღიათ, კანონიკურად უცვნიათ და შეუტანიათ „ღვთისმშობლისანად“ ევსტათი მცხეთელის ხსენების დღის ჰიმნოგრაფიულ მასალაში (სულავა, 2003:227-228). ეს იამბიკო მართლაც ახდენს მკითხველზე უაღრესად ემოციურ ზემოქმედებას:

„თჳთ პირველ არსმან და ყოვლისა მაარსმან,
იარსა ჩემთჳს, აწ კუალად ჩემობს სხუა,
ემრჩობლა თბესა ქალწულებრსა ნაზარეთს
მარიამ – ეტყჳს ღავრიილ – გიხაროდენ“
უფალი ჩვენი, და ღმერთი შენ შორის არს!“ (229r)

ნიშანდობლივია, რომ პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით არსენის ის ლექსები გამოირჩევა, რომლებიც საუფლო დღესასწაულებს ეძღვნება. ასეთია, მაგალითად, ხარების დღესასწაულისადმი მიძღვნილი იამბიკო:

„თჳთ პირველ არსმან და ყოვლისა მაარსმან,
იარსა ჩემთჳს, აწ კუალად ჩემობს სხუაჲ,
ემრჩობლა თბესა ქალწულებრსა ნაზარეთს
მარიამ, ეტყჳს ღავრიილ: „გიხაროდენ,
უფალი ჩვენი და ღმერთი შენ შორის არს!“.

პოუტური სამკაულით გამორჩეულ იამბიკოს უძღვნის არსენი წმ. გიორგისაც. ეს სტროფი მთლიანად სახოტბო ეპითეტებზეა აგებული:

„კაპპადუკიაჲთ კომსი დიდად მთიებად
ფილისტიმს დასლვად დღეთა ცისკარსა უსრბის,
მზე ცისქუჭშესა, მნათობად ეტლით მჴედრობს,
სისხლთა შუქითა ცის ღადირთაცა ელავს
გიორგი დიდი, მოწამეთა მთავარი“.

მასალისადმი ასეთი დამოკიდებულება, ცხადია, ხელს უწყობს საგალობლის იოლად დამახსოვრებას, მსმენელის ამაღლებული განწყობილებით გამსჭვალვას, თუმცა ასევე ცხადია, რომ საუფლო დღესასწაულებისა და ცნობილი წმინდანების მოსახსენებლების გალექსვის დროს ავტორს უწევს კონკურენციაში, ერთგვარ პოეტურ შეჯიბრებაში ჩართვა.

არსენ ბულმაისიმისძის თხზულება „გაგრძელებაა პეტრიწის იამბიკური სვინაქსარისა, დაწერილია პეტრიწისავე სტილითა და მეთოდით“ (კეკელიძე 1960:289). კ. კეკელიძის ეს შენიშვნა, ბუნებრივია, სვამს ორი თხზულების ურთიერთმიმართების საკითხს. თხზულების ბულმაისიმისძისეული ნაწილი განიცდის პეტრიწის სტილის გავლენას. ეს მოსალოდნელიცაა. მიიჩნევენ, რომ არსენი არის გელათური სკოლის წარმომადგენელი. საგულისხმოა, რომ სწორედ აქედან უგზავნის აბუსერ აბუსერისძეს იგი ეპისტოლეს და ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობლებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „პროლოღიის“ ენა განსხვავდება ჰიმნოგრაფის საგალობლების ენისგან, რომელიც გამოირჩევიან საოცარი სისადავით, მხატვრულობით და მსმენელზე გათვლილი სიმარტივით. შესაბამისად, თხზულების ენა თვით ავტორისთვის ნაკლებ ორგანულია (მაკარაძე, 2010). ენობრივი ანალიზით დასტურდება, რომ არსენ ბულმაისიმისძე გელათური სკოლის ტრადიციების მიმდევარი მწერალია. ამ დებულების დამადასტურებელი არგუმენტები მრავლად მოჰყავს ი. მაკარაძეს, ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ არსენ ბულმაისიმისძე „იამბიკური სვინაქსარის“ ადაპტირების დროს ორმაგ ერთგულებას უცხადებს გელათის სკოლის მამამთავრის – იოანე პეტრიწის მიერ დაწყებულ საქმეს და წერს თებერვალ-მაისის იამბიკონს, ხოლო მეორე მხრივ, ენობრივი პოზიციითაც იცავს გელათის ლიტერატურული სკოლის პრინციპებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ბეზარაშვილი, 2004**: ბეზარაშვილი ქ., „რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანის მიხედვით“, თბ., 2004.

2. **დიდი სვინაქსარი 2018**: „დიდი სჳნაქსარი, გიორგი მთაწმიდელი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და სამეცნიერო აპარატი დაურთეს მანანა დოლაქიძემ და დალი ჩიტუნაშვილმა, თბ., 2018.

3. **მაკარაძე, 2010**: მაკარაძე ი., „არსენ ბულმაისიმისძის იამბიკური სვინაქსარი“ – http://arifioni.blogspot.com/2010/01/blog-post_8282.html ატვირთულია 2010 წლის 10 იანვარს. ნანახია: 2020 წლის 7 მარტს.

4. **მელიქიშვილი, 1975**: მელიქიშვილი დ., „იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი“, თბ., 1975.

5. **ნაკუდაშვილი, 1996**: ნაკუდაშვილი ლ., „ჰიმნოგრაფიული ტექსტის სტრუქტურა“, „მეცნიერება“ თბ., 1996.

6. **კეკელიძე, 1956**: კეკელიძე კ., „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, I, თბ., 1956.

7. **კეკელიძე, 1960**: კეკელიძე კ., „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“, I, თბ.,1960.

8. **სილაგაძე, 1997**: სილაგაძე ა., „ძველი ქართული ლექსი და ქართული პოეზიის უძველესი საფეხურის პრობლემა“., თბ., 1997.

9. **სულავა, 1996**: სულავა ნ., „არსენ ბულმაისიმისძის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობიდან“. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია“, №1-2, 1996.

10. **სულავა, 2000**: სულავა ნ., „პოლიტიკური იდეოლოგია. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია“. – „სამეცნიერო კონფერენცია: „ქრისტიანობა, წარსული, აწმყო, მომავალი“, მოხსენებათა მოკლე შინაარსი, თბ., 2000.

11. **სულავა, 2003**: სულავა ნ., „XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია“, თბ., 2003

12. **სულავა, 2006**: სულავა ნ., „ქართული ჰიმნოგრაფია, ტრადიცია და პოეტიკა“, თბ., „ზეკარი“ 2006.

13. **ხელნაწერი A-85** (1233 წ.).

ჭოროხი 2

2021

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2021
malkhaz.pagava@mail.ru